

Իջարտան ճոս լճիղոտո!



Քրջանո զճճոնսճ. 2 1990



დიმიტრი მეფე

ღმრთისმშობლისა

ღმრთისმშობელი და ყოვლად პატიოსანი
დედა, ქალწული შუენიერი შროშანი,
მას ახარებდა ანგელოსი ფრთოსანი:
შენგან იშუებს მეფე გვირგვინოსანი,
და მას ჰმონებდეს მეფე მრავალ-ყმოსანი.



წმიდა ნინო
ოშკის ტაძარი

გვერდიან არს ღმერთი

ჯვარი ვაჭისა

2
1990

დაიბეჭდა
სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქის
უწყებებისა და უწყებების
ილია გიორგის
ღვანულთა და ღმერთების

თბილისი
1990





მაცხოვარ, შენ მოხუედ ცოდვილთათუის, ავოცენ
ურჩილოებანი ჩუენნი შენითა მოწყალეზითა.

ვიდრე წარდგომადმდე ჩემდა სარჩელად დღესა მას
განკითხვისასა მომეც მე ჟამი სინანულისაჲ და
შემიწყალენ მე, ღმერთო.

ემზაჲ არს ჩემდა ცუარი ცრემლთაჲ, საკურნებელ-
სინანულით ვედრებაჲ, მაცხოვარ, და შემიწყალენ მე,
ღმერთო.

ღვთისმეტყველება

სიტყვა წმიდათა შორის მამისა ჩვენისა ბრძოლა პაპისა, მოციქულთა მიერ თავმოყმა ხილური ნათლის თვისებისათვის

შემდგომად ექუსისა ღვთისა წარიყვანა იესო პეტრე და იაკობ და იოანე, ძმა მისი, და აღიფხვანა იგინი მთასა მალაქსა ოსაგან (მათე 17,1). პირველ ყოვლისა ვიკითხოთ, საიდან იწყებს მათე მახარებელი ექუსი ღვთის ათვლას? როგორც საუბრის მსვლელობა გვიჩვენებს, ათვლა იწყება იმ დღიდან, როცა მაცხოვრებელმა დაამოძღვრა თავისი მოწაფეები და უთხრა მათ: "მოსულად არს ძე კაცისა და დიდებითა მამისა თვისადათა, - და შემდგომად დაუმატა: - ამინ, გეტყვ-თქვენ, რამეთუ არიან ვინმე აქა მდგომარეთაგანნი, რომელთა არა იხილონ გემოჲ სიკუდილისა და ვიდრემდე იხილონ ძე კაცისა, მომავალი სუფევითა თვისითა" (მათე, 16,27-28). ანუ წინამძღვარი ფერისცვალების ნათელს მან უწოდა დიდება მამისა და თავისი სუფევა.

და იცვალა მათ წინაშე სხუად ფერად - განაგრძობს მახარებელი (მათე 17,2). რას ნიშნავს "იცვალა სხუად ფერად", კითხვობს სიტყვაოქროვანი ღვთისმეტყველი და პასუხობს: "ანუ თავისი ღვთიურობიდან გამოუკვანდა მათ რაღაც-იმდენი, რამდენის დატევასაც შესძლებდნენ და უჩვენა მასში დამკვიდრებული ღმერთი" (წმ. იოანე ოქროპირი). ლუკა მახარებელი ამბობს: "და იყო ლოცვასა მას მისა ხილვად პირისა მისისა სხუა" (ლოკა 9,24); მახარებელ მათესთან კი ვკითხვობთ: "და განბრწყინდა პირი მისი, ვითარცა მზე" (17,2). მაგრამ მახარებელმა ეს თქვა არა იმ აზრით, რათა ნათელი ესე გრძნობისმიერად ჩაგვეთვალა. დე განგვშორდეს ჩვენგან მათი გონების სიხვეცე, ვისაც ხელშეახებენ სინათლეზე უფრო მეტად არაფრის წარმოდგენა არ შეუძლია! სულით წმიდით მცხოვრებთა და მჭვრეტელთათვის ქრისტე ღმერთი. იგივეა, რაც მზე ხორციში მყოფთათვის და გრძნობებით მჭვრეტელთათვის. რამეთუ სხვა ნათელი ღვთაების სახილველად არცაა საჭირო მათთვის, ვინც ღვთიურთა ნიჭთაგან არიან განმსილდრებულნი. აღმობრწყინდა კი უფალი იგი და გამოუღვევილი ნათელი ესე საიდუმლოდ უჩვენა მოციქულებსა და უმწვერვალეს წინასწარმეტყველებს იმ დროს, როცა ლოცულობდა და ასწავლა, რა, რომ ამ ნეტარ ხილვის დედა ლოცვა იყო და გამომკრთოლვარება ხდებოდა და საინო იქნებოდა გონების ღმერთთან შეერთებით, და რომ იგი ეძლევა ყველა მათგანს, ვინც გამოუღმებულ მეცადინეობასა და ღვაწლში სათნოებათა მიმართ თავის გონებას ფერისცვალების წარმართავს. მოსეს სახეც რად განათდა ღმერთთან საუბრით? (მაგრამ მოსემ თვით კი არ წარმოშვა, არამედ მხოლოდ განიცადა ფერისცვალება. უფალსა ჩვენსას იესო ქრისტეს კი თავით თვისით გააჩნდა ეს ნათელი. ამ მიზეზით, საკუთრივ, ის ლოცვას არ საჭიროებდა, რათა თავისი ხორცი (სხეული) განებრწყინებინა, არამედ აიფხვნა, თუ რა გზით გარდამოეფინება იგი მხოლოდ ღვთის წმიდანებზე და ვითარ შეიძლება მისი ჭვრეტა, რამეთუ წერილ არს, რომ წმიდანები "გამობრწყინდნენ, ვითარცა მზე" (მათე 13,43). ე.ი. ვინც ერთიანად გამსჭვალულია ღვთიური ნათელით, იხილავს ქრისტეს, რომლის ღვთიური ბუნებიდან მომდინარე, გამომკრთოლვარება თაზრობე მისი სხეულის გამომკრთოლვარებასთან ერთად გამოიხნა იპოსტასური შეერთების გამო (ღვთიური ბუნებისა და კაცობრივისა - რედ.).

მაშ ასე, გვწამს, რომ ფერისცვალებისას მან გამოაცხადა არა სხვა რომელიმე ნათელი, არამედ მხოლოდ ის, რომელიც დაფარული ჰქონდა ხორციელ კრეტსაბმელს მიღმა. ეს ნათელი საღმრთო ბუნებისაა - ხელთუქმნილი, ღვთიური. მსგავსად ამისა, ღვთისმეტყველ მამათა სწავლებით, იესო ქრისტემ ფერი იცვალა მთაზე ისე, რომ არაფერი მიუღია (გარედან - მთარგ.) და არაფერ ახალში, რაც მანამდე არ ჰქონია, არ გარდასახულა. თავის მოწაფეებს უჩვენა მხოლოდ ის, რაც უკვე გააჩნდა.

ახლა რისთვის გამოარჩევს უფალი მოციქულთა დასიდან უმთავრესთ და აპყავს ისინი მთაზე თავისთან ერთად? რაღა თქმა უნდა, მისთვის, რომ მათ რაღაც დიდებული და ილუმინალი უჩვენოს. და რა იქნებოდა განსაკუთრებით დიდებული და ილუმინალი გრძნობადი სინათლის გამოცხადებაში, რომელიც უხვად ჰქონდათ არა მარტო რჩეულებს, არამედ დანარჩენ მოციქულებსაც? როგორ შეიძლება მამისა და სულიწმიდის დიდებისა და სუფევის რამენაირ გრძნობისმიერ სინათლედ წარმოდგენა? ხუთულა მსგავსი დიდებით მოვა ქრისტე საუკუებითა დასასრულს, როცა არ იქნება საჭიროება არც სინათლისა, არც პატივისა, არც სივრცისა, არცა რაიმე მსგავსისა, მაგრამ მოციქულის მოწმობით, იქნება ღმერთი ყოვლად ყოველსა შორის (I კორ.15,28), ანუ შეცვლის ყველაფერს ყველასათვის? ხოლო თუ ყველაფერს, მაშინ გამოდის, რომ ნათელსაც, აქედან ნათლად ჩანს, რომ ნათელი თაზრობისა იყო ნათელი ღვთაებისა.

ამასთან, მოსე და ილია, განსაკუთრებით პირველი, რომელიც აშკარად სულით და არა ხორციით იმყოფებოდა იქ (ფერისცვალებისას - რედ.), როგორი გრძნობადი სინათლის მეშვეობით შეიძლება ყოფილიყვნენ განათებული, ხილული და შეცნობილინი (მოციქულთაგან - რედ.)? რამეთუ მათგანაც წერია: "გამობრწყინდნენ დიდებითა და იტყოდეს განსილვასა მას მისსა, რომელი ეგულებოდა აღსრულებად იერუსალემს" (ლოკა 9,31). და მოციქულები ვერ შეძლებდნენ ღვთიური ნათლის ილუმინალი ძალების გარეშე ეცნოთ ისინი, ვინც არასდროს ენახათ. ეს მან (ნათელმა) განახებდა მათი გონების თვალნი.

სიმეონ ახალი ღვთისმეტყველი

საგომჯინაო და საღვთისმეტყველო თავნი

(გაგრძელება)

66. ყველას, ვინც ღმერთის გზით ცხოვრებას შეუდგება, სარგებლობას მოუტანს ტანჯვის შიში და, აქედან გამომდინარე, სიმძიმელი გულთა. ვინც ამგვარი გულისტკივილისა და შიშის ზორკიდების გარეშე იმედოვნებს საძირკველი ჩაყარის შემდგომი მოღვაწეობისათვის, ის მხოლოდ ქვიშაზე კი არ ფიქრობს ააგოს, არამედ ოცნებობს პაერში გამოკიდოს სახლი საძირკველის გარეშე, რაც ყოველად შეუძლებელია. საწუბარი ესე უმაღლესად უსაზღვრო სიხარულს, მისი ზორკიდები ყოველგვარ ცოდვათა და ვნებათა ზორკიდებს დახსნიან და ეს დაშნაშავე იწებება არა ზორკიდმდებელი სიკვდილისა, არამედ საუკუნო ცხოვრებისა.

67. ვინც არ ისურვებს თავი აარილოს და გაექცეს გულის ავადმყოფობას, გაჩენილს საუკუნო ტანჯვის შიშით, არამედ საკუთარ გულისხმას მოაყურადებს და მთლიანად მოთოკავს თავს ამ საკრებლებით, ის სულსწრაფობას გამოიჩინებს და ამას ჩაიღებს თვით მეფეთმეფის თანდასწრებით. მოხდება თუ არა ეს, ძილზურანში მყოფს თვალს მოსჭრის მისი დიდება და ზორკიდებიც მისვე ჩამოსცივვიან, ზორკიდმდებელი შიშიც განეშორება, და ქმუნვა გულისა სიხარულით შეეცვლება, იქცევა ცოცხალ გასაღებად ან მძღაფრ ნაკადად, რომელიც სულის-შემძვრელად გადმოიღინდება ყოველთვის ცრემლთა ნაკადულიდან. სულს დაეუფლება სიმშვიდე, უწყინარობა და ერთი გამოუთქმელი ნეტარება. ამასთანავე ყველაფერში გამშედავი, მორჩილებაში თავისუფალი და დაუბრკოლებელია ღმერთის მცნებათა აღსრულების ჭამს, რაც ახლადმოქცეულთათვის ჯერ კიდევ არ არის ნებადართული, მაგრამ ზუნებრივია იმისათვის, ვინც საშუალო წარმატებას მიაღწია და განსაკუთრებული პიროვნება გახდა.

სრულყოფილთათვის კი ეს წყარო წარმოადგენს ნათელს გულის უეცარი ფერისცვალებისა და განახლების დროს.

68. ვინც შინაგანად სულიწმინდის ნათლით არის მოხილი, მას არ ძალუძს თვალი გაუსწოროს ამ ნათელს. მიწაზე პირქვედაშობილი მოთქვამს და გოდებს უდიდესი რიდიანა და ძრწოლით ზუნებითა, სიტყვისა და გონებითზე შეაღმატებულის მნახველი და განმცდელი. იგი ემსგავსება იმ ადამიანს, რომელსაც გულგვამს უწყავს ცუცხლი და ვერ დამოშენი შურვალე და მწველი აღისა, საშინლად იტანება და არც ბელეწიფება, რომ გონს მოეგოს. მაგრამ უმაღლეს ცრემლის ნაკადულებში დაბთქმული და განგრილებული უფროსე მძაფრად აღინთება ღვთაებრივი სურვილის ცუცხლით, უფროსე უხვად წარმოიღინდება ცრემლები თვალთაგან მისთა და უკვე განწმენილი თვალისმოჭრელი ბრწყინვალე ხით ანათებს. ხოლო როდესაც სულ მთლად მიინათება, იქმნება ნათლად, აი, შამინ აღსრულება ამაზე თქმული: ღმერთი ღმერთით განზრძნობილთა და შემცნობელთა იმ ხარისხით, რამდენადაც განმლოთობილთა შორისაა და შეცნობილია მათ მიერ.

69. ტირილისა და ცრემლების გარეშე - ნურც მავანთა ფუქსიტყვაობა მოგვიხილავს და ნურც თავს მოვიტყუებთ - ვერ დამკვიდრდება ჩვენში სინანული, არც ქეშმარიტი ფერისცვალება, არც ღვთის შიში დაისადგურებს ჩვენს გულებში, ვერც დაშნაშავეებს აღმოვაჩინთ ჩვენივე თავში და გავასამართლებთ მათ, ვერც მომავალი სამსჯავრო და საუკუნო ტანჯვა შეძრავს ჩვენს სულებს. რამეთუ თუკი საკუთარ თავს ჩაუვლრმავდებოდით, გულისთქმებს მივაყურადებდით და მათ გავიცნობიერებდით, მისვე ცრემლები მოგვერეოდა. ამის გა-

რეშე კი, წუთითაც არ განქარდებოდა ჩვენი გულ-გორბობა, ვერც ჩვენი სული ეზიარებოდა სულიერ სიმშვიდეს და უძღურნი ვიქნებოდით დაფუფლებოდით მორჩილებას. ვინც ასეთი არ გახდება, ვერ შემძლებელ არს შეერწყას სულიწმიდას. ვინც სულიერად არ განწმენდილა და არც წილნაყარია ღმერთთან, ვერ ძალუძს მისი ვერც ჭკრეჭა, ვერც შეცნობა და არც ღირსია მორჩილებაში დაფარულ სიქველევებს თანაზიარეწმას.

70. მოჩვენებითად ქველმოქმედნი, რომელთაგან ერთნი გარეგნულად გამოიყურებიან ასეთებად, მეორენი კი შინაგანად, არაერთგზის სჩადიან ყოველგვარ უსამართლობას, გამსჭვალულნი შურით, ბაკვიითა და ავბორცული გულისთქმით და მრავალთა მიერ, რომელთაც სულის თვალი დალიბრული აქვთ და არც მათი შეცნობა ხელეწიფებათ ნაყოფისდა მიხედვით, შერაცხულნი არიან ვნებათაგან განწმენდილებად და წმიდანებადაც კი. ხოლო ღვთისმოსავ, სათნო და გულით უმწიკვლო ადამიანებს, რომლებიც არაფრით გამოირჩევიან ამათგან და მათ შორის მიმოდინ გაუფრთხილებლად, აბუჩად იგდებენ.

71. ცხელსა და მოჩვენებითს ხომ უგანათლებულესად და სულიერად თვლიან, ხოლო სიტყვაძვირსა და წყნარს პირუტყვად და ენაბრგვილად მიიხევენ.

72. სულიწმიდაზე მოლაყბეთაგან, დიდად გონიერნი და დემონური სიამაყით მშვაობარნი მადალფარდოვნად და ომახიანად მსჯელობენ და მათი სიტყვები განცვიფრებას უფრო იწვევენ, ვიდრე გულაჩვილებასა და სინანულს. მას, ვინც დოღაბივითა წყალმარჩხ მდინარეში, მუცლით შემდაბრეა ან ვაიმეცნიერი და სულის ხსნის ამბებზეც აზდაუბლად მიედმოვლება, აქებენ და აღიღებენ. ამგვარად, მათ შორის არაფერ ჩანს იმდენად კეთილგონიერი, რომელსაც საქმის ვითარების რეალურად შეცნობა და წარმოჩენა შეძლებოდა.

73. "ნეტარ იყვნენ წმიდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ" (მათე 5,8) - ამბობს უფალი. გულის განწმენდა კი ვერ ხერხდება ვერც ერთგზის, ვერც ორგზის, ვერც ათგზის ჩადენილი ქველმოქმედებით, არამედ, როგორც ამბობენ, ერთად

აღებული ყველა სიქველის სრულყოფილების უმაღლეს საფეხურზე აყვანიო. და არც ამგვარი გულის-შემუსვრილება მიიღწევა თუ არა სულიწმიდის მოქმედების და გარდამოსვლის გარეშე. ასევე, ადამიანი, რომელიც შეიძლება ზევს მუშაკობდეს, სათნოებებს იყენებდეს იარაღებად, მაგრამ სულიწმიდის ცეცხლის გარეშე უძღურია და ამაოდ დაშვრება: სულს ვერ განიწმენდს უკეთურებისა და ბილწებისაგან.

74. ღვთაებრივი ნათლისღებისას ცოდვები მოგვეტყვება, წინაპართა შეფიცულისგან ვთავისუფლებით და სულიწმიდის გარდამოსვლით ვართ ნაკურთხნი. მაგრამ სრულყოფილ მადლს, ამგვარად გამოთქმულს: "დავიკვდრო და ვიქცეოდი მათ შორის" (II კორ. 6,16; ან ლევ. 26,12) მაშინვე როდი ვუფლებით. რამეთუ, იგი ენიჭებათ რწმენაში მყარად განმტკიცებულ და საქმეებშიც განმცხადებელ ადამიანებს. ნათლისღების შემდგომ, თუკი სიბილწე და ბოროტება მოგვეძაღება, სრულებით ვკარგავთ ჩვენზე გადმოსულ კურთხევას. მონანიება, აღსარება და ცრემლები, შესაბამისად საქმენიც, ვერ ისევ თავიდან ცოდვების მიტევებას შეგვაძლებინებს და მერმე, კვლავ, ზეგარდმო მადლით. ცხებულნი ვხდებით.

75. მონანიებით აღსრულდება სამარცხვინო საქმეებში ჩადენილ სიბილწეთაგან განწმენდა. შემდგომ ამისა, კი თანაზიარეწმებით სულიწმიდას. მაგრამ ზერეულ დამოკიდებულებით კი არა, რწმენის ძალით, უდრეკად და მორჩილი სულის დრმა სინანულში მყოფობით. მხოლოდ ესეც არ არის საკმარისი. არამედ, სულიერმა მამამ და ნათლიამ ჩადენილ ცოდვათა აღკვეთა უნდა დაუშვას. აი, ამიტომ არის კარგი ყოველდღიური სინანული და აღთქმაც ხომ ზრძანებს: "შეინანეთ, რამეთუ მოახლებულ არს სასუფეველი ცათაჲ" (მათე 3,2). ამდენად, ჩვენ შემოსაზღვრული ვართ ღრთის გარკვეული მონაკვეთით კი არა, საუკუნო აღსასრულით.

76. სულიწმიდის მადლი ქრისტესთან დაწინდულ სულს ნაწყალობევი აქვთ, მსგავსად ნიშნობისა. როგორც ნიშნობის გარეშე ცოლი არ დაიჭე-

რებს, რომ თდესმე შეუდლება ქმარს, ასევე, სულიც არასოდეს ირწმუნებს უყოყმანოდ, რომ თანაყოფა მეუფესა თვისსა და ღმერთს, ან ფარულად და უსიტყვოდ შეერწყმის და მის მიუწვდომელ სილამაზეს დაუფუფლება, ვიდრე არ იგემებს ნიშნობის მაღლს და გონებით არ გაითავისებს.

77. როგორც ნიშნობა არ ჩაითვლება საიმედოდ, ვიდრე თანხმობის ქაღალდს, რომელშიც ქორწინების პირობებია აღნიშნული, ხელს არ მოაწერენ რწმენით აღჭურვილი მოწმეები, ასევე, აღთქმათა აღსრულებისა და ქველმოქმედების გარეშე მაღლი თვალისმომჭრელად ვერ იციაგებს. რამეთუ ქორწინების პირობები თუკი მოწმეების თანხლებით აღსრულება, სულიერი დაწინდვისას მით უფრო უნდა არსებობდეს აღთქმათა აღსრულებაცა და ქველმოქმედებაც. მათი მეთხებით ხომ გადარჩენის მსურველებს დაწინდვისას სრულყოფილების მაღლი ენიჭებათ სულიწმიდისგან.

78. თავდაპირველად აღთქმათა აღსრულებით თითქოსდა საქორწინო პირობებია ჩამოწერილი, ხოლო შემდეგ, ქველმოქმედების მიერ არის აღბეჭდილი და ხელმოწერილი. აი, მაშინ სიძე - ქრისტე ბეჭედს უძღვნის სასძლოს - სულს, რაც სულიწმიდისგან დაწინდვას გულისხმობს.

79. როგორც სასძლო შეუდლებამდე სიძისაგან მხოლოდ დაწინდულია, ხოლო მშობივსაც და მისთვის შეპირებული საჩუქრების მიღებას შეუდლების შემდეგ მოელის, ასევე სასძლო - მორწმუნეთა ეკლესიაც და თითოეული ჩვენგანის სული თავდაპირველად სასიძოსგან - ქრისტესგან მარტოოდენ სულიწმიდით დაიწინდის. შემდეგ ეძლევა საუკუნო ღიდება და სასუფეველი ცათაჲ იქიდან გამომავალი, დასტურად დაწინდვისა, როგორც სარკეში ანარკლს, ისე ხედავს, რომ მიუზღო ის, რაც დააღუძნა თავის მეუფესთან, ღმერთთან მიღწეულ შეთანხმებას.

80. სასძლოს ხომ გაანაწყენებს, თუკი სიძე დაახანებს მოსვლას, ან სხვადასხვა საქმეებით გართული, გარკვეული ხნით გადასდებს ქორწინებას. იგი,

დაეჭვებული სიძის სიყვარულში, დახვეს და დაანაკუნებს ქორწინების მოწმობას, ქარს გაატანს ყველა ნაოცნებარს, სიძისაგან დანაპირებმა რომ აღუძრა. მსგავსი რამ ემართება, ჩვეულებრივ, სულსაც. რამეთუ, მოღვაწეთაგან ვინმემ თუნდაც თავისთვის დაიწუწუნოს - როდემდე უნდა ვეწამო ასეთ - ანუ, ასკეტური რუღუნებისა და ღვაწლის მიმართ დაუდევრობა გამოიჩინოს, მცნებების აღსრულებასაც ბეჭითად არ მოეკიდოს, გამუდმებული სინანულიც უგულვებელყოფს, რომ უნებლიედ ნაცარ-ტუტად ექცეს ღმერთთან დადებული შეთანხმება, რასაც მყისვე, თავისთავად, მოსდევს ქორწინების ჩაშლაც და სამუდამოდ აუბდენელი ნატვრაც.

81. თუკი სასძლო სხვას უწილადებს სასიძოსათვის განკუთვნილ სიყვარულს და აშკარად თუ მაღლად მასთან სარეცელს გაიბიარებს, არა თუ ვერ ეღირსება ვერევერს იქიდან, რაც სასიძომ აღუთქვა, არამედ უნდა მოელოდეს დამსახურებულ სასჯელს და კანონიერად დამცირობას. ასევე გვემართება ჩვენც. როდესაც სხვა საგნებისადმი სწრაფვა გაგვიტაცებს და გულისთქმანიც მათ მიმართ აღგვეტყვის, ეს ხომ სიძის - ქრისტეს სიყვარულში გვეცილება აშკარად თუ მაღლად. სიძისთვის კი გულისამრევი და ამაზრბენია ასეთებთან დაკავშირება, რამეთუ მან თქვა: "შე მოყუარენი ჩემნი მიყუარან" (იგავთა. 8.17).

82. ამ ნიშნებისდა მიხედვით, თითოეულ ჩვენგანს მართებს გაისიგრძეგანოს დაიწინდა თუ არა სულიწმიდით სიძისა და მეუფისა ჩვენისა იესო ქრისტესგან. თუკი დაიწინდა, ეცადოს გაუფრთხილდეს და შეინარჩუნოს. ხოლო თუ ჯერ კიდევ არ გამზდარა ამის ღირსი, მაშინ სამაღლო საქმეებით, მოწყალებათა გაღებით და მზურვალე სინანულით თანდათან დაიბრუნოს და მერმე მცნებათა აღსრულებითა და ქველმოქმედებათა განმრავლებით სულში საბოლოოდ დაიმკვიდროს.

ქველი ზერძულიდან თარგმნა
მაია ინდუაშვილიმა

პირველი დაგვიგონება

(მირქის საგალობლის ერთი სახის გაგებისათვის)

გალობა ღმრთისმსახურების მნიშვნელოვანი ნაწილია. საგანგებოდ შეჩვენული საგალობლები ღმრთისმსახურების ერთად ქმნიან ამა თუ იმ განგებებს (მწერის, ცისკრისა და სხვ.)*

საკითხავები (ზიხლოური, ჰომილეტიკური, ეტიკური, ასეტიკური თუ ჰაგიოგრაფიული) განკუთვნილია მორწმუნეთა დასამოძღვრავად. სულელებითი, მხეობრივი, წინასწარმეტყველებითი და სპეკულირებითი სწავლების გასაფრცქველად.

ღოცვა არის გონებით შეერთება ღმრთისა და ალაბანისა; ღმრთის მიმართ ქობის, მადლობისა და აღმშენების აღვლება.

გალობა კი სულიერი სიხარულის, მღერისა და განცხრომის გამოხატულებაა. იაკობ მოციქული გასწავლის: "მჭირდეს თუ ვისმე თქუენ განსა, ილოკედნი; მაღობთ თუ ვინმე არს, გალობდინ" (იაკ. 5, 13). ზასილი კასარაელი გალობის საუკეთესო წყარად მოიხსენებს ფილოსტო: "არა რომელიმე ერთი სხუათა წიგნთაგანი ერთად ღმერთსა აღიღებს, ერთად ფალაშინთა წყრილი, რამეთუ ფრიად მარგუბელ არს სულისა და განმწმედელ გონებისა, შეაერთებს ზეკისა ძალთა და მათ თანა ერთგობით აღამაღლებს დიდებულებასა ღმრთისასა" (დავითნი, ტფილითი, 1888, 1).

ფალაშინთაგან აღმშენებული დავით მკვევ არაერთხელ აღნიშნავს გალობის საჭიროებასა და საყოველთაო აუცილებლობას. იგი დაუცხრომლად დადაღებს: "უგალობდით ღმერთსა ჩუენსა, უგალობდით; უგალობდით მკუევესა ჩუენსა, უგალობდით" (46, 7). "შენ გმუენის გალობა, ღმერთო, სიონს, და შენ მკუევეს ღოცვა იერუსალიმს" (64, 2), "ღაღადებდით ღმრთისა ყოველი ქუეყანა, უგალობდით სახელსა მისსა, მიეცით დიდება ქებულებასა მისსა" (65, 2), "აქებდით

ღმერთსა და უგალობდით სახელსა მისსა" (67, 5), "ყოველი სული აქებდით უგალობსა" (156, 6)...

ამჟერად ჩვენთვის საინტერესოა დავით მკვევის აზრი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იყოს გალობა. სხვადასხვა ადგილას იგი ამბობს: "უგალობდით უგალობსა გალობითა ახლითა" (149, 2); "მღერ. ესაია 42, 10"; "ღმერთო, გალობითა ახლითა გაქებულე სკ" (143, 9); "აქებდენ სახელსა მისსა განწყობითა, ზობნითა და საფსალმუნითა უგალობდენ მას" (149, 3); "აქებდით მას კმითა ნეტარათა, აქებდით მას ფალაშინითა და ებნითა, აქებდით მას ზობნითა და მკუევერითა, აქებდით მას ძიებითა და ორღანითა" (150, 3-4); "ტყილ ყაფი გალობაჲ ჩემი" (103, 3-4); "უგალობდით მას მკუეხიუკით" (46, 8).

"გლობა ახალი" მთავრებს საეკლესიო ჰომილეტიკისათვის, რომელიც ქრისტეანული ეკლესიის დაფუძნებისთანავე ჩაისახა და მისი განვითარება დღემდე არ შეწყვეტილა. სხვადასხვა დროის ჰომილოგრაფები განსხვავებული მხარით, მხატვრული სახეებით, საღმრთო ისტორიისა და აღმშენების სფეროების მიხედვით ახლებური გაღმოსკმით თხზავდნენ ლიტურგიკული დანიშნულების დიდებულებს, სტაქრონიებს, კანონებსა და სხვა სახის ჰომილებს. ამასთანავე, საგალობელთა მთავალფეროვნება არ უნდა გამოსდარიყო საღმრთო მოძღვრების გაყალბების, მკვალელობის წყარო. ამიტომ განსაკუთრებით ყურადსაღებია იყო ამ მხრივ დავით მკვევის მითითება: "უგალობდით მას მკუენსა, ვინაჲ" (ფს. 46, 8). "მეცნიერება" ანუ ცოდნა სჭირდება ჰომილოგრაფს იმისათვის, რათა სწორად გაეგოს საღმრთო წერილის ესა თუ ის სახე, ვეროფიად დაეკავშირებინა ისინი ერთმანეთთან, არ ვეღვატა ზომიერებისათვის, არ დაერღვია სარწმუნოების დოგმატი.

ღმრთისმსახურებისათვის განკუთვნილ კრებულებში (პარაკლიტონი, მარხვანი, ზატიკი, სადღესასწაულო...) თავმოყრილია სხვადასხვა დროის ჰომილოგრაფთა პოეტური ქმნილებები. ძველი დროის ავტორთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია: რომანოზ მელოდოსი (VII ს.), კოსმა მონაზონი (VIII ს.), იოანე დამასკელი (+754), იოსებ გამომეტყველი (IX ს.), ანდრია კრეტელი (650-726), გერმასე პატრიარქი (715-730); ქართველთაგან: მიქაელ მღერეკელი (X ს.),

* სიტყვა "საგანგებო" ("განსაკუთრებული", "სპეციალური" მნიშვნელობით), საფიქრებელია, მომდინარეობს ლიტურგიკული ტერმინიდან — განგება "წეს-განგება" საზოგადოდ აღნიშნავს არა მარტო ღმრთისმსახურების თანამიმდევრობას, არამედ მის შემადგენელ ელემენტთა ერთობლიობასაც. ცალკე "წესი" ითვალისწინებს ღმრთისმსახურების ტიპიკონურ აღწერას, ხოლო მის ცვალებად ელემენტთა (სპეციალურად, ს ა გ ა ნ გ ე ბ ო დ შერჩეული საგალობლებისა და საკითხავების) სისტემას გ ა ნ გ ე ბ ა ეწოდება (ზერძ. "აკოლოთია").

იოანე მინზი (Xს.) და სხვ. მათი საგალობლები იტყვენ არა მარტო ულამაზეს პოეტურ სახეებს, არამედ უმარამაზარ საღმრთისმეტყველო ცოდნას.

საგალობელთა უმეტესობა დაწერილია ისეთი რთული წიარსვლებითა და მინიშნებებით, რომ დღევანდელი რიგითი მკითხველისათვის ყოველთვის ხელმისაწვდომი არაა. მათ გასაგებად სპეციალური საღმრთისმეტყველო განათლება საჭირო. ამიტომაც ყოველი მორწმუნე, რომელსაც გალობის გაგება სწავლია, პირველ ყოვლისა, უნდა ესწრაფოდეს საღმრთო წერილისა და მამათა სწავლების შეთვისებას. სხვანაირად ვერ შევძლებთ შევასრულოთ დავით მეფის მითითება: "უგალობლით მას მეცნიერებით".

"არა-მეცნიერებითი" ესე იგი მექანიკური გალობა, ისეთი, როდესაც საგალობლის ტექსტი არ გვე სმის, არ შეიძლება იყოს ღმრთივ-სათნო. ხოლო როდესაც საგალობელში მოცემულ შინაარსს სრულად ვწვდებით, ეს ცოდნა გვეხმარება გონებისა და გულის ღმრთისადმი ამაღლებაში.

ამრიგად, საღმრთისმეტყველო განათლება აუცილებელია როგორც ჰიმნოგრაფთათვის, ასევე თითოეული მგალობლისთვისაც.

ამტყერად გვინდა შევეხოთ მირქმის საგალობლებში გამოყენებულ ერთ სახეს, რომელიც საღმრთო წერილიდან იღებს დასაბამს.

"უფალო ღაღად-წყაყის" აწდა-ზე ითქმის გალობა (ქმნილი იოანე დამასკელისა): "დღეს განიხიან ბჭენი ცათანი, რამეთუ სიტყუა ღმრთისა დაუსაბამო დაიბადა ჩუენთვის, და დასაბამი ჟამიერი კაცთა კსნისათჳს მიიღო, და უქცევულად ეგო ღმრთიეობითა, ქალწულისაგან დედისა ჩჩულებრ ორმეოცისა დღისა მჭუელიერად ტაძრად მოიყვანა პირმშო დაბადებულთა, და ესე წიაღთა თჳსთა მიიქუა მოხუცე ხულმან და უღაღადებდა..." (სადღესასწაულო, მსკოვი, 1865წ.გვ.842).

ამ საგალობელში ყურადღებას იქცევს "პირმშო დაბადებულთა", რომელიც ყრმა იესუს მიმართ ითქმის.

პირმშო, როგორც ცნობილია, პირველ შვილს ნიშნავს. ამ სიტყვითაა მოხსენებული ახალშობილი მაცხოვარი მათეს სახარებაში: "...შვა ძე იგი მისი პირმშო და უწოდა სახელი მისი იესუ" (მათე 1,25).

ქრისტე სახარებაში მოიხსენება მამის მხოლოდ-შობილ ძედ (ე.ი. ერთადერთ შვილად): "...ვიბილეთ დიდებამ მისი, დიდებამ ვითარცა მხოლოდ - შობილისა მამისა მერ, საცუე მადლითა და ჭეშმარიტებითა (იოანე 1, 14; იხ. აგრეთვე: იოანე 1,18; 3, 16,18). ქრისტე ღმრთიეების ზუნებით მხოლოდ-შობილია, მამასადაამე. — პირმშოც, მაგრამ "პირმშო დაბადებულთა" გულისხმობს პირველობას ადამიანთა შორის. ქრისტეს განხორციელებამდე ადამიანთა

მრავალი თაობა გამოიცვალა და ჩვეულებრივი გაგებით მას დაბადებულთა შორის პირველად (პირმშოდ) ვერ ვიგულისხმებთ.

სახისმეტყველებით ქრისტეს გააზრება "პირმშოდ დაბადებულთა" — პავლე მოციქულს ეკუთვნის. რომაელთა მიმართ იგი წერს: "ესე უწყით, რამეთუ ღმრთის მოყუარეთა ყოველივე განემარჯუების კეთილად, რომელნი-იგი ზრძანებით ჩინებულ არიან, რამეთუ რომელნი-იგი წინაგწარ იცნა, წინაგწარცა განაჩინა თანა-მსგავსად ხატისა მის ძისა თჳსისა, რათა იყოს იგი პირმშო მრავალთა შორის ძმათა" (რომ.8,28-29). მოციქული ამბობს, რომ ღმრთის მიერ ჩინებულნი (მოწოდებულნი, მოწვეულნი) არიან "ღმრთის მოყუარენი", რომელნიც მან საღმრთო წინასწარმცნობელობით "წინაგწარ იცნა", ე.ი. განჭვრიტა მათი კეთილი ნება და ღმრთის შესაწყნარებლად განმზადებული გული. ამიტომაც გამოირჩია ისინი "თანა-მსგავსად ხატისა მის ძისა თჳსისა". ამ სიტყვებს წმ. კირილე ალექსანდრიელი (V ს.) განმარტავს შემდეგნაირად: "ესრეთცა გულისგმა იყოფების ხატი ძისა მისისაჲ, რამეთუ იტყვს მოციქულივე, ვითარმედ: ვითარცა შევიმოსეთ ხატი მიწისაგანისაჲ, შევიმოსთ ხატი ზეცისაგანისაჲცა (1კორ.15,49); ხოლო ვითარცა ხატი მიწისაგანისა ადამისი არს ურჩებითა და ცოდვითა ცხორებაჲ, ეგრეთვე ხატი ზეცისაგანისაჲ მის, რომელ არს ქრისტე, ესე არს სიწმიდე, სიმართლე და მორჩილებაჲ და უბიწოებაჲ" (მოკლე თარგმანებაჲ წმიდისა მოციქულისა პავლეს ებისტოლეთაჲ, Ath.39).

რაც შეეხება ქრისტეს "პირმშობას", იგივე წმიდა მამა განმარტავს ასე: "ქრისტე უფალი ზუნებითა მით ღმრთიეებისაჲთა მხოლოდ-შობილი არს მხოლოდ მხოლოდსაგან, ხოლო კაცობრივითა ზუნებითა იქმნა პირმშო მრავალთა ძმათა შორის, რამეთუ ძმა ჯორციელისა ზუნებისა მისისა არიან ყოველნი მართალნი, და იგი არს ყოველთა პირმშოჲ; რამეთუ ჯერ-იყო, რათა ჯორციელითაცა ზუნებითა პირმშობაჲ და მთავრობაჲ აქუნდეს უფალსა, ხოლო პირმშო ესრეთ არს, რამეთუ შეიმოსნა რაჲ ჯორცინი ესე და ზუნებაჲ ჩუენი, წმიდა ყო იგი ყოვლისაგან ცოდვისა, და გამოაჩინა კაცნი ძედ ღმრთისა და ესრეთ იქმნა ზუნებითა მით კაცებისაჲთა პირმშო და თავ ყოველთა მართალთა, რამეთუ მან პირველად აღიყვანა კაცთა ზუნებაჲ ზეცად, და იქმნა პირმშო ყოველთა მუნ აღმავალთა მართალთა, რომელნი კაცებისა მისისათჳს ძმა მისა უწოდნეს" (იქვე).

მამასადაამე, "პირმშობა დაბადებულთა" გაიამრება, როგორც პირველობა მართალთა (ზეცად აღმავალთა) შორის.

მეორე საგალობელი (მირქმისავე), სადაც ქრისტე "პირმშოდა" წარმოდგენილი, მიეწერება კოსმა მონაზონს. ესაა საცისკრო კანონის (იგი დასათაურებულია ასე: "კანონი, ხოლო მისი კიდურწერილობაა: ქრისტესა სიხარულით მიიქუამს მთხუცებელი, - ქმნილი უფლისა კოსმასი, ჳმა გ~") მეცხრე გალობის (ადიდებდითსა) ძლისპირი: "წერილთა მიერ შუკლისათა მოგუესწავა ჩუენ მორწმუნეთა, ვითარმედ ყოველი წული, პირველ საშოხსა განმღებელი, წმიდა უფლისა იწოდოს. აჰა, დღეს ვიხილეთ ჩუენ პირმშოჲ ზეცით და ქუეყანით და სარწმუნოებით ვადიდებთ (სადღესასწაულო, გვ. 848).

ეს ძლისპირი რომ მართლაც კოსმა მონაზონს ეკუთვნის (მთელ კანონთან ერთად), ადასტურებს მისი ბერძნული ვარიანტი, რომელიც შეგვიძლია ვნახოთ წიგნში: "ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი" (ორი ძველი რედაქცია X-XI სს. ხელნაწერების მიხედვით გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ელენე მეტრეველმა, 1971წ., გვ.98). აქვე უნდა შევნიშნოთ ამ კრიტიკული გამოცემისათვის უჩვეულო ერთი ხარვეზი: "პირველ საშოხსა განმღებელის" ნაცვლად წერია: "პირველ საშოხსგან მღებელი" (ეს რომ არაა კორექტურული შეცდომა, ადასტურებს ვარიანტული ფორმა: "საშოხსგან") ეს კი უაზრო გამოთქმაა; წული (ე.ი.ყრმა) შეიძლება ჩაუთვალოთ "საშოხსა განმღებელად", თუ იგი პირველი შეილია, "საშოხსგან მღებელი" კი ("მღებელი" უნდა გავიგოთ, როგორც "მიმღებელი" რისამე) იგი ვერანაირად ვერ იქნება. გულნაზ კიკნაძის გამოცემაში ეს ადგილი სწორად იკითხება (იხ. ნევიზრებული ძლისპირნი, ხელნაწერი A-603, გამოსცა, გამოკვლევა და საბიბლიოგრაფიული დაურთო გ.კიკნაძემ, 1982წ., გვ.307).

რომელ "შუკლის წერილს" გულისხმობს პიმნო-გრაფი?

ეგვიპტიდან გამოსვლის შემდეგ ღმერთმა მოსეს ამცნო: "წმიდა-მიყავ მე ყოველი პირმშოჲ პირველ-შობილი, განმღებელი ყოვლისა საშოხსა ძეთა შორის ისრაელისათა, კაცითგან მიპირუტყუამდე; ჩემი არს." (გამოსლ. 13,2). ამას განმარტავენ შემდეგნაირად: რაკი ეგვიპტიდან გამოსვლის დამეს ღმერთმა სიკუდილისაგან იხსნა ებრაელთა პირმშონი და მათი საქონელი (გამოსლ. 12, 22-23), ისინი უკვე ღმრთის საკუთრებას შეადგენენო (A.II.Лопухин, Толковая Библия, Петербург, 1904, 316). ასეთ აზრს ადასტურებს ბიბლიის სხვა ადგილებიც: "რამეთუ ჩემი არს ყოველი პირმშოჲ დღესა მას, რომელსა მოხსარ ყოველი პირმშოჲ ქუეყანასა მას ეგვიპტისასა, განვწმიდენ ჩემად ყოველნი პირმშონი ისრაელისანი კაცითგან

მიპირუტყუამდე; ჩემდა იყუნედ, მე ვარ უფალი" (რიცხ.3,13; შდრ.რიცხ.8, 16-17).

უფლის საკუთრება წმიდად უნდა შერაცხულიყო; განწესებულიყო ღმრთის სამსახურისათვის. მოსეს სიტყვით: "და განუხინო (განუწესო) ყოველი განმღებელი საშოხსა წული უფალსა და ყოველი განმღებელი საშოხსაჲ სამროწლეთაგან (ნახირისაგან) შენთა ანუ საცხოვართა შორის შენთა. წმიდაჲყო უფლისად, რაოდენი-რაჲ იყოს შენდა წული (გამოსლ.13, 12).

ღმრთისმსახურებისათვის პირველშობილ ყრმათა გამოყოფა (მასთან ერთად სამსხვერპლოდ განმზადება ყველანაირი საქონლის პირველი ნაშობისა) ითვლებოდა საღმრთო შესაწირავად: "ამისთვის შეესწირავ მეცა უფლისა ყოველსა განმღებელსა საშოხსასა წულსა, და ყოველსა პირმშოსა ძეთა ჩემთასა ვიკსნი" (გამოსლ. 13, 15).

მოგვიანებით პირმშოთა ("საშოხს განმღებულთა") ნაცვლად ღმრთისმსახურებისათვის დადგნილ იქნენ ლევიტელნი. ღმერთმა უბრძანა მოსეს: "შოიყვანნე ლევიტელნი ჩემდა; მე ვარ უფალი, ყოველთა მათ წილ პირმშოთა ძეთა ისრაელისათა, და პირუტყუნი ლევიტელთანი — ყოველთა მათ პირმშოთა წილ პირუტყუთა მათ ძეთა ისრაელისათა" (რიცხ. 3,41; შდრ. რიცხ. 3,45; 8, 16-18).

როგორც ვხედავთ, კოსმა მონაზონი "შუკლის წერილთა" მოსწავებად გულისხმობს "გამოსვლათა" წიგნის ცნობას უფლის მიერ ღმრთისმსახურებისათვის "პირველ საშოხსა განმღებელ" წულთა გამორჩევის შესახებ. პირმშოთა გამორჩევა, პიმნოგრაფის სიტყვით, იყო მოსწავება ქრისტესი, მისი პირმშოების ნიშნით.

"აჰა დღეს ვიხილეთ ჩუენ პირმშო ზეცით და ქუეყანით"; აქ ხაზი ესმება იესუ ქრისტეს მრჩობლ (ორმაგ) პირმშოებას: საღმრთოსა და კაცობრივს; საღმრთო ვაკებით იგი პირმშოა, როგორც მხოლოდშობილი ძე, კაცობრივი ვაკებით კი — როგორც პირველი მართალთა შორის.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგიერთ საგალობელში "პირმშო დაბადებულთა" გვხვდება ვარიანტული სახით: "პირმშო მკუდართა" ან "პირმშო შესუენებულთა". მაგალითად:

"...მიბგუალოეთ მსწრაფლ და ახარეთ მოციქულთა, ვითარმედ მოჰკლა ქრისტემან სიკუდილი და პირმშო-ექმნა მკუდართა"... (ორშაბათსა გ~ შვიდეულისასა შემდგომად პასექისა, მწუხრად, სტიქარონის "აწდა"- ზე).

"...[უფალმან] დათრგუნა სიკუდილითა სიკუდილი, და პირმშო-ექმნა შესუენებულთა" (ტროპარი ალღომისა, ჳმა 3).

ქრისტიანულ ღვთისმეტყველებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გამოჩენილ საეკლესიო მოღვაწეს, კონსტანტინოპოლის მთავარეპისკოპოსს იოანე ოქროპირს (დაახლოებით 347-407).

იოანე ოქროპირი დაბადებულია ანტიოქიაში, დაახლოებით 347 წელს. მამას, საზხედრო პირს, რომელიც ადრე გარდაცვლილა, რჩევიდა სეკუნდა, დედას, რომელიც 20 წლისა დაქვრივდა, ანთუსა. იოანე ოქროპირს ჰყოლია უფროსი და, რომელიც ადრევე გარდაცვლილა. იოანეს დედა ანთუსა გამოჩენილი ყოფილა თავისი კეთილგონიერებით. მისი კლემამისილებით მოხიბულ ფილოსოფოსს ლიზანიოსს აღტაცებით უთქვამს: "ო ღმერთებო! როგორი ქალები ჰყავთ ქრისტიანებს!"

იოანე ოქროპირს თავდაპირველი ფილოსოფიური განათლება მიუღია ფილოსოფოს ანდრაგაფიას-აგანს, შემდგომ კი ლიზანიოსისაგან. მისმა წარმატებამ ლიზანიოსთან ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. სიკვდილის წინ ლიზანიოსს უთქვამს, ჩემი მემკვიდრე იოანე იქნება, თუკი ის ქრისტიანებმა არ წაგვართვესო. მაგრამ იმდენად დიდი ყოფილა დედის გავლენა იოანეზე, რომ ის საბოლოოდ მაინც ქრისტიანი გახდა. კუროლ, "დედამ ადრე, ბავშვობიდანვე გააცნო მას საღვთო წერილი და შთაუწყრვა ისეთი ჯანსაღი წესები, რომელთა წყალობითაც მან მოახერხა დაპირისპირებოდა წარმართული ფილოსოფიის ყალბ ცოუნებს, რომელსაც ასწავლიდნენ რიტორთა ყველაზე ცნობილ სკოლურებს" (Ф.Фаррар. Святой Иоанн Златоуст, С-Петербург, 1891, გვ. 3-4).

ოქროპირს პირველად ადვოკატობა დაუწვია და დიდი წარმატებითაც, მაგრამ მის ზუნებას არ შეესაბამებოდა ასეთი საქმიანობა. ფარარის შენიშვნით: "ოქროპირის სინდისი ისეთი როდი იყო, რომელიც დაკმაყოფილებოდა სამართლიანობისა და ღირსების შესახებ პირობითი ცნებებით; მისთვის მიუღებელი იყო იმ დროს გავრცელებული მახუმდარობა და მტაცებლობა, ამიტომაც ის ვერ დარჩებოდა იმ ხალხის გვერდით, რომელთაც სულის სიღრმეში კიტავდა კიდევ (იქვე, გვ. 6-7).

იოანე ოქროპირსა და მის მეგობარს, ბასილი დიდისა და გრიგოლ ნაზიანზელის წახამქვით გადაუწყვიტებდა ასევეტური ცხოვრება, რომელსაც მამის უწოდებდნენ "ქრისტიანული ფილოსოფიას". მაგრამ დედის დიდი ობოვნის შემდეგ ხელი აუღია ამ განზრახვას. თუკი შეხვედრ მაინც მამართა ცხოვრ-

ბის ასევეტურ წესს, გადაბარგდა მღვინეში, სადაც, მისივე კლიმატური პირობების გამო საბოლოოდ შეერყა კიდევ განმრთულობა.

იოანე ოქროპირი დაახლოებით 495-497 წლებში ინიშნება კონსტანტინოპოლის მთავარეპისკოპოსად, ხოლო 405 წელს ის გააძევეს აქედან დედოფლის შიღების გამო და 407 წელს ბიჭვინთას მიმავალი გარდაცვლილა, დაახლოებით 60 წლისა.

როგორც ცნობილია, შუა საუკუნეების საქართველოში დიდ ყურადღებას იმენდნენ ქრისტიანული ღვთისმეტყველებ. სადმი. სწორედ ამ პერიოდს განეკუთვნება კაპალიკელი მამების თხზულებათა თარგმანები ბერძნულადან ქართულ ენაზე. ამ შრივე უყურადღებოდ არ დარჩენილა არც იოანე ოქროპირის შემოქმედება. მისი შრომები ქართულად უთარგმნიათ ჯერ კიდევ "ხანმეტობის" პერიოდში (ა. შანიძე). თუკი ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იოანე ოქროპირის შრომების ქართულ თარგმანთა მხოლოდ ფრაგმენტებიდაა შემორჩენილი. სრულადაა შემორჩენილი მისი ბიოგრაფია, რომლის შესახებაც გამოკვლევა ეკუთვნის ცნობილ ქართველ მეცნიერს ილია აბულაძეს.

ი. აბულაძის შენიშვნით, იოანე ოქროპირის შემაჯამებელი ბიოგრაფია ეკუთვნის VII ს. მოღვაწეს გიორგი ალექსანდრიელს, რომელიც ქართულად უთარგმნიათ 968 წელს და მას ეწოდება "ცხოვრება წმიდისა და ნეტარისა ჩუენისა იოანე ოქროპირისა კონსტანტინოპოლელი მამამთავრისა" (ი. აბულაძე, ქართული წიგნები იოანე ოქროპირის ცხოვრებისა და მოღვაწეობის და მისი გამოძახილი ქართულ მწერლობაში. ენიშკის მოამბე, ტ.14, 1944, გვ. 57).

იოანე ოქროპირი, გარდა ღვთის მტყუველებისა, დრმად განსწავლული ყოფილა, აგრეთვე, ფილოსოფიაშიც, რაც კარგად ჩანს მისი ბიოგრაფიიდანაც. საკითხის სიცხადისათვის მოვიტანო შედარებით ვრცელ ამონაწერს მისი ბიოგრაფიიდან: "- და უნდა, რათამცა არავინ იყო ქალაქსა მას შინა უმჯობეს მისსა სიბრძნითა და სწავლითა და სახითა, რომლისათვისცა არ დაუმუა სასოება მისი მიხთვის, ვითარცა იგი გამოეცხადა ყოველთა კაცთა და განზარდა იგი ყველთათრთა წესითა. და მრავალნი სწორნი მისნი ექნებოდ მას, რათამცა მივიდა მუნ თანა სიმღერად ასპარეზსა ცხენთასა, ხილო ყოვლადვე არა მიუშუა, არამედ დაღვრამილ იყო იგი სწავლასა თვისსა მიუწყინებლად.

და ვითარცა დაასრულა სწავლა იგი წიგნთა, და დაემოწაფა იგი ლიბანის ფილასოფოზსა, კაცსა მოძღუარსა ფრიად სიბრძნითა, და სიტყვათა და ფილასოფოზობითა. და იყო მსმენელ სიტყუათა ანდრეატოზსა ბრძნისათა, რომელნი იგი იყვნეს მათ ფაშთა განთქმულ სიბრძნითა უფროსს ყოველთა ფილასოფოზთა ანტიოქიისთა. და მისცა ნეტარმან იოვანე თავი თვისი სწავლასა და მეცნიერებასა ყოველთა წიგნთასა, ვიდრემდის მცირედთა ფაშთა და ისწავლანა ზეპირით უმრავლესნი ფილასოფოზთა ძუელთა წიგნს, რომელსა ვერვინ შემძლებელ არს მრავალთა ფაშთა ღიღითა შრომითა დასწავლად. და გულისკმა ჰყოფთა, რომელსა იგი იკითხვიდა, და ჰპასრობდა თქმულსა მას წარმარ\თ\თასა სიბრძნითა მით ღრმისადათ, რომელი დამკვდრებულ იყო მას თანა. და რომელი რაჲ პრის კეთილი მათ შინა მოისთულის, ხილო ეკლოანი იგი და უნდობაჲ განაგდის. და დაუკვრდებოდა ყოველთა, რომელნი ხედვიდეს მას, ვიდრემდის აღიფებოდა სწავლულებითა ესრით"(გვ. 62). შემდეგ იქვე აღნიშნულია, რომ როდესაც იონე ზრდასრული ასაკის შეიქმნა ანტიოქიიდან ათენში გადავიდა, სადაც მას შურიანობა დაუწყეს: "და იწყეს მოყუასთა მისთა შურიანობად მისა, რამეთუ არ უნდა ათენელთა, ვითარცა იხილეს ვინმე მჭობი მათი სიბრძნითა და მეცნიერებითა, და უფრო ხილო უცხოჲ ქალაქისა მათისაჲ".

ი. აზულაძე წერს, რომ, იონე ოქროპირის ბიოგრაფიის ქართული თარგმანის მეორე ნუსხაში ასეა აღნიშნულის საპირისპირო რამ სწერია. კერძოდ ის, რომ მან ათენშიც ღიღი სახელი და ავტორიტეტი მიიხვეჭა: "ვინაჲთა ამიერ შესწავლებულ იქნა არა ხილო ათინას, არამედ ყოველსა ელდასს, და ესოდენ განთქმულ იქნა, რომელ თვთ ეპარხოზიცა ათინელთა ქალაქისაჲ წადიერ იქნა ხილვასა მის ნეტარისასა" (იქვე).

იონე ოქროპირის მიზანს შეადგენს ბიბლიური თქმულებების განმარტება. მაგრამ ეს ჩვეულებრივი განმარტებანი როდია. საინტერესოა საკუთრივ იონე ოქროპირის აზრი იმის თაობაზე, თუ რა მიზანს უნდა ემსახურებოდეს "საღვთო წერილის" არსის გაგება. ოქროპირი თავის საუბარს აღნიშნულ საკითხზე ასეთი ხატოვანი შედარებით იწყებს: თუკი ძვირფასი ქვების მძივებელი რამდენ შრომასა და უსიამოვნებას იტანს, რათა მოიპოვოს ძვირფასი ქვები, მითუტეტეს ჩვენ უფრო მეტად გვმართებს დავძაბოთ ყრბადლება და ვეძიოთ, თუ რა იმალება "საღვთო წერილის" სიღრმეში. მაგრამ აქ წყლის უთავბოლო სწრაფვა კი არ გვაქვს, არამედ სულის მადლი, რომელიც ანათებს ჩვენს გონებას, გვუმბარება საძებნელის პოვნაში და გვიადვილებს შრომას. თუკი წყალში ძვირფასი ქვების მოპოვებას

მსმენლისათვის ღიღი სიკეთე არ მოაქვს, ზოგჯერ პირიქით, საზიანოცაა, რადგან აღვივებს შურს და ზიროტების წყარო ხდება. არაფერს ამის მსგავსს არა აქვს ადგილი სულიერი "ქვების" მოპოვებისას. მათ მიერ მოტანილი სიმდიდრეც შეუდარებლად ღიღია და აღმატებულია იმ სიამოვნებაზე, რომელსაც ადამიანი ნივთიერი ქვების მოპოვებით იღებს (Иоанн Златоуст, Творения, Т.4, Кн.1, გვ. 109).

"შესაქმის" პირველი წიგნის განხილვისას იონე ოქროპირი გვითავაზობს ზოგად მოსაზრებას ეკლესიის დანიშნულებაზე. მისი აზრით, ეკლესია არის სულიერი სამკურნალო და აქ მისულმა უნდა მიიღოს შესაბამისი მკურნალობა. აქვე ის აღნიშნავს, რომ სიტყვა საქმის გარეშე არაფერია. ამაზე გვამცნობს პავლე მოციქული (რომაელთა, II,13) და ქრისტე თავის წინასწარ ქალაგებაში: "საქმეთა მათთაგან სამე იცნნეთ იგინი", "არა ყოველმან რომელმან მრქეას მე უფალო, უფალო, და შევიდეს იგი სასუფეველსა ცათასა, არამედ რომელმან ყოს ნებაჲ მამისა ჩემისა ზეცათაჲსაჲ" (მათე, VII,20,21). ამრიგად, აღნიშნავს იონე ოქროპირი, იცოდეთ, რომ ჩვენ არავითარი სარგებლობა არ გვექნება მხოლოდ სიტყვის მოსმენით, საჭიროა მოქმედებაც, რათა სიტყვის შესაბამისმა საქმეებმა დააფუძნონ სიტყვის განხორციელება (გვ. 2). როგორც ვხედავთ, იონე ოქროპირი იზიარებს ბიბლიურ თვალსაზრისს სიტყვისა და საქმის მოუწყვეტლობის შესახებ.

იონე ოქროპირი აღნიშნავს, რომ ის ისაუბრებს ღმერთის მიერ ცისა და დედამიწის შექმნის შესახებ. ყველაფერს ამაზე კი გვაუწყებს მოსე წინასწარმეტყველი, რომელიც ცხოვრობდა გაცილებით გვიან, ვიდრე შესაქმის, ე.ი. ღმერთის მიერ სამყაროს შექმნის აქტი მოხდებოდა. მოსე წინასწარმეტყველი უპირველესად აღწერს იმ ამბავს, რომ ღმერთი პირველად თვითონ ესაუბრებოდა ადამს, კაენს, ნოეს, ესტუჰრა აბრაამს. აქვე მოსე წინასწარმეტყველი ცდილობს აჩვენოს "საღვთო წერილის" დედამიწაზე მოვლინების აუცილებლობა: "როდესაც მთელი ადამთა მოდგმა ჩავარდა ღიღ ცოდვაში და ამის მიუხედავად შექმნილმა (ე. ი. ღმერთმა) მაინც არ აიღო ხელი მათზე, საჭირო შეიქმნა ღმერთის მხრიდან ადამიანებთან ურთიერთობის განახლება (მანამდე კი ადამიანები იქცნენ შეუვარებელნად ღმერთთან საუბრისათვის), ამიტომაც ღმერთმა მოავლინა "საღვთო წერილი", რათა მიეზიდა მისკენ ადამთა მოდგმა" (გვ. 9). ღმერთის მიერ გამოგზავნილი "საღვთო წერილი" ადამიანებთან მოიტანა მოსე წინასწარმეტყველმა. "საღვთო წერილში", პირველ რიგში, წერია ის, რომ ღმერთმა კერ შექმნა ცა და დედამიწა. მოსე წინასწარმეტყველი გვეუბნება: "ვინც წარმოქმნა ცა და დე"

დამიწა არარსიდან და აქცია ისინი არხად, მანვე მომცა საშუალება მოძებნო ამ წარმოქმნის შესახებ. იოანე ოქრობირი მოითხოვს, რომ მისე წინასწარმეტყველის ნათქვამი მივიღოთ ისე, თითქოსდა მისი სახით თვით ღმერთი გველაპარაკება.

იოანე ოქრობირის აზრით, იმის მიუხედავად, რომ მისე წინასწარმეტყველმა მშვენივრად გვაძლევს ღმერთის მიერ ჭურ ცისა და ღვამისვის შექმნა, შემდეგ წყლის მოვლინება, წყვილის განათება, მაინც არიან ადამიანები, რომლებიც ამბობენ: **პირველად იყო მატერია და წყვილიაღი.** ნეტა ვის რაში სჭირდება ასეთი უაზრობა? საკუთრივ ღმერთს რაში სჭირდებოდა ასეთი ნივთიერება, ის სიტყვით ქმნის? (გვ. 16).

ღმერთმა შექმნა სამყარო, ადამიანი და ის გარემო, რომელშიც უხდება ადამიანს ცხოვრება. ყველაფერი და ყველაფერში შედარდება, რომ ყველაფერი ეს ღმერთმა გააკეთა ადამიანისათვის და რომ ღმერთი ადამიანთი მოვლარეა. ეს კარგად ჩანს ოქრობირს იმ ფაქტში, რომ ღმერთმა "საღვთო წერილით" ერთად ადამიანების მოვლისა მისე წინასწარმეტყველი. ეს იმის გამო გააკეთა, რომ თავდაპირველად ადამია მოდგმა სუსტი იყო და არ შეეძლოთ მათ გაეგოთ ღმერთის მიერ გამოვლენილი სრულყოფილი მოძღვრება. სწორედ ამის გამო წმინდა სული წინასწარმეტყველის ზაგებებით გველაპარაკება ყოველივე იმის შესახებ, რაც შეგუებულია მსმენელის სისუსტესთან. ეს იყო იოანე ოქრობირის აზრით ღმერთის მოწყალება, გამოსწავლილი ადამიანის გონების არასრულყოფილების გამო.

იოანე ოქრობირი არაერთგზის აღნიშნავს მისე წინასწარმეტყველის დამახარებების შესახებ ადამის მოდგმის წინაშე. ამის მიუხედავად, ელინების ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ ყველაფერი წარმოიშვა თავისთავად, ხოლო მეორე ნაწილის თანახმად, არსებულნი გამზადებული ნივთიერებიდან წარმოიქმნენ. ეს კი, ოქრობირის აზრით, ეშმაკის ნამოქმედარია, რომელმაც ისარგებლა ადამიანების დაზნეულობით და ამგვარ გზაზე დააყენა. ამიტომაცაა, რომ ნეტარი მოსე, ღვთის მიერ დარიგებული, გვასწავლის, რათა ამ ადამიანების მგაგსად, ცოუნებაში არ ჩავვარდეთ და ნათლად ვიცოდეთ ყოველი საგნის შექმნის რიგი და წესი (გვ. 53).

ღმერთის მიერ შექმნილ მატერიალურ სხეულებზე იოანე ოქრობირის საუბრებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მოძღვრებას მზეზე. როგორც ანტიკურ, ისე შუა საუკუნეების აზროვნებაში მშის კულტს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა. არაერთ მოაზროვნესთან მოცემულია ღმერთისა და მშის ანალოგია. ამ მხრივ ყურადღებას იმართება მუდამ არეოპაგიტული ღმერთისა და მშის ანალოგია.

ცნობილია ისიც, რომ ღმერთისა და მშის არე-

ოპაგიტულმა ანალოგიამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია (მაქსიმე აღმსარებელი, თომას აქვინელი, პანინის ვერტეცა...). მზეზე მოძღვრებას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ოქრობირთანაც. ოქრობირის სიტყვებით, მშის სხეულები არა მხოლოდ აზრობს, არამედ აიბიბს კიდევ; არა მხოლოდ აიბიბს, არამედ წვაფს კიდევ და აბით ღიდი სარგებლობა მთავრს ჩვენთვის. ყველაფერმა ამან კი, იოანე ოქრობირის აზრით, ისევე და ისევე შემოქმედის (ღმერთის) ძლიერებაზე უნდა მიგვანიშნოს. სამწუხაროდ, სწავლული ელინები, რაც იხილეს, იმაზე შირს ვერ წავიდნენ და გააღმერთეს მზე: "რა უნდა იყოს იმაზე მეტი უკუნიერება, რომ შექმნილიდან ვერ დაასცნა შექმნილებზე (ე.ი.ღმერთზე) და ისეო ცოუნებაში ჩავარდეთ, რომ შექმნილი შემოქმედის ღმერთზე აბაღლი" (გვ. 44). ამიტომაცაა რომ დასწავლი ადამიანების მდგომარეობიდან გამოსხეყვასად, "საღვთო წერილი" გვასწავლის, ეს სტაქინი (მზე) შეიქმნა მესამე დღეს ღვამისვის შექმნიდან. ოქრობირის შემდეგ ადაროფერი თქვან იმგვარი, თითქოსდა მშის შემოქმედების გარეშე არაფერი წარმოიქმნება ღვამისვაზე. აქ ძველი არაა იმის გაგება, რომ იოანე ოქრობირი ბუნებისმეტყველთა წინააღმდეგ ილაშქრებს. ამას ადასტურებს მისი შემდეგი აზრი: სწორედ ამისათვის მისე წინასწარმეტყველი ახეყვებს, რომ ღვამისვაზე ყველაფერი მიხდა მშის წარმოშობაზე და რომ ღვამისვაზე საყოფის დამწიფება მშეს კი არ უნდა მივაწერიოთ, არამედ შესოქმედის (ოქვე).

მესილანისმულიდან გამომდინარე, იოანე ოქრობირი წერს, რომ არ შეიძლება მზეს მივაწეროთ ღმერთის წარმოშობის უნარი. ამის მიზეზი ისევე და ისევე ღმერთია. რა შეიძლება ითქვას აქ? ცხადია, რომ იოანე ოქრობირისათვის მზე არის ღმერთის შექმნილი, რომელსაც საგანგებო დანიშნულება გააჩნია. ის, ამავე დროს, ღმერთისაგან დამოუკიდებელი არაა. როდესაც იოანე ოქრობირი ელინებს აკრიტიკებს, აღზათ, პირველ რიგში, მხედველობაში პლატონი და პლოტინი ჰყავს.

ადამიანი სამყაროს ნაწილია და ბუნებრივია, რომ "შესაქმნი" ღმერთის მიერ ადამიანის შექმნას ერთერთი მთავარი ადგილი უკავია. იოანე ოქრობირის კომენტარებშიც ღმერთის მიერ ადამიანის შექმნასა და მასზე ზრუნვას ღიდი ყურადღება ექცევა. ზიხლის თანახმად, ღმერთმა ადამიანი შექმნა თავის მგაგსად. ეს აზრი, იოანე ოქრობირის აღნიშნით, ზოგიერთისთვის გახდა საფუძველი იმისათვის, რომ ეთქვა: **ღმერთი ადამიანურია**, ე. ი. ადამიანი გაეღმერთებინა. რა თქმა უნდა, იოანე ოქრობირი ამ აზრს ვერ გაიზიარებდა. მისთვის ჭეშმარიტია ის, რაც "საღვთო წერილშია" მოცემული. "საღვთო წერილში" კი წერია, რომ ღმერთმა

ადამიანი შექმნა თავის მსგავსად. უფრო მეტიც, მართალია ქვეყნად ბევრი რამაა ისეთი, რაც ადამიანს არ გამოადგება, მაგრამ ჩვენ უფლება არა გვაქვს ეს ვაქციოთ განსჯის საგნად: "ამრიგად, როდესაც მზრდნებელმა, რომელმაც არარსი არსად აქცია, შექმნილეს უწოლა კეთილი, ვინ გახედავს ამის შემდეგ, რომ შექმნილადმდეგოს მის ნათქვამს" (გვ. 79). კერძოდ, როგორც ვხედავთ, ბუნებაში არა მხოლოდ სინათლეა შექმნილი, არამედ სიბნელებიც, არა მხოლოდ დღე, არამედ ღამეც და ა. შ. "თუკი დაწვრილებით განვიხილავთ შექმნილებს, მათ ყველა გვარს, აღმოვაჩინებთ მათში არა მხოლოდ ჩვენითვის სასარგებლოს, არამედ საზიანოსაც..." (გვ. 80). მაგრამ ყოველივე ეს სულაც არ გვაძლევს უფლებას განვსაჯოთ ღვთის შესაქმნე და ვიკითხოთ - რატომ? რისთვის? განა საკმარისი არაა, რომ ღმერთი შექმნილების მიმართ ამბობს - კეთილია! რა უნდა იყოს ამაზე სასიამოვნო მოსასმენი? ამიტომაც, თუკი ვინმეს ვნახავთ, რომელიც აღნიშნულ საკითხებში "სადვითო წერილს" წვინააღმდეგება, განვმორღვეოთ მას და თუ ვერ განვმორღვეებთ შევახსენოთ მას "წმიდა წერილის" სიბრძნენი.

გარდა ამისა, იოანე ოქროპირი შენიშნავს, როდესაც ვხედავთ, რომ ადამიანურ საქმეებზე განმარტებას იძლევიან ღირსნი (რელიგიური მოღვაწენი) და ჩვენ ეს უსიტყვოდ გვჯერა, მითუმეტეს უნდა გვჯეროდეს ღმერთის ნათქვამში. კერძოდ, ვიცით რა ღმერთის ნათქვამში, მისი განაჩენი, ჩავკლავთ საკუთარი მოსაზრებანი და თავი შევიკავოთ მსჯელობებისაგან. ამასთან, უნდა ვირწმუნოთ, რომ, რაც შექმნილია - შექმნილია გონივრულად და კაცთმოყვარეობით და არაფერი არაა გაკეთებული უაზროდ და უმიზნოდ "მართალია, ჩვენ ჩვენი უძღურების გამო არ ვიცით ზოგიერთი შექმნილის გამოყენება, მაგრამ უნდა გვჯეროდეს, რომ ღმერთმა ყველაფერი შექმნა თავისი სიბრძნითა და მაღალი კაცთმოყვარეობით" (იქვე). აქ აღნიშნულს უნდა დაემატოს იოანე ოქროპირის შემდეგი აზრიც: "თუკი ყველაფერი შექმნილია ღმერთის მიერ და, როგორც ამას ჩვენი სიტყვა და გამოცდილება გვიჩვენებს, შექმნილია გონივრულად, აუცილებელ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, მაშინ ჩვენი საქმეც უნდა განხორციელდეს არა უბრალოდ და უაზროდ, არამედ, როგორც ჩვენი ხსენისათვის სასარგებლოდ" (გვ. 86). როგორც ვხედავთ, იოანე ოქროპირისათვის, ადამიანი, ადამიანური ცხოვრება დაბადებით დაწყებული და მისი ხსენით დამთავრებული იმ ერთიანი ჯაჭვის შემადგენელი ნაწილია, რომლის სათავეშიცაა ღმერთი.

ღმერთისათვის მიზანშეწონილია, წერს იოანე ოქროპირი, ქრისტიანი იქცეოდეს არა ისე, რომ მხოლოდ თავისთავებზე ფიქრობდეს, არამედ სხვაზე.

ამასთანავე, ქრისტიანი ყველაფერს ამას მოქმედებითა და საქმით უნდა ამტკიცებდეს და არა ცარიელი სიტყვებით. "არაფერი ისე არ აყენებს ჭეშმარიტების გზაზე, როგორც უმწიკვლო ცხოვრება, რადგანაც ადამიანები უყურებენ არა იმდენად სიტყვებს, რამდენადაც ჩვენს საქმეს" (გვ. 64). ის, რომ საქმე უფრო ძვირფასია, ვიდრე სწავლება, დამოძღვრა, კარგად ჩანს მათეს სახარებიდანაც, აღნიშნავს ოქროპირი: "უკეთო ვინმე დაჰკუნეს ერთი მცენებათა ამათვანი უმცირესთა და ასწავედეს ერთი კაცთა, უმცირეს ეწოდოს მას სასუფეველსა ცათასა; ხოლო რომელმან ყოს და ასწავოს, ამას დიდ ერქუას სასუფეველსა ცათასა" (მათე, V, 19).

იოანე ოქროპირი დიდ ყურადღებას უთმობს ბიბლიის იმ ადგილებს, სადაც საუბარი შეეხება პირად მაგალითს სხვებისადმი. როდესაც გვხვრის ვინმეს რაიმე "შთავაგონოთ, რათა მან რაიმე აუცილებლად გააკეთოს, ამისათვის საჭიროა ყველაფერი ეს თვითონ გააკეთოთ უპირველესად (იქვე). იოანე ოქროპირი ამ გზაზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მარხვას, რომელსაც დიდი ადგილი ეთმობა ბიბლიურ წიგნებში. მომარბულემ, აღნიშნავს ოქროპირი, პირველ რიგში უნდა ალაგმოს რისხვა თავისთავში, მიეჩვიოს სიმშვიდეს და შემწყნარებლობას, ჰქონდეს მწუხარე გული, ჩამოიშოროს არაწმინდა სურვილები და დადგეს მაღლა ფულად ანგარიშზე, გულიდან ამოვიდოს ყოველგვარი ზოროტება (იქვე). აი ესაა ნამდვილი მარხვა, რის შესახებაც გვაუწყებს ღმერთი ესაიას პირით: "არა ესე მარხვაა გამოვირიოე და დღე დამდაბლებისა კაცისა სულისა თვისისა, არცა მითიერიოე, ვითარცა გრკალი, ქელი შენი, და ძაძა და ნაცარი და ირეცხო, არცა ეგრეთ ეწოდოს მარხვა შეწყნარებული და დღე სათნოა უფლისა" (ესაია, LVIII, 5); "არა ეგვიითარი მარხვა გამოვირიოე, მე იტყვს უფალი, არამედ განსენ ყოველი საკრველი სიცრუისა, დაარღვენ გულარძნილებანი მძღავრებითთა თანაცვალებათანი, განავლინენ შეპყრობილნი მიტყუებით და ყოველი აღწერილი უსამართოა განხეთქი" (ესაია, LVIII, 6); "დაენაცვე მშიერსა პური შენი და გლახაკნი უსართლონი შეიყვანენ სახიდ შენდა, იხილო თუ შიშუელი, შეშმოსე და თვსთაგანი თვსლისა შენისათა არა უგულვებელსყო" (ესაია, VIII, 7). იოანე ოქროპირის აზრით, ესაა ჭეშმარიტი მარხვა, რომლის შესრულებისთვისაც სულაც არაა საჭირო, როგორც ზოგიერთები ფიქრობენ, საღამომდე არ მიიღო საკვები. მთავარია თავი შევიკავოთ იმაზე, რაც ვნებს სულს და ვაჩვენოთ დიდი მიდრეკილება სულიერი საქმიანობისაკენ (გვ. 6465).

შემდეგ იოანე ოქროპირი განმარტავს, თუ როგორ უნდა შესრულდეს მარხვა. მოყავს ასეთი მაგა-

ლით: "ისე როგორც პატარძალს სახლში მანამ არ შეიყვანენ, სანამ არ მოაწესრიგებენ მას, არ მიუშვებენ მასთან შემთხვევით მსახურებს, ასევე უნდა იყოს მარხვის დროსაც, ჩვენც უნდა განვიწმინდოთ, რათა მარხვამ უდიდესი სიამოვნება მოგვანიჭოს. მარხვის დროს ჩვენ უნდა განვთავისუფლოთ თავშეუკავებლობისაგან, გავწმინდოთ ჩვენი გონება და შევამსუბუქოთ სული, რათა თავშეუკავებლობაში გაჭუჭყიანებულმა სულმა და გონებამ, მარხვა უნაყოფო და უსარგებლო არ გახადოს.

მარხვას რომ ადამიანისათვის დიდი სარგებლობა მოაქვს, ამის დასადასტურებლად იოანე ოქრობირს ასეთი მაგალითები მოყავს: თვით ქრისტე, ორმოცდღიანი მარხვის შემდეგ, შეეხრძოლა ეშმაკს და ამით ყველა ჩვენთაგანს მაგალითი მოგვცა. კერძოდ, თუ ჩვენ მარხვით აღჭურვილნი ვიქნებით, მისი მიშველებით შევიძენთ ძალას და შევეხრძოლებით ეშმაკს. ასევე, ორმოცდღიანი მარხვის შემდეგ მოსე წინასწარმეტყველმა დააწესარა ბრბო. ასევე, ორმოცდღიანი მარხვის შემდეგ ილია წინასწარმეტყველმა ცეცხლის ზორბალს გაუძლო და გადაურჩა სიკვდილს. ყოველივე აქ აღნიშნულის საფუძველზე იოანე ოქრობირი დაასკვნის, თუ რა დიდი ძალა აქვს მარხვას და რა დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია მის აღსრულებას ადამიანისათვის.

როგორც ვხედავთ, იოანე ოქრობირის მიხედვით ეს ნებაყოფლობითი შიმშილობა ადამიანს კი არ აუძლურებს, არამედ პირიქით ძალას მატებს. ეს ნათლად გამოჩნდა როგორც ქრისტეს, ისე მოსე და ილია წინასწარმეტყველის მაგალითებზე. შეიძლება ითქვას, რომ იოანე ოქრობირის ეს განმარტებები არის ცდა იმისა, რომ მარხვა წარმოდგენილ იქნეს ადამიანური ცხოვრების აუცილებელ შემადგენელ ნაწილად.

იოანე ოქრობირი ასეთ ხატოვან შედარებასაც მიმართავს: ისევე როგორც მსუბუქი ხომალდი ადვილად გადაცურავს ზღვას, ხოლო დიდი ტვირთით საფე კი ჩაიძირება, ასევეა ჩვენი გონებაც, რომელიც მარხვის მეშვეობით უფრო მსუბუქი ხდება და უნარი ეძლევა გადალახოს ცხოვრების ზღვა, მისწვდეს ციურ საგნებს, ხოლო წარმავალი საგნები არარაობად მიიჩნოს. იოანე ოქრობირის მსჯელობა იქითკენაა მიმართული, რომ აჩვენოს ამქვეყნიური ცხოვრების წარმავლობა, რომ ადამიანის ამქვეყნიური ცხოვრების მიზანს უნდა შეადგენდეს იმქვეყნიური ცხოვრებისათვის მომზადება.

იოანე ოქრობირი მსჯელობს იმის თაობაზე, თუ რატომაა საჭირო მარხვა. "მაგრამ რადგანაც ადამიანის ბუნება დაუღვევარია და უფრო მიდრეკილია თავშეუკავებლობისა და განცხრომისაკენ, ამიტომაც ადამიანთმყოფარე ღმერთმა, როგორც მოყვარულმა მამამ, შეარჩია

ჩვენთვის მარხვით მკურნალობა, რათა ჩვენი თავი ჩამოეშორებინა ამქვეყნიური სიამოვნებისაგან და ამავე დროს წარემართა იგი სულიერი საქმეებისაკენ" (გვ. 74). აქვე უნდა შევხებით იოანე ოქრობირის ერთ თვალსაზრისს მარხვაზე, რომელიც იოანე ოქრობირის შემოქმედებს სხვა კუთხითაც წარმოაჩენს. კერძოდ, იოანე ოქრობირი აყენებს საკითხს, თუ რას ითხოვს ჩვენგან ღმერთი. არაფერს ისეთს, რაც ჩვენ ძალეებს აღემატებოდეს, აღნიშნავს ოქრობირი. ღმერთი ჩვენგან მარხვასა და თავშეუკავებას ითხოვს არა იმისთვის, რომ ჩვენ შშიერ მდგომარეობაში ვიყოთ, არამედ იმ მიზნით, რათა ჩვენ ჩამოვშორდეთ ცხოვრებისეულ ამაოებას და მისგან გამოთავისუფლებული დრო მოვახმაროთ სულიერ მოღვაწეობას. და აქ იოანე ოქრობირი გამოთქვამს მოსაზრებას, რაც საერთოდ კაცობრიობაზე შეიძლება გავრცელდეს. იოანე ოქრობირი წერს: "თუკი ჩვენ ცხოვრებას ისეთი ყურადღებით მოვაწყობდით და ყოველ თავისუფალ წუთს სულიერ ცხოვრებას მივუძღვნიდით, თუკი საკვებს მივიღებდით მხოლოდ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, და მთელ ცხოვრებას გაგატარებდით კეთილ საქმეებში, მაშინ ჩვენ აღარ დაგვჭირდებოდა მარხვა" (გვ. 84). ოქრობირის ამ თვალსაზრისში ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ მარხვას გარკვეული კათარზისის ფუნქცია ეკისრება, ეს იმ შემთხვევაში თუკი ადამიანი განახორციელებს ყველაფერს იმას, რაც ღმერთისგან აქვს ნაკარნახევი. ოქრობირის ეს მოსაზრება, ჩვენი აზრით, უფრო მის ფილოსოფიურზნებრივ თვალსაზრისს უნდა წარმოადგენდეს.

იოანე ოქრობირის შემოქმედებაში დიდი ადგილი უკავია ქრისტიანული შეწყალების არსის ანალიზს. ის ჩადენილი ზოროტების საბასუხოდ უფრო მართებულად მიიჩნევს კეთილქმედებას. "როგორ ფიქრობთ, წერს იოანე ოქრობირი, განა ჩადენილი ზოროტების საბასუხოდ კეთილი საქმით უფრო არ აღკვეთთ ცოდვებს?" (გვ. 30). თუკი შენ შეეცდები ზოროტებას ზოროტებით უპასუხო, რა გამოვა აქედან? გარდა იმისა, რომ შურისძიებით საკუთარ თავს სიკეთეს ვერ მოუტან, საბოლოოდ აგრეთვე პასუხი უნდა აგო ღმერთის სამსჯავროს წინაშე, როგორც ღვთაებრივი კანონების დამრღვევმა. "თუკი მიწიერი მეფე გამოსცემდა ისეთ კანონს, რომ ჩვენ მტერს სიკეთეს გაუკეთებდით, ხოლო საწინააღმდეგო ქმედების ჩადენისას დავისტებოდათ საკვდილით, როგორ ფიქრობთ, ფიზიკური სიკვდილის შიშით შეგასრულებდით ამ კანონს?" (იქვე). მაგრამ რომელია უკეთესი, სვამს კითხვას ოქრობირი - ადამიანმა ფიზიკური სიკვდილის შიშით გააკეთოს კეთილი საქმეები (ფიზიკური სიკვდილი ხომ მაინც გარდაუვალია, რო-

გორც ბუნებრივი მოვლენა) თუ სამყაროს შემოქმედის მიერ მოვლენილ სიკვდილებზე ანგარიშის გაწევით? აქ ძნელი არაა იმის გაგება, რომ ოქროპირის მიხედვით ადამიანი უპირველესად ღვთის მოვლენილი სიკვდილის განცდით უნდა მოქმედებდეს და არა მიწიერი წყობილების მიერ დადგენილი სიკვდილით დასჯის კანონით.

ბემაინიშნულიდან გამომდინარე და აგრეთვე პავლე მოციქულზე დაყრდნობით (ფილიპელთა, II, 3) იოანე ოქროპირი აღნიშნავს, რომ მოწინააღმდეგე ჩვენ უნდა დავამარცხოთ სიყვარულით. ამით კი ჩვენ ცხოვრებას უფრო სასიამოვნოს გავხდით და ეს უფრო შეეფერება ჩვენს ბუნებას. ყველაფერი ეს კი ხორციელი ღვთაებების დაძლევისა და სულიერი აღშეფერხების საწინდარია (გალატელთა, V, 22, 23). "ამაში უნდა იყოს განსხვავება ქრისტიანსა და ურწმუნოს შორის; ამაში უნდა იგულისხმებოდეს განმასხვავებელი ნიშნები, რათა ჩვენ მხოლოდ სიტყვებით კი არ უნდა ვიწონებდეთ თავს და არა მხოლოდ გარეგნულად გამოვიყურებოდეთ ამაირად, არამედ სულის ამალღების ყველა ნიუანსსაც უნდა მივალწიოთ. მაგრამ ამ შემთხვევაშიც არ უნდა ვამაყობდეთ და უფრო შემგუებულნი უნდა ვიყოთ" (გვ. 31).

ქრისტიანული შეწყალების თვალსაზრისთან მიქიდრო კავშირშია იოანე ოქროპირის შეხედულება სათნოებაზე. ოქროპირი წერს, რომ როგორც ფულს ინახავს ადამიანი დაგროვების შემდეგ სხვადასხვა ადგილებზე, ასევე უნდა იყოს სათნოების მიმართაც. ის სხვას არ უნდა ვაჩვენოთ და შევიანახოთ გონების საიმედო საცავებში. საიმედოდ უნდა ჩავრამოთ მასთან მისასვლელები, რათა არ მოგვპარონ (გვ. 33).

სათნოება, ოქროპირის აზრით, ისეთი ძალაა, რომელიც თავისთავად იმსახურებს აღიარებასა და პატივისცემას: "სათნოებას ისეთი ძალა აქვს, რომ მას პატივს სცემენ თვით ისინი, რომლებიც სათნოდ არ იქცევიან, მაგრამ მას დიდად აქებენ" (გვ. 44). როგორც ვხედავთ, აქ იოანე ოქროპირის განსჯის საგანს წარმოადგენს სათნოება თავისი აბსოლუტური მნიშვნელობით.

თავისთავად სათნოების არსების გარკვევას ემსახურება იოანე ოქროპირის შემდეგი აზრიც: ადამიანი არ უნდა ეცადოს დაკმაყოფილდეს სხვათა შექებით, რადგანაც ადამიანი წარმავალია და მისი ქებაც არაფერს წარმოადგენს. მითუმეტეს, რომ ადამიანს შეუძლია ერთ დღეს ერთი აქოს, ხოლო მეორე დღეს მეორე და ა. შ. "თუ ჩვენ რაიმე კეთილ საქმეს ვაკეთებთ მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რომ ღმერთის მცნება შევასრულოთ და მხოლოდ მართლ ღმერთისათვის ვიყოთ ცნობილი, მაშინ ტყუილად ვირტყებით და ამით ჩვენ თვითონ

ვაუქმებთ ამ კეთილი საქმით მიღებულ ნაყოფს" (გვ. 38). ეს იმის გამო, რომ ამით ახლანდელს უპირატესობა მიანიჭე მომავალთან შედარებით. როგორც ვხედავთ, იოანე ოქროპირი მნიშვნელოვან ქმედების კრიტერიუმად მიიჩნევს თვით ამ ქმედების ფაქტს და წინააღმდეგია პრაქტიკული პრინციპებისადმი დაქვემდებარებისა. ჩვენს ამ მოსაზრებას ადასტურებს მისი შემდეგი აზრი: "თუკი ჩვენ რაიმე სულიერს ვაკეთებთ თავისთავად, რათა მხოლოდ გამოვიცნოთ მისი ფიზიკური თვალი, რომლის წინაშეც ყველა გაშიშვლებული და ღიაა, მაშინ საგანძური ჩვენთან ხელშეუხებელი დარჩება, და მომავალი ჯილდოც უქვევლია. ხოლო ყველაფერი ამისაგან კეთილი მხოლოდინი უკვე გვანიჭებს უდიდეს ნუკემს. გარდა ამისა, თვით იმის განცდა, რომ ეს ჯილდო საიმედო საცავშია, შეიძლება აღმოჩნდეს თვით ადამიანურის სადიდებელი რამ" (გვ. 39). არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ იოანე ოქროპირის თვალსაზრისი სათნოებაზე, როგორც თავისთავად ღირებულ ფაქტზე, ფილოსოფიისათვისაც ძალზე მნიშვნელოვანია.

დასასრულს იოანე ოქროპირის კიდევ ერთი ისეთი თვალსაზრისის შესახებ, რომელიც საყურადღებოა ეთიკის პოზიციიდან. ოქროპირის აზრით ყველაგან და ყველაფერში მყოფადნობა ღმერთის დიდ დაცემადნობა. ღმერთის კაცთმოყვარეობა მყოფადნობა იმაშიც, რომ მან ადამიანს უბოძა მიუკერძოებელი მსაჯულისინდისი: "ღმერთმა იმიტაც აჩვენა თავისი სიყვარული ადამთა მოღვმისადმი, რომ ყოველ ჩვენთაგანში განამტკიცა მიუკერძოებელი მსაჯული სინდისი, რომელიც დებს მკაცრ ზღვარს სიკეთესა და ზოროტებას შორის; სწორედ ის აკლის ყოველგვარ საფუძველს ჩვენს თავისმართლებას, რომ ჩვენ ცოდვაში ვვარდებით არა უცოდინარობით, არამედ სულიერი უდარდებლობისა და სათნოებისადმი უყურადღებობის გამო" (გვ. 34). აქ პირველ რიგში ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ იოანე ოქროპირი ცდილობს აჩვენოს ადამიანის პასუხისმგებლობა ჩადენილი ცოდვისათვის, მართლაც ერთერთი ურთულესი საკითხი, როგორც წმინდა რელიგიურ, ისე რელიგიურფილოსოფიურ მსოფლმხედველობაში ისაა, რომ ღმერთი, რომელიც ყველაფერის შემქმნელი და გამგებელია, რატომ უშვებს ადამიანის ზოროტ ქცევებს? რა უშლიდა მას ხელს ადამიანში მხოლოდ კეთილი ქცევები გაეჩინა? იოანე ოქროპირის განმარტებით, ადამიანის ცოდვაში ჩავარდნის ერთ-ერთი მიზეზი უცოდინარობაა.

ღმერთის კაცთმოყვარეობას და ჩადენილ ცოდვაში ადამიანის პასუხისმგებლობისადმი მიძღვნილი იოანე ოქროპირის განსჯანი სამოთხეში ადამისა და ევას მოთავსებაზე და მათ მიერ შემეცნების ხის

ნაყოფის გასინჯვაზე. როგორც ცნობილია, გველმა ვეა აცოუნა და ამ უკანასკნელმა იგემა აკრძალული ხილი, რასაც მოყვა მათი სამოთხიდან გამოძევება. იოანე ოქროპირის აღნიშვნით, ზოგიერთმა ამაში ღმერთი დაადანაშაულა, რადგანაც მან მოათავსა სამოთხეში აკრძალული ხე, და განა არ იცოდა, რომ ადამიანი ცოუნებას ვერ გაუძლებდა? ასევე დაისაჯა ადამიც, რომელიც ვერ დაუპირისპირდა ცოლს და თვითონაც ცოუნებაში ჩავარდა (გვ.133).

იოანე ოქროპირი არ იმიარებს იმ ამრს, რომ ადამმა აკრძალული ხილის გასინჯვის შემდეგ ერთმანეთისაგან განასხვავა სიკეთე და ზოროტება და სწორედ ამის გამო ამ ხეს ეწოდება ხე სიკეთისა და ხე ზოროტებისა. ეს ოქროპირს უაზრობად მიაჩნია. როგორ შეიძლება ყველაფრის შემქმნელს ადამიანისათვის არ ჩაენერგა უნარი იმისა, რითაც სიკეთესა და ზოროტებას განასხვავებდა. თუკი ცხვარმა და თხამ იცის რომელია კარგი ზალახი და რომელი ცუდი, ადამიანი ვეღარ განასხვავებს კეთილს ზოროტისაგან? რაც შეეხება იმას, თუ რატომ ეწოდა ამ ხეს - ხე სიკეთისა და ხე ზოროტებისა, ვინც იცნობს "საღვთო წერილს", მას არ გაუჭირდება პასუხი ამ კითხვაზე. უპირველესად უნდა ითქვას, აღნიშნავს ოქროპირი, რადგანაც ამ ხის ნაყოფის გასინჯვასთანაა დაკავშირებული შეცდომა, აკრძალვის დარღვევა, ამიტომაც ეწოდა მას ეს სახელი. გარდა ამისა, ამ აკრძალვის დარღვევის შემდეგ მოხდა ცოდვისა და სირცხვილის შემოცნება, ამიტომაც ეწოდა მას შემოცნების ხის ნაყოფი. საერთოდ კი ხე ზოროტებისა და ხე სიკეთისა ღმერთის მიერ საგანგებო დანიშნულებით იყო მოთავსებული სამოთხეში, ის ძირითადად მცნების მიზნითაა სამოთხეში მოთავსებული, ამიტომაცაა იგი ხე სიკეთისა, მაგრამ რამდენადაც არის ამ მცნების

დარღვევის შესაძლებლობაც, ამიტომაც იგი, ამავე დროს, ხე ზოროტებისაცაა.

იოანე ოქროპირი საინტერესოდ ამართლებს სიკეთისა და ზოროტების ხის მოთავსებას სამოთხეში. ის როგორც სახლების მდიდარი მფლობელი, თავისი შემწიერ სახლს რომ გააჭირავებს, ამ სახლში ყოველთვის იტოვებს პატარა სათავსოს, რომელშიც ის ქირას არ იღებს. ამით კი დაშვირავს მუდამ აკრძალვინებს, რომ ამ სახლის მფლობელი თვითონაა და არა დაშვირაველი. ასევეა ღმერთიც, რომელმაც ამ მიზნით მოათავსა ეს სამოთხეში. ამასთან, ადამიანი გაფრთხილებულ იქნა აკრძალვის შესახებ. ამასთან რამდენადაც ეს ხე ღმერთის მფლობელობის მაჩვენებელია, ის - ხე სიკეთისაა, მაგრამ ამავე დროს იგი ცოუნების საზაზია - ხე ზოროტებისაცაა. "მაგრამ რადგანაც იგემეს თუ არა ამ ხის ნაყოფი, დაკარგეს იღებდა და შეიგრძნეს სხეულებრივ სიშიშველე, ამიტომაც წერილმა მას უწოდა სიკეთისა და ზოროტების შემოცნების ხე: ამ ხეს ჰქონდა, თუ შეიძლება ასე ითქვას, მოსმენის და არმოსმენის ფუნქცია". როგორც ვხედავთ, სიკეთისა და ზოროტების ხეს გარკვეული გამოცდილის ფუნქციაც აქვს დაკისრებული იოანე ოქროპირის ინტერპრეტაციებში.

როგორც ვნახეთ, იოანე ოქროპირის შემოქმედებაში დიდი ადგილი უკავია ეთიკურ პრობლემატიკას. იოანე ოქროპირი არსებითად ზიზლიაში მოცემული ზნეობრივი პრინციპების განმარტებებს ახდენს. მაგრამ ზევრ შემთხვევაში ის არ კმაყოფილდება მხოლოდ განმარტებებით და საკუთარ თვალსაზრისებს გვთავაზობს, რაშიც მფლავნდება მისი სიასლოვე ფილოსოფიასთან. გამოძინარე აქედან, იოანე ოქროპირის შემოქმედება ყურადღებას იმსახურებს ფილოსოფიის პოშიციიდანაც.



იბარდებოდი სიტყვითა სარწმუნოებისათა

დავით ეპისკოპოსი*

როგორ სწავრობებს კაცის ცხოვრება

რადგან ღვთისმსახურების დროს ხშირად გვესმის ხოლმე სიტყვა: ცხოვრება, ანუ ცხოვება, ამისათვის საჭიროა ცოტათი თუ ზევრად ნათლად წარმოვიდგინოთ, თუ რა არის ცხოვრება, ანუ ცხოვრება, რაში მდგომარეობს იგი და რა სახით მოიძოვება იგი კაცის მიერ.

კაცის ბუნება განზრუნულია, ცოდვებით დაწყებულია. ადამიანის ნებელობა და საერთოდ ყოველნი სულიერნი ძალნი მიღრეკილნი არიან უფრო ბოროტებისადმი, ვიდრე კეთილისადმი. კაცი უფრო ადვილად სიამოვნებით აკმაყოფილებს სინდისსა და ღვთის მიერ აკრძალულ და მავნებელ ბიწიერ მოთხოვნილებებს თავისი ბუნებისას, ვიდრე კეთილ და ღვთის სათნო მოქმედებათა. რა შედეგი მოსდევს კაცის ასეთ ქცევას? პირველად ის, რომ ბიწიერნი სურვილნი უფრო და უფრო იბრუნებიან, მატულობენ, ადამიანის მთელ ბუნებას ატყვევებენ. შეაქეთ მასში აღრეულობა, იწვევენ უკმაყოფილებას. თვით ცოდვას ისეთი თვისება აქვს, რომ მას, თუ პირდაპირ არა, შემდეგში მაინც უსათუოდ უსიამოვნება, მწუხარება თან ჰყვება; და რამდენადაც იგი ხშირად განმეორდება, იმდენად უფრო ძლიერდება, ფეხს იკიდებს ადამიანის სულში, და მისგან წარმოშობილი უკმაყოფილებაც მატულობს. მიორედ, ბოროტნი მიღრეკილებანი ადამიანს ნიჭს უბოძებენ, უჩიუნებენ, შემოქმედებით ძალასა და ნათლიერებას უსუსტებენ, და ამის გამო, მას ვერ შეუძლია, იცხოვროს ნორმალურის, წესიერის ცხოვრებითა, ქმნას იგი, რის ქმნაც მას შეეძლებოდა, ბოროტებით შეპყრობილი რომ არ ყოფილიყო. მესამედ, ადამიანი გრძობს, რომ იგი არ შერება იმას, რასაც მას შინაგანი ზნეობრივი კანონი ანუ სინდისი უბრუნებს და ღმერთი უბრძანებს, რომ იგი თავის ცუდ ჩვეულებათა მონაა. რომ იგი თავის კაცურ დანიშნულებას არ ასრულებს. ეს გარემოება მას აწუხებს, სინდისი ქენჯნის, მოსვენებას არ აძლევს. მარაოლია, კაცი სინდისის მხილებას უტვლებელპყოფს; ეს ხდება მაშინ, როცა იგი ქვეყნიურ სიამეს ეძლევა. მაგრამ ასეთი მდგომარეობა კაცისა მოკლეჟამიერია. ყოველივე სიამე ამა სოფლისა დაუდგრომელია, გაივლის იგი და ადამიანს სინდისი ეღვიძება, და იგი მას უმოწყალოდ, სასტიკად სწის, უსიამოვნო გრძობებს ბადებს მის

სულში და მას სიცოცხლე ეწამლება. მეოთხედ, ცოდვა ადამიანის ხორციელი ბუნების კეთილდღეობასაც არღვევს ხოლმე, სხეულში მრავალგვარ ავადმყოფობას იწვევს. ავილოთ სიფიცხე-მრისხანება, შური, სიძულვილი. ასეთი სულიერი მდგომარეობანი სისხლის გადაჭარბებულ მოძრაობას იწვევენ, ნერვები გადაძეგბულ მდღეღარებაში მოჰყავთ და ასუსტებენ მათ. ხოლო ნერვების სისუსტეს, აშლილობას სხვადასხვაგვარი ავადმყოფობა მოსდევს. ან ავილოთ უზომო სმა-ჭამა. ეს თანდათანობით ასუსტებს კეჭს, რომელმდედაც დამოკიდებულია მთელი სხეულის სისადე. თუ კუჭი ჭეროვნად ვერ მოქმედებს, მოშლილია, მაშინ კაცს მრავალგვარი ავადმყოფობა უჩნდება ხოლმე. ანუ კიდევ ავილოთ მრუშობა. ეს სწინი დიდად დამღუპველია კაცობრიობისა. რამდენაირი სხეულებათა მისგან წარმოდგარი, ვინ მოსთვლის! ასე, ყოველივე ცოდვას სხეულებათა თან ჰყვება. სცოდავს კაცი, ავადმყოფობანი მასში ფეხს იდგაინ, და, რაც მეტი დრო გადის, იმდენად იგი უფრო და უფრო სცოდავს და, ამასთან ერთად, მასში სხეულებანი მრავალგვარად იღვირდებიან. დამიანებული ხორციელი ბუნების მქონის ნაყოფიც სუსტია. შვილი მათგან სხვადასხვაგვარ სხეულებებს იმკვიდრებენ. ესენიც თვისით ავადმყოფობათ შვილთ გადასცემენ ხოლმე. ამრიგად, ავადმყოფობა საშვილიშვილოდ გადადის და მთელი შთამომავლობა სხეულდება. ახლა ჭან-მრთელ კაცს ვერსად იპოვით; ყველა რაიმე სატივარს უჩივის. ასე მთელი კაცობრიობა უთვალავ სხეულებათაგან წვალობს. მეხუთედ, ყველაში უზომო თავმოყვარეობითა და პატივმოყვარეობით არიან შეპყრობილნი. ყველას სურს გახდეს სხვებზე უპირველესი, უწარჩინებულესი შეძლებითა და გავლენით. აქედან წარმოდგება ერთმანეთთან შეტაკება, ერთიმეორის სიძულვილი, შური, მტრობა. ებრძვიან ერთიმეორეს, ცდილობენ, ერთმანეთი დაამარცხონ, ერთიმეორის კეთილდღეობა დაარღვიონ და სხვის უბედურებაზე პირადი ბედნიერება ააშენონ; არ უთმობენ ერთიმეორეს, და ასე ერთმანეთს სიცოცხლეს უწამლავენ, უმოკლებენ. გამწვავებული და დაუსრულებელია ბრძოლა კაცთა შორის და მის გამო კაცობრიობა კვების, იტანუება. შექექსედ, რადგან კაცის ბუნებაში ბოროტება მფლობელობს, რადგან მან ამით ღვთის მსგავსება დაკარგა, ამის გამო, უფალი იმისგან განძორებულა. ღმერთი არის უწყმიდესი არსება

*მოღვაწეობდა XIX - XX საუკუნეთა მიჯნაზე.

და იგი უერთდება მხოლოდ წმიდა, კეთილ არსებას; არ არის ერთობა ნათელსა და სწელს შუა, კეთილსა და ბოროტებას შუა. ასე, უფალი ცოდვილი ადამიანს არ ასულდგმულებს თავისი ცხოველსმყოფელი მადლით; ამის გამო მას არ ძალუძს ნამდვილი, ჭეროვანი ცხოვრებით იცხოვროს და ზედნიერი იყოს. არ შეუძლია იმიტომ, რომ მისი ბუნება ისეა მოწყობილი, რომ მას შეუძლია წესიერი და ზედნიერი ცხოვრებით იცხოვროს მხოლოდ მაშინ, როცა ღმერთთანაა დაკავშირებული. კაცი ღვთის ქმნილებას, იმისგან მიიღო მან თავისი სულიერი ძალნი, მისი მდგომარეობა მუდამ იმის სებაზეა დამოკიდებული; ამის გამო, მხოლოდ იმასთან ერთად ყოფნით, მის მიერ ნარევიები კანონისა და ბრძანებისამებრი ცხოვრებით, შეუძლია მას გახდეს სულიერად ამაღლებული, განათლიერებული და ზედნიერი. გარეშე ღვთისა კი კაცური და ნეტარი ცხოვრება შეუძლებელია. როგორც რქა ხაყოფს ვერ გამოიღებს, თუ შიიკვეთა ვაზისგან, როგორც რომელიმე მანქანა მუდამ რიგიანად ვერ იმოქმედებს, თუ მას გამკეთებული ანუ მცოდნე კაცი თვალყურს არ ადევნებს, არ ასწორებს, როცა მასში რაიმე გაფუჭდება, მოიშლება, თავთავის დროშე არ ასუფთავებს და სხვა, - ისე ადამიანიც, თუ მას ღმერთი არ ემბარება და არ აცხოველებს, ნამდვილ კაცურ თვისებებს ვერ გამოიჩენს, ვერ მიადევნებს ზედნიერებას და მუდამ უკმაყოფილო იქნება.

აი, ამ ზომამდე მიიყვანა ცოდვამ ადამიანი, ასე აღსასუა მწუხარებით კაცობრიობის ცხოვრება. იტანჯება ადამიანი, მაგრამ თანაც სურს, ტანჯვა-წვალებას თავი დააღწიოს, კმაყოფილება მოიპოვოს. ხოლო რა რიგე შეუძლია მას ამ გასაჭირი, საუბედურო მდგომარეობისაგან თავი გამოიხსნას, განთავისუფლდეს?

რათა კაცმა დაიხსნას თავი მრავალგვარი ტანჯვა-წვალებისაგან, ამისათვის მან უნდა მოსძიოს თავის არსებაში ის მიზეზი, რომელმაც მას გახუბრუნა, დაუბინა ბუნება და ამ ცუდ, აუტანელ მდგომარეობამდის მიიყვანა იგი, ე.ი. მან უნდა დათრგუნოს ცოდვა. ხოლო რათა მან შეძლოს შეებრძოლოს და განდევნოს გამეფებული ბოროტება, ამისათვის მან თავდაპირველად თავისი ყურადღება, თავისი გონება ღვთისადმი უნდა მიაქციოს, მუდამ მასზე უნდა ფიქრობდეს, მარადის მას უნდა იგონებდეს და მის მოქმედებას უნდა წარმოიდგენდეს. თავისი ბუნების გასწორებისა და სრულყოფისათვის კაცმა უნდა მიმართოს ღმერთს იმიტომ, რომ ბუნების გასწორება იგივე გარდაქმნაა. ცოდვა ისეა თანშებრძოლი ადამიანის ბუნებაში, იგი იმნაირადაა გამჭვდარი იმის ძაღლსა და რბილში, იმისი ნებელობა იმდენადაა დატყვევებული ბოროტების მიერ, რომ ბიწიერ მადრეკილებებთან ბრძოლა უძრის ბუნების ხელმეორედ შექმნას. ხოლო ბუნების გადაკეთება ძალუძს მას, ვინც იგი შექმნა, ე.ი. ღმერთს, სწორედ ისე, როგორც გაფუჭების მანქანის შეკეთება მხოლოდ მანქანისავე მკეთებელს შეუძლია ხოლმე. მაგრამ ღმერთი ხომ უხილავი არსებაა, იმისი შინაგანის

ცხოვრების გაგება შეუძლებელია, და, მაშასადამე, კაცს, რომელიც ხორცშესხული არსებაა, რომელიც უხილავ არსებას ვერ წარმოიდგენს და ვერ შეუერთდება, როგორ შეუძლია მიაპყროს თავისი გონება უფალს, შეიყვაროს იგი და დაუკავშირდეს მას? აი, აქ ყოვლადსახიერმა ღმერთმა კაცს დიდი დახმარება აღმოუჩინა. მეორე სახე ღვთაებისა, ძე ღმერთი, განხორციელდა, განკაცდა, მოვიდა სოფლად. ძე ღვთის კაცთა შორის ცხოვრებით ცხადყოფილ იქნა ღვთაება. იესო ქრისტე იადამიანს მიეცა ხილული სახე ღვთაებისა, მიეცა საშუალება, წარმოიდგინოს ღმერთი და შეუერთდეს მას. ასე, პირდაპირი, უმაშვალობითი დამოკიდებულება ღმერთთან შეუძლებელია და ამიტომ ყოველმა კაცმა, ვისაც კი სურს ღმერთთან კავშირი იქონიოს, მაცხოვრის სახე აუცილებლად თვალწინ უნდა დაიყუროს, იგი უნდა შეიყვაროს, მას უნდა უსმინოს. მან მიტომაც თქვა: მე ვარ გზა, წყმმარტება და ცხოვრება; ვერვის შეუძლია მისვლა მამისადმი (ღვთისადმი), გარნა ჩემ მიერო. წარმოდგენა მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი და მასთან ერთად ღვთისა გამოხატება საესებთ ლოცვაში. ლოცვაში ადამიანი იკონებს ღვთის სიდიადეს და სახიერებას, გრძობს მის სიყვარულს. ვინც ხშირად იკონებს უფალს, იესო ქრისტეს, ნათლად, ცოცხლად ისურათბატებს იმის ნათელმოსილ ცხოვრებას, იგი ამით ამტკიცებს, რომ მას მართლა ღრმად უყვარს ძე ღვთისა და ნამდვილად სურს იმასთან დაკავშირება. სიყვარული მაცხოვრისა და ღვთისადმი მხოლოდ მოგონებით და ლოცვით კი არ უნდა განისაზღვრებოდეს; ამასთან ერთად, აუცილებლად საჭიროა მხებელობის მოქმედება, ასრულება იმისა, რასაც უფალი გვიბრძანებს. მისი ნება კი ისაა, რომ გავისწოროთ ბუნება, გავიუმჯობესოთ ცხოვრება, შევიძინოთ მის მიერ ნამოძღვრები სათნოებანი. თვითგასწორება, ბუნებაში ღრმად ჩანერგულ ბოროტ მოთხოვნილებათა ძირიანფესვიანად აღმოფხვრა და სათნოებათა შეთვისება სრულდება კაცის და ღვთის ძალთა შეერთებულის მოქმედებით. ერთი მხრით საჭიროა, თვით კაცმა გამოიღოს ხელი, თავის ბიწიერ სურვილებთან იწყოს ბრძოლა, მეორე მხრივ კი საჭიროა, რომ ყოვლადსახიერი ღმერთი მას ამ საქმეში დაეხმაროს, თავისი მადლი მიანიჭოს.

მართო კაცი, თუ მას ღმერთი არ ეწვევა, როგორც ზემოთ ვთქვით, ბოროტებას ვერ აადგევს; ხოლო უფალი ყოველთვის მზად არის, ადამიანს დაეხმაროს, თუკი იგი ამას ისურვებს. არც ის შეიძლება, რომ ერთმა, მხოლოდ ღმერთმა კაცის ბუნება თავისი ძალით განწმინდოს, სრულყოს; არ შეიძლება იმიტომ, რომ მაშინ ეს იქნება ძალდატანება, თავისუფლებითი ნებელობის წართმევა; ხოლო კაცი კი თავისუფალი არსებაა და ამ თავისუფლებით იგი ყველა სხვა ცხოველებისაგან განიხილავა და მით მათზე მადლა დგას, - ეს ერთი; მეორედ, ღმერთმა რომ კაცის ბუნება მართო თავისი ძალით გაასწოროს, გააკეთილოს, მაშინ ადამიანის კეთილ მოქმედებას არ ექნება ის ფასი და ღირსება, რომელიც აქვს მის კეთილმოქმედებას

მაშინ, როცა იგი იმას თავისი ნებით, თავისი ძალით იჩინს. წარმოვიდგინოთ შემდეგი მაგალითი. ორმა რომელიმე კაცმა საწყალოს, ღარიბს შემწეობა აღმოუჩინა. პირველმა გამოიჩინა სიკეთე მას შემდეგ, როცა მას ზვერი ელაპარაკნებ, მოწყალება გამოელო; მეორე კი გაჭირვებულს თავისთავად დაუყონებლივ შეეწია. რომელი ამათაგანის საქციელია უფრო მოსაწონი? - რა თქმა უნდა, მეორისა. ასე, კაცის ყოველივე საქციელს იმდენად მეტი ფასი ედება, რამდენადაც მან მეტი თვითმოქმედება გამოიჩინა, რამდენადაც მან თავისი ნებით, თავისი ძალ-ღონით ქმნა იგი. ამხაირად, აღამიანის ზნეობრივი განახლებისათვის საჭიროა ორი პირობა. პირველი ის, რომ თვით კაცმა ისურვოს სულის სიწმიდის მოპოვება, აამოძრავოს თავისი სულიერი ძალნი ზოროტებისათან საბრძოლველად, დაიწყოს ზიწიერი სურვილების უკუქცევა. მეორე კი ისაა, რომ უფალმა ცოდვასთან საომრად გამშადებულ აღამიანს მიმადლოს თავისი ძალა, რომ მან მისი დასუსტებული ზუნებრივი ძალნი გააცხოველოს, გააძლიეროს და შეაძლებინოს მას, დაწყებული საქმე ზოლომდე მიიყვანოს. თუ რომელიმე ამ პირობათაგანი დარღვეული იქნა, მაშინ ზოროტებზე გამარჯვება შეუძლებელია.

აღამიანის თვითმოქმედება ზნეობრივ განახლებაში უნდა გამოიხატებოდეს შემდეგში. მან თავისი თავი უნდა იცნოს, თავისი სულის სიღრმეში უნდა ჩაიხედოს, პირუთვნელად, სასტიკად გამოიძიოს და შეიტყოს, თუ რა ცუდი თვისებანი აქვს მას, თავისი ნაკლებუნებანი მუდამ თვალწინ დაყენებული უნდა ჰქონდეს და ყოველთვის, როცა კი ისინი მასში აღიძვრიან, თავს იჩიენ, უნდა შეეცადოს შეეზრდოს მათ, უკუაქციოს. თუ იგი იმათ გამუდმებით ეომება, უარს ეუბნება დაკმაყოფილებაზე, მაშინ ისინი ზოლოსა და ზოლის დასუსტებიან და განიღვებებიან. თავის ცოდვით სურვილებთან ბრძოლა ძლიერ ძნელია. იგი დიდ მოთმინებას და ენერჯიას, ძალას ითხოვს; იმისთვის დიდი გამჭრიახობა და მეცადინეობაა საჭირო. მათგან კაცი ბევრჯერ დამარცხდება, ბევრ ტანჯვას გამოივლის, გარნა იგი ამით არ უნდა შეშინდეს, იმედი არ უნდა დაკარგოს და მათთან ბრძოლაზე ხელი არ უნდა აიღოს. ცოდვითი მოქმედება სამი მომენტისაგან, სამი დროისაგან შედგება. პირველ მომენტს შეადგენს მზახვა, წარმოღვება ცოდვისა, როცა კაცი რაიმე ზოროტ საქმეს გაიფიქრებს. მეორე მომენტი არის ფიქრთან ერთად თანადატკობა, ე.ი. როცა კაცი ცოდვას და მის შედეგს სავსებით, დაწვრილებით განიზრახავს, გაითვალისწინებს და, ამასთან ერთად, სიამოვნებს. მესამე მომენტი არის მოქმედება, ასრულება წინდაწინვე განზრახული საქმისა. შემოდასახელებული პირველი და მეორე მომენტების დროს კიდევ აღვიღოთ ცოდვასთან ბრძოლა, ხოლო მეორე მომენტის შემდეგ კი ძლიერ ძნელია; ხასიათის დიდი სიმტკიცეა საჭირო, რომ ზოროტმა მოთხოვნილებამ კაცის ნებელობა არ დაატყვევოს. ამიტომ აღამიანი

უნდა მეცადინეობდეს, ძალ-ღონე თავშივე მოიკრიბოს და ცოდვით სურვილს უარი უთხრას. ბრძოლა ცოდვასთან ძნელია ვაჟკაცობაში; იგი უფრო ადვილია სიყმაწვილეში, როცა სულიერი ძალნი ზოროტებში არ არიან განმტკიცებულნი და, მამასადაძმე, მათი მიდრეკე კეთილისაღმი აღვილია. ამიტომ აღამიანმა თვითგასწორება სიყმაწვილეშივე უნდა დაიწყოს. თავის ზიწიერ მოთხოვნილებებთან ბრძოლასთან ერთად კაცმა უნდა განავითაროს ის კეთილი თვისებანი, რომელნიც მას თანდაყოლილი აქვს და კიდევ უნდა შეიძინოს ის ღირსებანი, რომელნიც მას არა აქვს, მაგრამ რომელთა მოპოვებას მოითხოვს ზნეობრივი კახონი, განსაკუთრებით კი, მან უნდა აღანთოს თავის გულში სიყვარული ყოველთაღმი, რადგან იგი არის დედა ყოველ სათნოებათა.

როცა კაცი ამხაირად თვით-გასწორებისა და სრულყოფის საქმეს შეუდგება, მაშინ მას ღმერთი მიანიჭებს თავის მადლს, ე.ი. ის აღივსება ბეციური სიხარულითა და კმაყოფილებით. ამ ღვთაებრივის მოწყალებით განმხვევებული და წაქეზებული აღამიანი თავის ცოდვით მოთხოვნილებათ უფრო და უფრო შეეზრდობება და კეთილმოქმედებაში უფრო მეტ ძალას გამოიჩინს. კაცის ასეთ ქცევას ის შედეგი მოჰყვება, რომ მის სულში ღვთაებრივი მადლი უფრო გაცხოველდება, გაღვივდება და წარმოიშობს მასში მომეტებულ სიტკბობებს და სიხარულს. ასე, როცა აღამიანი ღვთის ხმას მუდამ უსმენს, მის მადლს ემორჩილება, და როცა ღვთაებრივი მადლი მას გზას უკისკროვებს, მეტ ღონეს აძლევს, მაშინ მისი ზუნება ზოროტებისგან სუფთავდება, სპეტაკდება, მასში ღმერთი ისადგურებს. ღმერთთან დაკავშირებას მოსდევს განთავისუფლება ყოველივე იმ მწუხარებისაგან, რომელნიც ზემოთ აღვნიშნეთ, და მშვიდობისა და სიხარულის დამკვიდრება; სადაც ღმერთი სუფევს, იქ მწუხარებას ალაგი არა აქვს, იქ მხოლოდ მუდმივი და შეურყეველი ნეტარება მეფობს. რაც უნდა დიდი უბედურება ამა სოფლისა ეწვიოს ღვთაებრივის ცხოვრებით შემოსილ აღამიანს, იგი მაინც არ მოიღრიკება მის წინაშე და მწუხარებითი გრძნობებით არ გარემოიკვება, რადგანაც შინაგანი მისი სიტკბოება-სიხარული, ღმერთთან დაკავშირების გამო წარმომდგარი, არ აძლევს ნებსას ქვეყნიურ უსიამოვნებათ ფეხი მოიკიდონ იმის სულში, აამლეღვარონ იმისი გული და ასე მუდამ მხნე და მხიარულია.

აი, ასეთი ნეტარებითი მდგომარეობა ქრისტიანისა, ე.ი. სულისაგან ცოდვის განდევნა და მასში კეთილის გამეფება, ღმერთთან დაკავშირება, შინაგანი სიხარულისა და მშვიდობიანობის მოპოვება, სოფლიურ ტანჯვა-წვალებათა უღლის სიმძიმის შემსუბუქება, იწოდება ცხოვრებად, ანუ ცხოვრებად; იწოდება ამ სახელით იმიტომ, რომ კაცის მხოლოდ ასეთი ცხოვრება არის ნამდვილი, წესიერი, შესაფერისი იმის ზუნებისა და დანიშნულების ცხოვრება.

ბორჯბა მოხუხისა

მსწრაფლ მიფრინავს დრო და მე ვუახლოვდები ამქვეყნიურ ცხოვრების ზღვრულს, ფაშა გარდასვლისა ამა სოფლიდან საუკუნოში. ხოლო მოვემზადე მე ცოტათი მაინც იმ ქვეყანაში წასასვლელად? ვქენი რამე ჩემი სულის განათლიერებისათვის, რათა წარვდგე წინაშე ღვთისა დამშვიდებულის სინდისით? რამდენიც უნდა ვაბრძვი ჩემი წარსული, მაინც ვერ ვპოულობ მასში ვერაფერს სასიხარულოს, ვერაფერს იმისთანას, რომელიც მოწმობდეს ჩემს შეურყეველ მეცადინეობა - შრომას ზნეობრივი თვითგასწორებისათვის. მთელი ჩემი წარსული ერთიანად ბიწიერია. მართალია, ხშირად აღმეძრებოდა სურვილი კეთილმოქმედებისა, მაგრამ რა არის მხოლოდ სურვილი კეთილის ქმნისა? ეს სურვილი, მსგავსად ცარიელი ხმისა, განდებოდა და მყისვე გაქრებოდა, ჩემს სულში არავითარ კვალს არ ტოვებდა, არ ხადებდა მასში ნათლიერ, კეთილ განწყობილებას.

მსურდა განვთავისუფლებულიყავი ვნებათა სამარცხვინო მონობიდან, მაგრამ სინამდვილეში მე არ ძალმიძდა განმედეგნა თავისი არსებიდან, ან შემესუსტებინა რომელიმე ცუდი ჩვეულება. ყოველ შემთხვევაში, როცა აღმეძრებოდა ცოდვითი ბრახვა, ბიწიერი წადილი, ვხდებოდი მათი მსხვერპლი, ყოველი ჩემი შეზრდილება-წინააღმდეგობა მათთან იყო ამაო. მწადდა განემშვენიერებულიყავი სახარებისებრივი ზნეობრივი სისრულით, ვჭვრეტდი ქრისტეს სათნოებათა, ვტკბებოდი მათი ხილვით, გონების თვალთ მათკენ ვილტვოდი, მაგრამ მათი განხორციელება მე არ შემიძლო, მინდოდა აღვთებულიყავი ყველასადმი მზურვალე ძმურის სიყვარულით, მოყვასის გულისათვის თავი შემიწირა, მაგრამ ჩემი თავმოყვარეობა ამ კეთილ სურვილს სდევნიდა. რამდენჯერ აღმიოქვამს, დამეწყო შეუპოვარი, შეუდრეკელი ბრძოლა ბიწიერ მიდრეკილებებთან, დამემარცხებინა ისინი და კეთილისათვის ჩემს არსებაში ადგილი მიმეცა, მაგრამ ჩემი დაპირება რჩებოდა აუსრულებელი, ბოროტებასთან ბრძოლიდან ძლეული გამოვდიოდი.

წარემართავდი ჩემს გონებას ღვთისადმი და მეციური ქვეყნისადმი, გავიზრახავდი ღვთის დიდებასა და მოქმედებაზე, ვკითხოლობდი საღმრთო წერილსა და წმ. მამათა ნაწერებს, მაგრამ ამაოდ! ღმერთმზრახველობა არ ასუსტებდა ჩემში ბოროტ ჩვეულებათა მეფობას; ვლოცულობდი, დიდებისმეტყველებდი უფალს, ვისმენდი ეკლესიურ ღვთისმსახურებასა, მაგრამ სათნოება ჩემში არ იწერებოდა, მზურვალე ღოცვის შემდეგ მყისვე ვხდებოდი მონა ბიწიერი აზრებისა და გრძნობებისა. იყო წუთები სულიერი განათლებისა, ვფრთოვანდებოდი, ვგრძნობდი ციურ სიტკბოებას, აუცილებელ საჭიროდ ვთვლიდი სოფლიდან განშორებას და ღმერთთან შეერთებას; - ეს იყო ღვთის მადლის ნეტარი ხმა, რომელიც მიწოდდა კეთილისადმი, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ნათლიერი და ნეტარებითი მდგომარეობა სულისა იყო მოკლეჟამიერი; მე არ ვუგონებდი ამ მადლის მოწოდებასა და საკუთარი თავის ბოროტებაში ვრჩებოდი.

ამნაირად, ჩემს ცხოვრებაში იყო მხოლოდ სურვილი კეთილმოქმედებისა და არა მისი განხორციელება, და მთელი ჩემი სიცოცხლე გავატარე ამ უთანხმოებაში სურვილსა და სინამდვილეს შორის, და ეს უთანხმოება ფრიად მტანჯავდა. ხოლო რისთვის არ ძალმიძს ასრულება საკუთარი კეთილი სურვილებისა? რისთვის არ შემიძლია განვახორციელო ის სათნოება, რომელსაც მე იდეაში, გონებაში ასე თავმეუმაგრებლად ვესწრაფვი? ნუთუ კაცს არ აქვს მინიჭებული ის ზედნიერება, რომ მან სათნოებანი შეითვისოს და გამოიჩინოს თავის ცხოვრებაში? ნუთუ მას შეუძლია მხოლოდ მათი ჭვრეტა, მათკენ ლტოლვა და არა მათი სისრულეში მოყვანა? მაგრამ ეს შეუძლებელია. თუ ყოველად სახიერმა ღმერთმან ერთხელ ჩაუწერდა ადამიანს სურვილი კეთილის ქმნისა, მაშასადამე, ამასთანავე მან უსათუოდ მისცა მას ნიჭიც - შეძლება თავისი კეთილი სურვილების აღსრულებისა. ღმერთს რომ მიეცა ადამიანისათვის მხოლოდ სურვილი კეთილის ქმნისა და თან არ

მიენიჭებინა მისთვის ძალა ამ კეთილი სურვილების ასრულებისა, ეს ის იქნებოდა, რომ მას ადამიანი გაეჩინა მხოლოდ ტანჯვისათვის. ამას გარდა, ხომ იყვნენ ისეთი პირები, რომელნიც განმშვენებულნი იყვნენ ქრისტიანული თვისებებითა და ცხადყოფდნენ თავის ცხოვრებაში მაღალ სათნოებათა. მაშ, რისთვის არ შემიძლია მე შევისის-ხლბორცო კეთილი, გამოვიჩინო იგი თავის ნამდვილ ცხოვრებაში! სიყმაწვილეში, როცა ჩემს სულის ძალნი იყვნენ ნორჩნი, რბილნი, მასასადაამე, ადვილად დასამორჩილებელნი, და შეიძლებოდა მათი გასწორება, მე უგულებელყოფდი მწიგნობრის თვითგაუმჯობესობასა, არ მიმეცადინია მიმეძარათა ჩემი ნებელობა კეთილისადმი, არ მიხმარია ძალა, რომ უარი მეთქვა ზოროტი სურვილისათვის, ხოლო კეთილი წადილი კი აღმესრულებინა. ამ დროის განმავლობაში ჩემი ნება განმტკიცდა ზოროტისადმი მიმართულებაში; როცა დაგვაჟაკადი, შევიგნე საჭიროება თავისი ცხოვრების განახლებისა და მინდოდა ხელი მიმეყო ამ დიდი საქმისათვის, მე პირველ ცდაზევე დაგრწმუნდი, რომ უძლური ვარ ვეომო ზიწიერ მიდრეკილებებს, რადგან ჩემი ნება

უკვე დამონებულია ზოროტების მიერ. და, აი, რომ მე შემიძლია მხოლოდ ვისურვო კეთილი და მისი ასრულება კი არ ძალმიძს, ეს არის პირდაპირი სამწუხარო შედეგი იმისა, რომ მე ახალ-გაზრდობაში არ ვეცადე, შემექმნა ჩემს სულში ჩვეულება თავისი კეთილი სურვილის განხორციელებისა და უკუქცევისა ცოდვითის წადილისა, არ მიშრომნია თავის გასწორებისათვის.

ახლა თქვენ მოგმართავთ რჩევით, ყმაწვილებო! ჩემი მაგალითი იყოს თქვენთვის გაკვეთილი. თუ გინდათ აშორდეთ იმ მწიგნობრივ ტანჯვას, რომელშიაც მე ვიმყოფები, ეცადეთ, ახლავე შეიძინოთ ის თვისება, რომ შეგეძლოთ უარის თქმა ზოროტი სურვილისათვის და კეთილი წადილი კი განახორციელოთ; განამტკიცეთ თქვენი ნება კეთილისადმი მიმართვაში, შეიმუშავეთ თქვენი მწიგნობრივი ხასიათი, თორემ იცოდეთ, შემდეგში ძლიერ გაგიჭირდებათ ნების დამორჩილება, ზიწიერ მიდრეკილებათა დათრგუნვა და სათნოებათა შეთვისება, და მასასადაამე, ჭეშმარიტი ზედნიერების მოპოვება, რადგან მწიგნობრივი სრულყოფა არის აუცილებელი პირობა ზედნიერების დაპყვიდრებისათვის.

2 თებერვალი

მირქმა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი.

მიეცით ერნო, დიდებამ ქრისტესა, ღმერთსა ჩუენსა, რომელი გამოგუიხნდა ჩუენ მკლავთა ზედა მოხუცებულისა სუიმონისთა.

დაგუიცვენ შენი მშოსანი მეოხებითა, მაცხოვარ, წინასწარმეტყუელისა შენისა სუიმონისითა.

მეოხ იყავ, წინასწარმეტყუელო, სოფლისათუის, ვითარცა გაქუს კადნიერებამ მაცხოვრისა მიმართ.

იხილეთ, იხილეთ, რამეთუ მე ვარ, რომელი მაღალთა შინა მარადის მყოფ ვარ მამისა თანა, მკლავთა ზედა მოხუცებულისა სუიმონისთა დაგუდი, ვითარცა კაცთმოყუარე ვარ.

დიდებამ შენდა, დიდებამი შენდა, მეუფეთ დიდებისათ, რომელი მამისა და სულისა წმიდისა თანა ვითარცა ღმერთ ხარ, თაყუანისიციემები და მკლავთა ზედა მოხუცებულსა სუიმონისთა განკაცებული დასჯელი.

ქილეტრატის იადგარი, გვ.49.

ღავითნის კითხვის წესი ერისკაცთათვის

ერისკაცი სამჯერ დაიწერს პირველს და იტყვის: ლოცვითა წმიდათა მამათა ჩვენთათა, უფალო იესო ქრისტე, ღმერთო ჩვენი, შეგვიწყალენ ჩვენ. მეუფეო ზეცათაო... წმიდაო ღმერთო... ყოვლადწმიდაო სამებაო... მამაო ჩვენი...

ამ, ანუ დასაწყის ლოცვითა თქმის შემდგომ იტყვის: მიწყალენ ჩვენ, უფალო, შემიწყალენ ჩვენ, რამეთუ ყოვლისავე სიტყვის მიცემისაგან უღონო ვართ, გარნა ამას ვედრებასა შენ, მეუფისა სახიერისა, ცოდვილნი ესე შევსწირავთ, მიწყალენ ჩვენ, უფალო, შემიწყალენ ჩვენ.

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

პატრიოსნისა წინასწარმეტყველისა შენისა მიერ, უფალო, ცაჲ ეკლესიად გამოაჩინე, რათა კაცნი ანგელოზთა თანა ვიხარებდეთ, მისითა ვედრებითა, ქრისტე ღმერთო ჩვენი, სოფელსა მშვიდობა გარდამოუვლინე, და ცხოვრება ესე ჩემი მშვიდობით განაგე, რათა გიგალობდე შენ: აღილუია.

აჲ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

აურაცხელ არიან სიმრავლენი ცოდვათა ჩვენთანი, წმიდაო ღვთისმშობელო, შენდა მოვილტვით, ქალწულო უბიწო, და ვითხოვთ წყალობასა, მოხედენ წყლოლებასა ზედა სულისა ჩემისასა, ვვედრე ძესა შენსა და ღმერთსა ჩვენსა მოტყუებად ურიცხვითა მათ ბრალთა ჩემთა, მხოლოო კურთხეულო.

ამის შემდეგ ერისკაცი ორმოცჯერ იტყვის უფალო შეგვიწყალენს. შემდეგ დაიბრუნებს იმდენჯერ, რამდენჯერაც სული მისთხოვს და შეეძლება და იტყვის წმიდასა და ცხოველსმოფლელი სამების ლოცვას:

ყოვლადწმიდაო სამებაო, ერთარსებაო, ერთღვთაებაო, შემოქმედო ყოვლისა სოფლისაო, შემწე შეყავ მე ღამსა ამას, განახვენ გონება ჩემი გულისხმისყოფად, რათა გონიერად და გულისმოდგინედ ვიწყო აღსრულებად კეთილთა საქმეთა და აღმოვსთქვენ ღვთისმეტყველებანი ამის წიგნისანი, რომელი სთქვენ სულითა შენით წმიდითა პირითა დავითისითა, რომელ აჲ მუხბავს თქმად მე უღირსსა, რათა გონიერ ვიქნა და ვსცნა ძლიერება შენი, ამისთვის შეგივრდები და გვედრები შენ, რათა მომიტყვენ უსჯულოებანი ჩემნი, რამეთუ შენ მიერ ვითხოვ შეწევასა, უფალო, განაბრძენ გონება ჩემი და დაამტკიცე გული ჩემი შიშა შენსა, რათა დაუცხრომელად გაქებდე და გიგალობდე ზაგითა ჩემითა და ვსცნა საიდუმლონი ესე სიტყვანი, და სიხარულით განვმზადო კეთილთა საქმეთა ზედა, და ვისწავლენ მცნებანი შენი, და აღვასრულო ნება შენი და საქითა კეთილთა განბრწყინებულთა ღირს ვიქნე წარდგომად სამსჯავროსა მას საშინელსა, დგომად წმიდათა რჩეულთა შენთათა, აჲ, მეუფეო, მაკურთხე, რათა სულთ ვითქვენ გონებითა და გიგალობდე ერთა ჩემითა და ვსთქვა ესრეთ: მოვედით, თაყვანის - ვჰსცეთ მეუფესა ჩვენსა ღმერთსა; მოვედით, თაყვანის - ვჰსცეთ და შეუვრდეთ ქრისტესა, მეუფესა ჩვენსა ღმერთსა; მოვედით, თაყვანის - ვჰსცეთ და შეუვრდეთ თვით ქრისტესა, მეუფესა და ღმერთსა ჩვენსა. ამის შემდეგ მკითხველი მცირედ დადუმდება, გაირინდება და შინაგანად უმეტესად განეწყობა კითხვა-ლოცვისათვის, ხოლო იგრობოს რა ღვთისგან კურთხევას, შემდგომ ამისა, დაიწყებს დავითნის კითხვას, არა აჩქარებით, არც ნელა და მოზინით, არამედ საშუალოდ, მდაბლის ხმით, გარკვევით და თავდაც ყურს დაუგდებს სიტყვებს, მათს შინაარსს.

დავითნს ვკითხულობთ სამი ძირითადი მიზეზით:

1. ვაქებთ ღმერთს და ვვედრებით მას, ვინანით ცოდვებს და ვმადლობთ მოწყალეობისა გამო;

2. როცა საგანგებოდ ვინმეს საჭანმრთელოდ, ანუ კეთილწარმართებულთა ქრისტეანული ცხოვრება-მოღვაწეობისათვის ვლოცულობთ;

3. როცა მიცვალებულთა განსვენებისათვის ვლოცულობთ.

სამივე შემთხვევაში ასეთნაირად ვიწყებთ ლოცვას, ანუ კითხვას დავითნისას.

უკეთუ ვინმეს საჭანმრთელოდ ანუ განსვენებისათვის ვლოცულობთ, მაშინ დავითნში ჩაუერთავთ დამატებით შესაბამის ლოცვებს.

დავითნის 150 ფსალმუნი ოც კანონად იყოფა, თითოეული კანონი კი სამ დიდებად, ანუ სამ ჯგუფად.

თითოეული კანონის პირველი ორი წგუფის, ანუ დიდების დასასრულს ასე ვლოცულობთ: წავიკითხო ფსალმუნები, შემდეგ ვამზობთ: დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ. ალილოუია, ალილოუია, ალილოუია, დიდება შენდა ღმერთო. ალილოუია, ალილოუია, ალილოუია, დიდება შენდა ღმერთო; ალილოუია, ალილოუია, ალილოუია, დიდება შენდა ღმერთო; უფალო შეგვიწყალებ, უფალო შეგვიწყალებ, უფალო შეგვიწყალებ. დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ. ამის შემდეგ განვაგრძობთ ფსალმუნთა ანუ შემდეგი დიდების კითხვას. როცა კანონის კითხვას დავასრულებთ, მაშინ ვიტყვით კვლავ დიდება-აწდას და-ალილოუია, ალილოუია, ალილოუია, დიდება შენდა ღმერთო; ალილოუია, ალილოუია, ალილოუია, დიდება შენდა ღმერთო, ალილოუია, ალილოუია, ალილოუია, დიდება შენდა ღმერთო ჩვენო, დიდება შენდა!

უკეთუ ვინმეს უშუალოდ ვახსენებთ კითხვისას საჩანძროთა ანუ განსვენებისათვის, მაშინ მიღებულ ლოცვებს ჩაურთავთ ან ყოველი დიდების შემდეგ, ან კანონის დასასრულს დიდების შემდეგ, როგორც მკითხველს ენებება. ეს ასე ხდება: როცა ვიტყვით დიდება-აწდას, ალილოუიას და შემდგომს, და ბოლოს კვლავ დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, - აქ წავიკითხავთ საჭირო ლოცვას სახელდებით მოხსენებით იმათი, ვისთვისაც ვლოცულობთ, შემდეგ განვაგრძობთ - აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ, - და განვაგრძობთ დავითნის კითხვას. უკეთუ ლოცვებს ჩაურთავთ კანონის დასასრულს, მაშინ ჩვეულებრივად დავასრულებთ დავითნის კანონს თავისი დიდება - აწდა და ალილოუიითი და სულ ბოლოს წავიკითხავთ ლოცვას.

ღმსვა მიხვადეხუღთათვის

მოიხსენე, უფალო, სულნი გარდაცვალებულთა მონათა და მხევალთა შენთანი, მშობელთა ჩემთანი და ყოველთა ტომ-მონათესავეთა ჩემთანი, სულიერთა და ხორციელთანი (აქ მოიხსენებთ სახელებით მათ, ვისთვისაც ლოცულობთ), და- სასოებით მკვლრებით აღდგომისა და საუკუნოჲსა ცხოვრებასა ზედა გარდაცვალებულთა მამათა, ძმათა, დედათა და დათა, მიუტყვენ მათ ყოველივე შეცოდებანი მათნი და მიეც მათ საუკუნო ხსენება.

ანუ ესე: წმიდათა თანა განუსვენე, ქრისტე ღმერთო, სულთა მონათა და მხევალთა შენთასა (აქ მოიხსენებთ სახელები), სადა იგი არა არს ჭირი, მწუხარება, არა ურვა, არცა სულთქმა, არამედ სიხარული და ცხოვრება იგი დაუსრულებელი.

ღმსვა სოხხადათვის

აცხოვნე, უფალო, და შეიწყალებ მშობელნი ჩემნი, ძმანი და ყოველნი ნათესავნი ჩემნი, სულიერნი და ხორციელნი (მოიხსენე სახელები), და ყოველნი მახლობელნი და მეგობარნი ჩემნი და მიანიჭე მათ მშვიდობა შენი და აღაგსენ იგინი ყოვლითა კეთილითა.

უკეთუ სასუღიერო პირთათვის ევედრებოდეთ, იტყვიით:

აცხოვნე, უფალო, და შეიწყალებ უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, დიდი მეუფე, მამაჲ ჩემნი ილია, ყოვლადამღვდელთანი მღვდელმთავარნი, პატრიოსანნი მღვდელნი და დიაკონნი (აქა თითოეული ხარისხის ხსენებისას ჩაურთავთ მათ სახელებს) და ყოველნივე ზიარნი ეკლესიისანი, რომელნი დაადგინენ მწყსად სიტყვიერთა ცხოვართა შენთა ზედა და ლოცვითა მათითა მეცა, ცოდვილი, შემცილები და მაცხოვნე.

დავითნის წაკითხვა-ლოცვა შეიძლება სრულიად წლის განმავლობაში, დღე-ღამის ნებისმიერ დროს, სახლში, ეკლესიაში და სხვა. გამონაკლისია ბრწყინვალე შევიდელი, ანუ აღდგომიდან პირველი კვირა, – შევიდელი. იმ დღეებში დავითნის კითხვა დაიწყება. შეიძლება მხოლოდ მიცვალებულთათვის ლოცვა და მამინაც სააღდგომო ცვლილებით, ანუ შემდეგნაირად:

ვიტყვიოთ – ლოცვითა წმიდათა მამათა ჩვენთათა... შემდეგ სამჯერ ვიგალობებთ: ქრისტე აღსდგა მკვდრეთით... აღარ ვიტყვიოთ "შეუფო მეცათაოს" და მის შემდგომ, "მამათ ჩვენს" ჩათვლით, არც მეტანიებს გადაკეთებთ, არამედ ვიტყვიოთ დასაწყისი ლოცვების შემდგომ სათქმელ ლოცვებს, ხოლო დავითნის კითხვის დასასრულს ვიგალობებთ კვლავ სამჯერ – ქრისტე აღსდგა მკვდრეთით..., სრულიად.

როცა დავითნს ვკითხულობთ საჭანმრთელოდ ანუ ზოგადად, მაშინ კითხვას ვიწყებთ პირველი კანონიდანვე, პირველი ფსალმუნით – "ნეტარ არს კაცი..."

უკეთუ მიცვალებულთათვის ვკითხულობდეთ, ქართულ ეკლესიაში ძველთაგანვე მიღებულია, რომ კითხვა დაიწყოთ მკ-17 კანონიდან – "ნეტარ არიან უბიწონი". რომლის დამთავრების შემდეგ კითხვას განვაგრძობთ უკვე პირველი კანონიდან და ასე დავასრულებთ დავითნს.

ყველა შემთხვევაში შეიძლება დავითნის ერთდროულად, მთლიანად წაკითხვა შეუსვენებლივ, ანდა დღეში ერთი ან რამოდენიმე კანონისა, ფაშგამოშვებით. ასეთ შემთხვევაში, როცა დავითნის კითხვას ხელახლა ვიწყებთ, თითოეული წაკითხვის წინ ზემოთ აღნიშნულ მოსამზადებელ ლოცვებს ვკითხულობთ, რომლის შემდეგ კითხვას განვაგრძობთ იმ ადგილიდან, რა ადგილზეც შევწყვიტეთ კითხვა.

უკეთუ დავითნს ერთ ადგილზე ჯგუფურად, ანუ შენაცვლებით კითხულობდნენ, მაშინ დამწყები მკითხველი ილოცავს მოსამზადებელ ლოცვებს, სხვები გულისყურით მოისმენენ და თანაილოცვენ, შემდეგ ერთი წაკითხვას დავითნის ერთ კანონს, მეორე წაკითხვას შემდგომს და ასე შემდეგ, ე.ი. ასეთ დროს თითოეული განმაგრძელებელი კითხვისაღ პირდაპირ განაგრძობს კითხვას, საგანგებოდ, ხელახალი სალოცავად მომზადების გარეშე.

ძველად მიღებული იყო და ახლაც შეიძლება, რომ ერისკაცებმა დავითნი წაკითხონ მიცვალებულთან ახლოს, მის დაკრძალვამდე და მთლიანად ორმოცი დღის განმავლობაში. ასეთ დროს დავითნს აკითხვინებენ პატრიარქის ცხოვრებით გამოჩენულ ერისკაცთ. მიცვალებულს ორმოცი დღის განმავლობაში მოიხსენებენ ხოლმე როგორც ახლადმიცვალებულს, ორმოცის შემდეგ კი მართლ სახელით.

მიცვალებულებს ვახსენებთ მათი სასულიერო ხარისხით, ან წოდებით, მაგალითად: კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემი, არქიმანდრიტი ევარგი, დეკანოზი ბიქტორი, მღვდელი თომა, პროტოდაკონი ამბროსი, იეროდიაკონი ნიკოლოზი, კერძოდაკონი მიხეილი, ბერი ისაია, მონაზონი სალომე და სხვა. ერისკაცებს მხოლოდ ვახსენებთ: მონა ღვთისა ნიკოლოზი, მხევალი ღვთისა მარიამი და სხვა. ბავშვებს შეიძლება წლის ასაკამდე ვახსენებთ – ჩვილი ნესტანი და სხვა. ზოგი ლოცვის დროს ახსენებს ხოლმე – მხედარო, წყალში დამხრჩვალყო და სხვა, მაგრამ მიცვალებულთა ასეთნაირად მოხსენება მართლმადიდებელ ეკლესიაში მიღებული არ არის.

აქ აღნიშნული წესით დავითნს კითხულობენ ერისკაცნი, მაგრამ ასევეა მიღებული წესი სასულიერო პირთათვისაც, ბერ-მონაზონთათვისაც, მორჩილთათვისა და განდევნილთათვისაც, უკეთუ ვინმე მათგანი ინებებს დავითნის თვისად კითხვას.

ვისწრაფოთ, ერნო, წინა-განსაზღვრებად მომავლისა უბიწოხსა, რამეთუ ფამი სინანულისა და დღეა ცხორებისა მონანულთა კელი მპყრობელი და განმწყმელითა თავთათა უნებელისა ღმრთეებისა კაცობრივი ვნებად აღვასრულოთ, რათა ესრეთ დაღაღებად შეუძლოთ: აღდგ, ღმერთო, შემოწყალენ ჩუენ და მიკსნენ ჩუენ სახელისა შენისათვის.

მსიერი რამ სწავლება აღსარების შესახებ

აღსარება განუყოფელია სინანულისაგან და იგი არის შვიდ საღმრთო საიდუმლოთაგანი. საიდუმლო იმიტომ ეწოდება, რომ წმიდა გულით მონანულ აღმსარებელზე იღუმალად გარდამოდის ღვთიური მადლი და იგი იღებს შენდობას და განიწმინდება ცოდვებისაგან.

აღსარებას ამბობს როგორც ყველა მორწმუნე ერისკაცი, ასევე თითოეული სასულიერო პირი, მიუხედავად მისი ხარისხისა. თითოეულ საერო თუ სასულიერო პირს უნდა ჰყავდეს მისი პირადი მოძღვარი მღვდელთაგან ან მღვდელმთავართაგან და მას უნდა განუღებდეს თავისი გულის კარებს, ეუბნებოდეს სინანულით თავის ცოდვებს და თავის ხორციელსა და სულიერ ცხოვრებას თავისი მოძღვრის სულიერ-მამობრივი ხელმძღვანელობით წარმართავდეს.

აღსარების თქმა აუცილებელია ზიარების წინ, მაგრამ ასევე აუცილებელია აღსარების თქმა რაც შეიძლება ხშირად, მაშინაც, როდესაც რაიმე ცოდვა დაამძიმებს ერისკაცსა თუ სასულიერო პირს და სხვა დღევანდელ, რათა მოძღვარმა უკეთესად წარმართოს მათი სულიერ-ხორციელი ცხოვრება.

აღმსარებელმა არა მარტო უნდა აღიაროს თავისი ცოდვები, არამედ იმავე ჟამს უნდა კიდევაც მოინანიოს ისინი. უკეთეს იგი მხოლოდ აღიარებს ცოდვებს, მაგრამ არ მოინანიებს, ასეთ შემთხვევაში იგი ვერ მიიღებს ცოდვათაგან გახსნასა და მიტევებას.

აუცილებლად საჭიროა, რომ აღსარების წინ მოძღვარმა აღმსარებელთ ულოცოს "პარაკლისი ღვთის-მშობელისა აღსარებასა ზედა ცოდვილისასა", რომელიც სწერია დიდ ქართულ კურთხევანში. პარაკლისი გადაიხდება როგორც ერთი, ასევე მრავალი აღმსარებლისათვის, მაგრამ ცოდვათა აღიარებას მოძღვარი უკვე თითოეულს ცალკე, საიდუმლოდ მოუსმენს, დამოძღვრავს და განაკანონებს. ამის შემდეგ მოძღვარი დაწესებულ ლოცვებს ყველას ერთდროულად წაუკითხავს. უკეთეს მოძღვრის შენდობით აღმსარებელი ეზიარება, წირვის შემდეგ მოძღვარი მზიარებელთ ყველას ერთად წაუკითხავს ლოცვას "შემდგომად ზიარებისა".

უკეთეს აღმსარებელს ზიარება ჰსურს, პარაკლისი აღმსარებელსა ზედა ილოცება წირვის წინა დღეს, ჩვეულებრივად - წინა საღამოს, ლოცვის შემდეგ, ან უფრო ადრე, მაგრამ წირვის დღეს, ზიარებამდე აღსარების მოქმელმა მაინც უნდა მიიღოს შენდობა მოძღვრისაგან, რადგანაც აღსარებიდან ზიარებამდე შეიძლება მან რაიმე ახალი ცოდვა ჰქმნას და საჭიროა სიფრთხილით მიღება ზიარებისა.

უკეთეს რაიმე საპატიო მიზეზით ვერ მოხერხდა ამ წესით აღსარების წინდაწინ თქმა (მაგ., უკეთეს ტაძრიდან ძალიან შორს ცხოვრობს მორწმუნე და მხოლოდ წირვის მოსასმენად მოდის და სხვა), ასეთ შემთხვევაში მოძღვარი უშუალოდ წირვის წინ ან განიცადეთა გალობის დროს იღებს აღსარებას მორწმუნეთაგან და თითოეულს წაუკითხავს შენდობის მცირე ლოცვას. ამავე ლოცვას წაუკითხავს მოძღვარი იმათაც, ვინც წინდაწინ სთქვას აღსარება და წირვის დღეს შენდობის მისაღებად მივიდნენ მასთან.

ლოცვა სინანულისა

უფალო და მეუფეთ ცხოვრებისა ჩემისაო, სულსა უქმობისასა, მიმომწველველობისასა, მთავრობის მოყვარებისასა და ცუდად მეტყველობისასა ნუ მიმცემ მე.

ხოლო სულის სიწმიდისა, სიმდაბლისა, მთმინებისა და სიყვარულისა მომმადლე მე, მონასა შენსა.

ჰე, უფალო და მეუფეო, მომანიჭე მე განცდად თვისთა ცოდვათა და არა განკითხვად ძმისა ჩემისა, რამეთუ კურთხეულ ხარ შენ უკუნითი უკუნისამდე.

ამინ.

მეჩვე უსაღმუნო *

1. სტრიქონი. დასასრულსა, საწნებელთათვის.

მერვე ფსალმუნი - საწინასწარმეტყველო. ამ ფსალმუნში წმ. დავითი მოგვითხრობს ღვთის ძის განხორციელებას, ქრისტეს სასუფეველის ქვეყანაზე გამოცხადებას, ამასთან ერთად, მომავალს საუკუნო სასუფეველს. ასეთ მნიშვნელობას აძლევენ ამ ფსალმუნს თვით ქრისტე და მოციქულები (მათ. 21, 16; 1 კორინთელ. 15, 24-28. ებრაელ. 2, 6, 8). ამ ფსალმუნს აწერია: დასასრულსა, საწნებელთათვის. წარწერა დასასრულსა, საღმრთო წერილის აღმსწრელთა სიტყვით, ნიშნავს, რომ მესიის ქვეყნად მოსვლისთანავე დასრულდება, გაუქმდება ჩვეულებრივი სჯული მოსესი, ასევე ნიშნავს ქვეყნის დასასრულს. საწნებელთ აქ წინასწარმეტყველნი უწოდებენ ღვთის ტაძრებს, რომელნიც განხეულნი არიან მთელი დედამიწის მურგზე. უფალი იესო ქრისტე არის ვენახის რტო, როგორც თვითონვე იგი უწოდებს თავის თავს სახარებაში; ქრისტეს მოციქულები არიან რტონი ამავე რტოში; ქრისტეს სარწმუნოება ნიშნავს ვენახის მტევნებს, რომელნიც, როცა გამოიწურება ტაძრებში, როგორც საწნებელში, გვაძლევს ქრისტეს სწავლის ღვინოს, რომელიც ახარებს მორწმუნეთა გულს. მაშასადამე, წინასწარმეტყველმა ეს ფსალმუნი იგალობა ამ სულიერ საწნებელთა, ე.ი. ქრისტეს ეკლესიათა პირით." ესე არს ძლიერი გამამტყუნებელი საბუთი იუდეელთა ურწმუნოებისა", იტყვის ნეტარი თეოდორიტი. ვინაიდან მათ ესმათ მრავალ საწნებელთა შესახებ, და ცხადათ უწოდენ, რომ მათ მიცემული ჰქონდათ ერთი ვითარიმე საწნებელი, მაგრამ მაინც არა სურთ შეიგნონ, რომ ძველი გათავდა, მოისპო, გამოცხადდა მადლი ახალი აღთქმისა, რომელიც ყველა ხალხს მოუწოდებს სასუფეველისადმი. ამიტომაც, არა ძველი სჯულისამებრ და არა მარტო ერთი სამსხვერპლის წინ მღვდლები შთადებენ საწნებელში კაცთა ნაყოფს, არამედ მრავალრიცხოვანს ტაძრებში, რომელნიც აღმწებულნი არიან ხმელეთსა და ზღვათა-ზედა.

დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის ღვთის ტაძარს. კაცი, რომელიც შექმნილია არა ქვეყნისათვის, არამედ ცისათვის, გრძობს აუცილებელ საჭიროებას და ღვთისთვის დაუახლოვდეს სულიერ ქვეყანას - ღმერთს და ანგელოსებს. და ისე ვერსად ვერ დაუახლოვდება კაცი უფალს და წმიდანებს, როგორც ტაძარში. თავისი განსაკუთრებული შენობით, მორთულობით, მყუდროობით და იმით, რომ იგი მოწოდებულია ყოველივე ქვეყნიურს ბრუნვას, ღვთის ტაძარი ხელს გვიწყობს, დროებით მაინც, რამდენიმე წამით დაუტევით ქვეყნიური საქმეები და ბრუნვა, გავისხნით ღმერთი, მერვე უსრულესი და საუკუნო ცხოვრება. ღვთის ტაძარში ჩვენ მიერ გაგონილი ღვთის სიტყვა, დიდებული ღვთის მსახურება. საღმრთო შემთხვევათა გამოხატვა და ღვთის მოსავთა ცხოვრება სინამდვილით გვიხატვენ ღვთის დიდებას, მის სიწმიდეს, სიბრძნეს, მოწყალებას, და სხვათა მის სისრულითა, აღავსებენ ჩვენს გულს დიდის სიხარულით და ხელს გვიწყობენ ვადილოთ ჩვენი შემომქმედი, უფალი და გამგე ანგელოსთა და კაცთათვის, რომელთაც მინიჭებული აქვსთ გონიერი სული, აუცილებელ საჭიროებას შეადგენს დიდება და ქება უფლისა, რომელიც არის წყარო ყოვლისა სიხარულისა და ნეტარებისა. ყოველსავე სადიდებლად ღმერთისა იქმნეთ (ეკორინ. 10, 31), იტყვის მოციქული. ღვთის დიდება უნდა შეადგენდეს ჩვენთვის მთელი ჩვენი ცხოვრების დასაწყისს და დასასრულს; ყოველივე ჩვენი აზრი, სიტყვანი და საქმენი მიმართული უნდა გვექნოდეს ღვთის სადიდებლად. ღმერთს კი არ ესაჭიროება ჩვენი დიდება, არამედ ჩვენ თვითონ. ღვთის დიდება შეადგენს ანგელოსთა და წმიდანებისათვის ცაში განსაკუთრებულ მეცადინეობას და ეს დიდება არის წყარო მათი ნეტარებისა; - მხოლოდ ამ უფლის დიდებას შეუძლია აღავსოს ჩვენი გულიც გამოუთქმელი სიხარულით და

* ფ. "შწყმისი", 7, 1895

მოგვანიჭოს ჩვენ ნეტარება. სერაფიმთა ცხოვრების უმაღლეს და შესაფერს მიზანს შეადგენს, აშშობს წმ. ვასილი დიდი, რათა მათ თავისი გონება მიმართონ ღვთის მშვენიერებას და განუწყვეტლად აღიღებდნენ უფალსა. ჩვენთა ერთობა, ჩვენზე ზრუნვა სერაფიმთათვის შეადგენს გარეშე საქმეს. წინასწარმეტყველმა (ისაია) როცა იხილა სერაფიმთა მოღვაწეობა, რომელნიც მარტო აღიღებენ უფალს, მხოლოდ მაშინ მოეგო ჭკუას და იგრძნო თავის პირის უწმინდურობა; რადგან იგი იტყვის როგორც კაცი და ხშირად შეაგინებს თავის ყნას საუბრებით ქვეყნიურ ამაოებათა გამო.

იმ კაცებს, რომელნიც გართულნი არიან ქვეყნიური ამაოებით, რომელნიც მხოლოდ ამ ქვეყანაზე ფიქრობენ, ქვეყნიურ საქიროებათა ზრუნვაში არიან, რომელნიც მუდამ იმაზე ზრუნავენ, რომ, რაც შეიძლება, უკეთესად მოეწყონ და მუდამ სიამოვნებაში იყვნენ, ვერ გაუგიათ, თუ უფლის ქება-დიდება, ქებითი საგალობლები, მოწიწებითი თაყვანისცემა და მსახურება ღვთისა შეადგენს ერთადერთ საგანს და მეცადინეობას ანგელოსთა და წმიდა კაცთათვის და ან ყოველივე ეს როგორ შეადგენს წყაროს მათი ნეტარებისას. ესეთი კაცები იმდენად დაბრმავებულნი და გულქვანი არიან, რომ არ სწამთ, თუ წმიდანები მუდამ აღიღებენ უფალს ცაში, ეს შეუძლებლად და უბრალოდ ღვთის დაკარგვად მიაჩნიათ. მაგრამ ერთი ამ ბრძნითა დაიხილონ თავის თავზე, მიაქციონ ყურადღება, თუ რაზეა მიქცეული ყოველივე მათი ზრუნვა და შფოთვა, ყოველივე მათი ღონე, ზოლოს რას იღებენ ყოველივე ამაებისაგან. ვთქვათ, მათ, როგორც იქნა, ზოლოს თავისი საქმე რიგიანად მოაწყვეს, უზრუნველად სჭამენ და სმენ, მხიარულობენ; შეიმოსენ პატივითა, მიიღეს უფროსობა, შეიქმნენ გამოჩენილნი და დიდებულნი და სხვ. რაი მერე? განა ამით მათ სრული კმაყოფილება მიიღეს? დაკმაყოფილებულნი ან ბედნიერნი არიან ისინი? სრულიად არა. არავითარიმე ქვეყნიურით კაცს არ შეუძლია დააქუმოს თავის თავში შინაგანი ხმა, რომელიც სულ სხვას ითხოვს, - და დაღლა და მოწყენილობა კარგათ შეგნებული აქვს ყველას, ვინაც ამ ქვეყნის მეტი არაფერი არ იცის და არც უნდა იცოდეს. კაცთ არ შეუძლიათ, კიდევ რომ უმაღლეს ხარისხზე იდგნენ ისინი, შესცვალონ ყოველთათვის საგალობლო სჯული, რომლის ძალით კაცი, დღეს დიდებული, ძლიერი და პატივცემული ყველასაგან, ხვალ მხოლოდ უსულგული მძოვრი სძევს, რომელსაც ყველანი გაურბიან და მალე ივიწყებენ. ხშირად დიდ და აუტანელს შრომას და მიუღს სიცოცხლეს სამწუხარო შედეგი მოელოს. ამიტომ უბრალოდ ღვთის დაკარგვად უნდა მიგვაჩინდეს, როცა ვცდილობთ, რომ რაც შეიძლება

უკეთესად მოვეწყოთ ქვეყანაზე.

ქვეყნიურ ამაოებასა შინა გართულნი კაცნი გაკვირვებულნი არიან და ვერ გაუგიათ, თუ კეთილშინაობის კაცნი როგორ ნახულობენ სიხარულს და ბედნიერებას ღვთის დიდებაში; ამავე დროს ეს პირნი აღტაცებაში მოჰყავს სხვადასხვა ხელოვნებას, რომელთა შესასწავლად ისინი ჰკარგვენ საკმაოდ დიდ დროს; აქებენ კაცთა, რომელთაც რაიმე შესანიშნავი ნიჭი აქვთ, დიდის პატივით ეპყრობიან მათ, და ძვირფასად მიაჩნიათ მათი ნაცნობობა. რა ეძინებათ მათ აქედან? განა სულ უბრალოდ არ ჰკარგვენ ისინი დროს? არა, ასეთი მეცადინეობა მათ უბრალოდ დროის დაკარგვად არ მიაჩნიათ და ამით კიდევ უფრო ამტკიცებენ, რომ უგრძობობად ეკიდებიან სულიერ საგნებს, და თავიანთი უნიჭობისა გამო არ შეუძლიათ შეიგნონ ის უმაღლესი სიამოვნება, რომელიც აღაფხვბს წმიდანების სულს, როცა ისინი ხედვენ უფლის სისრულეთ, მის ქველმოქმედებას ყოველთა ქმნილებისადმი და განსაკუთრებით კაცთადმი. იმიტომაც ჰხადვენ ჩვენში განკვირვებას და სიხარულს ის კაცები, რომელნიც შესანიშნავნი არიან თავიანთი ნიჭით და ხელოვნური ნაწარმოებნი, რომელნიც აღვიძებენ ჩვენს სულს, აღძრავენ მასში უკეთეს მხარეთა, ამცნებენ მას, რომ მარტო ქვეყნიურზე კი არ უნდა ვზრუნავდეთ, არამედ უნდა ვიცოდეთ, რომ არის უფრო უმაღლესი, უფრო სასიხარულო, ვინემ სასმელ-საჭმელის უხვობა, მდიდრული ტანსაცმელი და საცხოვრებელი სახლები და ყოველივე ქვეყნიური ამაოება. თუკი კაცის სხვადასხვა ხელობის ნაწარმოებნი, კიდევ რომ ეს ნაწარმოებნი ნაკლებიც იყვნენ, გვასიამოვნებენ, გვაკვირვებენ, აღტაცებაში მოვყავართ ჩვენ, ასე რომ, ვიც კი შეგვიძლია არ ვაჭოთ ისინი, მას როგორ არ უნდა აღიფხვბოს ჩვენი გული გაკვირვებით და აღტაცებით, როცა ვხედავთ უფლის უღრმეს სისრულეთა? წარმოდგენა და განჭვრეტა ღვთის დიდებისა, მისი სიწმიდისა, სიბრძნისა, ყოველად შემძლებლობისა, მოწყალებისა, სიმათლისა და სხვათა ისეთი სისრულით და სავსებით იპყრობენ წმინდანების სულს, რომ მას, სულს, დროც აღარ რჩება სხვა რამისთვის; ყოველივე ესეები ისეთის სიამოვნებით აღაფხვბენ წმინდანების სულს, რომ მას მუდამ სურს სჭვრეტდეს ღვთის სისრულეთ და სურს მუდამ იგი აღიღოს, ასევე მოგვდის ხოლმე ჩვენც, როცა რაიმე მიზეზისა გამო იძულებულნი ვართ ჩვენს საყვარელს საგანს თავი დავანებოთ და სხვა საგანს მივჰყვით ხელი. განსაკუთრებით ეს მოდის კეთილშინაობის კაცის სულს - ე.ი. უარ-ჰყოს ყოველივე ქვეყნიური და უგალობის ღმერთის დიდებითი საგალობლები, - აშშობს წმ. ოქროპირი. ვინაიდან დიდ არს არსება მისი, ამიტომაც


შეშენის ღმერთს ჩვენგან ქება, კურთხევა, მუდმივი მადლობა, სამსახური და განუწყვეტელი თაყვანისცემა. ღვთისათვის საჭირო არ არის არც ჩვენი ქება, არც კურთხევა; მის ღიღებს არაფერი არ ემატება მის მისამსახურეთა ღიღებისაგან; ვინაიდან არსება მისი უცვალეველია, ყოვლად კმაყოფილია და არაფერს არ საჭიროებს; მხოლოდ მისი მაქებელი თვითონვე შეიქმნებიან ჩინებულნი.

რომ უფლის ღიღებაში კაცმა იგრძნოს თავისი სიხარული და ნეტარება, ამისათვის საჭიროა განათლება გონებისა და განწმენდა გულისა, და ღვთის ტაძარში ჩვენ ამისათვის ყოველივე საშუალება გვეძლევა. ტაძარში ქრისტე მაცხოვრის და მოციქულების სიტყვა გვასწავებს, ვიცნათ ღმერთი და მისი წმიდა ნება; გვაძლევს ჩვენ სრულს და თვალსაჩინო ცოდნას ღვთის გამოუთქმელ სისრულეთა შესახებ და მის აღურაცხელ ქელის მოქმედებაზე; გვიჩვენებს ჩვენ ჭეშმარიტს მიზანს ჩვენი არსებობისას, საუკუნო ნეტარებას, და ცხადად

გვიჩვენებს იმ გზას, რომელსაც ამ მიზნისაკენ მივყავართ; ტაძარში უფლის მადლი წმიდა საიდუმლოებით უხილავად სწმენდს ჩვენს გულს ცოდვებისაგან, არბილებს, ნიჭიერ ჰყოფს შეიყვაროს კეთილი; ამტკიცებს ჩვენში კეთილ მიმართულებათა, გვაძლევს ჩვენ ძალას ვებრძოლოთ და ვსძლიოთ ჩვენი ცხოვრების მტერთ - საკუთარი სხეული, ეშმაკი და ქვეყანა. როცა სხვადასხვა ვნებათაგან ვართ შეპყრობილი, როცა სხვადასხვა უბედურებანი, სენნი და მწუხარებანი გვეწვევა, ჩვენ გარეშე ეკლესიისა ვერსად ვერ ვპოვებთ ისეთ შემწეობას, ნუგეშს და მოსვენებას, როგორც ტაძარში, მხურვალე ლოცვაში ჩვენი ქრისტე მაცხოვრის ჭვარის ფერხთა წინაშე და ამ მყუდრო სადგურში, რომელიც გვიფარავს ყოველივე ქვეყნიური უბედურებისაგან და გვასწავლის ვმადლობდეთ და ვადიდებდეთ უფალს ყოველივე მისთვის, რაიცა კი მან თავის ნებით მოგვივლინა ჩვენ ამქვეყნიური ცხოვრების დროს ("კომჩი" N9).

დასასრულსა, საწინებამთავრის, ფსალმუნი დაპითისი

1. უფალო, უფალო ჩუენო, ვითარ საკვირველ არს სახელი შენი ყოველსავე ქუეყანასა ზედა, რამეთუ ამაღლდა ღიღად შუენიერებაჲ შენი ზესენელს ცათა.
2. პირითა ყრმათა ჩივილთა მწოვართათა დაამტკიცე ქებაჲ მტერთა შენათვის, რათამცა დაიხსნა მტერი იგი შურის მგებელი.
3. რამეთუ ვიხილე მე ცანი, ქმნულნი თითთა შენთანი, მთოვარე და ვარსკვლავები, რომელ შენ დააფუძნენ.
4. რაჲ არს კაცი, რამეთუ მოიხსენე მისი ანუ ძე კაცისაჲ, რამეთუ მოხედავ მას ?
5. დააკლე იგი მცირედ რაიმე ანგელოზთა, ღიღებითა და პატივითა გვირგვინოსან ჰყავ იგი.
6. დაადგინე იგი ზედა ქმნულსა ხელთა შენთასა, ყოველივე დაუმორჩილე ქუეშე ფერხთა მისთა.
7. ცხოვარი და ზრთხაჲ ყოველივე, მერმეცა და პირუტყუნი ველისანი.
8. მფრინველნი ცისანი და თევზნი ზღვისანი, რავდენნი ვლენან აღაგებსა მას ზღუათასა.
9. უფალო, უფალო ჩუენო, ვითარ საკვირველ არს სახელი შენი ყოველსა ქუეყანასა ზედა.



აღმოსავლეთ მთიანეთის რელიგიურ ყოფაში გავრცელებულია ერთი საწესო ლექსი, რომელიც ყუ რადღებდა იპყრობს თავისი სიმბოლიკით; მოგვყავს მისი ერთ-ერთი ვარიანტი:

**"ღღესამ ღღეზა ვისია, წმინდისი
გიორგისია.
გიორგი გალაჟანზედა უქამრო იარებოდა.
გიორგის გაღმონავაღზე ხე ალვად
ამოსულიყო.
იმას მოესხა ყურძენი, საქმელად
მოწვეულიყო.
იმის შემცოდე ქალ-ვაჟი უდროოდ
დაშაულიყო."
(ქმ 1, 50-გ)**

ეს საწესო ლექსი რიტუალურ ვითარებაში სრულდებოდა მთიელ საყმითა მფარველი ღვთისშვილების ღღეზებზე. ლექსის პირველი სტრიქონი მოყმეთა შეგნებაში აფიქსირებს რა წმიდა ღღეს - ღვთისშვილის, იგივე "ჯვარის" ან "ხატის" ღღეზებას, შინაარსობრივად წყდება ისტორიულ რეალობას და გადადის მითოსურ, ადგილობრივთა ტერმინოლოგიით - ანდრეზულ სინამდვილეში, რათა ახალი ძალით გააცოცხლოს ხატობაზე თავმოყრილი მორწმუნეთა რელიგიურ განცდაში ის, რაც ამ საღღესასწაულთა ღღეს მომდარა საყმის ისტორიის დასაბამს.

რიტუალთა არსებითი ფუნქცია ხომ საკრალური სინამდვილის განახლება-გაცოცხლებაა ისტორიული დრო-ჟამის ყოვლისწარმხოცველ მდინარებაში.

მთაში, როგორც ამას ანდრეზები გადმოსცემენ, საზოგადოებრივი ცხოვრების წარმართვა შესაძლებელი გამბდარა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ღვთისშვილებს ჯვრის სახელით გაუმართავთ ზრძოლა ადგილობრივ ღღეკერებთან და, ღვთის შეწვევით, ერთიანად გაუხადგურებიათ ისინი /ალ.ოხიაური, საქ. მეც. აკად. ისტორიის ინსტ. ეთნოგრაფიის განყოფილება, არქივი M15/. ლექსის მომღვეთ სტრიქონი ღვთისშვილს წარმოადგებს სწორედ ტრიუმფის ღღეს, როცა მას შეხსნილი აქვს საზრძოლო ქამარი, როგორც ეს ომიდან გამარჯვებით დაბრუნებულს შეეფერება: "გიორგი გალაჟანზედა უქამრო იარებოდა სარტყლის შეხსნა ხომ ზრძოლის დამთავრების ნიშანია, საპირისპიროდ სარტყლის შეხმისა, რაც თმისთვის მზადებას აღნიშნავს ("ეშაღე, გუდანის ჯვარო, წელთ შამორტყი ხმალთა!" ქმ 1, 68-ღ).

მართლაც, ღვთისშვილის ღღეზობაზე მოსულ მოყმეთ საწესო ლექსი უპირველესად უნდა ახსენებდეს ჯვრის იმ გადამწვევტ გამარჯვებას, რომელიც განაპირობებდა თვით საყმითა დაარსებას. "აკურთხა ღმერთმა მეშვიდე ღღე და წმიდაჰყო იგი, რადგან-აც ამ ღღეს დაისვენა ღმერთმა ყოველი საქმისაგან" (ღმბ.2,3). ანალოგიურად, წმიდაქმნილა და საღღესასწაულო უქმედ დაწესებულა მთიელ საყმითათვის ის ღღე, როცა მებრძოლ ღვთისშვილს დაუსვენია "ყოველი საქმისაგან", როცა მას ღღეკერებისაგან განუწმინდავს ქვეყანა. ამ კურთხეულ ღღეს მნიშვნელოვან სასწაულს უჩენია თავი: გიორგის გაღმონავაღზე ხე ალვად ამოსულიყო." ჯვრის გამარჯვების ღღეს ალვად ამომრძილი ხე შეუძლებელია არ დავაკავშიროთ ალვას მიმგავსებულ იმ საოცარ ხესთან, რომელმაც თავისი- სასწაულმოქმედებით ახლადმოქცეულ მცხეთელთა ყურადღება მიიმყრო, და რომელმაც სასულიერო პირმა შეიცნო საღვთო განგებით ამოსული ხე-ხე, რომლისგანაც უნდა და მზადებულიყო და მცხეთაში აღმართულიყო ცხოველმყოფელი ჯვრის პირველი ნიში: "...ღმრთისაგან აღმოცენდა ხე იგი დამარხული ჟამისა ამისთვის. რამეთუ აწ მოეფინა მადლი ღმრთისა ქართლისა, და მის ხისგან ჯერ არს შექმნად ჯუარი პატიოსანი, რომელსა თაყუანი-სცეს ყოველმან სიმრავლეჲმან ქართლისამან" (ქ. ცხ. 1, გვ.119).

აი, როგორია ეს ხე ქართლის მოქცევის ამსახველი ტექსტების აღწერილობით: "და შემოკრება ყრი ხილვად მწუანის ფერობასა მას და ფურკლიანობასა, ჟამსა შამორისასა, ოღეს სხუა ყოველი ხე ხმელ იყო, ხოლო ესე ფურცელ-დაუცვხელი, სულამო და სახილველად შეენიერი... და იყო ხილვა მისი შეუნიერი, ვითარცა სმებით ვიცით, ხისა მის ალვი

სა" (ქცხ.1. გვ.119-120).

შემთხვევითი არ არის, რომ აქ მოყვანილ ნაწი-
ყვეტში ყურადღება გამახვილებულია ხის უჭებზე
ბუნებაზე: - უჭებობლობა, როგორც ხეში დაუხტებუ-
ლი ცხოველმყოფელი სულის გამოვლინება, მიმანიძ-
ნებელია მის ბეციურ წარმომავლობაზე. აქ ქრისტი-
ანული სიმბოლოებში აგრძელებს იუდაურ ტრადიცი-
ას, სადაც მარადმწვანე ხე, როგორც ხე უჭებობი
და სულის მარადიული ცხოველმყოფელობის გამოხ-
ატველი, საღვთო ხერგად შეირაცხება (ფს.1-3:92-13,
14; ფს. 60, 13). მარადმწვანე ხის ამ რელიგიურ-სი-
მბოლოური გააზრების გამოა, რომ ქრისტიანულ ტრ-
ადიციაში მითრის სასწაული უპირატესად მას უკ-
ავძირდება: მითრის ხომ, როგორც უჭებობლობა, ხე-
ში დავანებულ ღვთიური სულის ერთ-ერთი გამოვ-
ლინებაა. გადისწევით ქრისტეს კვართზე აღმოცენებ-
ული მარადმწვანე ხე, რომლისგან მოჭრილი სვეტი
გახდა მითრისმღები. (მასზე უნდა მიანიშნებდეს სვე-
ტიცხოვლის ერთ-ერთ სატაძრო ღვთობე გამოხატუ-
ლი გიროვანი ხე). ამ ტრადიციიდან მომდინარეო-
ბს, რომ ჩვენში კვიპაროზს, იგივე ალვის ხეს
(იხ. სიტყვის კონა), მარადმწვანე ხის ამ გამოხატუ-
ლ სახეობას, "მითრის ხეს" უწოდებდნენ
(იხ. ალმაყაშვილი, ბოტ. ლექსიკ. 1961, "პირამიდული
კვიპაროზი"). აქედან არის ისიც, რომ მთიფითა
პეპირსიტყვიერებაში სწორედ ალვის ხეა მითრისმღ-
ენი ხე:

ქრისტიანობის წესზედა კარს ვდგეს
ალვის ხენია,
ბეცილან გადმოსთხილი შიში
ცხრა - კვეცი გრძელია.
მაგას ჩამოსდის მითრისი, ძირს
უდგა დიდი ქვევრია.
(ქმ, 154 ხვ.)

ზოგიერთი ვარიანტით ალვას პირდაპირ მითრ-
ის ხედ იხსენიებენ: "ვერ დამდინარა ქალ-ვაჟი, შიგ
მდგარან მითრის ხენიო" (ქმ, 154 ხ.).

ვიღროე საწესო ღეჟს დაუბრუნდებოდიო, გვირ-
და ყურადღება შევასეროთ ალვის ხის იმ სიმანტიკ-
ურ მნიშვნელობაზე, რომელიც შექმნილია იუდა-
ნაწიყვეტში მიენიჭება მას.

ხათელია, რომ ხე ალვა, რომელსაც აღწერილი
უჭებობი ხე ედარება, ტექსტში ფიგურირებს მარა-
დმწვანე ხის სემანტიკური მნიშვნელობით. როგორ
მოხდა, რომ სურნელოვანებით განთქმული და ღვ-
თისსახურებაში ფართოდ გამოყენებული საკმელოს
მცენარის აღმნიშვნელი სიტყვა "ალვა" (იგივე
"ალო" alo. იხ. ძვ. ქართ. ენის ლექსიკონი) ჩვენში
მარადმწვანე ხის მნიშვნელობასაც ატარებს? ჩვენი
აზრით, ეს განაპირობა ამ სიტყვის საწვარე ხის
კონტექსტში მოხვედრამ, სადაც, ჩანს გაუკუ-ბრობის
საფუძველზე, იგი სემანტიკურად გაიგივდა იქ აღწე-
რილ უჭებობ ხესთან. სიტყვა "ალვის" ამ სემანტიკ-
ურ გადანაცვლებას ცხადყოფს ტექსტის მრთველის-
ეული და მატერიალური ვარიანტების ერთმანეთ-
თან შედარება: "და იყო ხილვა მის შეცნიერ და

სულ-ამო, ვითარც სმენით ვიცით, ხისა მის ალვი-
სა." (შტ. კრ. გვ. 348). ამ კონტექსტის მიხედვით
ალვა საკმელოს მცენარე ალოა, რაკი აჯვარე ხე
მას კერძო თვისებით - სურნელოვნებით ედარება,
და არა მთლიანი გარეგნობით, როგორც ეს არის
მრთველისეულ ვარიანტში: "და იყო ხილვა მისი
შეცნიერ, ვითარცა სმენით ვიცით, ხისა მის ალვი-
სა." (ქცხ.1. გვ. 119-120). ჩვენი ვარაუდით, ალვის ხემ
ქართულ სიტყვიერებაში სურნელ-საკმელოს მცენარ-
ის მნიშვნელობის გვერდით მარადმწვანე ხის მნიშ-
ვნელობაც შეიძინა, როგორც შემთავაზების მხე, სა-
წვარე ხის კონტექსტში მოხვედრით გამოწვეული აღ-
რევის საფუძველზე.

გარდა მარადმწვანე ხის სემანტიკური მნიშვნე-
ლობისა, ალვის ხეს, საწვარე ხის რელიგიურ-სიმბო-
ლოურ კონტექსტში საღვთო ხის სიმბოლოური მნიშვნე-
ლობაც მიენიჭება. ჩვენი აზრით სწორედ ეს რელი-
გიური კონტექსტია ის პირველწყარო, საიდანაც
წარმოიშვა ქართულ სიტყვიერებაში საუფლო ხერგ-
ის ღირებულებით გავრცელებული ალვის ხის სახე-
დასმენით, რომ მხედველობაში გვაქვს ალვის ხე -
სიმბოლო, მატარებელი ღრმა რელიგიური მნიშვნე-
ლობისა და არა სიტყვიერებაში ასევე ფართოდ გა-
ვრცელებული, მხოლოდ გარეგნულ თვისებაზე მიმანი-
შნებელი ალვის ხე - მეტაფორა, რომელიც, საწ-
ვარეულია, სიმბოლოს ზედამხედველი გაგების, მისი სი-
ლისმისეული აზრის უგულებელყოფის შედეგად წარ-
მოიშვა.

დაუბრუნდეთ საწესო ღეჟს. ღვთისმშვილის
"გადმონავალზე", ე.ი. ბეციური არსების ფეხბოკიდებ-
ით წმინდაქმნილ ადვილზე ამოზრდილი ხე, კულტ-
ის გენეზისის ღინამიკაში წარმოდგენილი, სტატორ
მღვთმარეობაში ცისა და მიწის შემაკავშირებლად
იხილვება:

ამანდ რო ალვისხენი დგან, ცას
მისწვდენია წვერია.
ციხესა ალვის ხეებსა შიშით ცასა
აქვს წვერია.
ზედ ანგელომებ დადიან, მაგათ თეთრს
ჰქონდეთ თხენია,
ეგენ წვერილი ხმით გალობენ, - ყურება
სანატრელია.
(ქმ, II, 154-დ).

ქვარის დეკორატივზე გამარჯვებისას ცისა და
მიწის შემკერთებელი ხის აღმოცენებას უნდა მოეს-
წავებინა სამყაროული წესრიგის აღდგენა - ღვთის-
მშვილთა მიერ განსწმენილ-განახლებული წუთისოფ-
ლის ღვთიურ საწყისთან შეკავშირება ანუ რელიგი-
ის დასახამი.

რელიგიის დაფუძნების ნიშნად, მთიელთა სიმბ-
ოლოური ამოვანებისათვის ხის აღმოცენება არ არის
უცხო, რასაც ადასტურებს მთაში ერთზე გავრცე-
ლებული მოტივი: "იყოთვანისა, რომლის მიხედვითაც
კერამი ამოღო იფნის ხე, ნიშნად იმისა, რომ ეს
ადგილი არის წმიდა, განმსჭვალული ბეციური ძა-
ლით, და საჭიროებს საერო ყოფა-ცხოვრებიდან გამ-
იქნას. მაგრამ თუკი ადგილობრივ ფლორაში გავრ-
ცელებული ხის ჭიშის - იფნის აღმოცენება ამა-
თუ იმ კერძო სალოცავის დაარსებას უკავშირდება,

* ეს მასალა მოგვაწოდა ნელი ზელოშვილმა, რისთვისაც
გულითად მადლობას მოვასწენებო.

რაც შესაძლოა ხორციელდებოდეს ისტორიულ ხანაშიც, - მისტიური ალვის ხის ამომრდა წარმოსდგეზა, როგორც ანდრეშულ ხანაში გამოვლენილი უნიკალური სასწაული, მთაში ჭერის რელიგიის პირველდამკვიდრების მაუსწავებელი. ეს უნდა განაპირობებდეს ანალოგიას, რომელსაც არაერთი ასპექტით აღვლენს იგი ცხოველმყოფელ სუეტთან, ქრისტეს კართმე აღმოცენებული მარადმწვანე ხის ამ წმინდა მონაჭერთან, რომელიც ასევე ჭერის რელიგიის პირველდამკვიდრების მომასწავლებელი სასწაულებრივი ხიშია:

"...გინაროდენ უფროსად ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისა შახეველო, ქუეყანით აღმოცენებულისა და ზეცას აღმწუერვალეზულისა, რომელმან ღმერთსა შეგუერთინა, გინაროდენ სუეტო ცხოველო... გინაროდენ სუეტო, რამეთუ ეღვეზნ ჰბრწყინავ შორის ცისა და ქუეყანისა, და სიყუარულისა მიერ შეგუერთან და შეგუერთებინან ზეცისა და ქუეყანისანი. (ძვ.ქართ.ქრესტ., გვ.386). როგორ ეპასუხება მისტიურ ჭერეტაში გამოთქმულ ამ სიტყვებს ხალხურ კალთმე ნათქვამი ლექსის სიტყვები თქონს ჭაჭუთი ცას გამობზული ალვის ხისა და მასზე მოთმეგვლი და საამურად მგალობელი თეთრფრთიანი ანგელოზების შესახებ!

სასწაულებრივი აღმართვით ცისა და მიწის გამართანებელი სუეტი მირონმდენია:

"...გინაროდენ, რომელ ჰკოთევი ეღვის სახელ, და წმიდასა მიპრონსა უწყაროებ მორწმუნეთა! არამზისა ზომონსა პირველ ყრმანი დააიკლოდეს და ტირიოდეს ხოლო აწ სუეტსა წინამე, ეშაბზა შინა ხათელ იღებენ" (ზემით დას.).

მირონმდენი სუეტი, როგორც რელიგიის გენეზისში გამოვლენილი პიეროფანია, იმ წმიდათაწმიდა შუაგულს უჭინს, საიდანაც განგების ძალით უნდა გამოლიდოთ ახლადმოქცეული მოსახლეობის ქრისტიანული ყოფა-ცხოვრება. ასეთ შუაგულად წარმოგვიდგება ანდრეშით მირონმდენი ალვის ხეც, რომლის წიაღიდანაც თავთავიანთ საყმობში ღვთისმშვილეს გააქეთ კულტის წარმართვისათვის აუცილებელი ძირინი:

"ამ ხმალაში მდგარ ერთი ძალიან მაღალი ალვის ხეი. ამ ალვის ხეს მირონივ გამამდენივ. ამ ალვის ხეს ძირში დარანი ხქონისავად... ალვის ხის ძირი შიგ ამ დარანში ყოფილასად ამ დარანს საფარველ სდებნივ. გახუა რო ყოფილ ხეთეშაური, ის ანგელოზთან წილნაყარ ყოფილად იმათან უღლავ. ერთხან გუდანის ჭვარს მიუყვანავ, გახუა ხმალაშიად ჩაუხეზნავ დარანში... ათასის რივის ხთიშვილნ აღჩადიოდესაოდ. გახქონდავ მირონივ. ალვის ხეს დაჭკლეულ ხქონდაოდ იქით გადმადიოდავ მირონივ, ძირშიავ ქოთან ედგაოდ, რომელნიც ხთიშვილნ მაკიდადავ; მახქონდავ სამირონე თქონს ზოთლებიოჲ. ის ანგელოზთივ უხბემადავ მირონისაოდ ისტურ მრებლივ ყველასავ..." (M., 17, 572-573).

ეს ნაწყვეტი, მოხმობილი აღ.ოიიაურის მიერ შეგროვილი უნიკალური მასალებიდან, ცხადყოფს სუეტაცხოვლისა და ალვის ხის, თითქოს ერთმანეთთან სრულებით დაუკავშირებელი ამ ორი რელიგიური შუაგულის არსობრივ ერთგვარობასა და სავრ-

თი ქრისტიანული ტრადიციიდან მომდინარეობას.*

ცხოველ სუეტს, როგორც ცისა და მიწის გამართანებელს, ონტოლოგიური მნიშვნელობა მიეზიჭება. "სუეტო, სიმტკიცეო ჩუენო" - ამბობს საგალობელი. ქვეყანა ბოროტ ძალთაგან წაილეკება და დაირბევა, ვიდრე სუეტი წაქცეულია. (იხ.ქ.ცხ.ი.გვ.112-113), ხოლო როდესაც იგი ზეციური არსების მიერ ნათლით გაბრწყინებული ცად აღიმართება და "ცეცხლის სახელ" უკანვე დაედგმება "მონაკუეთსა მელა ძირსა ნაძვასა" (იქვე, გვ.114), დამხვრეული სამყარო თითქოს აღიდგენს პირველქმნილ სახეს, ("და ნეტარ იყო მას ჟამსა შინა" იქვე, გვ. 114).

მთილთა რელიგიურ განცდაში იგივე სასიცოცხლო მნიშვნელობა მიეზიჭება ალვასაც, რასაც ამოწმებს ზემოთ ციტირებულ ანდრეშში გადმოცემული ამბავი: მთიელთა დაპყრობის სურვილით აღძრული მტერი, როს ზრძოლით ვერაფერს გახდებდა, შეიტყობს რომ მთიელთა ძალას ალვის ხე ქმნის და გადაწყვეტს მის მოჭრას, მაგრამ ამაოდ: "ცულომა ალვის ხე არ ვასჭრა, ქრისტეც, ძალა თუ შენია" (ქა. II, 156-გ). მაგრამ მოლაღატის მიერ მასწაველი ხერხით, რაც ვულისხმობს უწმინდური მსხვერპლით ხის სიწმინდის შელახვას, იგი ზოლოსდაზოლოს საწადელს მიადწევს და ხეს მოჭრის, მაშინ:

"შიზი წავიდა ცისკენა, წიოდა, როგორც გველია.

ამაშინ დასჭრეს ალვის ხენ, ძირ არ გაწირეს წვერია...

შენაც გაგტეხეს, ციხეო, გვერდმე წაგსვლიან თხენია.

სრუ ამასწყვიტეს ჩვენ ჯარი, ყმაწვილ არ დარჩა, ზერია". (ქა II, 154-დ).

ამ ანდრეშით ალვა წარმოგვიდგება, როგორც საყმთა არსებობის ბურჯი და სიმტკიცე. ვიდრე იგი აღმართულია ცასა და მიწას შორის, მთიელთა სამყარო გაუტეხელია, ხოლო რაჟამს ცით გადმოშვებული თქონს ჭაჭუთი ცამივე გაუჩინარდება, რაც აღნიშნავს ღვთიურ სამყაროსთან კავშირის გაწყვეტას, და ალვის ხე წაიქცევა, მთიელთა სამყაროც მყის ეცემა და ნადგურდება.

აქ შეიძლება პარალელი გაგაზათ "ვეფხისტყაოსანთან", თუ გავისხეხებთ უფლისწულთა გადაკარგვით მაღლწართმეული ინდოეთის მღვთმარეობას ("იგი ქალი ქაჭთა მისცა, ალვა მორჩი სხვაგან დარგა..." "იგიცა წახდა, ინდოეთს გახდა მთვარე და მზე ხნელად", 1592-1593). უფლისწულთა გადახვეწა ისეთსავე მნიშვნელობას ატარებს ინდოეთისათვის, როგორსაც მცხეთისთვის-სვეტის, ხოლო მთისთვის-ალვის ხის წაქცევა; ხოლო მათი დაბრუნება სამშობლოში ისევეა ქვეყნის აღდგენის მომასწავებელი ("ინდოეთს ზეცით სინათლე, ჩადგა მართ ვითა სუეტია", 1621), როგორც ცხოველი სუეტის აღმართვა თუ გამარჯვებული ღვთისმცოდნის გადმონავალობე ალვის ხის ამომრდა. ეს პარალელიზმი არ ატარებს შემთხვევით ხასიათს. გავისხეხოთ, რომ მთავარი გმ-

* ამის თაობაზე იხ. ზ. კიკნაძე, ქართულ მითოლოგიურ გადმოცემათა სისტემა, 1985, გვ. 147-148.

ირები პოემაში ალვის ხეებად ისახებიან: "წყლად ეფურატსა უხვად ერწყო, ედემს რგული ალვა მჭევრი (699); "არცა მზე ჰგვანდა, არც მთვარე, ხე ალვა ედემს ხებული" (528), "ვინ უწინ ედემს ნაზარდი, ალვა მრგოლ, მომრწყო, მახია" (720); "ვპოვე ხე, ტანი ალვისა, სოფლისა წყალთა რწყულისა" (701)... ალვის ხის სიმბოლო, რომელიც ანდრეის შემთხვევაში, თავის უმთავრეს რელიგიურ შინაარსს გარეგნული ნიშნით გამოხატავს (ცას აწვდენილ კენწეროზე მეგარდმო ჩამოშვებული ოქროს მბი), რაც შეესაბამება ხალხურ-რელიგიური აზროვნების წარმოსახვით (და არა მჭერეტელობით) ხასიათს, აქ გარეშე თვალისგან დაფარულად აცხადებს თავის მისტოურ სიღრმეს, განასახიერებს რა ნამდვილ "უფლისწულთ", ანუ მათ, ვისაც ჭეშმარიტად მიუღიათ ღვთის "შოლებად" (გალ.4,2) და გულში მოვლენილი ციური "მარცვლის" ძალით შინაგანად აღუდგენიათ ცისა და მიწის კავშირი. ამ შეკავშირების მაუწყებელია ღვთაებრივი ნათელი, რომელსაც უფლისწულნი ასხივებენ ცას მოწყვეტილი მოდგმის განცვიფრებული მშერის წინაშე: პირი მიხი უნათლვა სინათლესა მესთა-მესა" (690); "მას რომე ალვა ჰკრთებოდა, ფერნიცა ჰგვანდეს რისანი" მან განანათლა სამყარო, გაცულდეს შუენი მხისანი" (632). მამასადამე, უფლისწულნი, საღვთო ნერვად წარმოდგენილნი, როგორც თავის წიაღში ცისა და მიწის გამაერთიანებელნი, ქმნიან ცხოველყოფილ შუაგულს, რომელიც თავის გარშემო მიომიდას, სიმტკიცით კრავს და განალაგებს თავისთავადობას მოკლებულ, რღვევისა და ქოტურობისაკენ მიდრეკილ წუთისოფელს. ამ ღვთაებრივ თვისებას უნდა გულისხმობდეს სიტყვები:

"მეფეთა შიგან სიუხვე, ვით ედემს ალვა რგულია; უხვსა ჰმორჩილობს ყოველი, იგიცა, ვინ ორგულია" (51).

შეიძლება ითქვას, რომ პოემაში სასოების მომგვრელ მანათობლებად წარმოდგენილი უფლისწულნი (გაუხსენით, უიმედობის როგორ განცდას იწვევს ავთანდილის გადაკარგვა: "სად წაჰხე და სად დაჰკარგენ სინათლისა ეგე, სვეტნი" 821) იმ მყონ "ღვთის შვილთა" სახეს მოასწავებენ, რომელთა გამოცხადებას მოელის ამაოებს დამორჩილებული მთელი ქმნილება, "რამეთუ თვით იგიცა დაბადებული განთავისუფლდეს მონებისაგან ხრწნილებისა აზნაურებასა მას დიდებისა შულთა ღმრთისათა" (რომ.8,22), და, რომელთა კულტის დამკვიდრებასაც აღნიშნავს გამარჯვებულ ღვთისშვილის გაღმობავაღმზე ღვთიური ალვის აღმოცენება.

ჭურის გამარჯვების ნიშნად ამოზრდილი ხე გეცორო წარმომავლობას სხვა ასპექტითაც გამოავლენს:

"იმას მოესხა ყურძენი, საქმელად მოწუელიყო, იმის შემცოდე ქალ-ვაჟი უდროოდ დამაულიყო."

ყურძენმა, საყოველთაოდ აღიარებულმა და ფართოდ გავრცელებულმა სიმბოლომ, რომელიც ჭურ კიდევ კატაკომების ხელოვნებაში გვხვდება, როგორ

რც ექვარსტიული ნიშანი (მას კენკავენ ჩიტები, განმასახიერებელნი წარუვალ ცხოვრებას ზიარებული ნეტარი სულებისა), ოდითგან განმაცხოველებული ნაყოფის მნიშვნელობა მიიღო, როგორც მაცხოვრის სიმბოლო: "რომელმან გამოილო ტევანი ცხოვრებისა - ქრისტე" (უძვ. იადგ., გვ.270). სახარებისეული იგავის საფუძველზე წარმოშობილმა ამ სიმბოლიკამ ("მე ვარ ვენახი ჭეშმარიტი"(ი.15,1) განსაზღვრა ქრისტიანულ სიმბოლიზმში სიცოცხლის ხის ყველაზე გავრცელებული სახე, როგორითაც გვხვდება იგი სახვით ხელოვნებასა თუ სასულიერო მწერლობაში: "სამეუფოსაგან ვენახისა მოვისთულეთ ტევანი - მომწყლართა განმაცხოველებელი, რომელმან განაქარვა სიმწარე პირველი ხისა მის ცნობადისა და მომცა ჩუენ სასუმელი ცხოვრებისა" (პინგლორცვა, ძვ.ქართ.სასულიერო პოემა, თავი IV, 380). უკვე უღია, ამ მაცოცხლებელ მტევანს უნდა გულისხმობდეს ღვთიურ ხეზე გამოსხმული ყურძენი, რომლის უქმელობა დამღუპველია, როგორც ამას მკაფიოდ გამოთქვამს ამ ლექსის ფშავ-ხევისურული ვარიანტი:

"ხვენი ხთიშვილის კარშვდა ხე ალვა ამოსულაო, წვერად მაუსხამ ყურძენი, საქმელად ჩამოსულაო, მისი უქმელი ქალ-ვაჟი უდროოდ დამაულიაო".
(ქმ.1,74).

ცხოვრების ხესთან მდგომი "ქალ-ვაჟი" თითქოს იმეორებს არქეტიპულ სახეს კაცობრიობის პირველი წყვილისა, რომელიც ღვთის წინაშე გამოვლენილი უარობისათვის სამოთხიდან განიდევნა და "უდროოდ" წარიწყმიდა. ოღონდაც, თუკი თავდაპირველად დაღუპვის მიზეზი ცხოვრების ხის ჭურთ აკრძალული ნაყოფის ჭამა იყო, ქრისტეს ვნების დროიდან უკვე გეციური საზრდოს "უქმელობა" ხდება სახელისწურო, რაც წარუვალ ცხოვრებასთან უზიარებლობას ნიშნავს: "უკეთუ არ ჰქაჰათ ხორცი ძისა კაცისა, და მსუათ სისხლი მისი, არა გაქუნდეს ცხოვრება თავთა შორის თქუენთა" (ი.6,53). აღსანიშნავია, რომ საწესო ლექსის რელიგიურ-სიმბოლოური მოტივი საერთო მწერლობაშიც გვხვდება:

"ვაქებ შიტომა, დავითის შტომა, მას მორჩსა სიკვდილთ მოკვლელი ზედ გამოიხა კარგი ყურძენი. ზედ ერთი ხილი ეხადა; ვინც იგი ჭამა, ღმერთი იწამა, სიმწიფის ფამი მოსვლოდა ზერთა და ზერწთა მისცა სულ ძენი".
ნაყოფის გამოღებადა"
(დავითიანი ზ.მდ). (იქვე,ად).

ნათელია, რომ აქ მოყვანილი ნაწყვეტები და საწესო ლექსი ერთსა და იმავე რელიგიურ თემას გამოხატავს. ოღონდ თუკი ერთი ქრისტიანულ-ორთოლოქსული სიმბოლიკის ნიადაგზე რჩება, მეორე შორდება მას და წარმოგვიდგენს ამავე თემის განალხურებულ ვარიანტს.

შეიძლება ითქვას, რომ ლექსის ფოლკლორულ საფარველში გამოხვეული სიმბოლიკა სიღრმისეული შინაარსით ეპასუხება ძირეულ სახარებისეულ ჭეშმა-


რიტებსა: "შე ვარ გზა, და მე ვარ ჭეშმარიტება და ცხოვრება" (ი.14,6).

ამავე ჭეშმარიტების გამოხატველია ანანურის ეკლესიის ერთ-ერთი სატაძრო დეკორი და ამით უნდა აიხსნებოდეს ის საოცარი ანალოგია, რომელსაც არაერთი ასექტით ავლენს ამ სატაძრო დეკორის სიმბოლიკა მთიელთა ზემორსიტყვიერებაში დადასტურებულ ალვასთან: უზარმაზარი ჯვრის მარცხენა და მარჯვენა მხარეზე გამოსახულია ორი ხე, აღმოცენებული წვეილი ანგელოზის თავზე შემოდგარი ქოთიდან. ისინი, სიწმინდეში ფეხგადგმულნი, და, ალვის მსგავსად, ცხოველმყოფელობით აღბეჭდილნი, მეცოურ სამყარომდე მალღლებიან, რასაც ცხადყოფენ კენჭოვრების გასწვრივ გამოსახული სერაფიმები; მათგან მოჟონავს ძირიანი, რაზეც მიაბიძგებს მათი ღეროს მთელ სიგრძეზე ამოკვეთილი წვეთისებრი ფორმის ორნამენტი, აგრეთვე ანგელოზთა თავზე შემოდგარი ქოთნები, რომლებიც იმავე ფუნქციით ჩანან დატვირთულნი, რითაც ანდრეულები ხის ძირში დადგმული ქოთანი - მათშიც წვეთავს თითქოს ხიდან გამოჟონილი ძირიანი. გარდა ამისა, ხეებს ასხია ყურძნის მტევნები, რომელთაგან გამოირჩევიან კენჭოვროსანი. ამ მწიფე და სრულ მტევნებში იბილვება ალვის ხის "წვერად" გამოსხმული ყურძენი, რომლისკენაც უნდა მისწრაფოდეს მორწმუნე, რათა არ დარჩეს იმის "უჭმელი" და არ მოაკლდეს მის აღმადგინებელს ძალას. ჯვრის მარცხენა ხესთან, რომელიც უნდა განასახიერებდეს ძველ ალთქმას, ვხვდებით ირემს, ცნობილ სიმბოლოს სულიერ ცხოვრებას მოწყურებული ადამიანისა (ეს სიმბოლიკა ეფუძნება ფსალმუნის სიტყვებს: "ვითარცა სახელსურის ირემსა წყაროთა მიმართ წყალთასა, ეგრე სურის სულსა ჩემსა შენდამი, ღმერთო!" ფს.41,1); იგი ეტანება საღვთო ხეს, მაგრამ არ მიეღობის კენჭოვროს მტევნებს, თითქოს ისინი მისთვის, როგორც ჯერ კიდევ სულის ქვეშ მყოფისთვის

(იხ.რომ.6,14), მიუწვდომელი რჩებოდნენ. ხოლო მარჯვენა ხესთან, რომელიც ახალ ალთქმას უნდა შესაბამებოდეს, გამოსახულია ვერძი, სიმბოლიკა ღვთის ნებისმყოფელობისა, რომელიც, უკვე მადლის ქვეშ მყოფი, მინაგან ძალთა მონბონით დგება "საჭირველ" გზაზე, "რომელიც მიიყვანებს ცხოვრებასა" (მთ.7,14). იგი ვერტიკალური მიმართულებით მიიწევს მწიფე მტევნებისაკენ, რომლებმაც უნდა გარდასახონ ის "ფრთოსნად", როგორც ამას ცხადყოფენ კენჭოვროს დასრულებულ ნაყოფებზე გამოსახული ჩიტები, ანუ განსულიერებული ალაღვინონ ის ღვთიურ სასუფეველში. ამის სიტყვიერ ილუსტრაციად შეიძლება მოვიყვანოთ "საჭირველ" გზაზე მსვლელი რჩეულის სიტყვები: "ფრთხი მომესხნენ და ძალი მომეცეს აღმადგინებისა" (813), ან კიდევ: "მომცნეს ფრთხი და აფურინდე მივზვდე მას ჩემსა ნდომასა" (1313).

მარჯვენა ხესთან, გარდა ვერძისა, გამოსახულია თიკანიც, რომელიც აქ იმავე რელიგიურ თემას ეპასუხება, რასაც საწესო ლექსში "შემცოლე ქალვაჟი". თიკანი, როგორც ღვთის მცნების ურჩთა გამოშახველი (ეს სიმბოლიკაც სახარებისეულ იგავს ეფუძნება: "და დაადგინეს ცხოვარნი მარტენით მისა და თიკანნი - მარცხენით". მთ.25,33), ირემისა და ვერძისაგან განსხვავებით საღვთო ხისაგან შურგშექცევით არის წარმოდგენილი, თუმცა პირით მისკენ არის მოტრიალებული, როგორც, თითქოსდა, საწინდარი მისი გარდაუვალი მოქცევისა მომავალში.

ჩვენი აზრით, ყოველივე ზემოთ ნათქვამი კიდევ ერთხელ ადასტურებს ზოლო ხანებში სამეცნიერო ასპარეზზე შემოჭრილი ახალი თვალსაზრისის სისწორეს, რომლის მიხედვითაც მთიელთა წარმართულად შერაცხული კულტურა არათუ ქრისტიანულ ელემენტთა შემცველია, არამედ ძირეულად ქრისტიანული წარმომავლობისაა და მინაგანად ბარის კულტურისაგან განუყოფელი.



მაცხოვარ, შენ მოხუედ ცოდვილთათვის, ავოცენ ურჯულოებანი ჩუენნი შენითა მოწყალეობითა. ვიდრე წარდგომამდე ჩემდა სარხელად დღესა მას გახვითვისასა მომეც შე აჟამი სინანულისა და შემიწყალენ მე, ღმერთო. ეშაბ არს ჩემდა ცუარი ცრემლთაჲ, საკურნებელ-სინანულით ვედრებაჲ, მცხოვარ, და შემიწყალენ მე, ღმერთო.

რომანოზ მელოდოსი და მისი საშობაო საბავშვო

რომანოზ მელოდოსი ("ტკბილადმგალობელი", ხსენების დღე - 1 ოქტომბერი) V-VI სს. განთქმული ზიზანტიელი ჰიმნოგრაფია. X-XI სს. ერთი ზერძული მენოლოგიონიდან ("თთუენი") ვგებულობთ, რომ წმიდა რომანოზი იყო სირიიდან, ზერიუთში ამაღლების ეკლესიის დიაკვნად იყო. ანასტასი მეფის დროს მოვიდა კონსტანტინეპოლში და იყო მღვდლად ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ეკლესიაში, სადაც მიიღო მან მადლი კონტაკიონების თბვისა (ერთხანს იგი ვლადქერნაში ყოფილა და მერე დაბრუნებულა ღმრთისმშობლის ეკლესიაში). ერთ ღამეს, როდესაც მას ეძინა, გამოეცხადა ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელი, მისცა მას ეტრატის გრაგნილი და უთხრა: აიღე და შექაყო. რომანოზი ფიქრობდა გაეღო პირი და შექაყამა ქალადი. ქრისტეს შობის დღესასწაული იყო. რომანოზს უცებ გაეღვიძა, გაუკვირდა და აღიდა ღმერთი. შემდეგ ავიდა ამბიონზე და დაიწყო გალობა: "ქალწული დღეს უმესთავისა შობს ჩვენთვის... რომანოზმა შეთხზა სხვა დღესასწაულებისადმი მიძღვნილი კონტაკიონებიც, სულ ათასამდე". (საყუხჩიშვილი, ზერძული ლიტურჯურის ისტორია, ტ. II, 1949, 390-391). ამ მოკლე მოთხრობას რამდენადმე ავსებს რომანოზის "ცხოვრების" ძველი სომხური ვერსია და ზოგიერთი სხვა მასალა, მაგრამ წმიდა მამის ცხოვრების შესახებ მანც იმდენად ძუნწი ცნობებია დღემდე შემონახული, რომ დიდხანს იყო დაფა შეცნირებაში მისი მოღვაწეობის პერიოდის დასადგენად (კერუმბახერი, ვეასილივესკი, ავასილივესკი, მამასი, კლე ზოროი, საყუხჩიშვილი...).

რომანოზის კონტაკიონთაგან დღემდე მოძიებულია 85-მდე (გროლიდე დე მატონი). გარდა ამისა, არსებობს სრულად მოღწეული რამდენიმე კონტაკიონი, რომელთაც რომანოზის სახელი არა აქვთ მიწერილი, მაგრამ შინაარსითა და აგებულებით VI საუკუნისაა და შესაძლებელია რომანოზვე ეკუთვნოდეს.

გარდა ზრწყინვალე პოეტური ფორმისა (შედარებები, მეტაფორები...), რომანოზის ჰიმნები გამოირჩევა დრამატულობით. თითოეულ მათგანში თანმიმდევრულადაა გადმოცემული და მხატვრულადაა ხორცშესხმული საღმრთო ისტორიის ესა თუ ის ეპიზოდი.

ქართულად რომანოზ ტკბილადმგალობლის არაერთი ჰიმნი უთარგმნიათ. ზოგიერთ მათგანს თუ მიწერილი აქვს რომანოზის სახელი (ასეთია, მაგალითად, სინის მთის მონასტრის N-67 ხელნაწერში შემონახული აღდგომის საგალობელი. იხ. H. Mapp, Oniscanie gruzinskux rykonuceu Cunauckogo monastyrja, M.-Jl. 1940, 165), ზოგიერთი ანონიმურადაა შეტანილი ამა თუ იმ საღმრთისმსახურო წიგნში.

პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ღმრთისმშობლის დაუკლომელი (ზერძ. აკათისტო) ანუ "იზაკონი და იკონი" ("შეშთამშროლოსა ჩემისათვის..."), რომელიც იგალობება დაუკლომლის შაბათს (დიდი მარხვის V შვიდეულის შაბათს) ცისკრად. აღსანიშნავია აგრეთვე ანონიმური კონდაკი "სულო ჩემო", რომელიც ჩართულია ანდრია კრეტელის "დიდ კანონში". ეს კანონი იგალობება დიდი მარხვის I შვიდეულის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათსა და ხუთშაბათს, დიდი სერობის ფამზე. თითოეული ამ კანონის VI გალობას მოსდევს კონდაკი: "სულო ჩემო, სულო ჩემო, აღსდგე, რასა გძინავს; აღსარული მოახლოებულ არს და გვეულების შენ აღშფოთება. განიღვიძე, რაფთა შევიწყალოს შენ ქრისტემან, რომელი ყოველგან არს და ყოველსავე ადავსებს" (მარხვანი, ტფილისი, 1901, 104). ქართული წყაროები ამ კონდაკის ავტორს არ მიუთითებენ, მაგრამ მისი იდენტიფიკაცია შეიძლება რომანოზის საგალობელთან: ψυχῆ μου, ψυχῆ μου, ἀναστα, τὶ καθεβδελξ, το τελοξ, ἔρχεζεις... (საყუხჩიშვილი, დასახ. ნაშრ; გვ. 392).

რომანოზის საგალობლები იმთავითვე შეუტანიათ ქართულ საღმრთისმსახურო პრაქტიკაში. ამას მოწმობს იადგარში შენახული ერთი საგალობელი: "ქალწული დღეს უმეტესსა არსსა ჰშობს და ქუეყანავ ქებასა მიუწოდებლისა შესწირვენ. მწყემსნი ანგელობთა თანა დაღადებენ, რამეთუ იშვა ჩვენდა ყრმა ახალი, რომელი არს პირველ საუკუნეთა ღმერთი" (უძველესი იადგარი, X-XI სს. ხელნაწერების მიხედვით გამოსაცემად მოამზადეს და გამოკვლევა დაურთეს ელ. მეტრეველმა, ც. ჯანკიევმა და ლ. ხევსურიანმა, 1980, გვ. 17). ეს საგალობელი გვიანდელ კრებულებშიც გადავიდა (მაგ. საღმრთისმშობელი, მოსკოვი, 1865, გვ. 586) მაგრამ ავტორი არსად მითითებული არ ყოფილა.

ჩვენ საშუალება გვქონდა შეგვესწავლა რომანოზის კონტაკიონები (ვსარგებლობით გროლიდე დე მატონის გამოცემით: Romanos le Melode, Hymnes, introduction, texte critique, traduction et notes par Jose Grosdidier de Matons, t.I-IV, Paris, 1964) და მოგვეხილა ამ საგალობლის იდენტიფიკაცია

რომანობის საშობაო კონტაქტის პრომიონთან (შესავალთან). საგალობლის ტექსტები — უძველესი იადგარისა და გვიანდელი კრებულებისა — რედაქციულად საკმაოდ განსხვავებულია, მაგრამ მათი იდენტურობა აშკარაა. "უძველეს იადგარში" არასწორად იკითხება მხოლოდ "ქებასა", ნაცვლად "ქვაზისა", რაც ამ ორი სიტყვის გრაფიკული მსგავსებით აიხსნება.

რომანობის საშობაო ჰიმნიდან ქართულ ენაზე გვაქვს მხოლოდ პრომიონი. ამიტომ გადავწყვიტეთ გვეთარგმნა იგი სრულად.

აქვე მოგვყავს რომანობის საშობაო ჰიმნის ჩვენეული თარგმანი. ქართულ ტექსტს არა აქვს რაიმე პოეტური საზომით გამართული ლექსის პრეტენზია; იგი წარმოადგენს მართოდენ პწკარედს. მხოლოდ, ზოგიერთი სტრიქონის სიტყვა-სიტყვით თარგმნის შეუძლებლობის გამო (ხანდახან რიტმის თვალსაზრისითაც) მოგიხდა დამატებითი სატყვეების ჩართვა, რომლებიც ღედნის აზრს არ ცვლიან.

საშობაო ჰიმნი

თვე ღეკემბრისა 25,
ქრისტეს შობის კონტაქტონი,
ხმა გ- კიდურწერილობა:
τὸν ταπεινὸν ἑσαμανοῦ
ἦμνος.

პრომიონი

ღდეს ქალწული ზენარსს შობს
და ღედამიწა თვალმოწვდენს მოძღვნის მღვიმეს;
ანგელოსები აღიდებენ მწყემსებთან ერთად,
მოგვები ბილიკს იკვალავებ ვარსკვლავთან ერთად,
რამეთუ ჩვენთვის იშვა ღდეს
ყრმაჲ ახალი, საუკუნეთა წინარე ღმერთი.

1.
ბეთლემმა გახსნა ყდემი და აჰა, ვიხილოთ,
ვძოვით საუნჯე დაფარული, აჰა, აღვილოთ.
გამოქვაბულში გვიბოვია სამთხის განძი.
ფესვი ურწყავი გამოჩნდა იქვე, აღმომცენები მოტყვევისა
იხილვოდა ჯა ამოუთხრელი,
თდესღაც დავითს რომ ენება წყლის შესმა მისგან,
და ჰა, ქალწულმა, ყრმისა მშობელმა,
უძალ დაუცხრო წყურვილის ჟინი ადამს და დავითს.
ამის გამოა, რომ ვისწრაფვით იქ, საღაც იშვა
ყრმაჲ ახალი, საუკუნეთა წინარე ღმერთი.

2.
მამამ ღედისგან შვა ძე გონებით,
მხსნელი ყოველთა ახალშობილთა; ახალშობილი ზაგაში იწვა.
შეიცხო იგი და პრქვა მშობელმა:
"მაუწყე, შვილო, ვით ჩამესახე, ანდა რაგვარად აღმომიცენდი,
გიმბერ ჩემუელს, განცვიფრებას მოუცავს სული;
ძუძუს გაწოვებ და სძლად არ ვქმნილვარ,
შენ სახევევით შემოსილს გიმბერ
და ქალწულება ჩემი, ვხედავ, დაბეჭდულია.
შენ, მცველი მისა, კეთილმზრახველი დაბადებულხარ
ყრმაჲ ახალი, საუკუნეთა წინარე ღმერთი.

3.

მეუფეთ უზენაესო, რა შენ და რა უბადრუკთათვის?
 ცის შემოქმედო, რად მოუხველ მიწიერ არსთა?
 გამოქვაბული სათნო-იყავ და დატყვი ზაგით?
 ხელაჲ შენს მხეველს საფანეში არ აქეს ადგილი.
 ადგილს არ ვამბობ, მაგრამ არცა გამოქვაბული;
 რამეთუ ესე მისთვის ფრიად უჩვეულოა.
 მრავალი მიწა სამფლობელოდ მიეცა სარას
 — ყრმის დამზადებელს; შე კი — არც სორო.
 შემწედ შემექმნა გამოქვაბული, სადაც ინებე შენ დამკვიდრება,
 ყრმად ახალი, საუკუნეთა წინარე ღმერთო.

4.

ამა სიტყვათა ხმა - შეფარვით მოლაპარაკეს
 და მავედრებელს — საიდუმლო შეეცნო მისი,
 ესმა მოგვების, ჩვილს რომ ეძებდნენ.
 მისივე ქალწული — რომელნი ხვალთ?" — ჰკითხვიდა იმათ
 და მომართეს სიტყვით მოგვებმა: "გვითხარ, თუ შენგან ვინ აღმოცენდა,
 მუცლად-მღებელი რომ იყავ მისი?
 გვითხარ, ვინაა მამა შენი, ვინაა დედა,
 რომ ძეს უმამოს ექმენ ეგე დედად და მზრდელად?
 ჩვენ გულისხმა-ვყავთ, ვარსკვლავისა მისისა მხილველთ, რომ
 გამობრწყინდა
 ყრმად ახალი, საუკუნეთა წინარე ღმერთო.

5.

ჩვენ ჭეშმარიტად ზალაამმა წარმოგვიდგინა
 ამრი ქადაგებისა წინასწარმეტყველებითისა;
 თქვა, რომ ვარსკვლავი ამობრწყინდება,
 ვარსკვლავი, დამაცხრობელი ყოველგვარი წინასწარმეტყველებისა
 და ფრინველთ მისხობისა;
 ვარსკვლავი, ამხსნელი ბრძენთა იგავების, მათი სიტყვების, ქარაგმებისა;
 ვარსკვლავი, ხილულ ვარსკვლავთა უბრწყინვალესი,
 ვით შემოქმედი ყოველთა ვარსკვლავთა,
 რომლისათვის ესრეთ წერილ არს: იაკობისგან აღმობრწყინდეს
 ყრმად ახალი, საუკუნეთა წინარე ღმერთო.

6.

საკვირველი სიტყვები რა ისმინა მარიამმა,
 მას, ძესა თვისსა, თაყვანი სცა ქედმოდრეკილმა,
 და ჰრქვა მტირალმა: დიადია, ძეო ჩემო,
 დიადია საქმენი შენნი, რომელი შესძინე უბადრუკებასა ამას
 ჩემსა.
 ხელაჲ, მოგანი გარე გეძიებენ შენ;
 მზრძანებელნი აღმოსაფლეთისანი
 ხილვასა შენსა ითხოვენ;
 გვედრებიან ხილვას მდიდარნი შენი ხალხისა,
 რამეთუ ჭეშმარიტად შენი ვრია, რომელთაცა მოველონენ
 ყრმად ახალი, საუკუნეთა წინარე ღმერთო.

7.

რადგან შენია ის ხალხი, შვილო, უბრძანე,
 ჭერქვეშ შემობიჯონ, რათა იხილონ

ფუფუნება სიგლახაკისა და პატივი უბადრუკებისა.
შენ მომიგიე დიდებად და სიქადულად.
ამისთვისცა არა ვიქმნები სირცხვილუელი.
შენ ხარ სიკეთე და სიქველე განუზომელი.
ნაფთსაყუდელი დამაშვრალთა. წამ-უყავ, რათა შემოვიდნენ;
არ შემაწუხებს უბრალოება,
რადგანაც განძი ევე მივი, ხილვად რომლისა მოსულან მოგვნი,
და შეუკვნიათ მოგვთა და მეფეთ; რომ გამობრწყინდა
ყრმად ახალი, საუკუნეთა წინარე ღმერთი.

8.

იესუ ქრისტე, ჭეშმარიტი უფალი ჩვენი
უბილავად სულსა შეებთ დედისა თვისისასა,
"შემოიყვანე, — უთხრა, — ისინი, ვინ მოსულან სიტყვით,
რამეთუ ვისაც სიტყვა ჩემი გამობრწყინდა, მე შეძიებენ.
ვარსკვლავი არის მანათობელი მათთვის, ვინაც თვალთი იხილა,
და ძალა მათთვის, რომელიცა გონებით მისწვდა.
მოგვებს თან მოჰყვა მსახური ჩემი
და აღასრულა კიდევ სახეებით ღმრთისმსახურება მისი.
სხივები ადგილს უჩვენებენ, სადაცა იშვა
ყრმად ახალი, საუკუნეთა წინარე ღმერთი.

9.

აწ კი მიიღე შენ, წმიდაო, მიიღე, ჩემგან ვინც მიღებულ არს,
რამეთუ მათშიც ვარ ისევე, ვით შენს მკლავებში.
ძალძიძს მივიღე მათთან შენგან გახსნის გარეშე."
იგი კარს აღებს და შემოდის მოგვთა კრებულნი.
კარს აღებს იგი, ვინ დახმული არის კარიბჭე;
იესუ ქრისტემ, ერთადერთმა, ის გაიარა.
აღებს კარს, ვინც თვით გაღებულ იქნა
და არაფისგან წართმეფია საგანძური უმანკოების.
კარი მან გახსნა, ვინაც შვა კარი,
ყრმად ახალი, საუკუნეთა წინარე ღმერთი.

10.

მოგვები მყისვე გაემართნენ საცხოვრებლისკენ.
შეშინდნენ ფრიად ქრისტეს მზილოვლნი,
რამეთუ ნახეს იოსებ, საქმრო ამისი დედის,
და მიძით უთხრეს: "ამას ვჭვრეტთ ძესა, უგვაროდ შობილს?
და ვით, ქალწულო, როს საქმრო შენი
გზად მომავალი შენს სახლში ვნახეთ?
მას ფეხმძიმობა შენი ნუთუ სირცხვილს არ მოჰგვრის?
სამყოფი შენი გაკიცხულია იოსების მეგობართაგან,
მოძულე გყავს ქვეყნად მრავალი, ეძიებენ ადგილს, სად იშვა
ყრმად ახალი, საუკუნეთა წინარე ღმერთი."

11.

— გაუწყებთ თქვენ, — უთხრა მოგვებს მარიამმა, —
რისი გულისთვის მყავს იოსები ჩემს სახლში.
მამტიკიცხვლად ყველა წინააღმდეგისათვის,
რამეთუ აზნობს, ვით ესმა ჩემი შვილის შესახებ.
ძილში იხილა წმიდა ანგელოსი,
მოქმელი მისდა, საით წავუყვანე,
ღამით ეკლიანი ცუცხლის ხილვამ
ღაამშვიდა შემოთება მისი.

ამიტომ არის ჩემთან იოსები, რათა სარწმუნო იყოს
ყრმა ახალი, საუკუნეთა წინარე ღმერთი.

12.

მოუბრობს ცხადად ყოველივეს, რაც ისმინა,
აუწყებს ნათლად, რომელმაც იხილა იგი
ზეციურებშიც და მიწიერებშიც.
მწყემსთა შესახებ, თუ როგორ შეეხმანენ ცეცხლისანი მიწის
ადამიანებს.

თქვენზე, მოგვებზე, რომ წინ-გიძღვით
ვარსკვლავი მხათი და თქვენთვის გზის გამკვალავი.
ამგვარად აღესრულა წინასწარ თქმული.
აწ გვიამბოთ ჩვენ, რაც თავს გადაგზავთ;
საიდან მოსულხართ; ვით შეიტყვეთ, რომ გამოხრწყინდა
ყრმა ახალი, საუკუნეთა წინარე ღმერთი?

13.

როცა ესე ყოველი უთხრა იმათ მანათობელმა,
ადმოსაფლეთის ჩირაღდნებმა მიმართეს სიტყვით:
"გინდა იცოდეთ, თუ საიდან ჩვენ აქ მოვედით?
ქალღმერთი მხრიდან, სადაც არ ამზობენ: "უფალი, ღმერთი ღმერთთა";
ზაბილონიდან, სადაც არ უწყიან,
ვისგან შექმნილ არს იგი, რასაც თაყვანსა სცემენ.
იქიდან მოვიდა და გვიხსნის ჩვენ
ნაპერწყალი ძისა შეხისა სპარსული ცეცხლისაგან.
დავტოვეთ ცეცხლი ყოველივეს გადაამბოგველი,
რათა ვუვრეტდეთ ცეცხლს მაცოცხლებელს,
ყრმასა ახალსა, საუკუნეთა წინარე ღმერთსა.

14.

ამაოება არის ყოველი და უფროს კიდევ ამაო,
მაგრამ ეს აზრი ჩვენთაგანმა ვერც შეიცნო.
ერთს გზა აეხნა, გზა ებნევათ დახარჩუნებსაც
და ამისათვის, ო, ქალწული, მადლი ძეს შესას, მას, რომელიც
დაიხსნის ტანჯვით
არა ერთ ცოდვლს; იგი მხსნელი არის ყველასი —
მთელი ქვეყნისა, საიდანაც ჩვენ აქ მოვედით;
ზნელი ტომების, შეუცნობი ენის ხალხისა;
გადმოგვივლია ხმელეთი და დავუძებთ იმას,
ვარსკვლავის სხივის შემწყობით ვეძებთ, სად იშვა
ყმა ახალი, საუკუნეთა წინარე ღმერთი.

15.

ოდეს ხელთ გვეპყრა ჩვენ ეს ლამპარი,
შემოვიარეთ სრულად მიწა წმიდა ქალაქის,
ადმსრულებლებმა ქემმარიტი წინასწარ-თქმისა,
გვესმა მუქარა ღმერთისა, რომ აღგვიდა ქალაქს.
გზა გადმოვლახეთ მანათობელ სხივის წყალობით;
გვწაღდა გვეპოვა საფუძველი იგი დიადი,
მაგრამ ვერ ვპოვეთ, რადგან ვნებულ არს
თვით კიდობანი, რომ შეიცავდა პირველ სიკეთეთ.
რაც მომდინარე არის ძველთაგან, განაახლე შენ ყოველივე,
ყრმა ახალი, საუკუნეთა წინარე ღმერთო.

16.

—მართალია, —უთხრა სანდო მოგვეხს მარიამმა, —
რომ მთელი იერუსალიმი შემოიარეთ,
ეს ქალაქი, მკვლელი წინასწარმეტყველისა?
და უხიფათოდ როგორ გადმოვლეთ იგი, ყველასაგან შესვენებული?
ჰეროდეს უკან როგორ წაუხვალთ,
ვინაც მკვლელობით სუნთქავს, ნაცვლად კანონებისა?
მათ კი მისდა მიმართ თქვას: „ქალწულიო,
მისგან კი არ გამოვიქცეოთ, ჩვენ მას დავცინეთ;
ვხედვებით ყველას, ვეკითხებით სად დაიბადა
ყრმად ახალი, საუკუნეთა წინარე ღმერთი!“

17.

როს ღმრთისმშობელმა ეს სიტყვები ისმინა მათგან,
ჰკითხა მათ მაშინ: „რას შეგვეკითხნენ თქვენ
მზრძანებელი ჰეროდე და ფარისევლები?“
— პირველ ჰეროდეს, შემდგომ, როგორც თქვი, უპირველესნი შენი ერისა
ზუსტად გვახიშნებდნენ ჩვენ ჟამსა ვარსკვლავის ამოზრწყინებისასა.
მათ არ ისურვეს ხილვა მისი, რომლის ცნობაც სწავლდათ,
რადგანაც ჯერჯერა მხოლოდ მათ ძალუქით, ვინც ეძიებენ
ყრმასა ახალსა, საუკუნეთა წინარე ღმერთსა.

18.

უგუნურები უგუნურებს ჰგონებდნენ ჩვენში,
გვეკითხებოდნენ: „საიდან ხვალთ და საით მიხვალთ?
ვით დაადექით გზას, უცნობს თქვენთვის?“
მიუგეტ სიტყვა ჩვენი მზრიდან, რადც უწყოდნენ:
ძველად თქვენ როგორ დაადექით გზას
ვრცელს უდაბნოში და ვით გადავლეთ?
ვინც გიწინამძღვრათ ეგვიპტიდან აღთქმულ ქვეყნისკენ,
ქალღვეულთ მზრიდან ჩვენც იგივე გვიძლდა თქვენსკენ;
იქ — ცეცხლის სვეტით, აწ — ვარსკვლავით აშკარა იქმნა
ყრმად ახალი, საუკუნეთა წინარე ღმერთი.

19.

ვარსკვლავი იყო წინამძღოლი ყოველგან ჩვენი,
ისევე, როგორც თქვენს წინ მოსეს ეჭირა კვერთხი,
და ღვთაებრივი შემეცნების შუქი გარს აღგა.
ოღესდაც გავებათ თქვენ მანანამ და კლდისგან შესვით,
ჩვენ კი იმედით აგვაფსო იმან.
ჩვენად საზრდელად სიხარული არის იმისი,
აწ აღარ გვინებს გაზრუნება სპარსეთისაკენ,
გაუვალ გზებით სულა აღარ გვაქვს აწ გონებაში;
მოგვსურვებია გქვრუტდეთ, გემთხვით და გადიდებდეთ,
ყრმად ახალი, საუკუნეთა წინარე ღმერთო.

20.

ესენი ითქვა უტყუარი მოგვების მიერ
და წმიდისაგან ყოველივე დაბეჭდულ იქმნა;
დასტური მისცა ყრმამ ორივე მხარეს;
ღმრთის უბიწო ფეხმძიმობით წარმოშობილმა.
არაფინ მათგან დაღლილობას არ გრძნობდა ისე,
ვით არ უგრძნებია დანიელის შემდგომ ამბაკუმს.
ვინც წინასწარმეტყველთ გამოუბრწყინდა,
გამოუბრწყინდა იგი მოგვეხსაც,
ყრმად ახალი, საუკუნეთა წინარე ღმერთი.

21.

და როს ყოველი მოგვებისაგან მოთხრობილ იქნა,
 მოიღეს ძღვენი და ვთაყვანენ
 მისაცემელთა მისაცემელს, მირონთა მირონს.
 ოქრო და შური, კვლავ გუნდროკი მიართვეს ქრისტეს.
 ხმობდნენ: მიიმთხვიე ძღვენი სამკეცი,
 როგორც სერაზინთა ჰიზნი, სამგზის წმიდა.
 პირს ნუ მიიქცევ, ვით კაენის შენაწირისგან,
 მიიღე ისე, ვითარცა ძღვენი აბელისა.
 მშობლისა შენისა გულისათვის, ვინაც გშვა ჩვენდა
 ყმაჲ ახალი, საუკუნეთა წინარე ღმერთი.

22.

ხელდაეს ქალწული, ახალი და ბრწყინვალე ფრიად
 ძღვენი ხელთა აქვთ და დაეცნენ შუხლზე მოგვები.
 ვარსკვლავი შუქს ჰფენს, გალობენ მწყემსნი.
 მას, ყოველივე ამის შემოქმედს, ვევედრება უვალს მშობელი:
 ვისაც სამკეცი მივიღია ძღვენი უებრო,
 მიეცი ნება, სამი თხოვნა შეგბედოს დედამ:
 მოწოდებულ ხარ ჰაერთა ზედა;
 მიწის ნაყოფთა და მიწაზედ მცხოვრებთა ზედა;
 შეუთანხმე ერთურთს ყოველი, შენ, რომელიც შობილ ხარ ჩემგან,
 ყრმაჲ ახალი, საუკუნეთა წინარე ღმერთი.

23.

არა ვარ მხოლოდ მე დედა შენი, მოწყალე მხსნელი;
 ამაოდ როლი გკვებავ შენ რძით, რძის მომსხურებელს,
 მე გვევედრები შენ ყველასათვის.
 შენ შემქმენ მთელი ჩემი მოდგმის ხმად და ღირსებად;
 ვარ ნიადაგი დამკვიდრებული,
 მტკიცე საყრდენი, კედელი და თავშესაფარი,
 მე შემომყურებენ განღვინილნი
 სამოთხის ნეტარებათაგან, რათა უკან დავაბრუნო ისინი.
 ყველამ შეიცხოს, რომ შენ ჩემგან ხარ შობილი,
 ყრმაჲ ახალი, საუკუნეთა წინარე ღმერთი.

24.

იხსენ ქვეყანა, მხსნელი, ამ სიკეთისთვის მოხველ,
 აღადგინე ყოველივე შენ მიერ ქმნილი; ამაღ გამოზრწინდი
 ჩემთვის, მოგვითათვის და ყოველთა შექმნილთა წინა.
 აჰა, მოგვები, რომელთ ნათელი პირისა შენისა წაუმიძღვარე,
 შენს წინ მუხლოებზე დამზობილან და საჩუქარი
 მოუტანიათ მშვენიერი, საჭირო და ძნელსაძოვნელი.
 მე ვარ საჭირო, იმის შემდეგ, რაც განვიზრახე
 გამგზავრება ეგვიპტისაკენ, გაქცევა შენთან ერთად და შენთვის,
 წინამძღოლო ჩემო, ძეო ჩემო, შემოქმედო ჩემო, საუნჯეო ჩემო,
 ყრმაჲ ახალი, საუკუნეთა წინარე ღმერთი.



ამ დღეს, ღაგარეს აღდგინებას, ჩვეულებრივ გაზაფხულზე, ზმობის წინა შაბათს ვლდე-სასწაულობთ. "ღაგარეს შაბათით" იწყება ქრისტეს ზნებათა დიდი შვიდეული, რომელიც აღდგომით გვირგვინდება: "ყოველთა აღდგომისა პირველ დადგინებისა შენისა მოასწავებდი, ამისთვისაცა მეგობარი შენი ღაგარე მკვდრეთით აღადგინე (ტროპარიდან). მაცხოვრის მიერ მკვდრეთით აღდგინების სხვა სასწაულთაგან განსხვავებით (იაირის ქალიშვილისა - მთ.9, 18-26; მკ. 5,22-43, ლკ. 8,41-56 და ნაინელი ქერივის ვაჟისა - ლკ.7, 11-17). ღაგარეს სასწაული ღვთისმეტყველთა მიერ შეირაცხებოდა, როგორც მესიანური ნიშანი, ხატი ქრისტეს აღდგომისა და როგორც სიმბოლო მეორედ მოსული მაცხოვრის მიერ ყოველი ადამიანის აღდგინებისა: რამეთუ აღდგომა მკვდართა ცხადყო სახიერებითა უფლისათა და სახე გვექმნა აღდგომისა და ყოველთა ღვთაებრივი მიმადლებს ცოდვათა მიტევებასა" (კონდაკიდან). ამის გამო შუა საუკუნეებში "ღაგარეს აღდგინება" ათორმეტ დიდ საუფლო დღესასწაულთა რიგში შედიოდა. თუმცა დრო-ადრო კლასიკური სახე ამ თორმეტ დღესასწაულიანი რიგისა იკვლევებოდა ისე, რომ სადღესოდ "ღაგარეს აღდგინებას" სხვა დღესა-

სწაული ჩაენაცვლა. ამ სასწაულის შესახებ მხოლოდ მეოთხე მახარებელი გვაუწყებს, რის გამოც მიქაელ მორეკილი ამბობს: "აშშაღლი იოვანე, რაჟამს ცოცხალი წარუდგინე მრავალ ფაშისა იგი დაფულული და დასჯილი". წმ. იოვანე ღვთისმეტყველი თავისი სახარების მთელ თავს უძღვნის ამ თემას (იო.11) და სწორედ ეს კანონიკური ტექსტი გახდა საფუძველი "ღაგარეს აღდგინების" ხატის შოგადი იერის ჩამოყალიბებისათვის. ეს იყო თემა, უაღრესად პოპულარული მთელს აღმოსავლეთ საქრისტიანოში უკვე პირველ ქრისტიანეთა სამლოცველოების - კატაკომბების - მხატვრობიდან მოყოლებული. და რადგანაც ბიზანტიურ სამყაროში არ იყო წესად მიღებული ქრისტეს აღდგომის გამოსახვა, "მუნელსაცხებლე დედათა" ხატთან ერთად, "ღაგარეს აღდგინებაც" ამავე შინაარსის მტვირთველი გახდა, როგორც წინასწარუწყება აღდგომისა და სახე ადამიანის მკვდრეთით აღდგინებისა მეორედ მოსვლის ფაშს. მაღალ შუა საუკუნეებში "ღაგარეს აღდგინება", როგორც ერთი ათორმეტ საუფლო დღესასწაულთაგანი, ეკლესიის სამ მონათაგან ტრადიციულად გამოისახება მეორეში, რომელიც

ქრისტიანულ დღესასწაულთა მონუმენტურ კალენდარს შეიცავს და წმინდა მიწის მოხილვის საშუალებას აძლევს მნახველს. ამ სცენას ჩრდილოეთის კულის ზედა რიგში, "ფერისცვალებისა" და "იერუსალიმად შესვლას" შორის აქვს დამკვიდრებული ადგილი. ჩვეულებისამებრ, VI საუკუნიდან მოყოლებული, ლაზარეს აღდგინების ხატი მეთხევ სახარების მეთერთმეტე თავის სამ ეპიზოდს, ერთდროულად მაცხოვრის სამ მოთხოვნას შეიცავს ხოლომე: ლოდის გადაგორებას, სიტყვებს "ლაზარე, გამოდე" გარე" და სახვეველთა შესხასა. შესაბამისად, კომპოზიციის უმოგადესი სქემა წარმოადგენს: ფეხზე მდგომ მაკურთხებელ მაცხოვარსა და მის პირდაპირ საფლავიდან გამოსულ ლაზარეს, ლოდის მშობდას, სახვეველთა შეხმსხეულს, მოციქულებს. ამას ემატება, როგორც წესი, ლაზარეს დების - მართასა და მარიამის - გამოსახულებანი (ე.ი. ჩართულია მართას ზეთანის გზაზე გამოცემების ეპიზოდი, როდესაც მან იწამა, რომ იესო ნაზარეველი არის აღდგომად", "ქრისტე ძე ღმრთისაჲ, მომავალი სოფლად" (იო.11, 25-27) და მარიამის ტირილი - "უფალო, უკუეთუცა აქა იყავ, არამცა მოკუდა ძმაჲ იგი ჩემი (იო.11,32). ხშირად ამ სცენაში გამოირჩევა ლაზარეს მეგობარი, სარკოფაგთან მდგომი, ხელის მოძრაობითა და ჩაცმულობით სხვათაგან გამორჩეული. ასეთია უმოგადესი იერი "ლაზარეს აღდგინებისა", რომელიც არა მხოლოდ დროთა მანძილზე განიცდის ცვლილებებს - აღორულ შუა საუკუნეებიდან გვიანა ხანამდე, ან სხვადასხვა ქვეყნებისდა მიხედვით, არამედ ერთი ქვეყნის სხვადასხვა მხატვრულ კერებშიც კი ერთმანეთისაგან გამორჩეული თავისებურ ნიშანშახასათებელთა მთელი ჯგუფის მქონე ტიპებად არის ჩამოყალიბებული. ზოლო ხანს ჩვენში ზვერი გამოკლევვა მიუძღვნა სახარებისეულ ლაზარეს საქართველოსთან დაკავშირების საკითხს, პირველად იოანე ზოსიმეს ცნობილ ლიტურგატურულ ძეგლში წამოჭრილს. ერთი რამ უდავოა: ქართული ხალხის აზროვნებაში ამ საკითხს ყოველთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ადგილი ჰქონდა დამოძილი. თუ შუა საუკუნეების ქართულ საეკლესიო მხატვრობას თვალს მივადევნებთ, ნათელი გახდება, რომ მართლაც არსებობდა გარკვეული ტრადიციები "ლაზარეს აღდგინების" ხატთან მიმართებაში, რაც მკვეთრად განასხვავებს ქართულ ნიმუშებს ბიზანტიურისაგან.

სწორედ ამ მიზნით მოვიხმობთ ლაზარეს აღდგინების სასწაულის ამსახველად იმ რამდენიმე ნიმუშს, რომლებიც, იკონოგრაფიული თვალსაზრისით, დამახასიათებლად გვიჩვენებს ქართული საეკლესიო მხატვრობის განვითარების გზას X-XVII საუკუნეებში.

პირველი მათგანი დავით გარეჯის მონასტრის უდაბნოს ღმრთისმშობლის ტაძრის მონატულობაა, XI ს-ის I-ნახევრით დათარიღებული. ეს არის საკმაოდ რთული და თავისებური აგებულების მქონე ნიმუში "ლაზარეს აღდგინებისა". თუმცა გამოსახულ პირთა რაოდენობა და ზოგადი სქემა კომპოზიციისა ამავე დროის სხვა ძეგლთა მაგვარია

- აქვეა მაცხოვარი ზეაწეული მაკურთხებელი მარჯვნივითა და გრავნილით, წმ.მოციქულნი, მათ ფერხითი მართა და მარიამი, ლოდის მშობდავი, ლაზარეს მეგობარი - მაგრამ ყურადღებას იქცევს ლაზარეს გამოსახულება. ეს არის მიცვალებული, რომელსაც სიცოცხლის სული შთაეხერა, თინავ წამოწეულია სარკოფაგიდან და მაცხოვრისკებ სუდართი დაფარულ ხელებს მოწიწებით აღმართავს. მუდომარე პოზა, ხელების გაწვდენა, განსაკუთრებით კი მეგობრის მკლავთა შორის თავის მიყრდნობა გამოსახტავს ლაზარეს სხეულისმიერ უღონობას და იმავე დროს მთელი არსებით სწრაფვას მის წინაშე მდგომი უფლისადმი. ხოლო მაცხოვრის გამოსახულება კემმარტივი ხატია დვთაბნოვი ძლიერ ამოსილებისა "რომელმან ჭოჭოხეთი წარმოტყუებია და სიკუდილი მოაკუდილია, და ლაზარე აღდგინა, რომელმან ზვერულითა საკვირველებითა ადავსო ყოველი". გარეული თსტატისთვის ამოსავალი წერტილია თვით იდეა ამ სასწაულისა, რომელიც მონხა დიდებისათვის ღმრთისასა, რათა იდილოს ძმ ღმრთისაჲ მის გამო (იო, 11,4)". ამისთვის არის კომპოზიკია ისე მარტივად და გონივრულად მოფიქრებული, რომ ადგილიც აღარ რჩება დეტალებისთვის, არამედ დირსად გამოსახტვისა მიხეულება მხოლოდ ის, რაც თსტატს მთავარი იდიის გადმოცემისთვის დასჭირდა. ყველა მხატვრული აქცენტი გადატანილია მაცხოვრისა და ლაზარეს გამოსახულებათა უკან ისე, რომ მაყურებლის პირისპირ მხოლოდ ეს ორი ფიგურა რჩება. XI ს-ის საქართველოში, საზოგადოდ, "ლაზარეს აღდგინების" იერატული ხასიათის მოკლე რედაქციებს ვხვდებით (ატეხი, ზემო კრიხი, მაცხვარიში).

ამდენად ეს არის მეტად საინტერესო სახე "ლაზარეს აღდგინებისა", რომლის ზუსტი პარალელის დაძებნა შეუძლებელია არა თუ ქართულ, უცხოურ ძეგლთა შორისაც კი, რადგან თსტატმა, როგორც ჩანს, თავისი ხატი სხვადასხვა რედაქციათა (კაპალიკიურ თუ ბიზანტიურ) თავისუფალ შერევა-შეწერებაზე დაყრდნობით აავლო, დახარჯა რა მასში საკუთარ სულიერი გამოცდილება და შემოქმედებითი უნარი (სრულიად ახალი და ჩვეთვის ცნობილ ძეგლთა შორის ერთადერთია შემდეგი: მოციქულთაგან წმ.პეტრეს გამოსახვა, ლოდის მშობდავის სარკოფაგის უკან მოქცევა, ორივე ხელით შეხება ლაზარეს მხრებზე, ლაზარეს სახვეველთა ფორმა, მოსახამით დაფარული ხელების გაწვდენა). თუმცა მასში კაბალოკიურ ქვანმონასტერთა ფერწერის გავლენები (ერთი მოციქულის გამოსახვა, ლაზარეს მეგობრის მხარზე შეხება, სარკოფაგში მუდომი ლაზარე, მისი წვერი და მოსახამი სუდარის ზემოდან) აშკარად ჯარბობს ბიზანტიურს (მაცხოვრის მარცხნივ წარმოდგენა, მართას თავის უკან მიბრუნება, ლოდის მშობდავი ბიჭის გამოსახვა, სარკოფაგის ფორმა).

დასასრულ, ლაზარეს სახვეველთა მწვანე ფერის შესახებ. ეს ფერი "სიჭაბუკედას და აღორძინებისა", იტვეს გარკვეულ დამოკიდებულებას თვით "ლაზარეს აღდგინების" თემასთან დაკავშირებით, სრულიად განსხვავებულს ბიზანტიურ სამყაროში არსებული

ტრადიციისაგან. აქ ლაზარეს არმენაკის, თორი ფერის საფლავის შავ ფონთან დაპირისპირება სიცოცხლის სიკვდილზე გამარჯვებას ნიშნავდა (ისე, როგორც ლოდის გადატორება - ცოდვის მოშორებას, საფლავის ბორცვზე აღმოცენებული ხე - აღდგომას და ა.შ.) ლაზარეს სახვეწლოა მწვანე ფერი, ასე ხშირად რომ გვხვდება ქართულ საეკლესიო მხატვრობაში, უნდა ატარებდეს შემდეგ მოსაზრებას: მაცხოვრის მიერ აღდგენილი ლაზარე ხატია ადამიანის "შეორულ მონისა", რაც აუცილებელი წინაპირობაა სასუფევლად შესვლისათვის: "უკეთუ ვინმე არა იძვეს წყლისაგან (თანასეული ნათლისღებით) და სულისა (ქრისტესული ნათლისღებით) ვერ კვლავნობის შესღვად სასუფეველსა ღმრთისასა" (იო.3,5). ლაზარე პირველი მონიბოლა სული წმიდითა და ცეცხლით, ანუ ქრისტესული ნათლისღებით, ამდენად, როგორც დაფლული და ხელახლა მონილი, ანუ აღორძინებული ბუნება, ლაზარე მწვანე ფერის სახვეწლოში გამოსახება. ამასთან, მწვანე ფერი შესაძლოა ასახავდეს ხალხურ ცნობიერებაში მოხდარ უნებლიე დაკავშირებას სახარებისეულ ლაზარესი წარმართულ წვიმისა და ბუნების აღორძინების ღვთაება ლაზარესთანაც (ცნობილია, რომ საქართველოში ბევრი წარმართული კულტი შეერწყა ქრისტიან წმინდანთა სახეებს). ამ შრივ, საინტერესოა, რომ საფარის წმ. სახას ტადრის მონატურლობაზე, "ლაზარეს აღდგინების" სკენის თავზე გამოყვანილია XIV ს-ის წარწერა "ლაზარობა". ნიშანდობლივია ისიც, რომ ამ მონატურლობაში წამყვანია სწორედ ხალხური შემოქმედების ნაკადი.

XII საუკუნიდან საქართველოში, ისევე, როგორც მთელ აღმოსავლეთ საქრისტიანოში, "ლაზარეს აღდგინების" მოგადი იერი ძლიერ იკვლავა: შემოდის თხრობითი მოტივები: ქალაქი ბეთანია, სარკოფაგის უკან გამოსახული მოძორი ნაკვებების სახით, ხოლო მაცხოვრისა და მოციქულების უკან, ფონად წაწვეტებული ფორმის მთა, რომლის გამოსახვა უკვე რეალურ გეოგრაფიულ ცოდნას ემყარება: მართლაც, ქალაქი ბეთანია იერუსალიმიდან იერიქონისკენ მიმავალ გზაზე მდებარეობს, მეთისხილის მთის აღმოსავლეთით, ისე, რომ "ლაზარეს აღდგინების" კომპოზიციაში შემოსული მთა სწორედ ის ვლენის მთაა, საიდანაც იესო ქრისტე მეცად ამალადა (საქმენი მოციქულთა, 1,12). ცხადია, ამ დროის ხატმწერნი ხედავდნენ "ამალეხასა" და "ლაზარეს აღდგინებას" შორის ურთიერთკავშირს, როგორც მეთრედ მოსვლის დროს ორი უმთავრესი აქტის - მაცხოვრის მიწაზე დიდებით გარდამოსვლისა და მის მიერ ადამიანთა მკვლრეთით აღდგინების - ორ წინასწარუწყებას.

იმ ცვლილებათა გარდა, რომელიც ხსენებული სკენის ფონს შეეხებოდა, "ლაზარეს აღდგინების" ხატი მრავალფეროვანობითაც დაიტვირთა. მაცხოვრის მოციქულთა მთელი ჯგუფი ახლავს, ლაზარეს დანთან სახვეწლოა შემსხველეთან და ლოდის მზიდველთან ერთად ებრაელთა ზრბოც გამოისახება.

ისე, რომ უდაბნოსეული მარტივი და ცარიელ ფონზე ნათლად წასაკითხი სკენა გარდაიქმნა რთული კომპოზიციური ხიოანსების შემცველ ხატად (მაგმესტიის მუზეუმის ფერწერული ხატი, მინანქრის ხატი XII ს.). XII-XIII სს. მიჯნაზე წინა პერიოდის ოსტატთა სტილურ თუ იკონოგრაფიულ ძიებათა ერთგვარი დაჯამება ხდება და შემოდის კიდევ ერთი უმთავრესი სიახლე - დეკორაციულობა და ხატმწერის შემოქმედებითი სილადე (ყინწვისი, ვარძია, ბეთანია, თბანია, ბერთუბანი, ტიმოთესუბანი). ამ შრივ საგულისხმოა ტიმოთესუბნის მონატურლობა, სადაც საუკუნის მიერ მოტანილი დეკორაციულობა ყველაზე სრულად ვლინდება. მთავარი მახასიათებელი ტიმოთესუბნისეულ "ლაზარეს აღდგინებისა" არის უდიდესი ოსტატობით გადმოცემული ემოციური სისასვე მაცხოვრისა და ლაზარეს ურთიერთობისა: მჭიდროდ წაგრაგნილი მწვანე არმენაკში, თავით და გულზე დაკრეფილი ხელებით ლაზარე ოდნავ იხრება მაცხოვრისკენ. მუხლებში ოდნავ მოხრილი, იდაყვის განზე გაწვეთ თიქოსდა სახვეწთაგან გამოთავისუფლებას ლაზარე - ამ ხერხებით: გადმოიცემა მკვლრეთით აღმდგარის სულიერი მოძრაობა. თვით მაცხოვრის ფსტიც, სრულიად დაუძახავი, უზრადოდ წინ გაწვეილი სულით, ლაზარეს კი არ უძახებს, არამედ თითქოსდა მოიხმობსო მეგობარს: აღდგ და მოვედ, მოყვასო ჩემო" (ქება, 2, 13). აქვე ყურადღებას იქცევს კიდევ ერთი მოქმედი პირი: წვეროსანი თავდაბურული მოხუცი, რომელიც განსხვავებით სხვა ებრაელთაგან, სახეზე ხელს არ იფარებს და პირდაპირ სახეში შეპყრებს ლაზარეს. ეს ფიგურა შემდგომ საუკუნეებში კიდევ უფრო გამოყოფილი ხდება სხვათაგან (მაგალითად, უბისში) და თავისი მახასიათებლებიც გააჩნია: წვერი და დიდი აღმოსავლური ყაიდის ქულიავეს ვფიქრობთ, ეს სახარებისეული სიმონ კეთროვანი, ბეთანის მკვლრე, უნდა იყოს, ის, ვის სახლშიც სასწაულის შემდგომ ქრისტეს "ლაუმბადეს სერი" (გელათის თბთავისა და სხვა მინიატურებზე არსებობს ამ სასწაულის შემდგომი ეპიზოდის გამოსახულებანი, სადაც ლაზარე ქრისტეს თანამეინახვა).

ბევრი ის სიახლე, რომელიც ტიმოთესუბნის "ლაზარეს აღდგინების" სტილსა თუ იკონოგრაფიაში ჯერ კიდევ ჩახახახის სახით იყო მოტანილი, მისი შემდგომი პერიოდისთვის ძირითად მახასიათებლად ითვლება. XIV ს-ის II - ნახევრის უბისის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის მონატურლობაზე, სკენის სიღრმეში ახლა უკვე, რამოდენიმე რიგად არის განაწილებული მოქმედ პირთა ჯგუფები. მაცხოვრისა და ლაზარეს გამოსახულებანი მარა-ვანლის წყალობითაა გამოირჩევა სხვათაგან, ტყხილ ხაზთა ყოვლისმომცველ მღელვარე რიტმში: მოციქულთა ჯგუფის წინ წმ.პეტრეა რამდენადმე გამოყოფილი, რომელიც მაცხოვარს მოუთითებს, მაცხოვარი კი აკურთხებს არა ლაზარეს, არამედ მართასა და მარიამს. ერთი შეხედვითაც ცხადია, რომ ამ შემთხვევაში ოსტატი ლაზარეს აღდგინების სიმბოლურ ხატს კი არ განასახიერებს, არამედ იძლევა სახარების ამ ეპიზოდის თვალთ ყველაზე

ადვილად წარმოსადგენი მომენტების დასურათებას. როცა გავისხენებთ დავით გარეჯის მონასტრის, ცხადი გახდება, რომ თუ შუა საუკუნეების კლასიკურ ხანაში ნათელ და მთლიან ფორმაში, როგორც ჭურჭელში, დატეულ უზარმაზარ სულიერ ენერჯიას მაყურებელი მშვიდი ჭერებით ეზიარებოდა, პალეოლოგოსთა ხანის ხელოვნება ტაძარში მყოფს წაღვევას უქადის მშფოთვარე, ძლიერი ძაბვის შემცველ ელვისებრ ტეხილ ფორმათა ნაკადით. სოუფეტი დაიცალა თავისი სიმბოლოური ქვეტექსტისაგან, სხარტი სიმბოლო-ნიშნები შეიცვალა თვალის სრულიად ზერეულე შევლებითაც კი ადვილად მოსააზრებელი ყოფითი მოტივებით. ისე, რომ ხატი "ლაზარეს აღდგინებისა", ადრე უმეტესად სულიერი მხედველობით აღსაქმელი, მხოლოდღენ თვალის სამშურ თბიქტად გადაიქცა. მხატვრის უძთავრესი მიზანი გახდა შინაარსის ჟუმუსტესი გადმოცემა.

თუმცა ამავე პერიოდში პროვინციულ მხატვრულ სკოლებში არსებობას განაგრძობს მერე მიმართულება, სწორედ ადგილობრივ ტრადიციათა საფუძველზე სახვითი ხერხების შემდგომი განვითარების მცდელობების სახით (საფარის წმსახას ტაძარი, ჭულეს წმ.გიორგის ეკლესია). ამ ხაზის ლოგიკური გამგრძელებელია XVI საუკუნის ბევრი მონასტრის, მათ შორის ჩვენთვის საინტერესო - ბუგეულის მთავარანგელოზთა ეკლესიისა. ბუგეულის "ლაზარეს აღდგინება" გადაწყვეტის მხრივ სრულიად განსხვავებულია ზემოთ ნახსენებ ხატებთან შედარებით: ჩვილის სახით წარმოდგენილი ლაზარეს სარკოფაგის უკან ორი შარავანდოსილი წინასწარმეტყველია, რომელთაც იწინასწარმეტყველეს ეს სასწაული. მაცხოვრის გარშემო - ოთხი მოციქული, მღვდელმთავართა სამოსელში, რომლებიც უნდა

განასახიერებდნენ ქვეყნიერების ოთხივ კუთხის ქრისტიანი ერების (სამწყსოს) სულიერ მოძღვართ. რაც შეეხება ლაზარეს ჩვილის სახით გამოსახვას, ამჯერადაც საქმე გვაქვს ამ თემის დროისმიერ ახლებურ გადააზრებასთან: თუ ადრე - გვიანა შუა საუკუნეებამდე, სიკვდილი ჩვენი ერის ცნობიერებაში "გარდაცვალებას" - სიცოცხლის სახეცვლილებას - ნიშნავდა, ანუ გადასვლას მიწიერი არსებობის ფორმიდან ზეცოურზე, XVI ს-ისთვის ამ ცნებამ სრული მოსპობის, არყოფნის შნიშვნელობა მიიღო, რის გამოც სიტყვა "გარდაცვალება" კი "კვლამით" შეცვალა. ვფიქრობთ, ამან განაპირობა ის, რომ ბუგეულის ეკლესიის მონასტრისთვის მკვლრებით აღდგენილი ლაზარე ფიბიკურადაც თავიდან დაბადებული ადამიანია და არა აღორძინებული, როგორც ადრე ესმოდათ. ბუგეულის "ლაზარეს აღდგინება" საუკეთესო მაგალითია იმისა, თუ რა სიახლე მოიტანა ამ დროის თეოლოგიურ ხედვათა საფუძველზე შექმნილმა ხატმა. ვფიქრობთ, ეს მოკლე მიმოხილვა "ლაზარეს აღდგინებისა" ხატთა გარშემო გარკვეულ წარმოდგენას შეუქმნის მკითხველს, თუ რა დამოკიდებულება არსებობდა ამ დიდი საუფლო დღესასწაულის თემაზე შექმნილი გამოსახულებების მიმართ შუა საუკუნეების საქართველოში და როგორ ასახავდა თუნდაც ამ ერთი კომპოზიციის სტილური-კონოგრაფიული ცვლილებანი ქართული საეკლესიო მხატვრობის მოგად ისტორიულ კანონზომიერებათ.

მასალა მომზადდა გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში



ერი და ეკლესია

ექვთიმე კოჭლამაზაშვილი

არმაზი - მტერი იმრუჰანისა

ქართული წარმართული პანთეონის ის მოდელი, რომელიც "მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ში და მასზე დამყარებულ ლეონტი მროველის ისტორიულ შრომაში ("ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა") არის მოცემული, მეცნიერებაში დიდხანს აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა. განსაკუთრებით ბევრი დაიწერა ქართველთა მთავარი ღვთაების — არმაზის შესახებ.

პირველი მნიშვნელოვანი გამოკვლევა, რომელიც ქართული წარმართული პანთეონის შესწავლას მიეძღვნა, იყო ნ.მარის "Боги языческой Грузии по древне-грузинским источникам" (1901 წ.)¹. მასში კრიტიკულადაა შეფასებული ქართული საისტორიო წყაროების მონაცემები. ავტორი, ამ წყაროთა ჩვენების საწინააღმდეგოდ, ამტკიცებს, რომ არმაზი, ზადენი, გაიმ და გაცი არიან არა ქართველი ხალხის საკუთარი ღვთაებები, არამედ სემიტურ და ირანულ ღვთაებათა სახეცვლილებანი. სახელდობრ, არმაზი მან დაუკავშირა ირანულ აპურამაზდას (Ahura-Mazda), გა (გაიმ) — სემიტურ ასტარტეს (I მეფეთა 7,4), გაცი — გატი-ს.

ნ. მარის აზრით, ქართულ მატიანეთა ავტორებს არ შეეძლოთ სცილნოდნენ ქართველთა უძველესი წარმართული სარწმუნოების თავისებურებანი, რადგან მათი დროისათვის იმ სარწმუნოების კვალი სრულიად წაშლილი უნდა ყოფილიყო ირანული კულტის გავლენით. ამის მიუხედავად, მკვლევარი აღიარებს, რომ ჭერ-ჭერობით არ არსებობს არავითარი საფუძველი იმისათვის, რომ კატეგორიულად ვამტკიცოთ ძველ საქართველოში კერპების არარსებობა².

ქართული წარმართული პანთეონი მამდევინს დაუკავშირა ო. გ. ფონ ვეზენდონკმა³. მისი აზრით, ღვთაება არმაზის სახელი სპარსული აპურამაზდასაგან მომდინარეობს, თუმცა კი ქართულ წყაროებში აღწერილი არმაზის კერპი და

მისი თაყვანისცემა მამდევანობის არავითარ ნიშნებს არ ავლენენო. მკვლევარის დასკვნით, მამდევინს საქართველოში თავისებური (კერპთაყვანისმცემლური) სახე მოუღია.

მამდევანობისა და კერპთაყვანისმცემლობის შერეული სახით არსებობის პრობლემა დაისვა მ.წერეთლის ნაშრომში⁴. სახელდობრ არმაზის კერპის შესახებ წმინდოს ცხოვრებაში დაცული ცნობების მიხედვით მან დაასკვნა, რომ ქართველთა არმაზი ირანული აპურამაზდა კი არ იყო (თუმცა არმაზის სახელი სწორედ აპურამაზდასაგან მომდინარეობს), არამედ "მცირე აზიის ღმერთი ცისა და სინათლისა, ატმოსფერისა, წვიმისა და ელვა-ქექისა თეშუბ"⁵. მ.წერეთელმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია "ზეთური სარწმუნოების ელემენტებს ძველსა საწარმართო ქართულ სარწმუნოებაში"⁶.

ნიკო მარის, ფონ ვეზენდონკისა და მ. წერეთლის შედეგები კრიტიკულად გაიაზრა ივანე ჭავჭავაძემ⁷, რომელმაც, დასაშვებად მიიჩნია რა არმაზ-აპურამაზდას იგივეობის თეზისი (მაგრამ არა საბოლოოდ დამტკიცებულად), მრავალი საბუთი მოიძია იმის დასამტკიცებლად, რომ საქართველოში მამდევანობას კერპთაყვანისმცემლობის სახე კი არ მოუღია, არამედ დარჩა ჩვეულებრივ ცეცხლთაყვანისმცემლობად. ივ.ჭავჭავაძის მიერ სრულ უნდობლობას უცხადებდა ქართული საისტორიო წყაროების მონაცემებს წარმართული პანთეონის შესახებ და არმაზის კულტის (კერპის) არსებობის ერთადერთ "თითქოს სანდო" გარემოებად მხოლოდ გეოგრაფიული სახელის არმაზ-ციხის არსებობას-ლა მიიჩნევდა⁸. მართლ ამის მიხედვით კი "არავითარი უფლება არა გვაქვს დავასკვნათ, რომ არმაზის კერპიც არსებობდა, რომ საქართველოში არმაზს, ანუ აპურამაზდას, ვითარცა კერპსა სცემდნენ

¹ განმეორებითი გამოცემა იხ. თბილისის უნივერსიტეტის შრომები, № 266-ის დამატება (ისტორია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია), თბ., 1987, 7-35.

² იქვე, გვ. 18.

³ O.G.von Wesendonk, Über georgisches Heidentum, Leipzig, 1924.

⁴ მ.წერეთელი, ხეთის ქვეყანა, მისი ხალხები, ენები, ისტორია და კულტურა, კონსტანტინეპოლი, 1924, 77-106.

⁵ იქვე, 79-84.

⁶ იქვე, 106.

⁷ მან ქართველების წარმართობას საგანგებო თავი მოუძღვნა თავის "ქართველი ერის ისტორიაში", იხ. ივ.ჭავჭავაძის შრომები, I, 1979, 78-187.

⁸ იქვე, 149.

თაყვანისა⁹. ივჭავაძის შვილის არც ის მიანდა საბოლოოდ გადაწყვეტილად, რომ არმაზი და არმაზ-ციხე მინცდამინც აპურამაზდას სახელთან იყო დაკავშირებული.

ამ ეჭვის მიუხედავად, არმაზისა და აპურამაზდას იგივეობის თემისი დიდხანს იყო გაბატონებული მეცნიერებაში.¹⁰ მას იზიარებდნენ კ.კეკელიძე¹¹, ს.კაკაბაძე¹², ლ.მელიქსეთ-ბეგი¹³...

შამირანაშვილმა პირველმა გამოთქვა მოსაზრება, რომ არმაზის კერძს არაფერი აქვს საერთო ირანულ მამლენობასთან¹⁴. მკვლევარმა ერთმანეთს დაუკავშირა ორი ფაქტი: 1) ქართველების მთავარი ღვთაება უძველეს დროში იყო მთვარე (ივჭავაძის შვილის მიხედვით¹⁵). 2) ქართულ წარმართულ პანთეონში პირველობა ჰქონდა არმაზის ღვთაებას (საისტორიო წყაროების მიხედვით). აქედან მან დაასკვნა, რომ არმაზის სახით ჩვენში თაყვანს სცემდნენ მთვარის ღვთაებას.

შ. ამირანაშვილის ვარაუდი დადასტურა შემდგომმა კვლევამ. ა. ზოლტუნოვამ ხეთურ მასალაზე დაყრდნობით დაამტკიცა არმაზის (მთვარის კულტის) მცირეაზიური (ხეთური) წარმომავლობა¹⁶. მთვარის ღვთაებას ხეთურ პანთეონში "არმა" რქმევია.

ეს თვალსაზრისი გაიზიარეს გ. მელიქი-შვილმა¹⁷, ნ. ზერძენიშვილმა¹⁸, კ. გრიგო-

ლიამ¹⁹, ა. აფაქიძემ²⁰, გ. გიორგაძემ²¹...

ლიტერატურის დაწვრილებით მიმოხილვას აქ განგებ არ ვაკეთებთ, რადგან იგი მოცემული გვექნება სპეციალურ წერილში, რომელშიც ვეხებით არმაზის- მთვარის ღვთაების თაყვანისცემის კვალს ქრისტიანულ სინამდვილეში, სახელმძღვანელოში, წმ. გიორგისა და მთვარის კულტის ნათესაობას²². აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ არმაზის დაკავშირება მთვარესთან დღესაც ზოგიერთი მკვლევარის ეჭვს იწვევს. მაგ. პროფ. რ. სირაძე არმაზს სპარსულ ღვთაებად თვლის²³, ზ. გამსახურდია კი წმ. გიორგის კულტს მიიხსენებს არა მთვარის, არამედ მისი კულტის გაგრძელებად²⁴.

ერთი რამ ცხადია: დღემდე ეჭვიმუტანლად არავის დაუსაბუთებია როგორც არმა-სთან (ხეთურ მთვარის ღვთაებასთან) არმაზის შეუთავსებლობა, ისე არმაზ-აპურამაზდას იგივეობა. არც იმ არგუმენტების საწინააღმდეგოდ თქმულა რაიმე, რომელთა ძალითაც ივჭავაძის შვილმა დაასაბუთა ქართულ წარმართულ პანთეონში მთვარის უზენაესობა და მისი კავშირი წმ. გიორგის თაყვანისცემასთან²⁵.

წინამდებარე წერილის მიზანია კიდევ ერთი

18 ნ.ზერძენიშვილი და სხვ. საქართველოს ისტორია (უძველესი დროიდან XIX ს. დასასრულამდე), I, თბ., 1958, 51.

19 კ. გრიგოლია, ნარკვევები საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობიდან, I, ახალი ქართლის ცხოვრება, თბ., 1954, 70-71.

20 ა. აფაქიძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, I, თბ., 1963, 175-178 (აქვეა მოცემული სპეციალური ლიტერატურის მიმოხილვა). იხ. მისივე წერილი კრებულში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, 1970, 667-672.

21 გ. გიორგაძე, ათასი ღვთაების ქვეყანა, 1988, თბ., 132-153.

22 საკითხს ვეხებით ეტიმოლოგიური ასპექტით და ვასკვნით, რომ წმ. გიორგის დაკავშირება მთვარესთან გამოიწვია ერთმა უპიზოდმა მისი ცხოვრებიდან-წამებამ ურმის თვალზე. ამის შესახებ იხ. ჩვენი წერილი: "საქართველოს ტოპონიმიში შემორჩენილი ერთი ბერძნული წარმომავლობის სახელის განმარტებისათვის", ჟურნ. "ჯვარი ვაზისა", N3, 1989 წ.

23 რ. სირაძე, სახისმეტყველება, 1982, 21; მისივე: ქართული ესთეტიკური აზრის ისტორიიდან, 1978, 40-48.

24 ზ. გამსახურდია, ვეფხისტყაოსანი და წმინდა გიორგის კულტი, ლიტერატურული ძიებანი, ტ. II (XVII), 1987, 212-249.

25 "ქართული ხალხის აზროვნებაში წმინდა გიორგის ძველი წარმართობის დროინდელი, ქართველების მთავარი ღვთაების-მთვარის ადგილი უკავია" (ივჭავაძის შვილი, დასახ. ნაშრ., 90).

9 იქვე.

10 ეს მით უფრო უცნაური მოვლენაა, რომ თვით ამ პიპოთების ავტორმა ნ. შარვაში "უარი თქვა მის მიერ წამოყენებულ ეტიმოლოგიებზე და განაცხადა: ქართული წყაროების წარმართული ღმერთების სახელისა და ზუნების გაგება ზოგად იაფფურ ნიდაგზე უნდა ვფიქროთ და არა ირანულსა და სემიტურზე" (კ. კეკელიძე, შინიშენები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ეტრუდეტი... I, 1956, 267).

11 კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრ., 266-270.

12 ს. კაკაბაძე, ქალ. არმაზი - ქალ. მცხეთა, საისტორიო კრებული III, 1928, 1-9; მისივე: ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები, საისტორიო მოამბე, წ. I, 1924, 1-15.

13 ლ. მელიქსეთ-ბეკოვ, Армази, Историко-археол. очерк, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. II, თბ., 1938, 39-44.

14 შამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, I, 1944, 53-55; მისივე, ქართული რელიგიური ქანდაკების უძველესი ნიმუში, საქმუზეუმის მოამბე, XII - b, თბ., 1944, 123.

15 ივჭავაძის შვილი, დასახ. ნაშრ., 81-99.

16 А. Болтунова, К вопросу об Армази, Вестник древней истории, N=2 M., 1949, 236-240.

17 Г. А. Меликшвили, Наир-Урарту, Тб., 1954, 420.

არგუმენტის წამოყენება არმაზისა და მთვარის ღვთაების (არმაზ-ს) იდენტურობის სასარგებლოდ.

საამისო მასალას გვაძლევს კაკკელიძის ეტიმოლოგიური ნარკვევი "ითრუჯანი"²⁶.

ითრუჯანი, როგორც ვიცით, ქალღვევლთა ღმერთადაა მოხსენებული წმ. ნინოს ცხოვრებაში და ლეონტი მროველის თხზულების შესაბამის ადგილას. არმაზის კერპის დამსხვრევის შემდეგ მორიან მეფესა და მის თანხმლებთან ასე განუმარტავთ ეს ფაქტი: "ქალღვევლთა ღმერთი ითრუჯან და ჩუენი ესე ღმერთი არმაზ ყოვლადვე მტერ არიან: ამან სამე მას ზედა ზღუა მოაქცია, და აწ მან შური იძია და მის მიერ მოიწია ესე"²⁷.

ნ.მარის აზრით ითრუჯანი არის სემიტურ (სირიულ-არაბულ) ნიადგაგზე წარმოშობილი ყათარ-გენიათა, რაც ასტარტა ღვთაებას ნიშნავსო. კაკკელიძეს ეს აზრი შესაწინააღმდეგებლად არ მიაჩნია, რადგან ასტარტა ღმერთის შესატყვისს წარმოადგენს გა-გამ (I მეფე VII,3-4). "როგორ მოხდა, — წერს იგი, — რომ გა-ც ასტარტა არის და ითრუჯანიც მით უმეტეს, რომ ეს ასტარტა ერთს შემთხვევაში, ითრუჯანის სახით, მტერი ყოფილა ქართველთა არმაზისა და მის დაღუპვას ლაშობს, მუორე შემთხვევაში კი, გა-ს სახით, ეს მეგობარია არმაზისა, მის საზოგადოებაშია და მის კერპს გვერდს უშუენებს? არას ვიტყვი იმის შესახებ, რომ, ქართული წყაროების ცნობით, გა ქართველთა ღმერთია, ითრუჯანი კი — ქალღვევლთა"²⁸. არსებითად იმავე თვალსაზრისზე (ითრუჯანისა და ასტარტა ქალღმერთის იგივეობა) იღვა მწერეთელიც (დასახ.ნაშრ.,101-103) ფონ ვებენდონკისა და ივ. ჯავახიშვილის შრომებში კი ითრუჯანის შესახებ არაფერი იყო ნათქვამი.

ითრუჯანის ვინაობის გამოსარკვევად კაკკელიძემ ყურადღება გაამახვილა არმაზისა და ითრუჯანის მტრობაზე: "ამან, იგულისხმება არმაზმა, მას ზედა, ესე იგი-ითრუჯანზე, ზღუა მიუშვა, სამაგიეროდ,მან, ითრუჯანმა, ამას ზედა, ესე იგი-არმაზზე, ესეთი დამზობა მოაწია, იგულისხმება მისი კერპის დაღუწვა და შემუსრვა. როგორც ვხედავთ, არმაზს ითრუჯანზე ზღუა მიუშვა, მაშასადამე, წყლით ემუქრებოდა მის არსებობას: რით გადაუხადა მას ითრუჯანმა? ამას ვტყობილობთ ნინოს ცხოვრების იმ ადგილიდან, სადაც

ლაპარაკია არმაზის კერპის შემუსრვის შესახებ: "და ამა, წამისყოფასა თუალისასა დასავალით ჰაერნი და ქარნი შეიძრეს და ვმა სცეს ქუხილთა ჳმითა საზარელითა". რასაც მოჰყვა მსხვილი სეტყვა და კერპის შემუსრვა"²⁹.

კაკკელიძის აზრით, რაც არ უნდა მსხვილი ყოფილიყო სეტყვა, ვერ დაღუწდა იგი "ზილენძის უზარმაზარ კერპს, რომელსაც ტანზე ეცვა თქროს ჯაჭვი, თავზე თქროს ჩაფხუტი ეხურა და ზეჭებზე "სამკარნი ესხნეს"³⁰. კერპების დაღუწვის მიზეზი "ელვისტება და მებისფრქვევა" იყო. "თუ მხედველობაში გვექნება ის გარემოება, რომ ითრუჯანს არმაზი ემუქრებოდა წყლით, ხოლო ითრუჯანმა მას გადაუხადა ელვითა და მებისტებით, ითრუჯანი უნდა მივიჩნიოთ ისეთი სტიქიონის ღვთაებად, რომელიც წყლით შეიძლება მოსპობილ იქნეს და რომელიც ელვასთან და მესთანაა დაკავშირებული, ესე იგი ცეცხლის ღვთაებად. ასეთი დასკვნის საშუალებას იძლევა ის წყარო, სადაც, ავტორისაგან შეუგნებლად, დარჩენილა რაღაც ბუნდოვანი, ფრაგმენტული ცნობა ამ ღვთაების შესახებ"³¹.

ასეთი არაპირდაპირი მონაცემის საფუძველზე კაკკელიძემ დაასკვნა, რომ ითრუჯანი (ნინოს ცხოვრების შატბერდულ ვერსიაში დაცულია "ითრუჯანა" ფორმა)³² "ქართულს ნიადგაგზე ფონეტიკურად სახეშეცვლილი ფალაური "ატროშან"- "ატროშან"-ცეცხლი უნდა იყოს"-ო.

ფიქრობთ, ეს სავსებით მისაღები ვარაუდია. ატროშანის ხსენება ქართულად ჯერ კიდევ V საუკუნიდან ვიცით. იაკობ ხუცესის "შუშანიკის წამების" თანახმად, როდესაც წმ. შუშანიკმა გაიგო ვარსქენის მიერ ცეცხლთაყვანისმცემლობის აღიარება, წარმოთქვა: "საწყალობელ იქმნა უზადრუკი ვარსქენ, რამეთუ უვარყო ჭეშმარიტი ღმერთი და აღიარა ატროშანი".

შემდეგ კაკკელიძე მსჯელობს იმაზე, თუ რა იოლად მივიღეთ ატროშანიდან ითრუჯანი და ასკვნის: "ითრუჯანი, მაშასადამე, ირანული, მაზდეიანური, ღვთაებაა და არა სემიტური, როგორც ნ.მარი და მწერეთელი ფიქრობდნენ. მართლაც, ავესტაში ცნობილია აპურამაზდას (არმაზის) შვილი, ადარ-ატარ, ღვთაება ცეცხლისა, ელვისა და ოჯახის კერისა. მისი კულტის კვალს ჩვენ დღესაც ვხედავთ სამეგრელოში "ანთარ"-ის და

26 კაკკელიძე, ეტიულები...I,266-270.

27 ქართლის ცხოვრება, სკაუხჩიშვილის გამოცემა,I,1955,91-92.

28 როგორც ზემოთ ვთქვით, ქართული წარმართული პანთეონის შესახებ გამოთქმულ საკუთარ აზრებს ხოლოს აღარ იზიარებდა ნ.მარი.

29 კაკკელიძე, დასახ.ნაშრ.,268.

30 იქვე.

31 იქვე (ხაზი ჩვენია, ე.კ.).

32 შატბერდის კრებული, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ.გიუნაშვილმა, თბ.,1979,341.

აფხაზეთში "ათარ"-ის სახით³³. შემდეგ კაკველიძეს მოჰყავს მაგალითები საქართველოში ცეცხლის ანუ ატროშან-იორუშანის კულტის ფართო გავრცელებისა (აზიზის ნეკრესელის მარტვილობის მონაცემები; "მოქცევაჲ ქართლისაჲს" ცნობა, რომ ცეცხლის მსახურთ "მოგვთას" ჰქონდათ ასეთივე "ცეცხლის სამსახურებელი ადგილი"; ნიქოზის, ნეკრესისა და თბილისის ბეთლემის მახლობლად მდებარე "საცეცხლოები" და სხვა) და ამ მაგალითებს გვერდით უყენებს არმაზის კულტს, თითქოს მისი კერპი ცეცხლთაყვანისმცემლობის კერა ყოფილიყო.

ღვთისათვის არმაზის შესახებ სხვა წარმოდგენა არსებობს და ეს თვალსაზრისი ჩვენთვის მიუღებელია, მაგრამ იმ დროისათვის, როდესაც კაკველიძის შრომა იწერებოდა (1936 წ.), არმაზ-აპურამაზდას იდენტურობა თითქმის აქსიომატურ დებულებად იყო მიჩნეული და კაკველიძე იძულებული გამხდარა თავისი ეტიმოლოგიური მიგნება (იორუჯანი-ატროშანი) როგორმე მოერიგებინა მასთან. ამისათვის საჭირო შეიქნა პასუხის გაცემა ორ კითხვაზე:

1. თუ იორუჯანი ირანული ღვთაებაა, რატომ ეწოდება მას ჩვენს წყაროებში "ქალდეველთა" ღმერთი?

2. "თუ იორუჯანი... ცეცხლის ღვთაებაა, და ის იგივე ატარ-ადარია, რომელიც არმაზის (იგულისხმება აპურამაზდა, ე.კ.) შვილად ითვლებოდა, როგორ დაუპირისპირეს ის ჩვენმა წყაროებმა არმაზს (რომელიც თითქოს აპურამაზდას განსახიერებს წარმოდგენდა, ე.კ.) და მის მტრად აღიარეს?"³⁴

პირველ კითხვაზე კაკველიძე ასე პასუხობს: "ძველ ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში ირანს ხშირად ეწოდება ქალდეველთა ან ბაბილონელთა ქვეყანა, ასე, მაგალითად, ბიბლიაში, სადაც ბაბილონის ქვეყანა ქალდეველთა ქვეყანადაც ცნობილი, ასევე იწოდება ირანიც, ირანის მეფე დარიოსს ეწოდება ქალდეველთა მეფე (დან.IX,1); ფსევდო-ფორემის "განძთა ქუაზში" ირანი იწოდება "ნებროთის", მაშასადამე, ქალდეველთა ქვეყანად. ირანი ბაბილონის ან ქალდეველთა ქვეყანად ცნობილია აგრეთვე პავლიოგრაფიულ ძეგლებში, როგორც, მაგალითად, აზიზის ნეკრესელისა და გოლინდუხტის ცხოვრება, "მოქცევაჲ ქართლისაჲ" და სხვ. ეს სრულიად ბუნებრივია, ვინაიდან ძველი ირანი, როგორც ცნობილია, ქალდეველთა ან ბაბილონელთა ქვეყანასაც შეიცავდა ერთ დროს"³⁵.

ვფიქრობთ, ეს პასუხი სრულიად დამაკმაყოფილებელია. მეორე კითხვა კი გაცილებით რთული გამოდგა. თუ აქამდე, ღვთაებათა შორის ურთიერთობის დასადგენად, მათი ბუნებისა და წარმომავლობის გამოსაცნობად კაკველიძე მთლიანად ქართულ წყაროებს ეყრდნობოდა (გამოიყენა, სახელდობრ, ასეთი ცნობა: არმაზი იორუჯანს წყლით ემუქრებოდა) და, ე.ი. ენდობოდა, ახლა იძულებულია უნდობლობა გამოუცხადოს მათ. იგი წერს: "საქმე ისაა, რომ ჩვენს წყაროებში არ შენახულა ნამდვილი სურათი ქართული წარმართობისა, აქ გვაქვს მხოლოდ ბუნდოვანი მოგონებანი მისი, სადაც სიმართლე სიცრუესთან და ფანტაზიასთანაა შერეული. ამ წყაროებმა არ იციან არც ის, რომ იორუჯანი ირანული ღვთაებაა, არც ის, რომ არმაზიც გარედანაა შემოსული, პირიქით, ეს წყაროები ხაზგასმით ამტკიცებენ, რომ არმაზი ირანული ღვთაება კი არა, წმიდა ქართული, ერთგული, ღმერთია. ისინი არმაზის კულტს უპირისპირებენ ირანულ კულტს"³⁶.

ვფიქრობთ, ასეთი დაქვეება ჩვენი საისტორიო წყაროებისადმი მეტისმეტად გაზვიადებულია. თუკი ვიტყვი, რომ "ძველ ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში ირანს ხშირად ეწოდება ქალდეველთა ან ბაბილონელთა ქვეყანა", მაშინ ადგილი აღარ რჩება განცხადებისათვის, თითქოს "ამ წყაროებმა არ იციან... რომ იორუჯანი ირანული ღვთაებაა". გარდა ამისა, მემატინე იორუჯანს ცეცხლის ატრობუტებით (ქუქა-ქუხილის მოვლინება, წყლით დაშრეტის შიში) მოსაეს; თანაც კარგად იცის, რომ ცეცხლის თაყვანისცემა ირანული სარწმუნოებაა (მაგსპარსთა მეფე ქასრე ქართველებს ეუბნება: "და იყოს შვილი ჩემი ორსავე სჯულსა ზედა: მამათა ჩუენთა ცეცხლის-მსახურებასა და თქუენთა კერპთასა")³⁷. მეორეც: თუკი წყაროები ხაზგასმით ამტკიცებენ, რომ არმაზი ირანული ღვთაება არაა, პირიქით, იგი ქალდეურ (იგულისხმება ირანული) კულტს-იორუჯანს (ატროშანს) უპირისპირდებოდა, ვფიქრობთ ამით სრულიად ბუნებრივი მდგომარეობაა გადმოცემული. არარეალური სწორედ ის იქნებოდა, რომ არმაზი აპურამაზდას კერპი (?) ყოფილიყო და ისტორიკოსს იგი მაინცდამაინც საკუთარი შვილის-ატროშანისათვის დაეპირისპირებინა. შესაძლებელია იორუჯანის ბუნების დასადგენად კაკველიძე იშველიებს ქართული წყაროების არაპირდაპირ მონაცემებს; სახელდობრ იმას, რომ არმაზი "წყლით ემუქრებოდა მის (იორუჯანის) არსებობას". ახლა, თუ არმაზიც ცეცხლად გავიარეთ, წყლით დაშრეტების თემისზე

33 კაკველიძე, დასახ. ნაშრ., 269.
 34 იქვე.
 35 იქვე.

36 იქვე, 269-270.
 37 ქართლის ცხოვრება, I, 65.

ხელი უნდა ავიღოთ, და მაშასადამე, ეჭვის ქვეშ დაგაყენოთ (მეტეც: შებრუნებით გავიგოთ) ის ნიუანსები, რომლებიც საფუძვლად დავუდეთ ითრუქანის ეტიმოლოგიას.

თუკი ჩვენს წყაროებში მართლაც არ შენახულა ნამდვილი სურათი ქართული წარმართობისა და გვაქვს მხოლოდ "ზუნდოვანი მოგონებანი" მის შესახებ, შეუძლებელია ამ ზუნდოვან მოგონებას რაიმე წინააღმდეგობრიობა არ წარმოეშვა; შეუძლებელია სიმართლისა და სიცრუის ასეთ ნაზავში რაიმე ხელისაჭიდი ძაფი არ გვეპოვა იმის გამოსარკვევად, რომ მოთხრობა ქართული კერძებისა და ირანულისაგან გამოჩნული ერთგვარი პანთეონის შესახებ წმინდა წყლის ფიქცია ყოფილა. ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, თითქოს უძველესი ქართული საისტორიო წყაროები არცერთ სტრიქონში არ სცოდავენ სიმართლის წინაშე, მაგრამ თუკი მათში ასე განუსჯელადაა არეული სიმართლე "სიცრუესთან და ფანტაზიასთან", ეს მაინც როდი ნიშნავს, რომ სიმართლე მაინც-დამაინც ითრუქანის შესახებ ამზებშია დაცული, ხოლო ის, რაც არმაზის შესახებაა ნათქვამი, ტყუილია.

როდესაც მატეანეში დაცული ნიუანსების მიხედვით ხერხდება გაკვირვებით მოხსენებული ღვთაების ზუნებისა და წარმომავლობის დადგენა (ითრუქანი), ვფიქრობთ, იგი იმსახურებს იმდენ ნდობას, რომ უმთავრესი ღვთაების ძირითად შტრიხებში დავუტყუროთ. მით უმეტეს, რომ არმაზის შესახებ არსებული ცნობების უკუღმა გაკების შემთხვევაში საფუძველი ეცლება ითრუქანის ეტიმოლოგიასაც; თუკი არმაზი-აპურამაზდა დაუპირისპირდება ვისმე, უმაღლეს ცეცხლით დაუპირისპირდება, ვინმე წყლით. ითრუქანის შემთხვევაში კი მივიღებთ ცეცხლს ცეცხლის წინააღმდეგ. ერთი სიტყვით, თუ არმაზი აპურამაზდაა, გვინდა თუ არა, ითრუქანი და ატროშანი ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნონ.

არმაზის, როგორც ღვთაების (კერძის) სახე ქართულ წყაროებში საკმაოდ რელიეფურადაა წარმოჩენილი. რაიმე წინააღმდეგობრიობა მის ზუნებაში არ შეიძინება. მემატეანეს ისეთი არაფერი "გაპპარავია", ცეცხლთაყვანისმცემლობის კვალზე რომ დავეჭვებულყავით. ითრუქანის შესახებ კი "ავტორისაგან შეუგნებლად" დაცულა ამგვარი ცნობები. ითრუქანი არ იყო მემატეანის ინტერესის მთავარი საგანი და ამიტომ გაკვირვებით შეგებ მას. სიტყვააძრწობის მიუხედავად მას თავისდა უნებურად მაინც მოუხდა ცნობების მოწოდება ითრუქანის ვინაობის შესახებ. არმაზი და სხვა ქართული ღვთაებები კი საკმაოდ ნათლადაა აღწერილი. "ავტორისაგან შეუგნებლად" დარჩენილ

კვალს მათი მამდიანურობისას იქ ვერ ვნახავთ, რადგან ისინი სრულიად შეგნებულად ანტიმამდიანებად არიან დასახულნი. მეტეც, "ზღვის მიქცევის" ნიუანსი აღიქმება ისეთივე "შეუგნებელ" ცნობად არმაზის ანტიმამდიანობისათვის, როგორც ითრუქანის ცეცხლთან დაკავშირებისათვის. ასეთი დასკვნის საფუძველს გვაძლევს ის, რომ სხვაგან არსადაა გახაზული, არმაზი ზღვის ბატონ-პატრონია, მთელი ქვეყნის წყლები მას მორჩილებენ, ამ წყლით მას ძაღუს მტრულ ღვთაებათა ცეცხლიც დაშრიტოსო.

ქართული წყაროები საგანგებოდ აღნიშნავენ არმაზის კულტის განსხვავებას სხვა, არაქართული კულტებისაგან. მაგალითად, წმინის ცხოვრების მატერულ ვერსიაში ნათქვამია, რომ არმაზის კუბთან მდგომნი შიშობდნენ, "ვინ თუ დასადავაკლო რაე დიდებასა დიდისა ღმრთისა არმაზისა და შერას-მეუსეთე სიტყუასა ებრაველთა თანა, გინა მოგუთა სმენასა ოდენ დახულომილ ვიყო მშის მსახურთა, და რომელნიმე იტყვან უცეხნი დიდსა ვისმე ღმერთსა ცათასა..." (მატერულ კრეზული, 335). ე.ი. ვინ თუ ებრაველთა, ან მშის მსახურ მოგვთა და ქრისტიანებთან სიახლოვით რაიმე დააკლოთ არმაზის დიდებასო. "მაშასადამე, ისე გამოსის, თითქოს არმაზის მსახური სხვანი არიან, და მშისა და ცეცხლის მსახური მოგები — სხვანი", — ასკვნის კამეკელიძე⁵⁸. შემდეგ მას მოჰყავს ლეონტი მროველის ცნობა, რომ ფარნაქომმა არმაზისა და ზადების კერძების აღმართვის შემდეგ "შეიყუარა სწული სპარსთა, ცეცხლის მსახურება, მოიყუარა სპარსეთით ცეცხლისმსახური და მოგუნი, და დასხნა იგინი მცხეთას, ადგილსა მას, რომელსა აწჰქვან მოგუთა, და იწყო ცხადად გმობად კერძთა. ამისთჳს მოიძულეს იგი მკვლრთა ქართლისათა, რამეთუ დიდი სასოება აქებდა კერძთა მიმართ. მაშინ შეითქუნეს ერისთავნი ქართლისანი უმრავლესნი და წარავლინეს მოციქული წინაშე სომეხთა მეფისა და რქეს: "შეფე რუენი გარდაკდა სწულსა მამათა რუენთასა, არღარა მსახურებს ღმერთთა მკყრობელთა ქართლისათა, შემიღო სწული მამული და დაუტევა სწული დედული. აწ არღარა ღირს არს იგი მეფედ რუენდა" (ქართლის ცხოვრება, I, 29).

როგორც ვხედავთ, ლეონტი მროველიც იმასვე ამბობს, რასაც მისი წინამორბედი ისტორიკოსი: არმაზი ეროვნული ქართული ღმერთია, ცეცხლთაყვანისმცემლობა — სხვა, უცხო სწულიო. კამეკელიძე ამასაც რეალური ვითარების უკიდინრობით ხსნის. "ამ პირობებში ჩვენს წყაროებს, კიდევაც რომ სცოდნოდათ, რომ ითრუქანი ირანული ღმერთია, — წერს იგი, — უფლება ჰქონდათ დაეპირისპირებინათ ის არმაზისათვის, როგორც

ეროვნული, ქართული ღვთაებისათვის"³⁹.
 ნათლად ჰქონდათ წარმოდგენილი თუ არა ცეცხლთაყვანისმცემლობის კულტის თავისებურებანი ქართველ მემკვიდრეებს, ერთი შეხედვით თითქოს არ ჩანს ჩვენი წყაროებიდან, მაგრამ, ფაქტობრივად, უმნიშვნელო არ უნდა იყოს არმაზისა და ითრუჯანის ბრძოლის ხასიათი: არმაზმა მინცლამაინც ზღვა მიუშვა ითრუჯანზე (წყალი, როგორც ცეცხლის სტიქიის წინააღმდეგი); ითრუჯანმაც იმხარა სწორედ ის იარაღი, რაც მას შეიძლებოდა ჰქონოდა — ცეცხლი (ელვა, ჭექა-ქუხილი).

ერთი სიტყვით, ჩვენ საფუძვლით მართებული გვგონია კჰექელიძის დასკვნა, რომ ითრუჯან - ითრუშანი არსებითად იგივე უნდა იყოს, რაც ირანული ატარ-ითრუშანი. მაგრამ ვერ დავუთანებთ იმაზე, თითქოს ითრუჯანთან ურთიერთობის ფონზე არმაზს არ სჭირდებოდა აპურამაზდასაგან გამოგვანა.

საბუნებრივად, ამის შესაძლებლობა იძლევა იგივე მონაკვეთი შატბერდული "მოქცევათა", რომელთაც კჰექელიძემ ითრუჯანის ვინაობა განმარტავს.

კჰექელიძემ ცალმხრივად დასვა საკითხი: რა ბუნებისა იყო ღვთაება ითრუჯანი, რომ არმაზი წყლით ემუქრებოდა მის არსებობას; ანდა რის შემთხვევაში იყო იგი, რა იარაღით ებრძოდა არმაზს?

ეს კითხვა, რასაკვირველია, შებრუნებითაც შეიძლება დაისვას: რა ძალაუფლება ჰქონდა არმაზს, რომ ითრუჯანზე მინცლამაინც ზღვის მიქცევა შეძლო? თუ ცეცხლის დაშრება იყო უმთავრესი მიზანი, ეს ხომ შეიძლებოდა წვიმითაც, მდინარის ან წყაროს წყლის მაშვებით და სხვა. მაგრამ "მოქცევათა ქართლისაჲ"-შიც და ლეონტის შრომაშიც ხაზი ესმება ზღვის მიქცევას.

ერთს, ჩვენი აზრით, არსებით ნაარესაც შეიძლება მივაქციოთ ყურადღება: შენიშნულია, რომ "ქართლის ცხოვრებაში" პირველხსენებული ციტატა ხელმოწერადაა ჩართული. წმინის შატბერდულ "ცხოვრებაში" კი (VIII თავში)—თავის ადგილას არის⁴⁰. აქედან ასკვნიან, რომ "თავდაპირველ ტექსტში... მირიან მეფის მეორე დღეს გამოსვლა

და კერძოა ძიება, აგრეთვე კვალიფიკაცია ამ ფაქტისა, არ უნდა ყოფილიყო, ეს ნაწილი "გადმოტანილი უნდა იყოს "მოქცევის" მეზ თავიდან, სხვადასხვა მირიანი ნინოს ეუბნება: ეგე არმაზ და ქალდეველთა ღმერთი ითრუშანა ყოვლადვე მტერ არიან. ამან მის ზედა ზღუად მოადგინის და მან ამის ზედა ერთი ანუ რამეჲ ჰოაწის"⁴¹...

ახლა ვნახოთ, რა ცვლილება შეიტანა ლეონტი მროველმა ამ ტექსტში: "ქალდეველთა ღმერთი ითრუჯან და ჩუენი ესე ღმერთი არმაზ ყოვლადვე მტერ არიან: ამან სამე მას ზედა ზღუად მოაქცია, და აწ მან შური იძია და მის მიერ მოიწია ესე" (ქართლის ცხოვრება, I, 91-92).

აქ ჩვენთვის საინტერესოა ის ფაქტი, რომ თავდაპირველ ვარიანტში გვაქვს: "ზღუად მოადგინის", გვიანდელში — "ზღუად მოაქცია". იმავე როდი ვამხვილებთ ყურადღებას, რომ ერთგან "მოადგინებაჲ" ლაპარაკი, მეორეგან — "მოქცევაჲ"; აშკარაა, რომ ისინი ერთსა და იმავე რასმე გულისხმობენ; მაგრამ განსხვავება ისაა, რომ "მოადგინის" ბოლმეობითი ფორმაა, "მოაქცია" კი — ერთბედა მოქცევას გულისხმობს.

ამრიგად, თავდაპირველი ვარიანტის თანახმად, უნდა ვიფიქროთ, რომ არმაზი ისეთი ბუნების ღვთაება ყოფილა, რომელსაც ზღვის მიქცევა-მოქცევა შეეძლო.

ელემენტარული ასტრონომიიდან ცნობილია, რომ ზღვის მიქცევა-მოქცევა მოვარეზა დამოკიდებული, ამიტომ სრულიად ბუნებრივი უნდა იყოს დაშვება, რომ ზღვის მიქცევა-მოქცევის შემძლებელი არმაზი, — მოვარის ღვთაების (არმას) ანთროპომორფული სახეა. როგორც ჩანს, ქართული არმაზი არც შინაარსით და არც სახელით არავითარ კავშირში არ ყოფილა ირანულ აპურამაზდასთან.

არმაზის კულტის ხეთური წარმომავლობის სასარგებლოდ მეცნიერებს უკვე მრავალი საბუთი მოეპოვება. უძველესი ქართული საისტორიო წყაროების მონაცემებზე დაყრდნობით მიღებული ეს დასკვნაც, ვფიქრობთ, ერთ-ერთ ასეთ საბუთად უნდა იყოს მიჩნეული.

³⁹ დასახ.ნაშრ., 270.

⁴⁰ "მოქცევათა ქართლისაჲ"-ს ქრონოლოგია, "შნათობი", N8, 1988, 140-141. **ბ. გიგინეიშვილის წერილი.**

⁴¹ იქვე, 141; შატბერდის კრებული, 341.

საქართველოს ეკლესიის სიწმიდეები გაზოგის მუზეუმში

საქართველოს ეკლესია ოდიტანვე თაყვანს სცემდა და სათუთად ეპყრობოდა ეკლესიამონასტრებს, ჯვარ-ხატებს, წმიდანთა ნაწილებს და სხვა სიწმიდეებს, მაგრამ საუკუნეების მანძილზე გარეშე მტრების შემოსევებისა და შინაგანი შუღლისა და მტრობის გამო ჩვენი ეკლესიის სიწმიდეების უმეტესობა განადგურდა, ნაწილი კი მუზეუმებსა და სხვადასხვა ადგილებში მოიპოვება.

დღეს ზაგორსკის სახელმწიფო ისტორიულ მხატვრულ მუზეუმში, რომელიც მოსკოვიდან დაახლოებით 70 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს, ინახება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის რამდენიმე სიწმიდე. ცნობილია, რომ მათი უმეტესობა იქ მოხვდა წმიდა სერგის სამების ლავრიდან, რომლის კედლებშიც დაარსდა მუზეუმი 1920 წელს.

მუზეუმში შეგროვილი საქართველოს სიწმიდეები დღისათვის შეუსწავლელია და, სამწუხაროდ, საშუალება არ გვეძლევა მათი სრულყოფილად შესწავლისათვის 1. მოუხედავად იმისა, რომ შეუძ-

ლებელი შეიქნა მათი დეტალური ფოტოგრაფირება, მათ შესახებ მუზეუმში არსებული წერილობითი წყაროების გაცნობა და სხვა, ამკარად წარმოხდა მათი მნიშვნელობა ჩვენი ერისა და ეკლესიისათვის.

ქართლის ცხოვრებაში ვკითხულობთ: "წარავლინა მირიან მეფემან ეპისკოპოსი იოანე და მის თანა წარჩინებული ერთი წინაშე კონსტანტინე მეფისა, და ითხოვა ნაწილი ძელისა ცხოვრებისა, რომელი მას ოდენ ფამსა გამოეჩინა. ღმრთის მოყვარესა ელენე დედოფალსა. ... ვითარ მიიწივნეს წინაშე კონსტანტინე კეისრისა, სიხარულით მონაჩა ნაწილი ძელისა ცხოვრებისა, ფიცარნი იგი, რომელთა ზედა ფერუნიდამსჭუალებულ იყვნეს უფლი-სანი. და წამოვიდა ეპისკოპოსი და მას თანა მოციქული. მოვიდა მანგლისს... და დაუტევნა ფიცარნი იგი უფლისანი" 2. ნაწილი ჯვრისა, რომელმაც ეწამა იესო ქრისტე, საქართველოში ჩამოსვენების შემდეგ საუკუნეების მანძილზე გახლდათ ჩვენი ეკლესიის სათაყვანებელი სიწმიდე, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, საქართველოს



სურ. 4 ვერცხლის ყუთში ჩასვენებული ოქროთი და ძვირფასი თვლებით მოოჭვილი საქართველოს ეკლესიის სიწმიდე

უკანასკნელი მეფის გიორგი XII დროს უგზო-უკვლოდ გაქრა, დაიკარგა. 3 ზაგორსკის მუზეუმში ინახება ვერცხლის ჭვარი, რომელშიც ჩასვენებულია მცირე ნაწილი იმ ჭვრის ნაწილიდან, რომელიც IV საუკუნეში საქართველოში გა-მო-გზაინა ბიზანტიის იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა მირიანის მეფობის დროს.



ისტორიიდან ცნობილია, რომ საქართველოს მეფემ წმიდა ვახტანგ გორგასალმა, რომლის მეფობის დროსაც საქართველოს ეკლესიამ მოიპოვა ავტოკეფალია ანუ დამოუკიდებლობა, მოილოცა იერუსალიმის სიწმიდეები, შესწირა მრავალი შესაწირავი და საქართველოში ჩამოიტანა ჭვარი ცხოველსმყოფელი ჭვრის წმიდა ნაწილით. ჭვარი, შემკობილი ოქროთი და ძვირფასი თვლებით, საუკუნეების მანძილზე აღმართული იყო ნიქომის საკათედრო ტაძარში, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ის სიწმიდეც, რომლის საქართველოში არსებობა

ცნობილი იყო აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებისათვის, მეფე გიორგი XII დროს, როდესაც ნიქომის ეპარქიას განაგებდა ეპისკოპოსი ათანასე, უგზოუკვლოდ დაიკარგა. 4. იმ ჭვრის მცირე ნაწილიც ჩასვენებულია ჭვარში, რომელიც მუზეუმის ერთ-ერთ საწყობში ინახება და მისი ნახვა მორწმუნეებისა და მუზეუმის დამთვალიერებლებისათვის დღეისათვის შეუძლებელია. 5.

დღეს შესაძლებელია მუზეუმის განძისაცავის IV დარბაზში ნახოთ ოქროს ჭვარი, შემკობილი ძვირფასი თვლებით (სურათი N1). ჭვარი იხსენება და შიგ ჩასვენებულია წმიდა დიდმოწამე გიორგისა და სხვა წმინდანთა სხეულის ნაწილები. მათ მოპირდაპირე მხარეს მიკრულია ქაღალდი ქართული წარწერით. იქვეა ხის ჭვარი, რომლის ერთ მხარეს ამოკვეთილია მირქმა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი (სურათი N2), ხოლო მეორე მხარეს - ჭვარცმა. ჭვარი ჩასმულია ოქროს ფირფიტაში,

სურ.1. ძვირფასი თვლებით შემკული ოქროს ჭვარი. შიგ ჩასმულია წმ. გიორგისა და სხვა წმინდანთა ოქროს ნაწილები.

სურ.2. ჭვარი. მირქმა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი





სურ.6. ქართული გულსაკიდი ჭვარი (შუბლი) ჭვარცმის სცენით. შიგ ჩასვენებულია იოანე ნათლისმცემლის წმ. ნაწილები.

რომელსაც ამშვენებს ძვირფასი თვლები. ფირფიტისა და თვლების ნაწილი დაკარგულია. მათ გვერდით არის პანაღია ოქროსი, ჭვრის გამოსახულებითა და ძვირფასი თვლებით შემკული (სურათი N3), მორე მხარეს სანაწილეზე გამოსახული ჭვრის შუა ადგილზე გამოყენებულია სამი ფერის ემალი. როგორც ეტყობა, სანაწილე იხსნება. ხელოვნების ეს ნიმუში შესრულებულია ნატიფი ოსტატობით. იქვე, იმათ გვერდით არის ქეთევან დედოფლის ხატი და მისი წმიდა ნაწილები. ცნობილია შირაზში ქეთევან დედოფლის საშინელი წამება: "გაუბეს ხელფევი და გააშიშვლეს წმიდა ქეთევან და განკურვებულის გაბებით დააგლიჯეს ძუძუები და გახურვებული საჯები ნაგლეჯს ხორცბყდან შემოაწყვეს და დაგლიჯეს. გააკურვეს ღურსმები და დაყარეს ქვეშე და ბედ გაატარეს, დააწვიეს და შიშველაზედ ბედ შემოაყარეს ღურსმანი გა-კურვებული. კუალად გაკურვებული გაავლეს მუცელსა და ძუძუ მკერდშიგან. განხურვებული



სურ.7. ქართული გულსაკიდი ჭვარი (ზურგი) ფართო სულა-რაზე მტდომი ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი ყრმითურთ და სამი ანგელოზის თანხლებით.

ქუაზი დაარქუეს თავსა ბედან, კუალად განხურვებულს ქუაზსა შიგან შიგ ჩასუეს და თავსაც დახურეს და შემოაწყვეეს გახურვებული ხარები შუბლსაზედა და ახეთქა თავის კეფა. და ყვეს მრავალი სატანჯველი, და ესრეთ შევედრა წმიდა სული თუხი უფალსა" 6.


წერილობითი წყაროების თანახმად ქეთევან დედოფლის წამების შემდგომ მისი პატიოსანი ნეშტი შეგროვილ იქნა და საიღუმლოდ დაიმარხა. რამდენიმე ხნის ძიების შემდგომ პორტუგალიელმა მისიონერებმა მიაგნეს მისი განსვენების ადგილს, ჩუმად ამოასვენეს და დააბრძანეს შირაზში, კათოლიკურ მონასტერში. მაგრამ, რადგანაც სწორედ ამ ქალაქში აწამეს დედოფალი, მათ სახიფათოდ მიიჩნიეს მისი აქ დატოვება და გადაასვენეს ისპაჰანში თავიანთ მონასტერში, საიდანაც მოგვიანებით კვლავ იქნა გა-დმ-ოსვენებული შირაზში, ხოლო შირაზიდან ისევ ისპაჰანში. იქიდან წმიდა დიდმოწამე ქეთევა-

ნის მკლავი და ხელის მტევანი გადაასვენეს ინლოეთის ქალაქ გოაში, ჩაასვენეს შავ ლუსკუმაში და დაასვენეს ა გრასის მონასტერში. პატიოსანი თავის ნაწილი, ზედა ყბა კბილების გარეშე ჩაასვენეს ძვირფას ყუთში და გაუგზავნეს პიედრო დელა ვალეს, რომლის სახლშიც იყო დაცული ეს სიწმიდე. ნაწილი ნეშტისა მოხვდა ბელგიაში და დასაფლავებულ იქნა ნამიურის მონასტრის ტერიტორიაზე, ნაწილი კი 1828 წლის 11 მაისს ამზროსიო ღუმ ანჟუმ-მა და პიედრო ღუმ სანტოსმა ჩამოასვენეს საქართველოში. მეორე დღეს, ქეთევან დედოფლის სხვა წმიდა ნაწილების ჩამოსვენებასთან დაკავშირებით, ქვორში, ეკლესიაში შედგა წირვა, რომელსაც ესწრებოდა დედოფლის შვილი თეიმურაზ მეფე და უამრავი ხალხი.⁷

ცნობილია, რომ წმიდა მოწამე ქეთევანის ფეხის ცერა თითი თეიმურაზ მეფემ გაუგზავნა რუსეთის მეფეს მიხეილ რომანოვს. 8. ნაწილი თავის ქალისა დასაფლავეს ალავერდის ტაძარში ტრაპეზს ქვემოთ 9. ხოლო დანარჩენი ნაწილი, რომელიც მტრების შემოსევის დროს უგზოუკვლოდ დაიკარგა 10, თითქოს მდარგვზე გადასვლის დროს უბედური შემთხვევისა გამო წყალში ჩავარდა 11. დღეს ქეთევანის ნეშტის მცირე ნაწილი ინახება ქ. მცხეთაში 1870 წელს პეტერბურგიდან შემოწირული ხატის ქვემოთ მოთავსებულ სანაწილეში 12. ამჟამად ზაგორსკის მუზეუმში არის ძვლის ნაწილი, რომელიც ჩასმულია ორივე მხრიდან ოქროში და შემკულია ძვირფასი თვლებით (სურათი N4). ვარაუდობენ, რომ ეს უნდა იყოს წმიდა დიდმოწამე ქეთევან დედოფლის სხეულის ნაწილი. ჩვენი ეკლესიის ეს სიწმიდე ჩასვენებულია ვერცხლის ყუთში, რომელსაც ამკობს თხუთმე-

ტი გამოსახულება და ქართული წარწერები.

იქვეა ქეთევან დედოფლის ყველაზე აღრინდელი ხატი. ეს გულსაკიდი ხატი იხსნება და შიგ ქართული წარწერებია, რანიც გვაუწყებენ, რომ ხატი შემკობილია ბატონიშვილ ვახტანგის მიერ და შიგ ჩასვენებულია ქეთევან დედოფლის თავისა და



ნახ.5. დღესათვის წმიდა ქეთევან დედოფლის ყველაზე აღრინდელი ხატი. მისივე თავისა და ხელის წმიდა ნაწილით.



სურ.8.
გარდამოხსნა, ირგვლივ
ქართული წარწერები
ამშვენებს

ხელის ნაწილი.

ამ ოქროს გულსაკიდ ხატზე წმიდა დიდმოწამე ქეთევან დედოფალი გამოსახულია სამეფო გვირგვინით და შემოსილია ქართულ ეროვნულ სამოსელში. მას მარჯვენა ხელში ჭვარი უჭირავს (სურათი N5), ხოლო მარცხენაში კი - სანაწილე, რომელშიც მისივე სხეულის ნაწილებია ჩასვენებული. გვირგვინის მარჯვნივ და მარცხნივ ოთხი ქართული ასო იკითხება ამგვარად: ქეთევან დედოფალი 7. მინაქრისაგან შექმნილ დედოფლის ხატს ირგვლივ ამკობს 45 ლალი, ხოლო მეორე მხარეს: 1 ნამღვილი ბროლი, 10 მინა, შუშა. 32 კარატი და 62 ზურმუხტი. ის ხუთი ქართული სიწმიდე დღეს მუზეუმის განძოსაცავის მეოთხე დარბაზშია თავმოყრილი.

დღეს ამ განძოსაცავის პირველ დარბაზში არის ქართული ჭვარი, რომელშიც ჩასვენებულია უფლის წინამორბედისა და ნათლისმცემელის იოანეს სხეულის წმიდა ნაწილი. ჭვრის პირველ გვერდზე ჭვარცმის სცენაა (სურ. N6). უფლის სხეული მოუხრეულია, მხოლოდ თავი აქვს გადახრილი მარჯვნივ. პატიოსანი ფერხნი ჭვარზეა მიჭედილი ორი ღურსმნით. გვერდზე ჭრილობა არ ჩანს. ჭვარცმული უფლის გვერდით მისი დედა, ყოვლადწმიდა მარიამი, და მისი საყვარელი მოწაფე იოანე ღვთისმეტყველია. მათ გვერდით კი ორი ავაზაკია, რომელთაც ხელები უკან აქვთ შეკრული. უფლის სხეულთან შედარებით დანარჩენი სხეულები მომცროა. უფლის თავს ზემოთ 4 ქართული ასოა შემოკლებით, რომლებიც სრულად იქნება ი(ეს)ო ქ(რის)ტ(ე). მარჯვნივ და მარცხნივ მზე და მთვარე მოსჩანს, ხოლო

ქვემოთ-გოლგოთას მთა და ადამის თავის ქალა.

გულსაკიდი ქართული ჭვრის მეორე მხარეს გამოსახულია ფართო საყდარზე მჯდომი ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი ყრმითურთ (სურათი N7). დედა ღვთისას ძე ღმერთი მარჯვენა მხარეს უჭირავს და თავადაც მისკენაა დახრილი. მათ მარჯვნივ, მარცხნივ და ზემოთ სამი ანგელოსია გამოსახული.

მუზეუმში იმ ჭვრის გვერდით დევს ქაღალდი წარწერით, რომელიც გვატყობინებს, რომ ჭვარი ქართულია, შემოწირული ე. დ. ციციანოვის მიერ 1842 წელს.13. მუზეუმის მიერ ჭვარი XIV საუკუნითაა დათარიღებული, მაგრამ, ჩვენი აზრით, მას მეტი ადრინდელობა ეტყობა.

მუზეუმის იმ დარბაზს ადრე ამშვენებდა XVI საუკუნის ქართული გარდამოხსნა, რომელიც ზევრი მეცნიერისათვის არის ცნობილი (სურათი N8). გარდამოხსნა მოსკოვში XVIII საუკუნეში მოხვედრილა. იგი ინახებოდა მოსკოვში ლიოვშინოს ეკლესიაში, 1909 წელს გადაეცა მოსკოვის სასულიერო აკადემიის მუზეუმს, ხოლო იქიდან წმიდა სერგის ლავრას, საიდანაც მოხვდა ზაგორსკის მუზეუმში. გარდამოხსნის ირგვლივ ქართული წარწერაა: +ქ(რის)ტ(ე) დ(მერთ)ო ჭვარცმისა, გარდამოხსნისა, დაფვლისა და აღდგომისა შენისა მადლსა, შ(ეი)წ(ყალ)ე და იხსენ ყ(ოვლ)ისა ზ(ორო)ტ(ისა)გ(ან) სუ-ლკ(ურთ)ხ(ეულ)ისა მ(ე)ფ(ე)თ(ა)მ(ე)ფ(ი)სა კ(ონ)სტ(ან)ტ(ინ)ეს ძე ზ(ა)გრ(ა)ტ და თ(ა)ნა მ(ე)ცხ(ე)დრე მ(ა)თი პ(ა)ტრონი ელ(ე)ნე და ძენი მ(ა)თნი, ა(მ)ინ.14 ორი წლის უკან, ჩემს მიერ მისი ნახვის დროს, გარდამოხსნა ინახებოდა მუზეუმის საწყობის

ერთ-ერთ კარადის უკრაში ოთხად გაკეცილი. ცნობილია, რომ წმიდა სერგის მონასტერში სხვა ქართული საეკლესიო სიწმიდეებიც ინახებოდა, რომელნიც მუზეუმისათვის გადაუციათ, მაგრამ დღეისათვის მათი ადგილმდებარეობა მუზეუმში უცნობია. ჩვენ იმედი გვაქვს, ამ ქართული სიწმიდეების შესწავლის შემდგომ ყოველივე ნათელი იქნება. 15.

დაუბრუნდება თუ არა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ის სიწმიდეები? უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II წერილობით აცნობა სრულიად რუსეთის უწმიდეს პატრიარქს პიმენს და რუსეთის რელიგიის საქმეთა საბჭოს რწმუნებულს ლთ. კალესნიკოსს ზაგორსკის მუზეუმში არსებული საქართველოს ეკლესიის სიწმიდეების შესახებ და სთხოვა მიეღოთ ზომები მათი საქართველოში დაბრუნების თაობაზე. 16 რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურმა წერილობითვე გააცნო რუსეთის რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სურვილი და საქართველოს ეკლესიისათვის იმ სიწმიდეთა საჭიროება. სთხოვა მიეღოთ გადაწყვეტილება მათი საქართველოში დაბრუნების შესახებ. 17.

ამ საკითხთან დაკავშირებით კულტურის სამინისტროში შედგა თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ რუსეთის კულტურის სამინისტროს, რელიგიის საქმეთა საბჭოს, სახელმწიფო მუზეუმის ექსპერტიზის, მოსკოვის ოლქის ადმინისტრაციული საბჭოს და ზაგორსკის სახელმწიფო მუზეუმის წარმომადგენლები. მათ მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმიდესი პატრიარქ პიმენის წერილისა და საბჭოთა კავშირის

ექსპერტიზის აქტის საფუძველზე იმსჯელეს და დაადგინეს, საქართველოს ეკლესიისათვის გადაეცათ წმიდა ქეთევან დედოფლის ხატი, რომელშიც განიხილეს მისივე თავისა და ხელის წმიდა ნაწილი. რუსეთის რესპუბლიკის კულტურის სამინისტრომ გამოისცა ბრძანება, რომლის თანახმადაც, ზაგორსკის სახელმწიფო მუზეუმმა უნდა გადასცეს საქართველოს მართლმადიდებელ

ეკლესიას თავისი საკუთრება-წმიდა ქეთევან დედოფლის ხატი მისი წმიდა ნაწილით. 18. ზაგორსკის სახელმწიფო მუზეუმში შედგა კრება, რომელზეც მუზეუმის კოლექტივმა უარი განაცხადა საქართველოსათვის რომელიმე სიწმიდის გადაცემის შესახებ და თავიანთი გადაწყვეტილება აცნობა სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს, სსრ კავშირისა და რუსეთის კულტურის სამინისტროებს და სხვა შემდგომ ორგანოებს და სთხოვა თანადგომა მათი მუზეუმში დატოვების შესახებ და თითქოს მხარდაჭერაც მიიღო. 19.

ახლახან საქართველოს სამატრიარქო წერილობით მიმართა სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს ზაგორსკის მუზეუმში არსებული საქართველოს ეკლესიის სიწმიდეების დაბრუნების შესახებ. 20 ვიმედოვნებთ დადებით პასუხს.



სურ.3. ოქროს პანალია

შენიშვნები

1. ზაგორსკის სახელმწიფო მუზეუმის 1989 წლის 21 ნოემბრის N401 წერილში მოსკოვის სასულიერო აკადემიისადმი... ვკითხულობთ: ზაგორსკის მუზეუმ-მეგობრი თქვენს მიერ 1989 წლის 28 სექტემბერს გამოგზავნილი N1750 წერილის საპასუხოდ გაცნობებთ, რომ ვერ მისცემს შესაძლებლობას მოსკოვის სასულიერო აკადემიის სტუდენტს

რა. გორგაძეს იმუშაოს მუშეუძის ფონდებში, იმასთან დაკავშირებით, რომ სამეცნიერო თემაზე "ზაგორსკის მუშეუძეში თავმოყრილი ქართული ხელოვნება" მუშეუძეში განაპიროვნა მეცნიერ მუშაკი და გეგმაში აქვს მისი გამოცემა და მათ შესახებ ნაშრომის პირველად გამოქვეყნების უფლებას მუშეუძე თვითონ იტოვებს.

2. ქართლის ცხოვრება, თბილისი, 1955 წელი, ტომი პირველი. გვერდი 111.

3. ფურნალი "ჯვარი ვაზისა", თბილისი, 1978 წლის N1. გვერდი 35.

4. Сабинин Михаил. История Грузинской церкви до конца VII века. с. Петербург 1877 года. страница 85.

5. წმიდა მირიანისა და წმიდა ვახტანგ გორგასალის მეფობის დროს საქართველოში ჩამოტანილი სიწმიდეების არსებობას ზაგორსკიში დაცულ ჯვარში ამტკიცებს მასზედ გაკეთებული წარწერა.

6. ქართლის ცხოვრება, თბილისი, 1959 წელი, ტომი II. გვ. 402.

7. ილია ტაბალუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, ქეთევან დედოფლის ელჩობა სპარსეთის შაჰთან და მისი წამება შირაზში, თბილისი, 1988 წელი, ტომი II. გვერდი 99-140.

8. ილია ტაბალუა, დასახელებული ნაშრომი, გვერდი 137.

9. Сабинин Михаил. Полное жизнеописание святых Грузинской церкви. с. Петербург 1872 год. часть II. страница 68. და საქართველოს ეკლესიის კალენდარი. თბ., 1979. გვ. 190.

10. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი 10. გვერდი 498.

11. ილია ტაბალუა, დასახელებული ნაშრომი, გვერდი 137.

12. წმიდა ნინოს ხატი, რომლის ქვემოთ მოთავსებულ სანაწილეში წმიდა დიდმოწამე ქეთევან დედოფლისა და სხვა წმიდანთა წმიდა ნაწილებია, დღეს მოთავსებულია მცხეთის დედათა მონასტრის ფერიცვალების სახელობის ტაძარში კანკელის გვერდით. ხატის ქვემოთ არის ასეთი წარწერა: "მე მეფის გიორგი XIII შეილის შეილის შეილმან იოანე გრიგორის ძემ და დედით და დეხითურთ შემოვსწირე წმ. ხატი ესე სამთავროს დედათ მონასტერს ჩვენის სულის განსავენებლად. ჩხო წელსა. ს. პეტრობურგი."

13. ელისაბედ დიმიტრის ასულ ციციანოვს ანუ

ციცივილს წმიდა სერგის სამების მონასტერში შეწირული სიწმიდეები მიუღია მშობლებისაგან, რომლის დედაც ყოფილა ვახტანგ ბატონიშვილის შვილისშვილი. როგორც ცნობილია, მის მიერ შეწირულ ქართულ სიწმიდეებს მონასტერში მიჩნეული პქონია განსაკუთრებული ადგილი წმიდა სერგი რაღონეჟელის წმიდა ნაწილების მოპირდაპირე მხარეს და მას თავყვანს სცემდა უამრავი ხალხი. მის მიერ რუსეთის ეკლესიისადმი ქართული სიწმიდეების მიერთება გამოწვეულია იქნებოდა იმით რომ ამ პერიოდში ქართული ეკლესია უკანონოდ შეადგენდა რუსეთის ეკლესიის ნაწილს და მრავალი ქართული ეკლესიის სიწმიდე, როგორც დღეს ჩვენთვის ცნობილია, ნებით თუ უნებლიედ საქართველოდან რუსეთის იმ-აცვლებდა და უგმოუკვლიოდ იკარგებოდა.

14. ვახტანგ ზერიძე, ქართული ნაქარგობის ისტორიიდან გარდამოხსენები. თბილისი, 1983 წ. გვერდი 14 და 113.

15. წმიდა სერგის მონასტრიდან წიგნები და ხელნაწერები გადაუციათ ზიხლიოთეკისათვის. დღეს მოსკოვში, სსრ კავშირის სახელმწიფო ზიხლიოთეკაში არის დავითნის ქართული ხელნაწერი იმ მონასტრიდან. ნახეთ ზიხლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილება, ქართულ ხელნაწერთა ფონდი 180/2 დავითნი.

16. საქართველოს საპატრიარქოს 1989 წლის 4 მაისის წერილი მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქისადმი.

17. მოსკოვის საპატრიარქოს 1989 წლის 13 ივნისის N1271 წერილი რუსეთის რესპუბლიკის კულტურის სამინისტროსადმი.

18. რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს 1989 წლის 18 ივლისის N 254 ბრძანება ზაგორსკის სახელმწიფო მუშეუძიდან წმიდა ქეთევან დედოფლის გულსაკიდი ოქროს ხატის საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისადმი, გადაცემის შესახებ.

19. დღეს რუსეთის კულტურის სამინისტროში არის ცნობები ქართული სიწმიდეების შესახებ. აქვეა 1989 წლის 3 აგვისტოს N129/7C3 წერილი საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოდან, მხარი დაუჭიროს ზაგორსკის სახელმწიფო მუშეუძის კოლექტივის მოთხოვნას.

20. საქართველოს საპატრიარქოს 1990 წლის 17 აპრილის N 236 წერილი საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოსადმი.

ანდერძი ანტონ II-ს საქართველოს კათალიკოსისა*

მოკლე ცნობანი საქართველოს კათალიკოსის ანტონ II-ს შესახებ.

ანტონ კათალიკოსი იყო შვილი საქართველოს მეფის ერეკლე II-სა. იგი დაიბადა 8-ს იანვარს 1762 წ. ნათლობის სახელი მისი იყო თეიმურაზ. წინაპირველი განათლება მიიღო მან კათალიკოს ანტონ I-სგან, რომელიც ქართველთა ეკლესიაში და ხალხში დაუფიქარია, და შემდეგ, ალბად სწავლის შემთავრებისათვის, იგი წავიდა საზღვრეთში, საცა ზევს ხანს კი არ დაჩინილა. ზერად ეკურთბა იგი 1783-ს წ., და შემდეგ 1784-ს წ. მთავარდიაკვნათ. ამდროსვე გაემგზავრა რუსეთს, საცა დიდის პატივისცემით იყო მიღებული. რაიცა დახალი ხარისხის სასულიერო წოდების თანამდებობანი სჭერია – ამაზედ არ არის ცნობა; ხოლო 1776 წ. იგი ეკურთბა ცარსკოე-სელოს კარის ეკლესიაში, იმპერატორთა სახლობის დასწრებით, ნინო-წმიდის ეპისკოპოზად, და მეფე ერეკლეს მოწოდებით დაბრუნდა 1789-ს წ. საქართველოს. აქ ოცდათექვსმეტი წლისამ, მიიღო ხარისხი საქართველოს კათალიკოსისა. ამ ხარისხში ყოფნის დროს იგი ეკლესიისათვის ბრუნავდა და აგრეთვე სამღვდლოების მდგომარეობის გაუმჯობესებას სცდილობდა. ამ განზრახვით მის მცხეთის სამრევლოსთან შეაერთეს სამთავროს და ალავერდის ეპარქიები, რომლებსაც, სხვადასხვა მიზეზის გამო, ეპისკოპოზები არა ჰყავდათ. მეფე ერეკლე დიდით აფასებდა ანტონ კათალიკოსის ღვაწლს ეკლესიის შინაგან საქმის წარმოებისათვის, და ამისთვის ჭილოდო უბოძა ნიშანი, რომელიც დარჩა დედოფლის ანნას გარდაცვალების შემდეგ და რომელშიაც რამდენიმე ძრიელ ძვირფასი ნივთი ვრია.

1801-ს გამოცემული იქნა უმაღლესი მანიფესტი საქართველოს რუსეთთან შეერთებისა; ამ მანიფესტის ეკლესიაში წაკითხვის შემდეგ, ანტონ კათალიკოსმა პარაკლისი გადაიხადა და დააფიცა რუსეთის ერთგულებაზე ყველა მცხოვრებლები მის ხელქვეით ეპარქიებისა: მცხეთისა, სამთავროისა და ალავერდისა, და როდესაც მეფის სახლობაში გაჩნდა უსიამოვნება და ზოგიერთთა ბატონიშვილებმა მოინდომეს საქართველოს ტახტის დაჭერა, კათალიკოსი მოუბრუნდა მათ დარიგების სიტყვით, და ურჩევდა მშვიდობიანათ ეცხოვრათ და მადლობა მოეხსენებინათ რუსის ხელმწიფისათვის, რადგანაც ინება მან იმ სიკეთის ჩადენა, და რომ საქართველო მიიღო თვის შეარველობის ქვეშ.

თუმცა არეულ-დარეულობა იყო ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ ანტონ კათალიკოსი მაინც არ იშლიდა ბრუნვას იმაზედ, რომ ეკლესია ხელშეუხებელი ყოფილიყო, და აგრეთვე იმაზედ, რომ ეკლესიისაგან დაწესებული რიგი არავის მოეშალა. იგი დიდის მხნეობით წინა აღუდგა კათალიკებთა ცდილობას, რათა დაებრუნებინათ მათთვის მათ წინაპართაგან აშენებული თბილისში და გორში ეკლესიები, რომლებიც მათ წართმეული ჰქონდათ მეფე თეიმურაზის დროსვე, – რადგანაც, ანტონის სიტყვით, ზერძინს ეკლესიის უფლება, რომლის ასადვიარებლად იგინი იყვნენ გადაქცეულნი, ამით მოიშლებოდა; ამასთან, თუმცა კათალიკებს აქეთ შეუცილებელი ნება მათზედ, რადგანაც ეს ეკლესიები მათი აშენებული იყო, მაგრამ ისინი ისე დიდი ხანია წართმეული ჰქონდათ, რომ იშვიათმა ქართველმა იცის ამის ნამდვილი მიზეზი².

ესრეთივე გულის სიმაგრე გამოიჩინა ანტონ კათალიკოსმა ბატონიშვილის დავითის წინაშე. თუმცა იგი ძრიელ ძალაზედ იდგა, ანტონ კათალიკოსი მცირედნათაც არ გალუდგა ეკლესიის წესწყობილებას, და კრებაზე, რომელიც მისი თაოსნობით იყო მოწვეული და რომლის თავშიაც იგი იდგა, უარ ჰყო ბატონიშვილის თხოვნა მის მუდლესთან ქორწინების დარღვევისა³.

ანტონ კათალიკოსი ცდილობდა ეკლესიის დაცვას და ამასთანავე ბრუნავდა სამღვდლოების მდგომარეობის განკარგებას და ხალხში წმიდა ეკლესიის თავყვანისცემის გაძლიერებას. მან წარუდგინა მთავრობას აღწერა მონასტრების, ეკლესიების და სამღვდლოების სამწუხარო მდგომარეობისა⁴ მეორეს მხრით, წმიდა ნინოს ცხოველმყოფელს ჭვარს, რომელიც, უმაღლესის ბძანებით, საქართველოს დაუბრუნდა, ანტონ კათალიკოსი დიდის ამბით მიეგება მცხეთაში, და იქიდან ჭვარი, კათალიკოსის წინგაძლიოთ და მრავალი სამღვდლოების და ხალხის მიღევნით, გადმოიტანეს ხელით თბილისში და

* გამოცემული დიმიტრი ფურცელაძისაგან, ცვილისი, 1890 წ.

1 "Акты Кавк. Археогр. Комис" т. I. стр. 68 и 199.

2 იქვე, ტ. I, გვ. 551. მაგრამ ეს ეკლესიები, შემდეგში, თავ. ციციანოვის ცდილობით, უმაღლესის ბძანებით დაუბრუნდათ კათალიკებს. იქვე, გვ. 336.

3 იქვე, ტ. II, გვ. 177, 178 და 180. *

4 იქვე, ტ. II, გვ. 263-265 და შემდ.

სიონის სობოროში დაასვენეს⁵.

ანტონ კათალიკოსის ღვაწლმა მიიქცია ყურადღება ხელმწიფისა; მას უბოძეს ალექსანდრე ნევესკის ორდენი და თეთრი ბარტყულა სერაფიმებით და დაუნიშნეს წელიწადში 2300 მან. ჯამაგირი⁶.

როცა რომ დაიწყო რუსის მმართველობა საქართველოში, მაშინ მოაგრობა ეჭვით უყურებდა ანტონ კათალიკოსის მოქმედებას. იმას აზრალეზდნენ, მითომ იგი ერეოდა იმ რუსეთის წინააღმდეგ ბჭობაში, რომელიც მოხდებოდა ხოლომე დედოფლის დარიას სასახლეში; აზრალეზდნენ აგრეთვე ისა, რომ მითომ მას საერთოდ არა უკანასკნელი ადგილი ეჭირა დედოფლის ავ განზრახვებში, და კიდევ ისა, მითომ მისი ნებართვით მის ძმას იულონს საყდარში შეეფედ იხსენიებდნენ. მაგრამ ანტონ კათალიკოსმა უარ პყო ეს ბრალდება და ამტკიცებდა, რომ დედოფლის დარიას მიერ გამართულ ბჭობაში იგი არაფერს მონაწილეობას არ იღებდა და ბატონიშვილს იულონს საყდარში არ იხსენიებენო. მისი თანამედროვენი ყველა ამას აწერდნენ მტრობას მოგიერთთა პირებისას. ეს მტრობა შერეც არ მოისპო, რადგანაც მაშინდელი მთავარმართებელი თავ. ციციანოვი ანტონ კათალიკოსს უყურადღებოდ ეკიდებოდა, და 1810-ს წ. ამ გარემოებამ მოქმედებაც იქონია. ამ წელს, მიტროპოლიტის ვარლამის ჩაგონებით, ანტონ კათალიკოსის და თფილელ მიტროპოლიტის არსენის შორის უსიამოვნობა ჩამოვარდა; იმით გათავდა იგი, რომ შემდეგ 1811 წელს ანტონი გამოეთხოვა თავის სამწყსოს და გაემგზავრა პეტერბურგს, საცა იყო მიღებული დიდის პატივისცემით. იმპერატორმა ალექსანდრემ, ნიშნად დიდის თვისის წყალობისა, დანიშნა იგი უუწმიდესის სინოდის წევრად და უბოძა ორდენი ანდრია პირველ წოდებულისა, ამას გარდა, დაუნიშნა წელიწადში 54,000 მან. ჯამაგირი. მაგრამ ანტონ კათალიკოსი დიდხანს არ დარჩა საცხოვრებლად პეტერბურგში: იგი გადასახლდა ნიჟნი-ნოვგოროდში, და იქ, ღრმა მოხუცებულობაში, გარდაიცვალა 17 მკათათვეს ჩყკბ (1822წ).

ა ნ ტ ე რ ძ ი

ანტონის II საქართველოს კათალიკოსისა

- ერთი დავითნი რუსულად შეკრული ვარაყიანი,
- მეორე თვენის ფაშნი რუსულად შეკრული ვარაყით, დიად კარგათ არის შეკრული ორივე.
- მესამე სახარება.
- მეოთხე სამოციქულო.
- მეხუთე პარაკლიტონი. ორი ახალი პარაკლიტონები და ერთი ჩემთვის იყოს, და მეორე ეკკლესიისათვის დამიღვია, შავით შეკრული რომ არის, ეკკლესიას ის პჭონდეს:
- მეექვსე მარბუანი ახალი:
- მეშვიდე ზადიკი.
- მერჯმ წლის თუქნი მხედროლად დაწერილი მიხაილ თბილელისა, სამ წიგნათ არის შეკრული:
- მეცხრე სენაქსარი ხუცური დაწერილი:
- მეათე მეტაფრასი დღესასწაულებისა. ეს დღესასწაულების მეტაფრასი ჩემს სიკუდილს მერეთ ეკკლესიას პჭონდეს, ის ერთი მეტაფრასი:
- მეათერთმეტე დიდ მარხვის და ზადიკის მეტაფრასი დაშლილი შეუკრავია ალექსის დაწერილი: და მეორე ზადიკის, იოანე ოსესშვილის დეკანოზის დაწერილი, ესეც მარხვის მეტაფრასთან უნდა შეიკრას:
- მეათორმეტე ახალი ღოცუანი ქართული:
- მეათსამეტე მცირე ღოცუანი:
- მეათოთხმეტე მხედროლად დაწერილი წირვის ტიბიკონი, და სამღუდელს კაცის კურთხევები:
- მეათხუთმეტე ხუცურად დაწერილი საყდრის კურთხევა:
- მეათექვსმეტე მოძღუარ მოწაფის წიგნი, და იგიცა ხუცურია:
- მეათშვიდმეტე სტამბის, დამასკელის წიგნი:
- მეათურამეტე ხუცური აღსარების წიგნი:
- მეათცხრამეტე ზოფუების სასწავლებელი ანზანი:

⁵ იქვე გვ. 336
⁶ იქვე ტ. III, გვ. 81
⁷ იქვე ტ. II, გვ. 68 და შემდ.

მეოცე რუსულათ კაი შეკრული წლის ტიბიკონი:
 მეოცდაერთე მხედრულათ დაწერილი იოანეს სახარების თარგმანი:
 მეოცდაორე მაქსიმე აღმსარებელის წიგნი მხედრულად დაწერილი:
 მეოცდასამე მხედრულად დაწერილი წმიდის ვასილის ითიკა:
 მეოცდაათიხე იოანე კლემაქსის წიგნი ხუცურად დაწერილი არის, ეკკლესიისა არის, და მისთვის იყოს არაფინ წაართუას:
 მეოცდახუთე დიონოსიოს არიოპაგელის წიგნი, რუსულად შეკრულია:
 მეოცდაექვსე ერთად შეკრული ეფრემ ასურის წიგნი, და ლაქსაიკონი, სიონის დეკანოზის ნიკოლაოსის დაწერილია:
 მეოცდაშვიდე, მამათცხოვრება მცირე ხუცური, რუსული შეკრული:
 მეოცდარუხ ლეჟიკონი ხუცური:
 მეოცდაცხრე ამმონიოსის წიგნი:
 მეოცდაათე ხესარიონ კათოლიკოსის თქმული გურდემლის წიგნი რუსული შეკრულია:
 ოცდამეთორამეტე მამა ანტონის ცხოვრება, და სვიმეონ მესუჭტისა ცალ ცალკე არის:
 ოცდამეთათორამეტე რუსული დაბეჭდილი კითხუა მიგების, პატარა წიგნი: სადღესასწაულო ახალი სტამბის რუსული:
 ოცდამეთათამეტე, ქორონიკონის და ასომთავრულის პატარა წიგნი რუსულათ შეკრულია:
 ოცდამეთათობმეტე მხედრული ხონოლოგი:
 ოცდამეთათხუთმეტე ახალი ღრამმატიკა მხედრული:
 ოცდამეთათექუსმეტე რიტორება ხუცური:
 ოცდამეთათშვიდმეტე, მკედრული ლოლიკა.
 ოცდამეთათურამეტე მკედრული ფიზიკა:
 ოცდამეთათცხრამეტე მკედრულათ დაწერილი ღუთას-მეტყუჭლების წიგნი, ანტონი კათოლიკოსისაგან თქმული, ერთი ტომია:
 ერთი გულსაკიდი ხატი ღუთის-შშობლისა, და მეორე გუჭრდმედ წმიდის ნიკოლაოსის ხატი მისი ძეწკვითა:
 ერთი ბერძული ხის ჭჭარი, საიამზე:
 ერთი ბერძული ვერცხლის ჭჭარი დაფენილი ნაწილითა:
 ბერძული ჭჭარები ხისა პატროანნი ქალაღღში გახუჭული:
 ერთი აიამზის სასხურებელი:
 ორი ბერძული მღუდელთ მთავრების ხეზედ მოჭრილი ხატები:
 იერუსალიმის სამთელი:
 სამი ოდიკი, ერთი რუსული ყვითელს ატლასზედ, მეორე ბერძული ისიც ატლასზედ, და მესამე კიდევ რუსული ტილოზედ: და ის ორი ნაკურთხია, და ტილოსი უკურთხია:
 ერთი მღუდელთ-მთავრის საწირავი საწყლე თავისის არშიით:
 ერთი აღდგომის ხატი:
 მღუდელთ-მთავრის ჭჭარის სასანთლე სირმისა:
 ერთი რუსული ყაფრტენი:
 ერთი საცეცხლოური, რუსული სირმისა:
 რუსი მარჩილი¹ ტომსიკათი არის ფლოურებიანათ, და ფლოურები დანიელს აზარია ამ ანგარიშისაა:
 ცხრა ფრული, ერთი მე მაქუს თანა, და ოთხი ყვითელი ფრულით² მიტროფანეს აზარია:
 ერთი სირმის ვეცხლის სურა:
 ერთი სირმის ვეცხლის წურწუმა³:
 ერთი აზარფაშა:
 ერთი დიდი ფიალათასი სირმისა ისიც:
 ერთი მრგვალი თასი სირმისა:
 ერთი ფიალა უმცროსი თასი, და მეორე ჭიქის ზომამე გაკეთებული მაღალი თასი, ესენიც სირმისა.

1 სამი აბაში.
 2 ოთხი ღრამა ოქრო.
 3 კუმეუმა, კუტალი ანუ წყლის სასმელი.

ერთი ვეცხლის პატარა ჩარეჯა:
 ერთი განსამავებელი ვეცხლის ტაკუკი⁴ სირმისა:
 ერთი ფილა თასი: მეორე მრგვალი თასი სირმისა:
 მესამე ზეით ტაკუკი რომ სწერია ესენი მე მახლავს:
 ყავის ფინჯნები შვიდი თავის მარფებიანათა, და მისი დასადგმელის ფადნოსით კოლოფით გაწყობილი:
 ჩაის ფინჯნები ოთხი წყვილი, და ერთი უთევშოთ ფინჯანი: ოთხი წყვილი მისის დასადგმელის
 ფადნოსითა, და მისის კოლოფით გაწყობილი:
 ფაიფურის თევში, და ერთი პატარა საოტკე ჭიქა:
 ერთი რუსული მრგვალი სასანთლე თათბრისა ჭახრაკით:
 ერთი ჭიქის პატარა სურა:
 ერთი რუსული დანა ჩქიფი:
 ერთი სპილენძის დოქი მოკალუელი:
 მეორე სპილენძის სურა მოკალუელი:
 მესამე სპილენძის ტაფა მოკალუელი თავსახურავიანათ:
 მეოთხე პატარა ტაშტი მოკალუელი:
 მეხუთე პატარა საყავე მოკალუელი:
 მეექვსე სპილენძის ჩაიდანნი:
 მეშვიდე სპილენძის წურწუმა⁵ მოკალუელი:
 მერვე სპილენძის თუნგი, და ორი ტაშტი მოკალუელი:
 მეცხრე სპილენძის ჭამები მოკალუელი რუა მისის ზუდიანათ:
 თთხი ღრმა ჭამები სპილენძისა, ორი პატარა და ორი დიდი:
 მეათე საოტკე მისი თავიანათ კარგად მოკალუელი:
 მეათერთმეტე ჭიქის მარანი, სამი წყვილი ფინჯნები და მისი ჭამები:
 ორი ჭიქა შიგ ერთი ჭამი, ორი ჩაიდანნი და ორი სპილენძის შაქრისა და ჩაის შესანახავი:
 ჭიქის სურები ოქროს ვარაყიანი, ორი თეთრია და მესამე მწვანისა:
 სასასმო ჭიქა მოდილო, ერთი ფაიფურის ჭამშავით არის:
 კათალიკოსის⁶ ზოძებული წმიდის გიორგის მინის ხატი გულსაკიდი ძეწკვით მოყვითლული:
 და ძელი ცხოვრებისა:
 და ნოეს სურათი ტილოზედ დახატული: პატარა ზარა:
 მარკობისა და ლუკას სახარების თარგმანი, ეკკლესიისა არის, და ეკკლესიას მიერთუას.

მე მთავარ ეპისკოპოსი ანტონი ვიტყვი ანდერძსა ამას თქვენდა მომართ ჩემო მოძღუარო ჩიგოგიძე მლუდელ-მონაზონო დავით, და ლაზარე მლუდელს ჩხეიძე, და ჭვარის მტვიროთველო მლუდელო ჩხეკელი იოანე, რვაასი მარჩილი ჩემი ნაღვაწი არის და მოგებული, და არარა სხვისა ურევია რა, ზოგი წიგნები მქონდა ნასყიდი და მისი ფასი არის, და ზოგი რომელიმე სხუა შემატეხულია ისეც ჩემი ნაღვაწი არის: და ამას თქვენ გარწმუნებ და გვევდრებიყუ რომ კეთილად მოახმართო ჩემს სულს და ურიგოთ არ გააზნით და დამიკარგოთ. ხუთასი მარჩილი და ცოტათლენი მეტიც არის. პატარა წითელს კოლოფში არის პარკებით დაბეჭდილი ჩემის ბეჭდით. იმაში სძევს, და სხუა კიდევ ოცდაცხრამეტი ბაჭალი⁷, ორი იმპერიის ფრული, და სამი მისირის⁸ ფრული, და სხუა რაოდენიმე ნაშალი ფული, მალაფერიძეს დანიელს ებარა, და ახლა მიტროფანეს აქუს, და ნაშალი რამდენი რამე იყო მე არ მახსოვს: და ესე არს ჩემ მიერ ნაღვაწი და ნაშრომი, და სხუა ამას გარდა წიგნები თუ ვეცხლეულობა, თუ სამლუდელოს მსახურების ნივთები, თუ ჭამის იარაღები ვეცხლისა თუ სპილენძისა, ამა ზემო სწერია.

რვაასი მარჩილი ამ სამ კაცს აზარია, რავარც ზემოთ სწერია წიგნების აღრაცხუას გარდა წიგნების აღრიცხვითგან რაც არის წიგნებიანათ ესენი თქვენ არ გაზარია ჯერ და მე მაქუს შენახული:

და თუ ვინ იცის მივიცუალო როდისმე ამიერ სოფლით თქვენ იცით და თქვენმა ნამუსმა და ლუთის მსახურებამ რავარც კეთილად განაგებთ და გაირჯებით ჩემის სულისათვის. თუ უცნაურათ

4 მოძცრო ჭურჭელი ღვინისა.
 5 კუმემა, რომელიც არის ვეცხლის კუტალი.
 6 ანტონი I.
 7 ოქროს ფული, პოლანდიური ოქრო.
 8 ასირიული.

მივიცუალო და თქვენ დაგრძეს და გებაროს ეს ჩემი მონაბარები. და თუ არ მივიცუალო არ დამიჭარგოთ. ჩემს სიცოცხლეში სანამლის გებაროსთ ამ სამ კაცსა, და თუ გამოგაბართოყე როდისმე, ჩემს სიცოცხლეში რაგარც მენებოს ისე განვიგო, წიგნები ვიყილო წიგნის ფასით თუ სულიერად მოვიხმარო და განვიგო სულისა ჩემისათვის, და თუ არასდა წიგნებს გარდა, ოქრო და ვერცხლი რაც გებაროსთოყე, და ამას ქვემოთ ვიანდერძებ და მოგახსენებოყე ესრეთ გამიგეთ და ნუ დამიხმნვეთ ქრისტეს გულისათვის ვაგლახათ არავის დაანებოთ რომ დააბნოს ვინმემ, და სულიერად არ მომახმაროს ვინმემ ქრისტესთან პასუბი თქვენ მომუცით მეორედ მოსვლასა. თუ ამ გუარად არ გამოირგოთ, თქვენ გთხოვ ქრისტესთან სასჯელსა მას დიდსა:

ყოვლად სამოუდელის ქუთათელ მიტროპოლიტს დოსითეოს⁹ მიერთვას კრებულიანათ საწირავად ორმოცი მარჩილი¹⁰:

ჭყონდიდელ მიტროპოლიტს ზესარიონს¹¹ მიერთვას საწირავად კრებულთურთ ოცდაათი მარჩილი:

გაენათელ მიტროპოლიტს ეფთვიმის მიერთვას საწირავად კრებულიანათ ორმოცი მარჩილი:

ანტონი ჭყონდიდელს მიერთვას ოცდაათი მარჩილი:

ნიკოლაოს წმინდელს მიერთვას ოცდაათი მარჩილი კრებულთი საწირავად:

კატეგელ მიტროპოლიტს იოანეს მიერთვას ოცდაათი მარჩილი საწირავად კრებულთურთ:

ქუმათელს მაქსიმეს¹² მიერთვას ოცდაათი მარჩილი საწირავად კრებულთურთ:

ცაისელს გრიგოლს¹³ მიერთვას საწირავად კრებულთი ოცდაათი მარჩილი:

მიტროპოლიტს დავითს მიერთვას საწირავად კრებულთი ოცდაათი მარჩილი:

ჯრუჭის უდაბნოს ზერებს ვინც იქ იმყოფებოდეს, მიერთვას საწირავად ოცდახუთი მარჩილი:

რაჭის უდაბნოს მამას ანტონის მიერთვას საწირავად ექუსი მარჩილი, და მის უდაბნოს ზერებს

საწირავად თხუთმეტი მარჩილი:

ლოჩხუმის უდაბნოს მამას მიერთვას საწირავად მისის უდაბნოს ზერებით თხუთმეტი მარჩილი:

კვერეთის უდაბნოს მამას მისის ზერებით მიერთვას საწირავად ათი მარჩილი:

აგრეთვე ვანის უდაბნოს საწირავად მიერთვას ათი მარჩილი:

ჭელისის უდაბნოს მიერთვას საწირავად ექუსი მარჩილი:

გურიის უდაბნოს მამას მიერთვას საწირავად მისის ზერებით თხუთმეტი მარჩილი:

ქართლით, ნათლის მცემლის უდაბნოს მამას კრებულთურთ მიერთვას ოცდაათი მარჩილი:

დავით გარეჯის წინამძღუარს მიერთვას კრებულთი ოცდაათი მარჩილი:

სოხასტრის წინამძღუარს დავითს მიერთვას საწირავად ათი მარჩილი:

გენათლის ძმისწულს ნიკოლაოს მიერთვას საწირავად ექუსი მარჩილი:

აგიაშვილს წინამძღუარს ანტონის მიერთვას საწირავად ექუსი მარჩილი:

წინამძღუარს სერაპიონს მიერთვას საწირავად ექუსი მარჩილი:

წინამძღუარს გრიგოლს მიერთვას საწირავად ექუსი მარჩილი:

წინამძღუარს იაკობს მიერთვას საწირავად ექუსი მარჩილი:

მოწამეთის წინამძღუარს მიერთვას საწირავად ექუსი მარჩილი:

ნიკოლაოსს დეკანოსს კაზაშვილს მიერთვას საწირავად ათი მარჩილი:

გაენათის დეკანოსს ოქროპირს მიერთვას საწირავად რვა მარჩილი:

ტაბაკინის წინამძღუარს მიერთვას სამი მარჩილი:

⁹ მიტროპოლიტმა დოსითეოსმა და ქვემო მოხსენებულმა გაენათელ მიტროპოლიტმა ეფთვიმემ 1792 წელს, ვითარცა მოწაფეთა, მოაწერეს ხელი პირობაზედ, რომელიც სამეგრელოს მთავარმა გრიგოლ დადიანმა მისცა იმერეთის მეფეს სოლომონს მასზედა, უკეთუ იმის საზრძანებელში გამოიჩნდეს ნაქურდალი იმერლის კაცისა, ზრალეულმა გადაიხადოს ხუთეული. მანვე მიტროპოლიტმა დოსითეოს 1807 წელს მოაწერა ფიცით ჩვენება იმერელ თავადთა მას ზედა, რომ მეფე სოლომონს არ ჰქონდა აზრი, რომ დასცემოდა რუსის ჯარსა. "Акты кавказ. археогр.ком": т. I, 61; т. III, 133.

¹⁰ მარჩილი არის სამი აბაზი.

¹¹ მიტროპოლიტი ზესარიონ იყო ძმა მინგრელის მთავრის გრიგოლ დადიანისა, ერთგულობისათვის რუსეთის ტახტისა 1806 წელსა მიიღო ორდენი ანნა პირველის ხარისხისა. "Акты кавказ. археогр. ком.," т. III, 176-178.

¹² იყო გვარათ შარვაშიძე. ქუმათელად იყო გრიგოლ გურიელის დროს 1792-1799 წელსა. "Кавказ в древних памятниках христианства". Баградзе, стр. 64.

¹³ ეს გრიგოლი იყო ეპისკოპოზი; ამან, როგორც ამბობს უფალი ბროსე, 1833 წელსა განახლა ხატი წმინდის გიორგისა.

კაცების წინამძღუარს მიერთუას საწირავად ოთხი მარჩილი:
 მღვიმის წინამძღუარს იოანეს მიერთუას საწირავად ექუსი მარჩილი:
 ვანის წინამძღუარს ანტონის მიერთუას საწირავად რვა მარჩილი:
 იესე მღუდელს გრიგოლაშვილს მიერთუას საწირავად ოთხი მარჩილი:
 ოსე მღუდელს გაბაშვილს ათი მარჩილი მიეცეს საწირავი:

ასი მარჩილი მიცვალეზის დროს ვინც მოვიდეს ბერი თუ მღუდელი, თუ დიაკონი, ან გლახა. გლახა უფრო შეიბრალებთ, და უფრო ბევრს გლახას მიეცით და მათზე უფროსი დახარჯეთ, ამ მარჩილისაგან ჭირვეულსა შეწუხებულს კაცს და უცხოს:

ასი მარჩილი იერუსალიმისათვის დასდევით და ვინც ჭუარის მამა იქმნეს, და ან თუ სწორი მგზავრი ნახოთ რომ მიიტანოს და მიართვას ჩემდა მოსახსენებლად და თუ ინებონ მოსახსენებელში დაგუწურონ:

სხუა ორმოცდა ცამეტი მარჩილი მიტროფანეს და ლამარეს და იოანეს, და ჩვენგან შეწუხებულს ჩვენს მოსამახურებს ვინც ყოფილიყოს აგრეთ და ჩვენი სული დაალოცვიეთ. თქვენც საწირავათ და გასამსჯელით მიირთვიეთ და მოგვიხსენეთ ამ ორმოცდა ცამეტი მარჩილში თქვენდა ჩვენმა მოსამახურებმა:

სხუა რაც დამრჩეს ამას გარდა წიგნები თუ სხუა რამ იყოს თქვენ სამნი კაცნი შეკრებით დაარჩიეთ და რავარც ამ სამმა კაცმა აჯობინოთ ჩემს სულისათვის ისე მოახმარეთ. თუ ამ რჩევაში თქვენ ვერ გაიგოთ რა და ვერ არჩიოთ რავარც ჩემს სულს უჯობდეს ისე ერთი სარწმუნო მღუდელთ მთავარი გამოირჩიეთ და მისგან იუწყეთ და შეიტყუეთ და ისე ჩემს სულს მოახმარეთ ჩემი ძმებო და მამებო:

სხუას ამას მოგახსენეყე ჩემი თქვენი რომ არის მხედრული სამას ოცდა თხუთმეტი მარჩილად არის ნასყიდი ჩემგან: და თუ ვინ იცის ჩემ სიცოცხლეში გაყვილო, და სხუა თვენი ვიყილო ის არის. და თუ არა, დამრჩეს, სადაც დამმარბონ იმ საყდარზედ დასდევით. სამ წიგნად არის ის თვენი თუ ინდომონ დასდევით და თუ არა გაყილეთ ორას და ათათ მაინც. ასი მარჩილის წიგნები იყილეთ და იმ საყდარზე განუყავით რომ ცხოვნებას შეეხვეწონ ღმერთს ჩემსას:

და თუ ისე ვერ გაყილეთ, რავარც გაიყილოს ნუ იმაკვებთ და ისე გაყილეთ და მოახმარეთ რავარც ჩემს სულს უჯობდეს:

და თუ სხუა დამრჩეს რამე ისიც კარგათ განაგეთ:

აწ ამას მოგახსენებეყე ამ ანდერძისას სამსავე:

ჩემ სიცოცხლეში სულიერად მოვიბმარო, თუ კორციელად, სულის უზნიანებელად, ჩემი ნება არის და ნუ ბრალეულ მყოს უფალმან, და ნუცა თქვენ, და ნუცა სხვა ვინ მახრალეზს და მწყევს ამისთვის, უფალნო და ძმანო ჩემნო:

კლემასი ოცდარვა მარჩილს საჯვროში დავაწინდე: ამ ანდერძში რომ სწერია ის კლემასი, თუ ჩემს სიცოცხლეში ეს ოცდარვა მარჩილი მიერთუას თორე ეს კლემასი, და ქართული აღსარების წიგნი, და მეორე ანბანის წიგნი, ეს ორი პატარა წიგნი კლემასზე დასდევით და ეკკლესიას მიართვიეთ რომ საჭუარო ეკკლესიისა არის, და თუ ჩემს სიცოცხლეში გარდვიხადო საჭუარო ოცდარვა მარჩილი, ეს წიგნები კლემასი აღსარების წიგნი და ანბანის წიგნი მევე მქონდეს:

აწ ვინცა და რომელმანცა ამან კაცმან რომელთა აწ ვიტყვი ანდერძისა ამის ჩემისა რომელი მე მიოქებას, მეორე და დამიხარებია კაცთა ამათთვის, და ან თუ ესენი არ იქნეს, სხუამან ვინმემ ინებოს განგება ანდერძისა ამის, და ან თუ სხუათა ვითმე ჩაუარდეს ნაანდერძევი ესე ჩემ მიერი, და არა ესრეთ განაგოს, და განაგებთის პირველთა და შემდგომთა შემდგომად სიკუდილისა ჩემისა, და ანუ სიცოცხლესა ჩემსა ვინმემ მძლავრებით წამართუას და წარილოს, და თავისა თვისისათვის მოინებოს მოხმარებად და არა ჩემთვის განაგებინოს შემოწერილისაებრ, და თვითან მოიხმაროს. მეფემან, ანუ დედოფალმან, სახლთუბუცესმან, წულუკიძეებმან, წერეთლებმან, ან აბაშიძემ, ერისთავმან, ან მიქელაძემ, ანუ სხუამან ვებორმან, ან კარგმან ყმებმან ვინმემ, ან მიტროპოლიტმან, ან ეპისკოპოსმან, არხიმანდრიტმან, წინამძღუარმან, მღუდელ-მონაზონმან, მღუდელმან, ანუ დიაკონმან, მღივანბეგმან, პირველმან ვინმემ. ანუ უკანასკნელმან, დიდმან ანუ მცირემან, სამღუდელმან, და ან თუ საერომან, არჩიოს, და პირველთა ვითმე ურჩიოს მასაც რისხაეს თვით "ღმერთი და ყოველნი მისნი წმინდანი უბორცონი და ხორციელნი. და შეჩვენებულმცა არს ყოვლად წმიდისა სამებისაგან. წმიდათა ათორმეტთა მოციქულთაგან. და წმიდათა შვიდთა მსოფლიოთა კრებათაგან. წმიდათა ოთხთა პატრიარქთაგან, და წმიდათა სინოდთაგან, და კათალიკოსისა მაქსიმესაგან. და ყოველთა მართლ-მადიდებელთა ეპისკოპოსთა, და წმიდისა აღმოსავლეთის ეკკლესიათაგან, წყეულ, კრულ, და შეჩვენებულმცა იქმნების ქრისტესგან, რომელიცა ხელმწიფება ქრისტემან წმიდათა მოციქულთა მისცა, და შემდგომად მათსა ამ ბემო თქმულთა პატრიარხთა, სინოდთა, მიტროპოლიტთა და ეპისკოპოსთა მისცა იმ კელმწიფებთა და ყოვლად წმიდითა

და ცხოველს-მყოფელთა სულითა შეკრულ იქმნების სული და ჯორცი მისი. ამინ და იყავნ მას ზედა:
კონდაკი სტამბისა ქართული:

საწერელი ყულარიშისა:

და ერთი ღურბინდი:

ესეები რომელიც ამ ნუსხაში სწერია ზოგი რომელიმე ისევ ჩემთან მე მახლავს და მე ვხმარობ, და უფროსი ერთი ამ ნუსხისა სხუას ახარია. ესეები რაც ამაში დამიწერია ჩემი სასიცოცხლო და სამკურდო ეს არის, ამის მეტი არა გამაჩნია რა.

ქრისტეს აქეთ, ჩ. ლ. შ. გ.

ჩემს მოძღვარს მღუდელ მონაზონს დავითს ჩიგოგიძეს, და მღუდელს ჩხეიძეს ლაზარეს, და კიდევ მღუდელს ჩხენკელს იოანეს ჯვარმტვირთველს და ჩემს მოძღვარს მღუდელ-მონაზონს დავითს, და ორთა პირველ თქმულთა მღუდელთა გვევდრებიყე დიდად აწ ჩემ მიერ თქმული ესე არ დააგდოთ, და არ დაიფიწყით და არ მიმცეთ ხნელსა გარესკნელსა და ღჭენისა კბილთასა და ცეცხლსა მას დაუშრეტელსა დაუწყებითა თქმულთა ამით ჩემთათა:

წმიდანო მღუდელნო აწ ამას ვთხოვლობ წინაშე თქვენსა, რომ ქრისტეს გულისათვის წმინდას და ყოვლად სამღუდელს გაენათელ მიტროპოლიტს მუხლადგმით და ცრემლით შემავდროთ, რომ ჩემს სულს მოუაროს და გამირიგოს ეს ჩემი ნაანდერძევი ქრისტეს გულისათვის, თორემ მე არა ნამსახური მაქვს რა მასთან წყენისა და შეცოდების მეტი, მაგრამ რომელიცა პირველ ვახსენე იმის გულისათვის იკადროს და გაისარჯოს.

და აწ მეცა თქვენთან მუხლ დადგმით და ცრემლით ვვევდრები წმიდასა მეუფებასა მისსა, რათა წყალობა ჰყოს და სულსა ჩემსა მოუაროს წმიდამან მეუფებამან მისმან რომ თქვენისთანა სულის მომღვლები და განმრტელი არავინ არს და არცა სხვაგან ვისიმე მასმიეს თქვენსავით სულის მომღვლები, და აწ დიდად გვევდრები წყალობა ჰყავ, წყალობა ჰყავ, წყალობა ჰყავ. წმიდაო ყოვლად სამღუდელით მეუვეო:

თუ ბატონმა გაენათელმა ეფთიმემ ინებოს, და დავით წინამძღუარმა, ესეები სადაც მე დავიმარხო იმ ეკლესიაზედ დაიღუპა ჩემის სულის მოსახსენებელად და საოხად რათამცა მოიხსენებდენ სულსა ჩემსა უხადრუკსა და ცოდვილსა და კეთილთაგან ცალიერსა. ვარაყით შეკრული რუსულად: დავითნი, და იმისთანა ვარაყით შეკრული რუსულად, ჟამნი თვენისა, სამოციქულო, სახარება, პარაკლიტონი, მარხუანი, ზადიკი სადღესასწაულო, რუსული სტამბისა მეტაფრასი მარხვისა და ზადიკისა დიად კარგნი, ეფრემ ასურის წიგნი და ლავსაიკონი, დიონოსი არიოპაგელის წიგნი, ისიც რუსულად შეკრულია. სხუანი რომელიცა დარჩეს ზეით არის აღრიცხული, და როგორც ჩემს სულს უჭობდეს ისე განაგოს ბატონმა გაენათელმა, და მისმა წინამძღუარმა, და მოძღვარმან ჩემმა, და ორთა მღუდელთა, ამ ანდერძთა შინა წერილთა, და ამ წიგნებთა შინა რომელიცა ბატონმა გაენათელმა ინებოს, გასამრტელოდ მან მიირთუას, თუ ინებოს იოანეს სახარების თარგმანი, და ანუ ითიკა წმიდისა ვასილის თქმული, თუ გასინჯავს დიად უცხო წიგნია, და თუ ორივ ინებოს ნება არს მისი. და აწ თქვენთანავე ვვევდრები წმიდასი წინამძღუარსა თქვენსა დავითს, რომ მანცა წყალობა ჰყოს ჩემ ზედა, და თქვენთან გაისარჯოს, და განმრტელობისა მსგავსად განსამრტელო მანცა მიირთუას, და განმრტელობისათვის მასცა კეთილი მისცეს უფალმან აქაც და საუკუნესაცა ამინ, რომელ არს იყავნ და იყავნ. ქრისტეს აქეთ ჩ. ლ. შ. გ.

შეორეს გვერდზედ ამა ანდერძისა არის სხვის ხელით დაწერილი შემდეგი: "ქყოვლად სამღვდლო მთავარეპისკოპოსი ანტონი მიიცუაღა საწუთოსა ამისგან, დიდად მოხუცებული, ჩყკბ (1822) წელსა, ივლისის იზ, დღესა კვირიაკესა, და ჟამსა ოდენ შშისა დასვლისასა, საუკუნომცა არს სახსენებელი მისი. ამინ."

წარსულიდან

ღამანა მელიქიშვილი

მღვდელი სიმონ მჭედლიძე და მისი სასულიერო - საბანამანათღებლო მოღვაწეობა



დღეს, როდესაც ქართული ეკლესია აღორძინების გზას ადგას, როდესაც აღდგა აგებული დროთა ტრიალში წარტაცებული მისი დამოუკიდებლობა, უფრო მეტად გვმართებს მისი ისტორიის უახლესი წარსულის დაფიქრებული ფურცლების გამოყენება, აღწერა იმ ახალწამებული ღვაწლისა, რომელთაც ჩვენს ქართველიან საუკუნეში თავი დასდეს ქრისტიანული რწმენისათვის, როგორც ქართული ეროვნული სულისა და სახის ეზგურისა და მცველისათვის.

ამ ღირსი მამების ღვაწლის, ეკლესიისა და სამშობლოს წინაშე მოხდელი ვალის მოხსენება გვმართებს არა იმდენად მათთვის სათანადო პატივის მისაგებად (რასაც, სხვათა შორის, მათი ქრისტიანული თავმდაბლობა სრულიად გამორიცხავდა), არაჲდ უფრო ჩვენი მშფოთვარე ახალგაზრდობის სულთა გასაცხოველებლად, საჩვენებლად იმისა, რომ ეს თავდადებული ადამიანები, სანამ რწმენისა და სამშობლოს თავისუფლებისათვის უყოყმანოდ შესწირავდნენ სიცოცხლეს, მანამ ფუტკრის მძიმე შრომით ემსახურებოდნენ იმავე საქმეს.

ამ სახელთა რიცხვს მიეკუთვნება ნაზარი მიტროპოლიტის ერთ-ერთი თანამოღვაწისა და მასთან ერთად 1924 წლის აგვისტოს ზოლოს, ქუთაისის საფიქრის ტყეში, "შწვანე ყვავილასა" თუ ებრაელთა სასაფლავის მახლობლად დახვერტლდი მღვდლის, სიმონ მჭედლიძის სახელიც.

სიმონ მჭედლიძე იყო სასულიერო წრის შთამომავალი. მჭედლიძეები სოფ. ზოსლვევიდან იყვნენ, მაგრამ მათი ერთი შტო სვირში დასახლებულა: ეს იყო მღვდელი სიმონ მჭედლიძე, რომლის უფროსი ვაჟი - მიხეილი შემდგომ იმერეთის ეპარქიის ზღალთინი გამბდარა (იგი ზვერს შრუნავდა ეკლესიების აღდგენა-აგებისათვის), ხოლო უმცროსი ვაჟი კი გახლდათ ცნობილი პუბლიცისტი ვესტათი მჭედლიძე(ზოსლვევი), რომელსაც, როგორც ცნობილია, მფარველობდა იმერეთის ღვაწლმოსილი მღვდელმთავარი გაბრიელ ქიქოძე და, რომელიც, სრულიად ახალგაზრდა, რეაქციონერთა ტყვიამ იმსხვერპლა.

მიხეილ მჭედლიძის უმცროსი ვაჟი, პაპის თანამოსახელე, სიმონი, თავისი წინაპრების კვალს გაპყლიდა: იგი ნაყოფიერად უთავსებდა ერთმანეთს საეკლესიო და სამოგადლოებრივ-პუბლიცისტურ მოღვაწეობას. თბილისის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ მას სწავლა გაუგრძელებია პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში. სამშობლოში რომ დაბრუნებულა, ერთხანს მასწავლებლობდა ძვე-

ლი სენაკის სასწავლებელში. დაოჯახების შემდეგ (მისი მეუღლე იყო გენ. ხესარიონ დგებუაძის ასული ეკატერინე, რომელთანაც ცამეტი შვილი ჰყავდა) მღვდლად ეკურთხა და სწორედ აქედან იწყება მისი სასულიერო და საგამომცემლო-განმანათლებლური მოღვაწეობა. ზაქარია ჭიჭინაძე მის შესახებ წერდა: "იგი ცნობილი მუშაკი გახლავთ ქართულ სასულიერო და საერთო მწერლობის, იგი ბეჭდავს სხვადასხვა ისტორიულ წიგნებს, ამასთანავე, გახლავთ რედაქტორი სასულიერო და სამოქალაქო გაზეთ "შინაური საქმეების".

გაზეთი "შინაური საქმეები" გამოდიოდა 1908-1916 წლებში ქუთაისში, სადაც, როგორც ცნობილია, იმხანად დღედა ქართული სულიერი და კულტურულ-სამოგადობრივი ცხოვრება. გაზეთი იყო ყოველკვირეული, ძირითადად სასულიერო ხასიათისა, თუმცა საერო-ყოფითი ხასიათის მასალასაც შეიცავდა. გაზეთის მიმართულება და რედაქციის პოზიცია მკვეთრად გამოხატული ეროვნული და განმანათლებლურია. იგი იბეჭდებოდა სიმონ მჭედლიძის საკუთარ სტამბაში ("მშობა"), მისივე რედაქტორობით. გაზეთის გამოცემა რამდენიმეჯერ შეწყვეტილა, როგორც ჩანს, უსახსრობის გამო, მაგრამ შემდეგ ისევ აღდგენილა. თუ რაოდენ რთულ პირობებში ხდებოდა მისი გამოცემა, ეს ჩანს ერთ-ერთი სარედაქციო წერილიდან: "სიღარიბეზე თუ ვიტყვით, არავინ ქართველ რედაქტორზე ღარიბი არ იქნება. მთელი თავისი ენერჯია, ძალი და ღონე გამოცემას უნდა შესწიროს და თვითონ კი მშვიდ-მწყურვალად ეგდოს. ამას კიდევ ზედ დაურთეთ მწიგნობრივი ტანჯვა, რომ მის შრომას არავინ აფასებს... მაგრამ არა, ნურავინ გავამხელთ სიღარიბეს იქ, სადაც საქვეყნო, საერთო და საეკლესიო საქმე კეთდება."

გაზეთი სადა და დახვეწილია. იშვიათად ილუსტრირებულ გვერდებსაც შეიცავს (სანიშნოა ამ მხრივ 1914 წლის 15 მაისის ნომერი, მიძღვნილი თამარ მეფის ხსენების დღისადმი), შედგება საშუალო ფორმატის 16 გვერდისაგან. "შინაური საქმეები" საუსებოთ ამართლებს თავის სახელწოდებას, მასში, როგორც სარკეში, ასახულია დასავლეთის ეპარქიაში შემავალი კუთხეების სასულიერო და საერთო ცხოვრება. ამისათვის გაზეთის მრავალფეროვანი რუბრიკა ჰქონდა: "კვირიდან კვირამდე" ან "ორ კვირამდე". რუბრიკა მკითხველებს აცნობდა ახალ ამბებს; რუბრიკაში "ფურნალ-გაზეთებიდან" მიმოხილული იყო პრესის მასალები. გაზეთში ქვეყნდებოდა

კორესპონდენციები დასავლეთ საქართველოს სამღვდლოების სხვადასხვა კუთხეებიდან და სოფლებიდან: სვანეთიდან, რაჭიდან, სენაკიდან, სალხინოდან, აბაშიდან, წყალშავიდან და სხვ. გაზეთის ფურცლები ხშირად ეთმობოდა სტატიებს სასოფლო-სამეურნეო დარგის აქტუალურ საკითხებზე (აბრეშუქის ჭიის, ფრინველების მოვლა-მოშენების ირგვლივ რჩევა-დარიგებებს), აგრეთვე, მხატვრული პროზისა და პოეზიის ნიმუშებს, თარგმანებს რუსული და სხვა ევროპული ენებიდან.

გაზეთის ძირითადი მასალა ქრისტიანული რელიგიისა და ეკლესიის საკითხებს ეხებოდა. რუბრიკა "სახარება, როგორც ცხოვრების საფუძველი", ფართო მკითხველს სთავაზობდა მთელ სერიას ბიბლიური მოთხრობებისა (ასე, მაგ. "ღამადების მოთხრობა"), მოგჯერა ალევგორია-სიმბოლოების განმარტებითურთ. აქ რეგულარულად ქვეყნდებოდა საღვთო წერილისადმი მიძღვნილი სტატიები, ფართოდ შექცებოდა ქრისტიანული რელიგიის საკითხები (ასე, მაგ. სტატიებში: "საკითხი სულის უკვდავებაზე", "ქრისტიანული აღზრდა ნებისა", "საჭიროა თუ არა კაცისათვის რელიგია", "ქრისტიანობა ზებელის ლაზორატორიაში", "პროფესორ მაქს მიულერის აზრი მატერიალიზმზე" და სხვ. საინტერესო მასალაა წარმოდგენილი მთელ რიგ ნომრებში ივ. გომართელთან თვით სიმ. მჭედლიძის პოლემიკისა - იდეალიზმის პოზიციებიდან).

გაზეთის თემატიკაში გამოკვეთილია ღრმა ეროვნული მნიშვნელობის საკითხები, პედაგოგიური ხასიათის მასალა (მაგ. საღვთო სჯულის სწავლების შესახებ პირველდაწყებით სკოლებში). განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სასულიერო სასწავლებლებში ქართულ ენაზე სწავლებასთან დაკავშირებულ პრობლემებს, ასე მაგ., "შინაური საქმეების" 1908 წლის 20 აპრილის ნომრიდან ვიკებთ, რომ 1907 წლის დეკემბერში თბილისში შემდგარა მთავრობისგან ნებადართული კრება ქართულ-კახეთის ეპარქიის სამღვდლოებისა, რომელსაც მრავალსაყურადღებო საკითხთა შორის განუხილავს "საკითხი სემინარიაში საღვთისმეტყველო საგნების ქართულად სწავლების შესახებ". კრების დებუტატებს საჭიროდ უცვნიათ საღვთისმეტყველო საგნების ქართულად სწავლება და დადგენილება სინოდისათვის წარუდგენიათ, მაგრამ, როგორც გაზეთი იუწყება, სინოდს იგი "არ დაუმტკიცებია იმ მიზეზით, რომ სახელმძღვანელოები არა გვაქვსო". რედაქცია მოთხოვდა სახელმძღვანელოების ქართულად თარგმნას და ამისათვის ქართული საღვთისმეტყველო ტერმი-

ნოლოგიის შემუშავებას, მაშასადამე, იმ შემკვიდრობითი ხაზის აღდგენას ძველ ქართულ საღვთისმეტყველო ლიტურატურასთან, რომელიც იძულებით გაწყდა მას შემდეგ, რაც 1811 წელს რუსეთის მთავრობამ გააუქმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობა და მის გამიზნულ რუსიფიკაციას შეუდგა. "შინაური საქმეების" რედაქცია დაფინანსებით მითხოვდა და ასაბუთებდა სასულიერო სასწავლებლებში სწავლების ქართულ ენაზე შემოღების აუცილებლობას და აკრიტიკებდა იმ სასულიერო პირებს, რომელთა ცოლენმაც ქართული ენა არ იცოდნენ, რადგანაც მიაჩნდა, რომ შშობლიური ენის ცოდნის გარეშე დედა რიგიანად ვერ გაზრდიდა შვილს. რედაქცია ებრძოდა იმათ, ვისი ამრითაც საღვთისმეტყველო საგნების ქართულ ენაზე სწავლება "ქართველ ახალგაზრდობას თითქოს უმადლესი საღვთისმეტყველო სასწავლებლების-აკადემიების კარს დაუშავს". ამ მძიმე პრობლემას, სამწუხაროდ, დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა.

დღევანდელი გადასახედიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ გაზეთში სპეციალური წერილები ეძღვნებოდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხებს. პულბლიკაციებიდან ირკვევა, რომ თვითმპყრობელური ხელისუფლება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნას უკავშირებდა ერთნაირი დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვას, რომ ეკლესიის ავტოკეფალია წინამორბედი იყო სახემწიფოებრივი ავტონომიისა და "საქართველოს სრული დამოუკიდებლობისა რუსეთის იმპერიისაგან", რომ "თავდადებულ ქართველ ავტოკეფალისტებს სარწმუნოების განდიდება კი არ აცხელესო, არამედ პოლიტიკურად თავისუფალი საქართველო". გაზეთში "ივერიელის" ფევედონიით ხშირად ზეჭდავდა თავის სტატიებს გიორგი საძაგლიშვილი - საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდგომ (1918 წ.) პირველი კათალიკოსი-კირიონ II, რომელიც ემსხვერპლა კიდევაც ამ საქმეს.

ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა აისახა აგრეთვე იმით, რომ სიმონ მჭედლიძემ თავის სტამბაში ცალკე წიგნაკად დაბეჭდა ალექსანდრე ცაგარელის მოხსენება "მოწმობანი მე-17-18 საუკუნეთა ოფიციალური მიწერ-მოწერისა საქართველოს (ივერიის) ეკლესიის ავტო-

კეფალობის შესახებ".

სიმონ მჭედლიძე საერთოდ დიდ ყურადღებას უთმობდა წიგნების გამოცემის საქმეს. მის სტამბაში იბეჭდებოდა როგორც სასულიერო, ისე საერო ხასიათის ლიტურატურა (მაგ. "სინამდვილე სახარებისა", უბის "ვეფხისტყაოსანი", მკელენჭერიძის ლექციები-აკაკი წერეთელი, როგორც მგოსანი და მაშულიშვილი" და სხვ.).

1913 წლიდან სიმონ მჭედლიძის რედაქტორობით გამოდიოდა ყოველთვიური საღვთისმეტყველო ფილოსოფიური, პოლიტიკური და ლიტურატურული კრებული "განთიადი", რომელშიც, თეოლოგიური სტატიების გარდა, მოთავსებული იყო მასალა საქართველოს ისტორიიდან, სამეცნიერო წერილები, მხატვრული ნაწარმოებები. 1915 წლიდან მისივე რედაქტორობით გამოდიოდა ორკვირეული სამეცნიერო, სალიტურატურო და საპოლიტიკო ყურნალი "განთიადი" (32-გვერდიანი).

სიმონ მჭედლიძე ფართო საზოგადოებრივ საქველმოქმედო და განმანათლებლო მოღვაწეობას ეწეოდა: მის სახლში, ქ. ქუთაისში, საზურთალო-კაზაკოვის შესახვევში იყო პროგიმნაზია და მოსამზადებელი კურსები სასულიერო სასწავლებლებში შემსვლელ ახალგაზრდათათვის. მის მიერ სოფელ ლაშეში აშენებული და დაარსებული სკოლა დღესაც ემსახურება ამ სოფლის მოსწავლეებს...

აი, ის მცირედი, რაც გაგვიგონია და რისი მოძიებაც დღესდღეობით შევძელით, რადგანაც სიმონ მჭედლიძისა და როდინოულის ეკლესიის კურთხევაზე მისული მთელი სამღვდლო დასის დახურეტის შემდეგ დარბეულ მჭედლიძეების ოჯახს ოუ რამ გადაარჩა სამახსოვრო ნახეჭდი ან ხელნაწერი (ღვთისმშობლის ერთი ხატის გარდა), ისიც გააზარეს და დაკარგეს, შორაპნის სადგურში სისხლის ნაკადებიანი მატარებლის ხილვით თავზარდაცემულემა...

...უკვე ნახევარი საუკუნეა, ყოველ წელიწადს, 15 თებერვალს, მირქმის დღეს, სიმონის ხსენებას აღნიშნავენ მისი მრავალჭირნახული შთამომავლები უფროსი ქალიშვილის, ზაზო მჭედლიძის სახლში, რომ აქ მოყოლილ და გაგონილ ქველმოქმედებათა სულისკვეთებით აღზარდონ მომავალი თაობა.

„შინაური საქმეები“, როგორც მისი თავფურცელი გვაუწყებს, სარწმუნოებრივ-ზნეობრივ-საზოგადოებრივი გაზეთი იყო. რედაქცია ამ გაზეთისა თავის ძირითად მიზანსა და დანიშნულებას ხედავდა იმდროინდელი რწმუნადაკარგული, დაზნეული და პარტიულად დაქსაქსული საზოგადოების ზნეობრივ ადრდაში, ქართველთაგან თითქმის მივიწყებული და უგულვებელყოფილი ქრისტეს სჯულის, ქრისტიანული ზნეობის კულად-გებასა და აღდგინებაში. ამიტომ ამ გაზეთში ხშირად გამოიშვლად იბეჭდებოდა მასალები სწორედ, რწმენის, ქრისტიანული მორალის დაცვისა და პროპაგანდის მიზნით. ავტორი ამგვარი პუბლიკაციებისა ხშირად თვით რედაქტორი, სიმონ შტედლიძეა, „სანმანისის“ ფსევდონიმით.

გთავაზობთ მის ერთ-ერთ ასეთ სტატიას, დაბეჭდილს „შინაური საქმეების“ 1910 წლის N31-ში. ვფიქრობთ, იგი უფრო სრულ წარმოდგენას შეუქმნის საზოგადოებას ამ ნათელი პიროვნების შესახებ.

შინაური საქმეები

№ 31.

ოთხშაბათი, ნოემბერი 3, 1910 წ.

სალქმ ნომერი ღიოს 5 კაპიტატი.

აღრმისი: ქუთაისი „შინაური საქმეების“

რედაქცია.

ყოველკვირეული გაზეთი.

შინაარსი: 1, სჯული ბუნებრივი და სჯული განცხადებული. ქრისტე და ბუღდა — სანმანისა. 2, საჭიროა თუ არა კაცისთვის რელიგია? — მღ იოან. ლუკიანოვისა 3, ყ-დ სამღვდლო ლეონიდეს მოგზაურობა გურიაში — № 4, სამეღრნეო ცნობებს-ს გაერცვლებს საჭიროება ხალხში სამღვდლოების მიერ — მღ. სერგეი მაქარაშვილისა. 5, წაღმა-უკულმა — ყ. წუთისოფ ლელისა. 6, წერილი გრაფ. ლ. ნ. ტოლსტოისა. 7, ნარკვევი. 8, კვირიდან კვირობამდე.

მომავალ 1911 წლიდან. სარწმუნოებრივ-ზნეობრივ-საზოგადოებრივი გაზეთი.

„შინაური საქმეები“

გამოვა ყოველ თვეში ოთხი ნომერი, გარდა კვირიკობისთვისა და მარიამობისთვისა, როცა გაზეთი სულ არ გამოვა.

საქური ბუნებრივი და საქური განცხადებული 1

ქრისტე და ბუღდა

(ზ. ივ. როსტომაშვილის წიგნაკის გამო)

ყოველ ზნეობრივ საქციელს ღრმა საფუძველი უდევს ადამიანის ბუნებაში. ადამიანს ყოველი განვითარების საფეხურზე თან სდევს ერთნაირი აღლო, რომლითაც იგი განაარსებს კეთილს ზოროტისაგან, ზნეობრივ საქციელს უზნეოსაგან. ასეთ აღლოს საღმთო წერილის ენაზე შინაგანი სჯული ჰქვია,

მდაბიურათ კი სინდისი. ადამიანმა რომ ამ აღლოს, ამ შინაგანი სჯულის ბრძანებას მისდის, შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, რომ არასოდეს არ შესცდება კეთილისა და ზოროტი საქმის გარჩევაში, შინაგანი სჯული ყოველთვის სისწორით უჩვენებს მას ღვთის სათნო ზნეობის გზას. ჯერ წერილობითი სჯული არ იყო გადმოცემული ღვთისაგან, რომ ადამიანი შინაგანი სჯულის მეოხებით

¹ .იხ. „შინ. საქ.“ N7 და ქვ. 1908წ.

სცნობდა კეთილსა და ზორიჭს. ჯერ კიდევ მაგალითით არ ენახა, მაგრამ ადამიანმა უკვე იცოდა, რომ კაცის კვლა ცოდვია. მრუშება, ცილისწამება, სხვისი საკუთრების მითვისება – ყოველივეს ცუდ და შეუწყნარებელ საქციელად ირიცხებოდა. ამიტომაცაა, რომ ადამიანი ზოგიერთ თავის საქციელს ყოველთვის მალაუდა და ფარულად მოქმედებდა, ხოლო სხვებს – აშკარად და განცხადებულად აკეთებდა. ასეთი ცოდვა-მადლის გარჩევა, ასეთი კეთილისა და ზორიჭის გამოცნობა ერთი უმთავრესი თვისებათაგანია ადამიანისა და, თუ ადამიანს რამე კეთილშინაი შეუქნია, მხოლოდ შინაგანი სჯულის მეშვეობით. და, რადგან ეს შინაგანი სჯული ერთი ყველა კაცისათვის, ყველა ხალხისათვის, ამიტომ ხშირად ერთი ხალხის ზნეობრივი კანონები შეირასას წააგვანან, თუ სულ ისეინივე არ არიან. თავისთავად ცხადია, და აქ არაფერი გასაკვირვებელი არ არის, რომ, რადგან შინაგანი კანონი, შინაგანი სჯული ერთი და იგივე ყველა ადამიანში, მისი შედეგებიც ერთი და იგივე უნდა იყვნენ, და, თუ ნამდვილად ხშირად ერთი და იგივე არ არიან, ეს იმის ბრალია, რომ ყველა ერთნაირ ყურადღებას არ აქცევს ამ შინაგან სჯულსა. ბევრი სარგებლობით, გამოიყენის სურვილით ხელმძღვანელობს და არა შინაგანი სჯულის უანგარო მთხოვნილობით. ეს შინაგანი სჯული გარედან მიწებებული არა აქვს ადამიანის ბუნებას, ეს არ არის შემდეგი შენაძენი ქონება ადამიანის განცხადება. იგი თვით მის ბუნებასთან არის დაზღვეული და მისი წყალობაა, ვინც ეს ბუნება შექმნა, ვინც ადამიანი ადამიანად გააჩინა. ამიტომაცაა, რომ გარეგანი სჯული, რომელიც მოცემული გვაქვს ჩვენ ძველისა და ახალი აღთქმის მცნებაში, არ ეწინააღმდეგებიან შინაგან სჯულის კანონებს. წინააღმდეგ, ისინი სრული თანახმანი არიან ერთ-ერთისა; რასაც ამართლებს ერთი, მასვე ამართლებს მეორეც, და, რასაც უარყოფს ერთი, მასვე უარყოფს მეორეცა.

ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ ზოგიერთი ზნეობრივი კანონი, შექმნილი რომელიმე სჯულმდებელისაგან, უთანხმდება იმ ზნეობრივ კანონებს, რომლებიც გადმოცემულია საღვთო განცხადებაში. არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ ზოგიერთ ქრისტეს მცნების მგავს მცნებებს ჩვენ ვპოვებთ სხვა სარწმუნოების ხალხთა შორისაც. "სული ბუნებით ქრისტიანიათ", სიტყვა ერთმა ცნობილმა ეკლესიის

მამამ, და, თუ ეს ასეა, თქმა არ უნდა, ზოგიერთი შემთხვევაში ეს ქრისტიანი სული ქრისტიანულ ზნეობრივ კანონებსაც შექმნის.

მაგრამ, როგორც უნდა იყოს ადამიანის სინდისის შექმნილი ზნეობრივი კანონები, იგინი მაინც ნაკლებად არიან, მოკლებულნი არიან იმ სისრულეს, რომლითაც განირჩევიან საღვთო განცხადებით გადმოცემულნი ზნეობრივი კანონები. ეს თავისთავად ცხადია ყველაასათვის და არავითარ დამტკიცებას არ საჭიროებს. ქრისტიანული მორალი, როგორც ზეგანცხადებული, სწორედ ასეთი სისრულით განირჩევა და მისი შედარება სხვა სარწმუნოების მორალთან მისი დამტკიცება და შეურაცხება.

გასაკვირია, რომ ასეთ დედაებრივ სისრულეს ქრისტიანული მორალისას ვერ არჩევენ მრავალნი მრამდენი ამა სოფლისანი, იგინი ჰგონებენ, რომ ქრისტიანული მორალი, მოზანილი ქრისტეს მიერ, გადმოცემულია ძველი ხალხების მორალისაგან. ამას წინააღმდეგობა აქვთ ახალი წიგნისა და მისი სჯულის კანონები დიდი ხნის წინათ ცნობილი იყვნენ მეფე ამუბაბის კანონებში. გომაროებმა ეს უკანასკნელი სიტყვა (?) შეცნიერებისა აუწვა ქრისტიანობას. ასეთ მდგომარეობაზე განიცდის მაცხოვრის ზნეობრივი სწავლა ზოგიერთ მეცნიერების ხელში. იგი ქრისტეს მოძღვრებას ხან სიკრატს აღარებენ, ხან ბუდებს და ხან კიდევ, დემონსა იცის, ვის, და ყოველთვის ამ სხვებს წინ აყენებენ ქრისტესე ან, ყოველ შემთხვევაში, იმას მაინც ამზობენ, რომ ქრისტემ მათგან მოისესხა თავის ზნეობრივი სწავლა.

ამ უკანასკნელ ხანს ქრისტეს უფრო ბუდესთან დაუწყეს შედარება და პირველის ზნეობრივი სწავლა შეირის ასეთისავე სწავლის შედეგად აღიარეს. არიან ისეთი გაბეული წინასწარმეტყველებიც, რომლებიც ბუდეს სჯულს მხოლოდ მნიშვნელობას აწერენ და მოძვეალ კაცობრიობის სჯულად აღიარებენ. ამ მიზნით ზოგიერთმა "კაცობრიობის მეგობარმა" ხელი მიჰყვას ბუდეს ცხოვრებისა და ზნეობრივ სწავლების მდაბიურად გადმოცემას, რათა მოუპოვონ მას თავყვანისმცემელი ფართო საზოგადოება. თუ არ ვცდებით, ამ მიზნით უნდა იყოს გამოცემული ბ. ივ. როსტომაშვილის მიერ შედგენილი წიგნაკი "ბუდა და მისი სწავლა ცხოვრება-სიცოცხლეზედა". რომ ამ წიგნაკს ასეთი მიზანი აქვს, ამაში იქიდანაც

ვრწმუნდებით, რომ მას თავში ასეთი წარწერა უძღვის: იაფფასიანი სახალხო და საცხადო ბიბლიოგრაფია NI: "ბუნებრივი სტული" და კიდევ შემდეგი ლიდერი მწერლობანი ეპიგრაფი: "ბუნებრივი ბრძენი და მთავრე მოქმედებია კაცობრიობას თავის ხანგრძლივ ცხოვრებაში, მაგრამ განათლებული ბუნდა უდიდესია".

უსუსური თავმოქმედებე მკითხველი, თქმა არ უნდა, ამ ეპიგრაფს თბოდ მარგალიტად მიიღებს, ბუნდას უდიდეს ბრძნად აღიარებს და, მამასადაძე, მის ნაქადაგებ "ბუნებრივ სტულს" - მწიგნობრივ სწავლის ეჭვდაუდებელ ჭეშმარიტებად და ესაა ხომ პირდაპირ განზრახვაც წიგნაკისა. ამიტომ მეტად არ მიგვაჩნია, შევადართო ბუნდასა და ქრისტეს მწიგნობრივი სწავლა (თუქცა ასეთი შედარება შეგინებაა ქრისტეს მწიგნობრივი მოძღვრებისა) და ვაჩვენოთ არარაობა პირველისა მეორესთან შედარებით.

არის ერთი რამ იესო ქრისტეს მოძღვრებაში, რაც არ მოსწონს, ვერ მოუნდებია, ეგრეთ წოდებულ, ათეისტური მმართველების მქონ ხალხს. საქმე იმაშია, რომ ქრისტე ყოველივეს აუქმებს ღმერთზე, მისი ნამცნებ მწიგნობრივი კანონების მყარ საფუძვლად აღიარებულია ღმერთი. უმისით არ არსებობს არავითარი მორალი. მორალი უმადლესი არსების ნების მოთხოვნილებაა. სიწმიდის იდეალი ღმერთია და ადამიანი მაცხოვრის მოძღვრებით ვადლებულია დამსჯავს მას: "იყენიო წმიდა, ვითარცა არს მამა თქუენი ზეცათა". ყოველი სიწმიდე, ყოველი მწიგნობრივი მოვლენა ადამიანში, ქრისტეს მოძღვრებით, თავის აზრს და გამართლებას ჰპოვებს ღმერთში და საიქით ცხოვრებაში, კუთილი საქმე არა თავისთავადაა საჭირო, იგი მიზანი კი არ არის, არამედ მ. შნის მისაღწევი საშუალებაა, თვით - მიზანი კი ღვთის ნების აღსრულებაში, ღვთის სათნო - ყოფაში და სასუფეველის დამკვიდრებაში მდგომარეობს.

შინაგან სტულთან ერთად ადამიანის ბუნებას თანშობილი აქვს იდეა უმადლეს კანონმდებლობე, ღმერთზე, რომლის ნებასაც უნდა ასრულებდეს

ადამიანი თავის სიცოცხლეში. ამიტომ, რადგანაც ეს იდეა ღვთისა, ეს წარმოდგენა ღმერთზე უფრო ფაქიში, უფრო წმიდა და სპეტაკია, იმდენად ადამიანის მორალიც წმიდა და სპეტაკია და წინააღმდეგ. სწორედ აქედან აიხსნება ის გარემოება, რომ ძველი კაცობრიობა ყოველ ღმერთს შესაფერი მოქმედებით მსახურებდა: მაგ. მარსს (ღმერთი ომიანობისა) - ომიანობით, ვაკსს (ღმერთი ღვინისა და ღვთობისა) - ღვთობითა და ღვინის სმით, ვენერას (ღმერთი მშვენიერებისა და ხორციელი სიყვარულისა) გარყვნილებით და სხვ. თუ ასეთი წარმოდგენა არა, ადამიანი ვერაფრით გამართლებს თავის მწიგნობრივ საქციელს, რადგან გარეშე ბუნებაში ვერ ჰპოვებს ვერავითარ საბუთს ამ გამართლებისათვის: გარეგან ბუნებაში გამეფებულია ბრძილა არსებობისათვის, აქ ყოველ მოქმედებას სარსულად პირადი სარგებლობა უდევს და არა თავგანწირულება, რასაც მოითხოვს უმადლესი მწიგნობრივი იდეალი, იდეალი ღვთის არსებობაზე დამყარებული და აღმოცენებული.

აი, სწორედ ღვთის არსებობაა, ეს ღმერთზე დამყარებული მწიგნობრივი სწავლება, რომ აფრთხილებს და აშინებს ღვთის შინაობით დაავადებულ ადამიანებს, საიქით ცხოვრებაა ის კაფი, რომელსაც ვერ იხილებს ასეთი ადამიანის ტვინი. ასეთი ადამიანი ამ ქვეყნად ეძებს კმაყოფილებას და ამიტომ წყალწაღებულებით ხაფხუფდება, იქნებ თავი შევიშაგრო ცხოვრების აბოზოქრებულ მდინარეშიო. ქრისტე კი ქვეყნიურ ცხოვრებას უყურებს, როგორც მისამზადებელ განყოფილებას, რომელშიდაც ადამიანი ემზადება მომავალი ცხოვრებისათვის. ქრისტეს მოძღვრებით ქვეყნიური მოძღვრება კი არ არის მიზანი, არამედ მიზნის მისაღწევი საშუალებაა. აი, აქ უნდა ვეძიოთ იმის მიზეზი, რომ ბუნდას მოძღვრებამ "ბუნებრივი სტულის" სახელი მიიხვეჭა და მიიზიდა ერთგვარი ჯურის ადამიანები, რომელთაც არ უნდათ, იყოს ღმერთი, უკვდავება და საიქით ცხოვრება თავის წარწყმედაცხონებით.

სანმანანი


სამკურნალო მცენარეები

ელენე ბარამიძე

DIYARI 48715A 7 1990

ქრისტესისხლა

(*Chelidonium majus* - Чистотел большой)



მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, განკუთვნილია ყაყახოსებრთა ოჯახს. ყვავილობს მაისის თვიდან შემოდგომამდე. მცენარეს თუ გადატყვავთ, ღეროდან გამოიონავს მოყვითალო ფერის წვენი. ამ წვენს მომწამლავი თვისებაც გააჩნია. ქრისტესისხლას ღეროს სიმაღლე აღწევს 30-დან 100 სმ. აქვს პატარა, წითელი ყვავილები, მუქი მწვანე ფოთლები.

როგორც სარეველა, იზრდება ყველგან: ტყეებში, ბაღში, ფერდობებზე. განსაკუთრებით ხარობს ეკლესიების ახლოს და ნასახლარ ადგილებში. ბალახს აქვს არასასიამოვნო სუნი და მწარე გემო.

სამკურნალოდ გამოიყენება მთელი მცენარე ფესვები, ფოთლები, ყვავილები, ასევე წვენიც.

ქრისტესისხლას ქიმიური შემადგენლობა რთულია. მცენარის ყველა ორგანო შეიცავს ალკალოიდებს, ეთერზეთებსა და ვიტამინს, ორგანულ მჟავებს, საპონინებს.

ცხოველებზე ჩატარებულ ექსპერიმენტებში ქრისტესისხლას პრეპარატები აჩერებენ ავთვისებიანი სიმსივნის ზრდას. აქვთ, აგრეთვე, ბაქტერიოსტატიკური მოქმედება ტუბერკულოზის მიკრობაქტერიის მიმართ, სწობენ სხვა მიკრობებსაც. ალკალოიდების შემცველობის გამო, ქრისტესისხლას ახასიათებს ტკივილდამაყუჩებელი თვისება. აძლიერებს ნაწლავების პერისტალტიკას. მალდა სწევს ნაღვლის ზუმტისა და საშვილოსნოს ტონუსს. გარდა ამისა, ქრისტესისხლას პრეპარატები აძლიერებენ ნაღვლის სეკრეციას. აქვთ საფლარათო, შარდმდენი, ნაღვლმდენი, ჭრილობის შემახორცებელი უნარი.

მედიცინაში იყენებენ ქრისტესისხლას მალამოს კანის ტუბერკულოზისა და მეჭეჭების დროს. ქრისტესისხლას მკვლევარი პროფესორი ტომილინი აღნიშნავს, რომ ამ ბალახის გამოყენება დიდი წარმატებით შეიძლება მრავალი დაავადების - სტენოკარდიის, ბრუნქიალური ასთმის, ქრონიკული პოლიარტრიტის დროს. ხოლო სხვა ნაღვლმდენ მცენარეებთან ერთად იგი შესანიშნავი საშუალებაა ჰეპატიტის, ქოლევკისტიტის, ანგიოქოლიტის, სანაღვე გემების კენჭოვანი დაავადებებისას.

ვინაიდან ქრისტესისხლას მომწამლავი თვისებაც გააჩნია, ამიტომ მკურნალობა უნდა დაიწყოს მცირე დოზით. ნაყენი შემდეგნაირად მზადდება: 2 გრ. ბალახი 1 ჩაის ჭიქა მღუღარე წყალზე ეს ერთი ჭიქა მიიღება მთელი დღის განმავლობაში. ქრისტესისხლას სპირტიანი ნაყენი მიიღება 15-30 წვეთი დღეში სამჯერ. მედიკოსებმა დაკვირვებით დაადგინეს, რომ ქრისტესისხლა აჩერებს ავთვისებიანი სიმსივნის ზრდას და რეკომენდირებულია მისი მიღება ოპერაციის შემდეგ, აგრეთვე კიბოსწინარე

მდგომარეობის დროს.

სამკურნალოდ იღებენ 30 გრ. მშრალ ბალახს-500 გრ. წყალზე, აცხელებენ ადუღებამდე, გაანელევენ. მიიღება: ნახევარი ჭიქა სამჯერ დღეში.

ქრისტესისხლათი მკურნალობა შეიძლება მხოლოდ ექიმი-ფიტოთერაპევტის მიერ დანიშნული რეცეპტით. ექიმთა ერთი ნაწილი ფსორიოზიან ავადმყოფებს ურჩევს მიიღონ ქრისტესისხლას ახლად დაკრეფილი ბალახის აბაზანები. ხალხური მედიცინა ქრისტესისხლას იყენებს, აგრეთვე, როგორც გარეგან საშუალებას: ბალახის ნახარშს - სუფთა წვენი სახით. აბაზანას იყენებენ ეგზემის, კანის ქავილის, წყლულების დროს, შესხურების საშუალებით - საშვილოსნოს ყელის ეროზიის დროს.

სუფთა წვენით ამუშავებენ +ჭრილობებს. შეიძლება მისი წასმა კანის სხვადასხვა გამონაყარზე. ქრისტესისხლას ნახარშით იბანენ თავს ქერტლის მოსაცილებლად და თმის ძირების გასამაგრებლად. მეჭექების მკურნალობა ხდება შემდეგი წესით: ზედაპირს დაასველებენ წყლით ან ოდნავ ჩამოფეკენ

სტერილური ინსტრუმენტით, შემდეგ დღეში 2-3-ჯერ წაისვამენ ქრისტესისხლას ახალ წვეს. ზოგი ექიმი აღნიშნავს, რომ მეჭექები ქრება ქრისტესისხლას წვენი მიღების დროსაც (10-20 წვეთი სამჯერ დღეში).

ხალხური მედიცინის ცნობილი მკვლევარი ლევ-სუკი გვიჩვენებს ქრისტესისხლას ფესვის გამოყენებას, როგორც შარდმდენ საშუალებას. ფესვს წინდაწინ დააქუცმაცებენ, შემდეგ იღებენ 15 გრ. (1 სუფრის კოვში) გამშრალ ან 30 გრ. ახალ ფესვს, დაასხამენ 400 გრ. რძეს და ადუღებენ მანამ, სანამ არ დაიბუღებს ნახევარს. ამის შემდეგ ფესვს გარეცხავენ, რომ მიიღონ ფაფისებრი მასა და კვლავ ადუღებენ 15-20 წუთი. გაწურავენ ტილოს ნაჭერში, გახსნიან ერთ ჭიქა წყალში და კიდევ ერთხელ წამოადუღებენ განახევრებამდე. გაწურავენ, შეურვევენ რძიან ნახარშში და იღებენ 2 სუფრის კოვზს 4-5-ჯერ დღეში, პარალელურად იცავენ რძიან დიეტას.

ქრისტესისხლას მოკრეფის და დამუშავების დროს უნდა ვერიდოთ ბალახის შეხებას სახეზე, ტუჩებსა და თვალებზე.



DJVARI VAZISA 2. 1990

(The Cross of Vine)

The journal opens with the heading "Theology" in which the speech made by the Holy Father Grigol Palama, concerning the Light seen by the Disciples on Tabor, is published. The journal continues publishing the works by Simon the New Theologian about "Activity and Theology". The article by Ekvtime Kochlamazashvili deals with the one way of understanding of the song about the Presentation of our Lord in the Temple. In the article written by Mikhail Makharadze we also get acquainted with the ethical views of John Chrysostom. In the heading "Grown Under the Faith" the preachings "The Way of Saving" and the "Mourning of an Old Man" by the bishop David is published here. This clergyman lived at the edge of XIX-XX centuries. Here is also given the explanation of the 8th psalm reprinted from the journal "Pastor" (1895, N7). The journal makes us acquainted with the rules for reading of psalms to the layman and the small teaching about the confession. In the letter "Poplar-The tree of God" Tamar Djakely analyses the symbolism of one ritual verse spread in the eastern mountainous part of Georgia. Many hymns of the famous Byzantine hymnographer Romanoz Melodos is preserved in the Georgian language. Romanos "Sweetsinger's" Christmas song's Georgian translation is suggested by Anna Gambashidze. Stylistic - iconographical analyses of icons "Raising of Lazarus" will give the definite idea to the reader about the attitude towards the imadges of this great feast, created by the Georgian people in the middle centuries. Information was received from the Institute of the History of the Georgian Art, named after George Chubinashvily.

The conclusion about the main idol of Georgian pagan cult of Armaz, speaks for the benefit of its Khetic origin, which is suggested by Ekvtime Kochlamazashvili in his letter based on the ancient historical sources.

The Georgian Orthodox Church was the owner of many Holy Relics, but because of constant wars, the major part of them vanished and the rest of it is preserved in various museums. The letter by the student of Moscow Theological Academy Ramaz Giorgadze tells us about the Holy Relics of the Georgian orthodox Church kept in museum, in Zagorsk, which unfortunately aren't scientifically studied yet; Icon of queen Ketevan, with her Holy parts, St. George's crosses and icons, Georgian made "Removing from the Cross" are among them. Some photos from the museum attached to the letter, are published for the first time. Today, when the Georgian Church is reviving, we ought to know more about the new martyrs, who sacrificed their lives for Christianity, in our cruel century. Priest Simon Mcheglidze belongs to them. His spiritual enlightening way of life is described in the article by Damana Melikishvili. The journal publishes the will of Anton II Catholicos of All Georgia (1890).

Under the heading "Medicinal Herbs", Elene Baramidze suggests the letter about the herb "calendula".

ДЖВАРИ ВАЗИСА 2. 1990

(Крест из лозы винограда)

Журнал открывается рубрикой "Богословие", где и печатано слово Святого отца Григория Паламы о свойстве света виденном Апостолами на горе Табор. По учению святых отцов, Иисус Христос на горе преобразился так, что не принял ничего извне и в новом не переменился. Он показал своим ученикам то, что имел до того.

Журнал предлагает печатать "главы о деянии и богословии" Симеона Нового Богослова.

Статья Эвтимэ Кочламазашвили "Первенец рожденных" представляет собой осмысление одного из образов песнопения на тему "Сретение Господне".

Статья Михаила Махарадзе знакомит читателя с этическими взглядами Святого Иоанна Златоуста.

В рубрике "Питаемый словом веры" публикуется слово одного из духовных подвижников XIX-XX в.в. епископа Давида под названием "Как спасается человек". Здесь же дается пояснение 8-го псалма, перепечатанное из журнала "Михемси" (1895 N7).

Журнал предлагает правила чтения псалмов для мирян и краткое поучение об исповеди.

В статье "Древо Господня - Тополь" автор Тамар Джакели очень интересно анализирует символику одного стиха распространенного в религиозной бытности восточной Мтианети.

В грузинском языке сохранились многочисленные гимны известного византийского гимнографа Романа Мелодосиса.

Здесь же предлагается грузинский перевод рождественского песнопения этого "сладкопевца" Анны Гамбашидзе.

Общее представление и стилистическо-иконографический анализ икон "Воскресение Лазаря" проведенный и подготовленный институтом истории грузинского искусства им. Георгия Чубинашвили, дает читателю широкое понятие об отношениях, которые существовали в Грузии в средние века, изображениями на тему этого великого Господнего праздника.

На основе письменных исторических источников, в пользу небесного происхождения главного божества грузинского языческого пантеона - Армази, говорится в статье Эвтимэ Кочламазашвили.

Грузинская церковь была обладательницей многих святынь, но вследствие постоянных войн и многочисленных вражеских нашествий, большая часть из них исчезла, другая же находится в разных музеях. Студент Московской Духовной Академии Рамаз Георгадзе, в своей статье знакомит о находящихся в Загорском музее святынь, ранее принадлежавших Грузинской православной церкви, которые к сожалению, не исследованы. Среди них древняя икона Святой царши Кетеван с ее святыми мощами, крест-панакля Святого Георгия и многое другое. К статье приложены несколько фотоснимков из Загорского музея.

Сегодня, когда, Грузинская церковь идет по пути возрождения, необходимо описание подвигов тех людей, которые в нашу огненную эпоху мученически погибли за христианскую веру. К их числу принадлежит имя священника Симона Мчедлудзе, который был застрелен в 1924 г. Статья Даманы Меликишвили знакомит читателя с его духовно-просветительской деятельностью.

Журнал публикует завешание Католикоса Грузии Аятона II.

В рубрике "Целебные растения" мы знакомимся с одним из целебных растений - Чистотел большой.

შინაარსი

ღვთისმეტყველება

სიტყვა წმიდათა შორის მამისა ჩვენისა გრიგოლ პლამასი, მოციქულთა მიერ თაბორზე ხილული ნათლის თვისებისათვის	3
სიმეონ ახალი ღვთისმეტყველი სამოღვაწეო და საღვთისმეტყველო თავნი ექვთიმე კოჭლამაზაშვილი. პირშო დაბადებულთა	4
მიხეილ მახარაძე იოანე თქროპირის ეთიკური შეხედულებანი	7
	10

იზარღებოდი სიტყვითა სარწმუნოებისათა

დავით ეპისკოპოსი. როგორ სწარმოებს კაცის ცხოვება	17
გოდება მოხუცისა	20
დავითნის კითხვის წესნი ერისკაცთათვის	22
მცირედი რამ სწავლება აღსარების შესახებ	25
მერვე ფსალმუნი	26
თამარ ჭაყელი. საუფლო ხე აღვა	29
ანა ღამბაშიძე. რომანოზ მელიქიძის და მისი საშობაო საგალობელი	34

ხატი ძლიერებისა

ლაზარეს აღდგინების ხატი	41
-------------------------	----

ერი და ეკლესია

ექვთიმე კოჭლამაზაშვილი. არმაზი-მტერი იორუჯანისა	45
რამაზ გიორგაძე. საქართველოს ეკლესიის სიწმიდენი ზაგორსკის მუზეუმში	51
ანდერძი ანტონ II-ს საქართველოს კათოლიკოსისა.	58

წარსულიდან

დამანა მელიქიშვილი. მღვდელი სიმონ მჭედლიძე და მისი სასულიერო-საგანმანათლებლო მოღვაწეობა	65
სიმონ მჭედლიძე. სჯული ზუნებრივი და სჯული განცხადებული	68

სამკურნალო მცენარეები

ელენე ბარამიძე. ქრისტესისხლა	71
რებჯუმე ინგლისურ ენაზე	73
რებჯუმე რუსულ ენაზე	74

Wento

უგალობლით უფალსა გალობითა ახლითა

იოსებ კეჭემაძე

ღირს არს

Handwritten musical score for the first system. It consists of four staves: two vocal staves (Soprano and Alto) and two piano accompaniment staves. The key signature has three sharps (F#, C#, G#) and the time signature is common time (C). The lyrics are written below the vocal staves. The lyrics for the first system are: "ღმის ახს ჭეშ - მა - ჩი - ცაგ, ხა - თა".

Handwritten musical score for the second system. It consists of four staves: two vocal staves (Soprano and Alto) and two piano accompaniment staves. The key signature has three sharps (F#, C#, G#) and the time signature is common time (C). The lyrics are written below the vocal staves. The lyrics for the second system are: "გა - ღი - ებ - ეთი ჭენ ღვთის - მშო - ბე - ზო,".

Handwritten musical score for the third system. It consists of four staves: two vocal staves (Soprano and Alto) and two piano accompaniment staves. The key signature has three sharps (F#, C#, G#) and the time signature is common time (C). The lyrics are written below the vocal staves. The lyrics for the third system are: "ხა - ბე - ეა და - ჩა - ვას სა - ნაც - ხე".

Handwritten musical score for the first system. It consists of four staves: two vocal staves (top and third) and two bass staves (middle and bottom). The music is in a key with three sharps (F#, C#, G#) and a 2/4 time signature. The lyrics are written in Georgian script below the vocal staves.

Lyrics for the first system:
 Top vocal line: აქ - მქნე ყმავ - გავს ყ - ნა - ნავს ვა ვა - ვა
 Middle vocal line: აქ - მქნე ყმავ - გავს ყ - ნა - ნავს ვა ვა - ვა

Handwritten musical score for the second system. It consists of four staves: two vocal staves (top and third) and two bass staves (middle and bottom). The music is in a key with three sharps (F#, C#, G#) and a 2/4 time signature. The lyrics are written in Georgian script below the vocal staves.

Lyrics for the second system:
 Top vocal line: ვა - ნა - ნავს ვა - ნა - ნა, ყ - ვა -
 Middle vocal line: ვა - ნა - ნავს ვა - ნა, ყ - ვა -

Handwritten musical score for the third system. It consists of four staves: two vocal staves (top and third) and two bass staves (middle and bottom). The music is in a key with three sharps (F#, C#, G#) and a 2/4 time signature. The lyrics are written in Georgian script below the vocal staves.

Lyrics for the third system:
 Top vocal line: ვა - ნა - ნავს - ნა ვა - ნა - ნა - ნა - ნა,
 Middle vocal line: ვა - ნა - ნავს - ნა ვა - ნა - ნა - ნა - ნა.

Handwritten musical score for the first system. It consists of four staves. The top two staves are vocal lines with lyrics in Georgian script. The bottom two staves are piano accompaniment. The key signature has three sharps (F#, C#, G#). The lyrics are:
 Top staff: ღა (Gha) | ღა - ბა - ცა - ღააა (Gha - ba - ca - ghaaa) | ყ - ხე - აა - ეე - (ya - khe - aa - ee -)

Handwritten musical score for the second system. It consists of four staves. The top two staves are vocal lines with lyrics in Georgian script. The bottom two staves are piano accompaniment. The key signature has three sharps (F#, C#, G#). The lyrics are:
 Top staff: ბა, (ba,) | ხე - ხა - ღააა - აა - ბა, (khe - kha - ghaaa - aa - ba,) |
 Bottom staff: ბა, (ba,) | ხე - ხა - ღააა - აა - ბა (khe - kha - ghaaa - aa - ba)

Handwritten musical score for the third system. It consists of four staves. The top two staves are vocal lines with lyrics in Georgian script. The bottom two staves are piano accompaniment. The key signature has three sharps (F#, C#, G#). The lyrics are:
 Top staff: ღა - ხეაა - ხე - ღააა - ღააა - ხეა - ბა (gha - khaa - khe - ghaaa - ghaaa - khea - ba)

Handwritten musical score for the first system. It consists of four staves. The top two staves are vocal lines with lyrics in Georgian script. The bottom two staves are piano accompaniment. The key signature has three sharps (F#, C#, G#). The lyrics are:
 Top vocal line: ლაგ - ყპნ - ლა, გჳანა - ლა - ლა, აბმ - გმ - ლა
 Bottom vocal line: ლაგ - ყპნ - ლა, გჳანა - ლა - ლა, აბმ - გმ - ლა

Handwritten musical score for the second system. It consists of four staves. The top two staves are vocal lines with lyrics in Georgian script. The bottom two staves are piano accompaniment. The key signature has three sharps (F#, C#, G#). The lyrics are:
 Top vocal line: გჳანა - აბმ - გჳ - ლა, გ - გმ - ლა
 Bottom vocal line: გჳანა - აბმ - გჳ - ლა, გ - გმ - ლა

Handwritten musical score for the third system. It consists of four staves. The top two staves are vocal lines with lyrics in Georgian script. The bottom two staves are piano accompaniment. The key signature has three sharps (F#, C#, G#). The lyrics are:
 Top vocal line: ა - გჳ - გჳ - ლა, გჳანა!
 Bottom vocal line: ა - გჳ - გჳ - ლა, გჳანა!
 The system concludes with a double bar line and fermatas on the vocal lines.

ჯვარი ვაზისა

№ 2(30). 1990.

გარეკანზე

I გვ-ზე - **წმიდა ნინო**

შიო მღვიმე, მე-17 ს. II ნახ.

IV გვ-ზე - **ლაშარეს აღდგინება**

მე-12 ს. მინანქარი

საგამომცემლო განყოფილების თავმჯდომარე
ეპისკოპოსი **ზოსიმე** (შიოშვილი)

რედაქტორი

ლევანოზი **არჩილ მინდიაშვილი**

Джвари вазиса

(Крест из лозы виноградной)

№ 2(30). 1990.

Грузинская патриархия

Тбилиси, пл. Ираклия № 1

DJVARI VAZISA (THE CROSS OF VINE)

№ 2(30). 1990.

Georgian Patriarchate

Tbilisi 1, Erekle's square

რედაქციის მისამართი

სრულიად საქართველოს საპატრიარქო

თბილისი, ერეკლეს მოედანი, № 1

მაკეტი მომზადებულია
კომპერატივ "ინფოტექ"-ში

ტირაჟი 10000

გადიდებთ შენ, უხრწნელო ქალწულო, სიტყუისა
ღმერთის მშობელო, მეოხ-იყავ დაუცხრომლად
მვედრებელთა შენთათუის.

ვადიდებთ ყოველნი კაცთა მოყუარებასა შენსა,
ღმერთო მაცხოვარო ჩუენო, დიდებათ მონათა შენთაო და
გუირგუინო მორწმუნეთათ, რომელმან განადიდე ღღეს
საქსენებელი ღირსისა შენისა ლაზარესი.

წინა-აუწყე ქველის მოქმედ, შენი აღდგომაჲ
საფლავით აღდგინებითა ლაზარესითა. და ღაღადებით
იტყოდა: შენ ხარ ღმერთი ჩუენი მრავალმოწყალე.

ღღეს საფლავისაგან აღადგინე ლაზარე ოთხისა
ღღისაჲ და ღაღადებით იტყოდა: შენ ხარ ცხორებაჲ ჩემი
და აღდგომაჲ, მაცხოვარ, მრავალმოწყალე.

